კვირის პალიტრა

N29(162) 17/VII.-23/VII.20

ფასი 60 თ.

1168
2003

რატომ გადმოხტა ირინა მეცხრე სართულიდან

რძალი და დედამთილი - ურთიერთობის საშიში ზღვარი

ქართველი კრიმინალების სისხლიანი გარჩევები მოსკოვში

მაკა ასათიანი: „ბერეჟნერ გამჭირვებია პირად ცხოვრებაში"

რა ბზიკმა უკბინა მამუკა ონაშვილის ქალბატონს

ბაკურიანის გართობისა და დასვენების ჯადოსნურ სამყაროს 2003 წლიდან შეემატა ახალი, ულამაზესი

სასტუმრო „მელისი“

ტყის პირას

თითოეული ნომერი აღჭურვილია აბაზანა-ტუალეტით, ტელევიზორით, ფოიეში მინი ბარი, სასიამოვნო მუსიკა.
და რაც მთავარია, სუფთა ჰაერზე გაღვივებულ მადას პროფესიონალი მზარეულების მიერ მომზადებული უგემრიელესი, ეკოლოგიურად სუფთა, ქართული და ევროპული კერძები დაგიცხრობთ.
ეს ყველაფერი 15$-ად.

ბავშვობა 2003

გაატარეთ ცხელი ზაფხული სიგრილეში

მის: თბილისი, უზნაძის ქ. № 113ბ; ☎ 94-23-55; 96-05-64 ; 899-17-15-19
ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55; ☎ 899-20-59-42 ; 899-24-86-86

№29 (162)
17 - 23 ივლისი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
სამადლობელი „მესიჯი“ აშშ-ის პრეზიდენტს 3
ერთი კითხვა 4
სახელმწიფო
ერთი ნაბიჯი ბიუჯეტის სეკვესტრიდან მთავრობის სეკვესტრამდე 6
საპატარძლო
„ნინოა ის ბოგონა, რომელსაც წლებია, ოცნებაში ვეფერები...“ 8
სასიძო
„შინაგანად ყოველთვის დიდი გრძნობის მოლოდინში ვარ...“ 9
კრიმინალი
● „ბოლოს და ბოლოს, დასჯიან თუ არა ჩემი შვილის მკვლელებს?“ 11
● ქართველი კრიმინალების სისხლიანი გარჩევები მოსკოვში 12
გზავნილები
„დედა, მე შინ აღარ დავბრუნდები...“ 16
თემა
რძალ-დედამთილი – ურთიერთობის საშიში ზღვარი 18
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 20
საქმიანი ქალი
მაკა ასათიანი: „მივეჩვიე იმას, რომ პირადი ემოცია უნდა გავმიჯნო საქმისაგან...“ 21
ტესტი
ერთგული მკითხველი 23
ნამდვილი ამბავი
ბედოვლათი... რატი 24
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 26
პრობლემა
„საღ ვართ, ისიც კი არ ვიცით, ფასები პირდაპირ სხეულებზე გვაწერია...“ 26
როგორ ვისვენებთ
პიონერული ბანაკები, თევზაობა და რუსი ბოგონები მამუკა ონაშვილის ცხოვრებაში 30
ქალის ფსიქოლოგია
ის მარტოხელაა, მაგრამ მამაკაცის გაცნობას მაინც არ ელტვის 32
მამაკაცის ფსიქოლოგია
დოლარის კურსის დაცემა მკერდსავსე ქალების რეიტინგს ამაღლებს... 33
ტაძარი
რატომ ვისახავთ პირჯვარს? 34
დემოგრაფია
2050 წლისათვის, საქართველოს მოსახლეობა შეიძლება განახევრდეს... 35

რძალ-დედამთილი – ურთიერთობის საშიში ზღვარი

...კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პრობლემას, თუკი ის რძალ-დედამთილის ურთიერთობაში იქმნება, არა აქვს საზღვარი. რძალი და დედამთილი მაშინაც პოულობენ დავის საგანს, როცა ისინი სხვადასხვა სახლში ცხოვრობენ...

18

მაკა ასათიანი: „მივეჩვიე იმას, რომ პირადი ემოცია უნდა გავმიჯნო საქმისაგან...“

გვერდით ვიღაც კაცი მომიჯდა, რომელსაც გაძლიერებული დაცვა და დიდი ამალა ახლდა თან. რომ ვიკითხე – ვინ არის-მეთქი? – მრავალმნიშვნელოვნად მიპასუხეს – ეს ის არისო... ისე მითხრეს, რომ ვეღარ გავბედე ჩავკითხვოდი, არადა, ჩემსა და იმ კაცს შორის საკმაოდ ფამილარული საუბარი კი გაიმართა.

21

ქართველი კრიმინალების სისხლიანი გარჩევები მოსკოვში



ფაცურიამ და როგავამ მიქაბერიძესთან საქმის გარჩევას მიჰყვეს ხელი; უთხრეს, რომ არასწორად მოიქცა და „კაი ბიჭობასაც“ ტყუილად იჩემებდა; ბოლოს, მას ხელიც გაარტყეს; წასვლისას კი, სარეცხი მანქანაც და ტელეფონიც წაიღეს. შეურაცხყოფილმა მიქაბერიძემ შურისძიება გადაწყვიტა.

12

პიონერული ბანაკები, თევზაობა და რუსი ბოგონები მამუკა ონაშვილის ცხოვრებაში

თურმე ამ კანფეტს ბზიკი დააჯდა, იმან ვერ დაინახა და პირში ჩაიდო; ბზიკმა უკბინა და რამდენიმე წამში ამ გოგოს თავი ბალონივით გაუხდა. ვფიქრობდი: მე ეს ქალი არ წამომიყვანია, ეს ის არ არის-მეთქი, – და გადავხტი წყალში.

30

ფავორიტები
დიდი ინტრიგები „სამეფო კლუბის“ კარგე 36
ვარსკვლავი
სარეკლამო სკანდალით დაწყებული, „თეთრი ყვავის“ კარიერა 38
სპორტული ზოზაიკა 40
საფეხბურთო მინდვრებზე 41
რომანი
რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42
კადრს მიღმა
სოსო პავლიაშვილის ხაზს შეწირული ტანსაცმელი და სოხუმში ნაპოვნი სული... 46
ბომონდი 48
ავტო 49
რეტრო
„დღევანდელი პოპულარული მომღერალი ჩემს სიმღერას ვერ იმღერებს...“ 50
ნოსტალგია
„ილიკო სუხიშვილმა მითხრა: სასამართლოში უნდა გიჩივლოო“ 51
შოუბიზნესი
მინორული საღამო ამაღლებული გაანწყობით... 52
მოდა
პოლონელი მოდელიერის რაჭული კოლექცია 53
საკითხავი ქალებისათვის 54
ჯანმრთელობა
- უსაფრთხოა თუ არა ბად-ები? 56
- როცა შარდს ვერ იკავებთ 57
- სეზონური ხილი 58

ცხოველთა სამყარო
ძაღლებისთვის განკუთვნილი მოდა საუცხოო რამ ყოფილა 59
იუმორი 60
სკანვორდი 61
ჰოროსკოპი
კვირის (21-27 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62
ტესტი
ხართ თუ არა ორგანიზებული 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

სოსო პავლიაშვილის ხაზს შეწირული ტანსაცმელი და სოხუმში ნაპოვნი სული...

არ შემიძლია, არ გამოვყო მსახიობი, რომელმაც გამაგიჟა – ეს არის მერაბ ნინიძე. პირველად ვიმუშავე მასთან და აღფრთოვანებული ვარ. მსოფლიო კინემატოგრაფის ნებისმიერ ფილმს რომ დაამშვენებს, ისეთი მსახიობია მერაბი – გარეგნობითაც და ნიჭითაც.

46

„შინაგანად ყოველთვის დიდი გრძნობის მოლოდინში ვარ...“

რუბრიკის დღევანდელი სტუმარი, ანგიმონოპოლიური სამსახურის უფროსი, არმაზ თავაძე გახლავთ. გოგონებს, რომლებსაც დღევანდელი „სასიძოს“ მიმართ ინტერესი აღეძვრებათ, გაგიმხელთ, რომ მომავალი „საპაგარძლოს“ სადღეგრძელო მე და ბატონმა არმაზმა წინასწარ, უკვე შევსვით.

9

სარეკლამო სკანდალით დაწყებული, „თეთრი ყვავის“ კარიერა

გადასაღებ მოედანზე მიეჩქარებოდა, საჭეს მიუჯდა და მანქანა გააქანა. „უცებ შევნიშნე, რომ მანქანებიდან მძღოლები უცნაურად მაკვირდებოდნენ, ხოლო როცა სტუდიასთან გავჩერდი, მაშინღა მივხვდი, რომ პერანგის ამარა ვყოფილვარ...“

38

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

– დიმა იქით იყოს და შენ კი, ბავშვი ნამდვილად აღარ ხარ... – ამ სიტყვების შემდეგ, გიგოლამ სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა, დეა ბუმბულივით მსუბუქად აიტაცა ხელში და ყურში ჩასჩურჩულა:

– იცოდე, აღარ დაიწყო შენებური, თორემ, ჩემი ხელით მოგგუდავ...

42

სამაღლობელი „მესიჯი" აშშ-ის პრეზიდენტს

თქვენო უპრეზიდენტესობავ, საქართველოსადმი თქვენი უსაზღვრო სიყვარული მათამამებს, ეს წერილი მოგწეროთ.

მას შემდეგ, რაც მისტერ ჯეიმს ბეიკერმა თქვენი თხოვნით, თავისი ფეხსაცმლის ლანჩი დაადგა ქართულ ასფალტს, საქართველოში ახალი ერა დაიწყო, რომელმაც პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობა ისე „დაატკბო", რომ ალბათ „მურაბის ერად" შევა ქვეყნის ისტორიაში. თუ აქამდე, ერთმანეთს ტკივირავდნენ და სკამებს საჯდომქვეშ აცლიდნენ, ახლა ავტობუსში გეგონებათ თავი: „დაბრძანდით, ბატონო"-ს მეტს, ვერაფერს გაიგონებთ. ეს კი იმედს მაძლევს, რომ საქართველოშიც დადგება პოლიტიკური „ოქროს ხანა" და დამთავრდება პოლიტიკური „ჰარამ-ხანა".

ეს ყველაფერი ისე, პირფერობისთვის, თორემ, სიმართლე თუ გინდათ გითხრათ, რა კოლუმბიური თუ ვენესუელური სქემა გამოატანეთ იმ ბერიკაცს?!. რა „ხუთი ცხრაზე" და „ოთხი სამზე"?! „ბეშ ოთხი" და „ფანჯი სე" გვიშველის ჩვენ?! მაგ თქვენმა „ხუთი ცხრაზემ" იმდენი იჩალიჩა, რომ მტერი მოყვრად აქცია და მოყვარე – მტრად. ანუ ოპოზიცია და „პოზიცია" კი ჩასიყვარულდნენ, მაგრამ ახლა, თვითონ ოპოზიციაში ატყდა „დაგნარი" იმ ცხრა ადგილის გაყოფაზე. საარჩევნო კომისიაა თუ „არიოლი და რეშკა", ველარ გაიგებს კაცი...

ბატონო ბუშო, ვიცი, გენით „იანკი", მაგრამ მოწოდებით ქართველი ხართ, სულ ჩვენზე ფიქრობთ. მაგრამ ეს ამერიკა და საქართველო ისე შორს არიან ერთმანეთისგან, რომ აქ რომ დღეა, იქ – ღამეა. ამიტომ, ჩვენ რომ შველა გვჭირდება, მაშინ თქვენ გძინავთ, მაგრამ მაინც გესიზმრებით; „საქართველოს რესპუბლიკაა" თქვენი სამაგიდო გაზეთი და თბილისის სანაგვე ურნებზე მიმოფანტულ პოეზიას გულის ჯიბით დაატარებთ, კოტე ყუბანეიშვილის „კრებულის" სახით.

ამიტომაც გთხოვთ, იმ თქვენი კაი დედის – ბიცოლაჩვენის თავს გაფიცებთ, მეგრულ „ნანას" რომ გიჩხაკუნებდათ ჩონგურზე აკვანთან, გვერდით დაუდგეთ საქართველოს მოქმედ(?) პრეზიდენტს – ბუნებით დემოკრატს, წარმოშობით ტოლერანტს და ეროვნებით ჯიგარს, რომელიც აგერ უკვე 30 წელია, სკამაუდგომლად შრომობს თავის კაბინეტში. კანცელარია რომ იკეტება, დამლაგებელი ძალით აყენებს – ცოცხის გამოსობამ ფეხებში, ვალი იცისო... შეთავსებით ღამის დარაჯადაც მუშაობს (უხელფასოდ); კაცი, რომ იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამს, რომ ხალხს რაიმე უშველოს და ნაწლავების გადახლართვა რომ დაემართოს, ვინ გვიპატრონებს მერე?!

ასე რომ, როგორც მიცვალებულს საკურთხი, ისე ესაჭიროება ახლა მას თქვენი ჩამოსვლა, რადგან ბეიკერმა და მისმა „ნარდის კომბინაციებმა" ვერ გვიშველა. გაიხსენეთ ბავშვობა – ხომ მოდიოდა მამათქვენთან სტუმრად? ოდესმე მოსულა ხელცარიელი? იმ მოსკოვის „შიკოლადებს" რომ აკნატუნებდით მადიანად, ხომ კარგი იყო?!.

ჰოდა, გელოდებით, მისტერ ბუშო! ჩამოიტანეთ საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ისეთი ვარიანტი, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს. ერთი და ორი კაცი რას მიქვია?! – 15 და 20 უნდა ჰყავდეს კომისიაში თითო პარტიას... მერე რა, რომ ბევრია? – სტადიონზე დაეტევიან. რითია „ლოკომოტივის" ტრიბუნები „ცსკ"-ს ოფისზე ნაკლები?!

პარტიების დასახელებასაც მე მოგაწვდით:

სახელისუფლებო ბლოკს 100-150 კაცი უნდა, 2000 კაცს ნათლობაში ეპატიჟებიან და არჩევნები რითია ნაკლები რიტუალი?!

ოპოზიციას – 200-220 ადგილი დასჭირდება, თუ გვინდა, რომ „კართაგენი" არ განმეორდეს შემოდგომაზე;

ათი-ოცი კაცი – დანარჩენ პარტიებს, როგორიცაა: „წყლის ნაყვისა და საპნის ოპერების პარტია", „გარღვეული ბიუჯეტის მსხვერპლთა გაერთიანება", „მეძავთა კავშირი" და რა თქმა უნდა, ერთი კარგი „შაბიამნის პარტია"...

აბა, თქვენ იცით, გელოდებით. თანაც, ჩვენი პრეზიდენტის იმიჯის ასამაღლებლად, სადამ ჰუსეინის ბერეტიც წამოიიღვანიეთ. ტალახსა და სისხლში ამოსვარეთ და აქ რომ ჩამოხვალთ, ხალხს უთხარით: თქვენი პრეზიდენტი რომ არ დამხმარებოდა, მარტო ვერაფერს გავხდებოდი-თქო... თორემ, ამ ბოლო დროს, რაღაც თეთრი სახლისკენ უჭირავს თვალი და გირჩევთ, ისევ აქ იპრეზიდენტოს, თორემ, თუ გულით მოინდომა, ვინ დაჯდება თქვენს ოვალურ კაბინეტში და ვინ იმუშავებს ღამის დარაჯად, მაგასაც ვნახავ... მოხუცები ხომ ჭირვეულები არიან...

P.S. უკმაყოფილო მოხუცი ეუბნება ცოლს:

– სამსახურში მითხრეს, იმაში უნდა გაგიშვათო, რა ჰქვია?..

– პენსიაში?

– ჰო, პენსიაშიო... ალარც ძალა გაქვს და ალარც ისო, რა ჰქვია?..

– ღონე?

– ჰო, ღონე... მახსოვრობა არ გივარგაო, იგი გჭირსო, რა ჰქვია?..

– სკლეროზი?

– ჰო, სკლეროზიო... რას მერჩიან, მაინც ვერ გავიგე!..

პროვოკატორი

„ჯორბენაძე არის პარტიის ლიდერი და უნდა დარჩეს ლიდერად...“

— თქვენ განაცხადეთ, რომ სახელმწიფო მინისტრს პრობლემები თვით მისმა გუნდმა შეუქმნა რომელ გუნდს გულისხმობთ — პარტიულს თუ სამთავრობოს? და კიდევ — რას გვეტყვით ახალშექმნილ პოლიტსაბჭოს შესახებ? მოსალოდნელია თუ არა, რომ დასახელებულ ხუთეულს კიდევ დაემატოს ვინმე?

ვანო ზოდელავა, *თბილისის მერი:*

— სახელმწიფო მინისტრი მართლაც ბევრს შრომობს და ბევრიც გააკეთა, მაგრამ თანაგუნდელებმა არ დაუფასეს. სამთავრობო გუნდს ვგულისხმობ. ადრე, თვითონ ავთოსაც ვუთხარი: არ შეიძლება, სახელმწიფო მინისტრი და პარტიის ლიდერი ერთი და იგივე ადამიანი იყოს-მეთქი. საუბარია მთავრობის გადაყენებაზე. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები საჭიროა, მაგრამ უნდა მოვიდეს ღირსეული ხალხი და არა ისეთი ადამიანები, რომლებიც პარლამენტში მოხვედრით იქმნიან ბიოგრაფიებს, შრომის წიგნაკებს კი სამინისტროებში ხსნიან!.. რაც შეეხება, პოლიტსაბჭოს — ის ჯერ არ შექმნილა. ამ დღეებში, საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით. ჯერჯერობით 5 ადამიანზეა საუბარი: ავთო ჯორბენაძეზე, ჩემზე, ლევან მამალაძეზე, ირინა სარიშვილსა და ვახტანგ რჩეულიშვილზე, თუმცა 5 კაცი დოგმა არ არის. შეიძლება, პოლიტსაბჭოს აკაკი ჩხაიძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი შემოემატოს. მთავარია, რომ ყველანი პროფესიონალები იყვნენ. პოლიტსაბჭომ დღე და ღამე უნდა იმუშაოს არჩევნებამდე და ბევრი საკითხი უნდა გადაუწყვიტოს როგორც დედაქალაქის, ასევე ქვეყნის მოსახლეობას. ითქვა, თითქოს პოლიტსაბჭო ავთანდილ ჯორბენაძის „გასანეიტრალებლად“ და მისთვის ფუნქციების შეზღუდვის მიზნით შეიქმნა. ეს მცდარი შეხედულებაა — ჯორბენაძე არის პარტიის ლიდერი და უნდა დარჩეს ლიდერად, რათა ბლოკმა წარმატებებს მიაღწიოს არჩევნებში. ■

„ჩვენ არავისთან გაერთიანებას არ ვაპირებთ...“

— „მრეწველებმა“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირების თქვენეული ვარიანტი წარმოადგინეთ, რომელიც ბევრს არ მოეწონა. რითი განსხვავდება ცესკოს ფორმირების თქვენი ვარიანტი ე.წ. ბეიკერისეული ვარიანტისგან?

ზურაბ ტყემალაძე, *პარლამენტარი:*

— განსხვავება ძალიან დიდია. უცნაურად მეჩვენება ჯერ იმას რომ განვსაზღვრავთ, თუ რომელი პარტიები იქნებიან ცესკოს წარმომადგენლები და მერე ვაწესებთ რაღაც კრიტერიუმებს... ჩვენი პოზიცია ასეთია — ჯერ კრიტერიუმი განვსაზღვროთ (ანუ როგორ, რის მიხედვით უნდა შეირჩეს ესა თუ ის პოლიტიკური ძალა) და მერე განვიხილოთ, თუ ვის რამდენი კაცი ეყოლება კომისიაში. როგორც იცით, 6-7-მა პარტიამ უკვე წარმოადგინა თავისი ვარიანტი. იქ აღნიშნულია, რომ ათვლის წერტილი 2002 წლის 2 ივნისის არჩევნები უნდა იყოს — ე.ი. იმ პარტიებს, რომელმაც 4%-იანი ბარიერი გადალახა ან სულ ცოტა, 100 მანდატი მაინც მოიპოვა საკრებულოებში საქართველოს მასშტაბით, თითო წევრის დასახელების უფლება უნდა ჰქონდეს. ჩნდება კითხვა: რატომ მაინცდამაინც 2 ივნისის არჩევნები? ადგილობრივი არჩევნები ბათუმში 2 კვირით გვიან ჩატარდა, თუმცა, ბათუმშიც და თბილისშიც — პროპორციული წესით. თუ ორივეს შედეგებს შევჯამებთ, გამოდის, რომ ორი თუ სამი პარტია საერთოდ ვერ ხვდება ცესკოში. იგნორირებული რომ იყოს მთლიანად 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები, ამიტომაც არის ყურადღება გამახვილებული მხოლოდ 2 ივნისს ჩატარებულ არჩევნებზე. ეს ძალზე გაურკვეველია. ჩვენი პოზიცია ასეთია: ავიღოთ 2002 წლის შედეგები და 9 საუკეთესო პოლიტიკურ პარტიას მივცეთ თითო ადგილი; ან მეორე ვარიანტი — ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრებსაც, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ მიეცეთ ერთი წარმომადგენლის შეყვანის უფლება. კიდევ მოვითხოვთ, რომ თუ არჩევნებამდე 3-4 პარტია ერთიან ბლოკს შექმნის, მათ დაკარგონ უფლება ზედმეტ წარმომადგენლებზე და ვინც იქნება წამყვანი ძალა, მისი კანდიდატი დარჩეს. ჩვენ არავისთან გაერთიანებას არ ვაპირებთ და ერთი წარმომადგენელი გვეყოლება. თუ რამდენიმე პარტია გაერთიანდა, გამოდის, რომ მათ ეყოლებათ რამდენიმე წარმომადგენელი. ■

„არ გვეკუთვნის 3 ადგილი ცესკოში?..“

— ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 9 ადგილიდან სამს ნაციონალური ლიგა და თქვენ ითხოვთ. როგორ გგონიათ — გაქვთ რაიმე შანსი, რომ ეს თქვენ მოთხოვნა დაკმაყოფილდება?

ირაკლი წერეთელი, *ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი:*

— სწორედ ჩვენი აქტიური მოღვაწეობის შედეგია, რომ საქართველო დღეს დამოუკიდებელი ქვეყანაა. თუნდაც ამის გამო, არ გვეკუთვნის სამი ადგილი ცესკოში?.. ნებისმიერი პოლიტიკური ძალა აიღეთ — ვერც ერთი, ჩვენზე მეტ ხალხს ვერ გამოიყვანს... საქართველოში უკვე 6-ჯერ ჩატარდა არჩევნები და ექვსჯერვე — გაყალბებით. ერთადერთი, ზვიად გამსახურდიას დროინდელი არჩევნები არ გაყალბებულა. იმ პარტიებს, რომელსაც არასდროს მიუღია გაყალბებაში მონაწილეობა, ცესკოში ადგილები უნდა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, 3 ადგილი არც ისე ბევრია, რომ ჩვენი მოთხოვნები არ დააკმაყოფილონ... ■

„მინისტრის მოხსნით არაფერი შეიცვლება...“

— უყვართ თუ არა მხარს ბიუჯეტის სეკვესტრს?

ვახტანგ რჩეულიშვილი, *პარლამენტარი:*

— სეკვესტრს მხარს ვუჭერთ. ეს არის საფინანსო დოკუმენტი, რომლითაც ფინანსთა სამინისტრომ ხარჯი უნდა აწარმოოს. იმ შემთხვევაში კი, თუ სეკვესტრს მხარს არ დავუჭერთ და არ დამტკიცდება, ხელფასები და პენსიები ვეღარ გაიცემა. საინტერესოა, რით ხსნის მთავრობა იმას, რომ ბიუჯეტი ვერ შესრულდა, ან ამაზე პასუხს ვინ აგებს? მინისტრის მოხსნით არაფერი შეიცვლება. უნდა დადგეს ყველას პასუხისმგებლობის საკითხი, — გამგებლიდან დაწყებული, საგადასახადოს უფროსით და დეპარტამენტის თავმჯდომარით დამთავრებული! ■

„ნაადრევია საუბარი იმაზე, თუ ვინ დაიკავებს ჯორბენაძის სავარძელს...“

— ბატონო ლევან, ამბობენ, როდესაც სახელმწიფო მინისტრი თანამდებობას დატოვებს, ამ მნიშვნელოვან პოსტს თქვენ შემოგთავაზებენ. თუ ეს მოხდა, დათანხმდებით სახელმწიფო მინისტრის პოსტის დაკავებაზე?

ლევან მამალაძე, *პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში:*

— ჯერ ერთი, უნდა გითხრათ, რომ გადადგომა არ მოხდება. ასე მარტივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება. მთავრობის გადადგომა ალბათ მარტო ოპოზიციას აძლევს ხელს, რადგან რაც უფრო მეტად გაღრმავდება კრიზისი, მით უფრო გაუიოლდებათ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა. მართებულად არ მიმაჩნია პასუხისმგებლობის ერთი პიროვნებისთვის გადაბრალება. საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები გვაქვს ეკონომიკურ ჯგუფთან. ასე რომ, მარტო სახელმწიფო მინისტრის კი არა — მთლიანად ხელისუფლების — აღმასრულებელი იქნება თუ საკანონმდებლო — პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. თუ რეფორმები არ განხორციელდა, ვერც ერთი მთავრობა დანაპირებს ვერ შეუსრულებს ხალხს. უნდა მივიღოთ ისეთი კანონები, რომელიც გასაქანს არ მისცემს კონტრაბანდას და გადასახადებიც აღარ დაიმალება. ჯორბენაძეს კი, დღესდღეობით, თანადგომა და მხარდაჭერა უფრო სჭირდება. ვფიქრობ, ჯერ ადრეა საუბარი მის გადადგომაზე და მით უმეტეს იმაზე, თუ ვინ დაიკავებს მის სავარძელს — მე ვიქნები ეს თუ ვინმე სხვა. ■

როგორ აპირებთ შვებულების გატარებას?

ტრადიციულად პოლიტიკური რუბრიკის ნაწილს, ამ „სეზონურ“ კითხვას ვუთმობთ.

სად და როგორ აპირებენ ზაფხულის გატარებას პოლიტიკოსები და მიაჩნიათ თუ არა, რომ მათ გადაღლილ გონებას მართლაც სჭირდება დასვენება?

შალვა ნათელაშვილი, *ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:*

— ჩემი ოჯახი ამ ზაფხულს ბაზალეთში გაატარებს. მე არსად არ მივდივარ დასასვენებლად. ოჯახსაც მხოლოდ შაბათ-კვირას მოვინახულებ ხოლმე, მაგრამ მე ვერც ბაზალეთში ასული ვისვენებ, რადგან იქაც იმდენი ხალხი იყრის თავს ჩემ გარშემო, რომ თავი მიტინგზე მგონია... მაინც ეს მირჩევნია. საზღვარგარეთ დასვენებას ვერ ვიტან. ვერ შევეგუე შვედურ სუფრებს, სასტუმროს ნომრებს და ზედმეტი კომფორტი მაღიზიანებს. საზღვარგარეთ სულ ბოლოს, 2000 წელს ვიყავი. ათი-თხუთმეტი ვიზიტი მაქვს გაუქმებული. მშიერი ქართველების ფული უნდა წამეღო დასახარჯად? ამას არასოდეს გავაკეთებ. ხალხის ფულით შევარდნაძეები, სააკაშვილები და ჟვანიები დადიან. თქვას ვინმემ — რომელიმე პოლიტიკოსს უთქვამს საზღვარგარეთ დასვენებაზე უარი?.. დასვენება მართლაც აუცილებელია ადამიანისთვის, თუკი ის ისე დაიღალა, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღება უჭირს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მის გადაწყვეტილებას ქვეყნისთვის და მისი ხალხისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს...

გიგი წერეთელი, *პარლამენტის ვიცე-სპიკერი:*

— ჩემი ცოლ-შვილი წყნეთში ატარებს ზაფხულს, მე კი — თბილისში. წინა წლებში, ქობულეთში, ბათუმსა და მანგლისში ვისვენებდით. ერთხელ თურქეთშიც ვიყავით... წელს ისეთი რთული საარჩევნო პერიოდია, რომ თბილისს ნამდვილად ვერ დავტოვებ.

ვასილ მაღლაფერიძე, *პარლამენტარი:*

— როცა თავისუფალი დრო გამოიჩნდება (ასეთი რამ კი იშვიათად ხდება), გომბორში მივდივარ ხოლმე. როგორც წესი, იქ 2-3 დღეზე მეტხანს ვერ ვრჩები. ამ სამ დღესაც სახლის და ბაღის მოვლას ვანდომებ. ხეხილს ვრწყავ, შემოვბარავ, მერე ჩრდილში წამოვწვები და ვკითხულობ. სხვა რა უნდა აკეთოს სოფელში კაცმა? ახალგაზრდობაში, სულ მთაში დავდიოდი. რასაც კომფორტული დასვენება ჰქვია, ეს ცხოვრებაში არასოდეს მქონია.

ნიკო ლეკიშვილი, *პარლამენტარი:*

— წლეულს ჩემი ოჯახი რაჭაში დაისვენებს. საზღვარგარეთ დასვენებას ქართულ გარემოში დასვენება გვირჩევნია. ძალიან გვიყვარს ზღვა. ზოგჯერ თურქეთშიც მივდივართ ხოლმე... მე ყველგან კარგად ვგრძნობ თავს, სადაც ჩემი შვილიშვილები არიან.

სანდრო ბრეგაძე, *პარლამენტარი:*

— ვინც პოლიტიკაშია ჩაბმული, ხანგრძლივი დასვენებისთვის დროს ვერ გამონახავს. სამსახურებრივი მოღვაწეობიდან გამომდინარე, ალბათ ხშირად მომიწევს ზღვისპირეთში, ბათუმში ჩასვლა, თანაც — რამდენიმე დღით. თუ ამას დაარქმევთ დასვენებას — რა ვიცი. ეს მე ჰაერის გამოცვლა უფრო მგონია. ოჯახს ხშირად ლიკანში ვასვენებ. ალბათ წელსაც იქ წავიყვან.

დავით ბერძენიშვილი, *პარლამენტარი:*

— დასვენებას ვერ დავარქმევ იმას, რასაც ამ ზაფხულს ვაპირებ. ბათუმში კი მივდივარ, მაგრამ არა დასასვენებლად, არამედ პოლიტიკური საქმიანობისათვის. ეჭვი მეპარება, რომ წელს დასვენების საშუალება მომეცემა. ოჯახს გურიაში წავიყვან, მეუღლის ნათესავებთან.

მიხეილ მაჭავარიანი, *პარლამენტარი:*

— სამწუხაროდ, დასასვენებლად ვერ მივდივარ. მეუღლე აქ მყავს, ბავშვი კი სიდედრმა წაიყვანა ბათუმში. ჩემი სამსახურის გამო, არასოდეს დამისვენია. მხოლოდ შარშან 5 დღით ვიყავი წასული ბათუმში. ამის გამო ძალიან მწყდება გული. როგორც კი დროს გამოვნახავ, აუცილებლად მოვძებნი კარგ ადგილს და ფუფუნების უფლებას მივცემ თავს. ამ ზაფხულს, რამდენიმე დღით ან ჩემს სოფელში — საჩხერის რაიონში წავალ, ან ბათუმში, მეუღლის ოჯახში. ■

ერთი ნაბიჯი ბიუჯეტის სეკვესტრიდან მთავრობის სეკვესტრამდე

ძნელია, ცუდი ამბების მოსმენით დღეს ხალხი გააკვირვო, რადგან მას ყური ისე მიეჩვია, ერთ მშვენიერ დღეს რომ გამოუცხადო — ყველაფერი კარგად არისო, — იფიქრებს: დავყრუვდიო... მაგრამ ცუდიც არის და ცუდიც... ხვალინდელი დღის იმედით გაძლების ზღვრამდე მისულ მოსახლეობას რომ გამოუცხადებ — ბიუჯეტს 95 მილიონი ლარი ჩამოეჭრებაო, — სოციალური აფეთქება „ხელში გიჭირავს", მაგრამ ალბათ ისიც იციან, რომ ამის თავიც აღარავის აქვს. ხალხის უკმაყოფილებას კი, მხოლოდ ქუჩის „კულუარულ" დონეზე თუ მოისმენ:

ავთო მარგველაშვილი

— ღმერთო, შენ დააქციე იმის ოჯახი, ვინც ეს სიტყვა — „სეკვესტრი" მოიგონა, — იტყვის ერთი.

— აბა, არ ამოგვაძრო სული ამ საოხრემ?! — დაამატებს მეორე.

— ადრეც არაფერს ვიღებდი, მაგრამ უფრო „მეტ არაფერს" რომ არ მივიღებ, ის მიხეთქავს გულს, — ცუდსა და უარესს შორის არარსებულ სხვაობას იპოვის მესამე და გულს მოიოხებს იმ პარლამენტის ლანძღვით, ტაშ-ფანდურით რომ ამტკიცებდა გარღვევისათვის წინასწარვე განწირულ ბიუჯეტს; ზედ იმ მთავრობასაც მიაყოლებს, ნათელ მომავალს რომ დაჰპირდა საქართველოს, ასეთი ფინანსისტი და ეკონომისტი მინისტრების ხელში; მერე ტელევიზორს მიუჯდება და თავს მორიგი ტყუილებით გასაბერად გადადებს. თუმცა, წინასწარვე იცის, რომ დაპირებაა მსუყე ვახშამი მისი და „გადავდება" — ნუგბარი დესერტი, უძილობაა სასთუმალი და კოშმარი — „ტკბილი" სიზმარი...

სიზმარი კი, მართლაც, ბევრია, ცხადი — ერთი: ბიუჯეტის 95,5-მილიონიანი სეკვესტრი.

ფარ-ხმალს ყრის 70%-ით მშიერი და 50%-ით ტიტველი ჯარის სარდალი და კომერციულ „ბუტკას" ეძებს სამოღვაწეოდ, საზღვარს კი, ლაზარიას ჭიშკარივით მორყევა ემუქრება და ზამთრის თოვლია ერთადერთი, „სეზონური" ჩამკეტი მისი;

იხტიბარს არ იტეხენ შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები, მაგრამ იციან, რომ მთი დაფინანსების კიდევ უფრო შემცირება კრიმინალების მიშვებისა და ხვალ უფრო გრძელი და ფართო გვირაბის გათხრის საწინდარია;

გულზე მჯიღს ირტყამენ ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონატის ოქროების მოსაპოვებლად შემართული ოქრო ბიჭები და საკუთარ პატრიოტიზმს დასცინიან, რომ აქამდე უერთგულეს სამშობლოს და სხვისი დროშა არ მოიხურეს მხრებზე;

ბოღმით ევსებათ გული შარლატანებივით შეურაცხყოფილ, კინოსა და თეატრის, მუსიკისა და მხატვრობის ბუმბერაზებს...

და მაინც, „ჩვენისთანა ბედნიერი..."

საკუთარ აზრს გვაცნობენ ცნობილი ადამიანები. ბიუჯეტის სეკვესტრის პარამეტრების ჩვენთვის გაცნობა, საფინანსო-საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელს ვთხოვეთ.

რომან გოცირიძე *პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:*

— ლაპარაკია ბიუჯეტის 95,5-მილიონიან სეკვესტრზე. აქედან: 20 მილიონი ჩამოეჭრებათ ძალოვან უწყებებს, 6,5 მლნ — ჯანდაცვას, 1,5 — პარლამენტს, 1,5 — კულტურას, 700 ათასი — სპორტს, 3 მლნ — ტრანსპორტს, 1,8 — საელჩოებს და ა.შ.

— მოჰყვება თუ არა ამას ეკონომიკური ბლოკის მინისტრების გადადგომა და თქვენი კომპეტენტური აზრით, უნდა მოჰყვეს თუ არა?

— წესით, რასაკვირველია, უნდა მოჰყვეს, მაგრამ მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ამ ეტაპზე ფინანსთა მინისტრის მოხსნისაც კი...

— რატომ?

— იმიტომ, რომ 15 აგვისტომდე, დიდი საქმეებია მოსაგვარებელი. მოგეხსენებათ, ამ დროს, ანგარიშგება ხდება მსოფლიო სავალუტო ფონდის წინაშე და ახლა ვინმეს გაშვება და ახალი კაცის მოყვანა უაზრობად მიმაჩნია. ეს ერთგვარი „ორთქლის გამოშვება" იქნება, რომ პარლამენტმა დაამტკიცოს სეკვესტრი.

— როგორ ფიქრობთ — დაამტკიცებს?

— ზოგს მთელი გუნდის მოხსნა უნდა, ზოგს — მხოლოდ გოგიაშვილის... ვნახოთ, რით „ასიამოვნებს" პრეზიდენტი პარლამენტს — ანუ ვის მოხსნის...

ნანუკა ხუსკივაძე მსახიობი:

— თუ ამ თემაზე აპირებდით საუბარს, კიდევ კარგი, რომ კახიმ *(კავსაძემ. — ავტ.)* არ აიღო ყურმილი *(იცინის)*, თორემ თქვენს ინტერვიუს საშინელი განვითარება ექნებოდა... საერთოდ, ვცდილობ, პრინ-

ციპულად არ ვილაპარაკო პოლიტიკაზე – არ მომწონს, საშინლად მაღიზიანებს. ამიტომ, თუ არ მიწყენთ, მოკლედ გიპასუხებთ: ისე მოახერხეს ადამიანებმა, რომ დღეს ამ ქვეყანაში თუ რამე ფასობს – ეს არის თეატრი. ბოდიშს ვიხდი ყველას წინაშე, მაგრამ თეატრი თუ არ იარსებებს, არ იარსებებს ერი. ყველფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თეატრი აღარ იყოს, მაგრამ რატომღაც, მაინც ვარსებობთ.

— იმავე მდგომარეობაშია სპორტიც და სხვა სფეროებიც.

– ძალიან მწყდება გული, რომ ფანტასტიკური სპორტსმენებიც კი, პოლიტიკისკენ გადაიხარნენ...

— ბევრმა მათგანმა განაცხადა, რომ იძულებული გახდება, დატოვოს ქვეყანა და უცხოეთში იღვაწოს. თეატრის მოღვაწენიც ასეთივე გუნებაზე ხომ არ დადგნენ?

– მსახიობობა ცოტა უცნაური პროფესიაა. თეატრის მოღვაწენი ძალიან არაორდინარული, ორიგინალური, შეიძლება ითქვას – „ამოვარდნილი“ ხალხია და მათი ერთ-ერთი უცნაურობა ისაა, რომ არსად არ მიდიან, თეატრის ერთგულები რჩებიან. არ ვიცი, ამას როგორი სიყვარული ჰქვია. ერთი სიტყვით: უბრალოდ, „შერეკილი“ ხალხია...

მაია ნადირაძე, *პარლამენტის წევრი:*

– ამ სეკვესტრს უნდა მოჰყვეს მატყუარა მთავრობის გადაყენება...

— კერძოდ, ვის გულისხმობთ?

– სახელმწიფო მინისტრსა და ეკონომიკური გუნდის მინისტრებს... რომ ირწმუნებოდნენ – 230 მილიონით გავზრდით ბიუჯეტსო, – ვეუბნებოდით: ვერ შეასრულებთ-თქო. თავი გაიგიჟეს... მაშინ ხალხს ხელფასები მიეცით-თქო, – ვუთხარით. არ მისცეს, სხვა საქმეებზე დასჭირდათ... ეს არის მოტყუება და შეურაცხყოფა, რომელიც ყველა ტრიბუნიდან ხდება. ხომ ყველას ახსოვს მათი დაპირებები?! ფაქტი კი ერთია: კრახამდე, კატასტროფამდე, დეფოლტამდე მიიყვანეს სახელმწიფო.

— თქვენი აზრით, უნდა დაამტკიცოს თუ არა პარლამენტმა სეკვესტრი?

– თუ პოლიტიკოსებზე ვსაუბრობთ. უნდა დაამტკიცონ, რადგან თავიდანვე იცოდნენ, რომ განწირულ ბიუჯეტს ამტკიცებდნენ: წინა ბიუჯეტი არ შესრულდა და 230 მილიონით გაზრდილი, რის საფუძველზე შესრულდებოდა?!

— ეი. მიგაჩნიათ, რომ ბიუჯეტის სეკვესტრს მთავრობის „სეკვესტრიც“ უნდა მოჰყვეს, არა?

– არა მარტო „სეკვესტრი“ – 15 კაცი მაინც უნდა წავიდეს ციხეში... როცა წყალი იმღვრევა, ზემოთ ამოდის ჭუჭყი. დღეს, ქართულ პოლიტიკურ ავანსცენაზე არ ჩანს საუკეთესო ხალხი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წყალი არ დაიწმინდება... იმ ხალხის დროც დადგება...

ჯემალ გალაშვილი, *მუსიკოსი:*

– რაც დღეს კულტურის და არა მარტო კულტურის სფეროში ხდება, არ შეიძლება, არ აღაშფოთებდეს ნებისმიერ ადამიანს. რამდენიმე მეცენატი რომ არ ეხმარებოდეს, შიმშილით დაიხოცება ეს უნიჭიერესი ხალხი, მაგრამ ხომ არ შეიძლება, მეცენატობამ არჩინოს მთელი კულტურის სფერო?! რა ქნას იმ სამინისტრომ, რომელსაც ისედაც მწირი დაფინანსებიდან კიდევ მილიონ-ნახევარს აჭრი?!. გნებავთ, სპორტსმენები ავიღოთ. ჩვენი მორაგბეები მსოფლიო ჩემპიონატზე გავიდნენ და ვერ მიდიან. რატომ უნდათ, შეაჩვიონ ერის ცნობიერება წაგებასა და დამარცხებას? იმას მაინც მიხედონ, რაშიც ძლიერები ვართ: კულტურა, სპორტი, ხელოვნება. ამ სფეროებზე სეკვესტრი გაგიგიათ?!.

— „ხელისუფლების სეკვესტრი“ გაგიგიათ, ბატონო ჯემალ?

– *(იცინის)* დიდი სიამოვნებით გავიგებდი. თუმცა, მარტო ხელისუფლების შეცვლა არაფერს უშველის – სისტემა უნდა შეიცვალოს, თორემ კრიმინალური

კაპიტალი ისეა შერწყმული ხელისუფლებასთან, რომ სახელების შეცვლა და კლანების დატოვება არაფერს მოიტანს. ადამიანი წარმატებულ კარიერას რომ იკეთებს, ის თანდათან ყალიბდება მანკიერ სტერეოტიპად. როცა ერთ ჩინოვნიკს იმის ძალაუფლება აქვს, რომ ერთი ხელმოწერით გააკეთოს იმდენი ფული, რამდენსაც საქართველოს ყველა მწერალი და ხელოვანი ვერ იშოვის მთელი ცხოვრების მანძილზე, – ქვეყანა დაღუპულია. ამიტომ ვამბობ სისტემის დემონტაჟის აუცილებლობაზე. ეს პოპულისტური ტაკიმასხარაობა და ქართული „სპრუტი“ უნდა გატყდეს ხერხემალში, საცეცები შეეკვეცოს...

— „სპრუტი“ უხერხემლოა, ბატონო ჯემალ...

– *(იცინის)* ესენიც უხერხემლოები არიან. ახლა, ლამაზად მოსაუბრე ჩინოვნიკის სტერეოტიპი ჩამოყალიბდა: ისწავლა კაცმა 300-მდე სიტყვა, მიიღო ინფორმაცია და არა განათლება, „დაიყენა“ ღიმილი და „გვაბოლებს“...

— პოლიტიკაში რატომ არ მიდიხართ?

– თქვენ გგონიათ, ეს პოლიტიკა არაა? ჩვენ, ჩვენი იუმორით, სატირით ვიბრძვით – ესაა ჩვენი იარაღი. აუცილებელი არაა, ყველა ქუჩაში გამოვიდეს ან პარლამენტში შევიდეს. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს...

■

იქ, სადაც მოსამართლე მზაკვარია და მტაცებელი, ქურდს სრული უფლება აქვს ქურდობისა.

უილიამ შექსპირი

ფრაზა

გენიალური

არც ამჯერად დავარღვევთ ტრადიციას და ახალი „სასიძოს“ გაცნობამდე, ჯერ წინა ნომრის „საპატარძლოს“ მისამართით მოსულ გამოხმაურებებს გაგაცნობთ. წინასწარ იმასაც გეტყვით, რომ ნინო ორდენიძე ორ კავალერს უკვე შეხვდა, თუმცა, შესაძლოა, კიდევ გადახედოს მისი გაცნობის მსურველთა ნუსხას... სანამ უკვე შემდგარი პაემნების შესახებ გიამბობთ, ჯერ შემოსულ ფოსტას მიმოვიხილავთ (გზავნილების სტილი დაცულია).

„ნინო ის გოგონა, რომელსაც წელია, ოცნებაში ვეფერები...“

„ნინო, რატომ იგდებ თავს საფრთხეში? იცი, რამდენი მანიაკი და გადარეული დადის ქალაქში? ფრთხილად იყავი, ბუნების საოცრებავ!..“

„ნინო, შენი ინტერვიუ წავიკითხე. სურათზე ძალზე მომხიბვლელად და სექსუალურად გამოიყურები. მიმიზიდე. მინდა, გაგიცნო. სავსებით ვაკმაყოფილებთ თქვენს ყველა მოთხოვნას. იმედს არ გაგიცრუებთ. გთხოვ, დამირეკო ტელეფონის ნომერზე...“

შალვა, 31 წლის:

„ნინო, ძალიან კარგი გოგონა ხარ, მაგრამ როგორც ჩანს, ხასიათი მაინცდამაინც „ოქრო“ არ უნდა გქონდეს. ძალიან მინდა შენთან გულწრფელი საუბარი. გთხოვ, გამომეხმაურო...“

ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ნინოს საკმაოდ ვრცელი ლექსი გამოუგზავნა. მე მხოლოდ პირველ სტროფს შემოვთავაზებთ:

„ტანს გეტმასნება სველი ალერდი,
ჭვირვალი კაბა გიმხელს თეძოებს,
და აწიდული, მაღალი მკერდით,
მიეფინები მწვანე ეზოებს...“

მაგრამ თუ ერთი თაყვანისმცემელი, ცნობილი ავტორის (გრიგოლ რობაქიძის) ლექსით ეარშიყება „საპატარძლოს“, მეორე — საკუთარ ლექსს უძღვნის. ის გურჯაანელია და როგორც ჩვენი საუბრიდან გაირკვა, ფრიად სერიოზული განზრახვაც აქვს. მოდით, ჯერ ლექსის ერთ სტროფს გაგაცნობთ, შემდეგ კი ჩვენს საუბარსაც დაწვრილებით გადმოგცემთ:

„შენ საქართველოს ბუნება ხარ,
აღუწერელი,
ლოგოსის ვარდი, ჯერ ნაავით
დაურწეველი,
სალი კლდის ქანი, მუდამ მყარი,
დაურღეველი,
მთვარე ხარ, მთვარე, ღამეების
მანათობელი...“

„— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე თემურ ბ-ი გახლავართ. საკმაოდ მოწიფული მამაკაცი, 32 წლის. ფულიც მაქვს, საზამთროს ბაღიც და ვენახიც. არანაირი პრობლემა არ გამაჩნია. ბავშვი აღარ ვარ და ცოლის მოყვანა მინდა. ნინო მომეწონა. ეგ გოგო თუ დავითანხმე, მთელ კახეთში ჩემნაირი ცოლი არავის ეყოლება.

— ასეთი სასურველი, სასიძო თუ ხართ, აქამდე ცოლი რატომ არ მოიყვანეთ?

— იცით, რა, გენაცვალე? თქვენ რომ „ტუფლს“ ყიდულობთ, ხომ მოიზომავთ ხოლმე ხან ერთ, ხან მეორე წყვილს? შემდეგ იმას იყიდით, რომელიც მოგერგებათ. ასე ვარ მეც — ხან ერთი მომეწონა, ხან მეორე. ახლა კი მივხვდი, რომ ნინო სწორედ რომ საჩემო გოგოა. სამაჭანკლო „მაღარიჩი“ ჩემზე იყოს, ოღონდ ეგ გოგო გამაცანით...“

სტატიის გამოქვეყნების დღიდანვე, ძალიან დიდი გასაჭირი დამადგა. ტელეფონის ზარი არ წყდებოდა. უამრავი ნომერი და რესპონდენტთა მონაცემები შევიტანე იმ ნუსხაში, რომელიც შემდეგ, ნინოს გადავეცი. თითოეული მათგანი კი ერთხელ დარეკვას არ სჯერდებოდა და ყოველდღე, 2-3-ჯერ მაინც მირეკავდა. ბევრი მათგანი დამიმეგობრდა კიდეც...

რამდენიმე სევდიანი წერილიც მოვიდა, მათ შორის ასეთი:

„მარი, მე ვერ გავბედე დარეკვა და მოგწერთ: ჩემს ცხოვრებაში სასწაული მოხდა. დიახ, სასწაული! ნინოა ის გოგონა, რომელსაც წლებია, ოცნებაში ვეფერები, მაგრამ ვერ გამოვეხმაურები, რადგან არ ექნება აზრი. ბედნიერება არასდროს ყოფილა ჩემთან და არა მგონია, ახლა, ამ განადგურებულ მდგომარეობაში მომაკითხოს. ჩემი დრო მკვდარია. ჩემში სიყვარული ბავშვობიდანვე ჩაკლეს. არ მაქვს სიყვარულის უფლება. ჩემი ჭადარი დიდი ხანია, გახმა. ღმერთი იყოს ნინოს მფარველი. ძალიან დიდი მადლობა!“

თუმცა, სახალისო წერილები მაინც უფრო ჭარბად მოდიოდა.

„ნინო, აბა, შენ თუ დამიჭერ?“

„გამარჯობათ, ნინოს გადაეცით, არ უნდა, თვითონ რომ სდიოს ერთ რეციდივისტ ბიჭს, რომელიც მასავით 11 სექტემბერსაა დაბადებული?“

ნინოს ძველი მეგობარიც შეეხმიანა:

„წარმატებას გისურვებ, ნი! შენი რეგბისტი მეგობარი“.

დიდი ჯაფა დაგვადგა მე და ნინოს, როდესაც ჩემ მიერ მოგროვებული მთელი ინფორმაცია გადავეცი და არჩევანის წინაშე დადგა. ბოლოს, ერთ-ერთ თაყვანისმცემელზე შეჩერდა და შეხვედრაზეც შევთანხმდით. ერთმანეთს კარგა ხანს ესაუბრებოდნენ და შემპირდნენ, რომ შემდგომი მოვლენების კურსშიც ჩამაყენებენ. ვიდრე მე და ნინო ერთმანეთს დავემშვიდობებოდით, ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა დარეკა (რომელიც ყოველდღე, 5-6-ჯერ მეკონტაქტებოდა). ნინო თავად ესაუბრა. მამუკამაც არა და არ დაიშალა, ვიდრე შეხვედრაზე არ დაითანხმა. ნინო იძულებული გახდა, მისი ქათინაურებისთვის ესმინა და ასე ვთქვათ, „ორწყალს შუა“ ჩავარდნილმა, ყოყმანიც დაიწყო, — რომელზე შეეჩერებინა არჩევანი...

ორივე პაემანი ფოტოზე დავაფიქსირეთ, მაგრამ ორივე თაყვანისმცემლის სახეს, მათი თხოვნით, ამოუცნობს ვტოვებთ... ■

«შინაგანად ყოველთვის დიდი გრძნობის მოლოდინში ვარ...»

რუბრიკის დღევანდელი სტუმარი სახელმწიფო მოხელე — ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი, არმაზ თავაძე გახლავთ. გოგონებს, რომლებსაც დღევანდელი „სასიძოს“ მიმართ ინტერესი აღეძვრებათ, მინდა ვუთხრა, რომ ის საკმაოდ კარგი მოსაუბრე და თბილი ადამიანია. იმასაც გაგიმხელთ, რომ მომავალი „საპატარძლოს“ სადღეგრძელო მე და ბატონმა არმაზმა წინასწარ, უკვე შევსვით. მის შესახებ კი დაწვრილებით, ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ.

— ბატონო არმაზ, ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნებით და ამართლებთ თუ არა მას?

— ზოდიაქოთი გახლავართ „თხის რქა“ და როგორც ამბობენ, ვამართლებ კიდეც. თუმცა, ჰოროსკოპების მაინცდამაინც არ მჯერა, მაგრამ ისიც კი ვიცი, რომ ჩემს ნიშანს პლანეტა სატურნი მართავს, რომელიც მოქუფრული, მოღუშული და ცივია. ჩემს ნიშანს მიზანსწრაფულობა ახასიათებს. ეს იმდენად მყარადაა ჩემში გამჯდარი, რომ საკუთარი მიზანსწრაფულობა ხანდახან მაღიზიანებს კიდეც...

— თქვენს ნიშანს სიჯიუტეც ახასიათებს...

— მე თუ მკითხავთ, ვფიქრობ, რომ ჩემზე კარგი ხასიათი ქვეყნად არავის აქვს. ახლობლები კი მეუბნებიან, რომ ჯიუტი ვარ, მაგრამ მათ არ ვუჯერებ...

— ესეც სიჯიუტეა, რომ არ უჯერებთ...

— შეიძლება, მაგრამ ყოველთვის ასე მგონია, რომ ყველაზე სწორ გადაწყვეტილებას მე ვღებულობ. თუმცა, ხშირად კომპრომისზეც მივდივარ ხოლმე.

— რამდენი წლის ბრძანდებით?

— სამ იანვარს 28 წელი შემისრულდა.

— რატომ არ დაქორწინდით?

— სიმართლე რომ გითხრათ, ამ საკითხზე სერიოზულად მხოლოდ მას შემდეგ დავფიქრდი, რაც ჟურნალისტებმა და ახლობლებმა ამ კითხვის დასმას მოუხშირეს. ვიფიქრე — როგორც ჩანს, მართლაც გავიზარდე და დრო მოვიდა, რომ ოჯახი შევქმნა-მეთქი. საერთოდ, სიმართლე თუ გაინტერესებთ, შინაგანად რაღაც ჩარჩოებისა და შეზღუდვის მიმართ კეთილგანწყობილი არა ვარ. ამიტომ, ცოლის მოყვანა უფრო და უფრო შორს გადავწიე, რადგან ვფიქრობდი, რომ ჯერ დაგვიანებული არ იყო.

— ახლა რა აზრისა ხართ ამ საკითხზე?

— ახლა ვფიქრობ, რომ უკვე მართლაც დროა, მთელი სერიოზულობით მოვეკიდო ამ საკითხს და ეს აბეზარი ჟურნალისტებიც და ახლობლებიც აღარ შემაწუხებენ ამ კითხვით.

— ოჯახის წევრები არ განიცდიან, ჯერ ისევ კენტად რომ ხართ?

— ბოლო ორი წლის განმავლობაში, ეს საკითხი ჩემს ოჯახში ყველაზე აქტუალურია და იქნება მანამდე, ვიდრე ოჯახის ბორკილებს არ დავიდებ... მაგრამ მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ამ თემაზე ყოველთვის, ჩემგან დამოუკიდებლად საუბრობენ, — ჩემს ყურამდე არ აღწევს, რადგან იციან, რომ ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა საკუთარ აზრს აქვს. თანაც, ძალიან მაღიზიანებს, როცა რაიმეს ძალით მახვევენ თავს...

— მოხალისე მაჭანკლები არ გაწუხებენ?

— კი, ხშირად მეტყვიან ხოლმე: კარგი გოგონაა, უნდა გაგაცნოთ, გაგირიგოთ და ა.შ.

— თქვენ რას ეუბნებით?

— *(იცინის)* თავიდან, ვითომ შორს დავიჭერ, მაგრამ გაგიმხელთ, რომ ცნობისმოყვარეობა მძლევს ხოლმე. თუ ის გოგონა იქვე, ახლომახლოა, ცალ თვალს მაინც გავაპარებ მისკენ... ხომ იცით, ასეთი ქართული სიტყვა არსებობს — „ჩიჩინი“. რაც უფრო მეტს მეჩიჩინებიან, მით უფრო მეტად გავჯიუტდები ხოლმე.

— როგორი ხართ, როცა გიყვართ?

— სიმართლე რომ გითხრათ, ისეთი შეყვარებული არასდროს ვყოფილვარ, რომ თავგზააბნეულს და გადარეულს მევლო, მაგრამ მქონდა გატაცებები. ყველა იმ გოგონას მიმართ, სულ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება მქონდა და გრძნობასაც სხვადასხვანაირად გამოვხატავდი. საერთოდ, ძალიან მიყვარს პოეზია. ხანდახან ლექსით ვუზიარებდი სიყვარულს, ხანდახან სხვა ხერხს მივმართავდი ხოლმე. მაგრამ აღვნიშნავ, რომ ყველა შემთხვევაში, ძალზე რომანტიკული გახლდით.

— არასტანდარტული ფორმით თუ შეგიძლიათ გრძნობის გამოხატვა?

— ასეთი სურვილი თავად სიყვარულის ობიექტმა უნდა გამიჩინოს. თუკი ასე მოხდება, რატომაც არა?! მაგრამ წინასწარ, ალბათ ძნელია იმაზე საუბარი, თუ როგორი იქნება ეს არასტანდარტულობა. შესაძლოა, გარეგნულად არ გამოვხატავ, მაგრამ ვაღიარებ, რომ შინაგანად ყოველთვის დიდი გრძნობის მოლოდინში ვარ... ვფიქრობ: როდის? ვინ? აი, ეს „ის“ არის თუ არა? თუ ვიპოვე „ის“, მაშინ, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ყველა სტანდარტულ და არასტანდარტულ ფორმას გამოვიყენებ, რომ მას ერთგულება და სიყვარული დავუმტკიცო...

— ტრადიციების მიმდევარი თუ ხართ?

— კი, გარკვეულწილად ვარ, მაგრამ ზედმეტად ტრადიციულობაც ხშირად, მაღიზიანებს ხოლმე. მე ქართულ, ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე. სწორედ ამიტომ, ჩემში საფუძვლიანადაა გამჯდარი ოჯახური სიწმინდისა და კაცურკაცობის ტრადიციები, მაგრამ ოცდამეერთე

მაქვს მანქანა, ბინა, მაგრამ მე თვითონ? ჩემნაირი ქმარი, რა, ცუდი „მზითევია“?

საუკუნემ მოიტანა ისიც, რომ ბევრი ტრადიციის შეცვლა გვიხდება. ახლა რომ ჩოხა-ახალუხით ვიაროთ, ხომ უცნაური იქნება?

— მარტო რომ დარჩეთ, რას მოიმოქმედებდით თქვენი ასაკისთვის შეუფერებელს? მაგალითად, ბავშვობას თუ გაიხსენებდით?

— კი, ალბათ ბევრ რამეს ჩავიდენდი ისეთს, რასაც ბავშვობაში ვაკეთებდი, მაგრამ ახლა ხომ ისე ვეღარ მოვიქცევი, იმიტომ რომ დიდი ვარ. მაგალითად, სიამოვნებით ვითამაშებდი „კლასობანას“. მახსოვს, დიდ ქვას ვარჩევდი ხოლმე სათამაშოდ, რომ უკეთ მეთამაშა. საერთოდ კი უნდა ვაღიარო, რომ ცუდი მოთამაშე ვიყავი...

— როგორი სიმთვრალე გაქვთ?

— ო-ო... ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც შესაძლოა, ჩემზე უკეთესი სიმთვრალე ჰქონდეს. რაღა დაგიმალოთ და. რაც ეს ჰალსტუხი შევიბნიე — როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა — ძალზე იშვიათად ვსვამ. თუმცა, ძალიან კარგი სიმთვრალე მაქვს. მაშინ მახსენდება, რომ ყველა მიყვარს, ყველას ვეფერები, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ყველაზე უხმო და უსმენო სახელმწიფო მოხელე ვარ. ბევრი თანამდებობის პირია, რომელიც ძალზე სერიოზულად გამოიყურება. იმას გაფიქრებინებს, რომ მანქანაში ჩაჯდომისა და იქიდან გადმოსვლის გარდა, არაფერი იცის და ამ დროს, სუფრასთან ისეთ სიმღერას შემოსძახებს — გაგიკვირდება. მე კი სიმღერა არ მეხერხება და ასე ვთქვათ, შურით ვსკდები ხოლმე, რადგან არანაირი პერსპექტივა არ მაქვს, რომ ოდესმე, მეც შევძლებ კარგად სიმღერას... სიმთვრალეში მეტად ლაღი და ხალისიანი ვარ; მაშინ ვამბობ ყველა იმ ლექსს, რომელიც ზეპირად ვიცი და საერთოდ, მოლხენა ძალიან მიყვარს...

— ერთი სიტყვით, „ბაჯაღლო“ და აუწონავი ოქრო ხართ...



რაც ეს ჰალსტუხი შევიბნიე, ძალზე იშვიათად ვსვამ

მე აბსოლუტურად წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ შინ მისულს, ყოველ საღამოს მეუღლე ფქვილიანი ხელებითა და წინსაფრით შემომეგებოს

— მეც ასე მგონია. თქვენ სწორი დასკვნა გამოიტანეთ *(იცინის)*.

— მაჭანკლის საქმეც სწორედ ის არის, რომ სასიძო კარგი კუთხით წარმოაჩინოს და შეძლებისდაგვარად ვინმეს „მიასაღოს“...

— არა, არა, გასასაღებელი რა მჭირს?! რა, ცუდი ბიჭი ვარ, თუ?

— დარწმუნებული ვარ, თქვენი მწვანე თვალების გამო ბევრ კომპლიმენტსაც იღებთ ხოლმე ქალებისგან?

— დიახ, ჩემს თვალებს და თვალების ფერს ხშირად მიქებენ ხოლმე. მეც საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს?!.

— როგორი ქალბატონები მოგწონთ?

— სანდომიანი და მიმზიდველი...

— ყურადღებას თუ აქცევთ იმას, თუ როგორი დიასახლისი იქნება თქვენი მეუღლე?

— იცით, რა? მე აბსოლუტურად წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ შინ მისულს, ყოველ საღამოს მეუღლე ფქვილიანი ხელებითა და წინსაფრით შემომეგებოს, თუმცა, თუ დასჭირდება, ყველაფრის გაკეთება უნდა შეეძლოს... მე თვითონაც, ბევრჯერ შემისრულებია სხვადასხვა ფუნქცია, რაც ოჯახს სჭირდება. 1996 წლიდან მარტო ვცხოვრობ და საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ვარ...

— კოპწიაობა თუ გახასიათებს და როგორ ინარჩუნებთ ოჯახში სისუფთავეს მარტოხელა მამაკაცი?

— სისუფთავე ძალიან მიყვარს. წესრიგი ჩემი სუსტი წერტილია. შინ ოჯახის წევრები მეხმარებიან და მიწესრიგებენ ბინას. თუ მარტო ვარ, ერთ კვირას ვინარჩუნებ ხოლმე დალაგებულ სახლს. თუ მეგობრები მეწვევიან ხოლმე, სულ 2-3 დღე. ყველაზე დიდი გასაჭირი მაშინ მადგას, როდესაც ჭურჭელია გასარეცხი. არ მეხერხება ეს საქმე და რა ვქნა? არასოდეს არ მომწონს სხვისი დაუთოებული შარვალი და პერანგი. ყოველთვის ხელმეორედ მიწევს ხოლმე ამის კეთება...

— ქალის მზითევს თუ აქვს თქვენთვის მნიშვნელობა?

— მისი მზითევი, მხოლოდ მისი გაწონასწორებული ხასიათი უნდა იყოს...

— თქვენი? ბარემ თქვენი „მზითევიც“ ჩამოთვალეთ...

— ჩემი „მზითევი“? მაქვს მანქანა, ბინა, მაგრამ მე თვითონ? ჩემნაირი ქმარი, რა, ცუდი „მზითევია“?

— გიყვართ, როცა გეფერებიან? თუ გიჩნდებათ ვინმეს კალთაში თავის ჩადების სურვილი?

— რა თქმა უნდა. ვფიქრობ, არ არსებობს ადამიანი, მოფერება რომ არ უყვარდეს. ძალიან მომწონს, როდესაც თბილად მეფერებიან. ამ დროს სუნთქვა მეკვრება და ვიტრუნები ხოლმე... თუმცა, ზედმეტი ყურადღებაც მაღიზიანებს.

— რაიმე ჰობი თუ გაქვთ?

— ნადირობა. ნადირობაა ჩემი ჰობი. ხშირად დავდივარ კიდეც სანადიროდ და საკმაოდ კარგადაც გამომდის ეს საქმე.

— თქვენ მოკალით ძერა (მივანიშნე კარადის თავზე მდგარ ფიტულზე)?

— ეს ფრაზა „ჭრიჭინადან“ მეც მახსოვს, მაგრამ ეს ძერა კი არა, ქორია. ისიც ბედისწერაა ალბათ, რომ ეს ფრინველი სადღაც ტყეში კი არ მოკვდა — მე მოვკალი და ასე ვთქვათ, უკვდავვყავი.

— გამოდის, ბედისწერის გჯერათ?

— დიახ, მჯერა.

— იქნებ, ჩვენი საუბარიც რაიმეს მოასწავებს და ისეთი გოგონა გამოგეხმაუროთ, რომელიც თქვენი ბედისწერა აღმოჩნდება?

— არ არის გამორიცხული, რომ ასეც მოხდეს...

გოგონებო, იქნებ, მართლაც თქვენი ბედია მწვანეთვალება, ახალგაზრდა, გულისხმიერი — თუმცა უსმენო და უხმო, — მაგრამ როგორც თავად ამბობს, „ბაჯაღლო“ და აუწონავი ოქრო კაცი. დამირეკეთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61 ან გამოგზავნეთ წერილი და ფოტო „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით.

რუბრიკა მოამზადა
მარი ხაფარიძემ

„ბოლოს და ბოლოს, დასჯიან თუ არა ჩემი შვილის მკვლელებს?“ – კითხულობს გიორგი შავგულიძის დედა

25 წლის გიორგი შავგულიძის მკვლელობის საქმეს, უზენაესი სასამართლოს კოლეგიის განჩინებით, დამატებითი გამოძიება სჭირდება და ისევ პროკურატურას უნდა დაუბრუნდეს. ასეთი განჩინება კოლეგიის თავმჯდომარემ — იური ტაბუცაძემ დაზარალებულის — მარინა შაქარაშვილის შუამდგომლობის შემდეგ გამოიტანა.

სასამართლოს წინაშე ორი განსასჯელი – 1979 წელს დაბადებული გიორგი გუდაძე და 1981 წელს დაბადებული დავით კიკნაძე წარდგნენ. შავგულიძის მკვლელობა გუდაძესა და მის მეგობარს – ლევან ორახელაშვილს (იძებნება) ერთად ედებათ ბრალად. როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, მათ თავ-თავიანთი იარაღიდან მიზანმიმართულად, თითო-თითოჯერ ესროლეს ტყვიები შავგულიძეს. რაც შეეხება დავით კიკნაძეს, პროკურატურა მას მხოლოდ ხულიგნობაში ადანაშაულებს. გამოძიების დასკვნის მიხედვით, მან შავგულიძეს, შემთხვევის ადგილზევე აღებული საგნებით, სხეულის დაზიანებები მიაყენა.

დანაშაულში მონაწილე დანარჩენ პირთაგან, ზოგი იძებნება, ზოგის საქმე კი, ცალკე წარმოებადაა გამოყოფილი და ცალკე განიხილება. დაზარალებული – მარინა შაქარაშვილი სწორედ მათ გაერთიანებასა და საქმის ერთ მთლიანობაში განხილვას მოითხოვს. მის მოთხოვნას სასამართლო კოლეგიაც დაეთანხმა და მიაჩნია, რომ საქმეების დაყოფის გარდა, პროკურატურამ, შემთხვევის ადგილას მყოფი ერთ-ერთი პირის – ლაშა ქევანიშვილის მიმართ საქმის არაღძვრის დადგენილებაც უსაფუძვლოდ გამოიტანა.

განჩინება მხოლოდ დავით კიკნაძის ადვოკატმა – **გულიკო გაბაიძემ** გაასაჩივრა. ამასთანავე, უკმაყოფილება გამოთქვა მეორე განსასჯელის – გუდაძის ადვოკატის მისამართით. „ის, რომ ადვოკატმა ზურაბ ტაბიძემ საკასაციო საჩივარი არ დაწერა, ამ საქმისადმი მის უგულისყურობაზე მეტყველებს. ჩვენ კი, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდით, რადგან დავით კიკნაძე სრულიად უდანაშაულოა და ხანგრძლივი ვადით პატიმრობაში ყოფნას არ იმსახურებს. გამოძიებას კიკნაძის საწინააღმდეგოდ არანაირი მტკიცებულება არა აქვს. რაც შეეხება სხვებს, შავგულიძეს რომ გაზის პისტოლეტი არ ამოეღო და პირველს არ გაესროლა, არც არაფერი მოხდებოდა. იმ მომენტში, ბიჭებს არ შეეძლოთ გაერჩიათ, პისტოლეტი გაზის რომ იყო“, – განაცხადა გაბაიძემ.

ადვოკატი გულიკო გაბაიძე

მოკლულის დედა კი აცხადებს, რომ 1999 წლის 13 მარტს, შემთხვევის ადგილას მის შვილს პისტოლეტი არ ჰქონია.

მარინა შაქარაშვილი:

„ამის დამადასტურებელი საბუთი გამოძიებას არ გაუჩნია. მთელი ოთხი წლის მანძილზე გაიძახიან – გაზის პისტოლეტია, – იარაღი კი, არსად ჩანს. პოლიციას ის არ ამოუღია. მხოლოდ განსასჯელები ამბობენ, რომ გიორგის ხელში პისტოლეტი დაინახეს. მათ ნათქვამზე დაყრდნობა კი არ შეიძლება“.

ადვოკატმა გულიკო გაბაიძემ მოსამართლე ტაბუცაძის მიერ გამოტანილი განჩინება შავგულიძეების გავლენიან ნაცნობობას მიაწერა. მისი თქმით, უზენაეს სასამართლოში მარინა შაქარაშვილის მხარდასაჭერად, თანამდებობის პირთა სატელეფონო ზარები არ წყდებოდა. ადვოკატი აცხადებს, რომ მათ პრეზიდენტსაც კი მიმართეს.

მარინა შაქარაშვილი:

„მე არ უარვყოფ და არ მრცხვენია იმის, რომ თეატრის მოღვაწეთა კავშირმა, მწერალთა კავშირმა, მხატვართა და არქიტექტორთა კავშირების წარმომადგენლებმა ამ ტრაგედიის გამო წუხილი გამოთქვეს. მათ მართლაც, მიმართეს პრეზიდენტს და ითხოვეს, რომ საქმის ობიექტური გამოძიება ჩატარებულიყო. გულიკო გაბაიძე ამას „საგანგებო ზარებს“ უწოდებს. მან ესეც არ იკმარა და ჩემი გარდაცვლილი შვილის სახელიც შეურაცხყო. აღნიშნა, რომ გიორგი ამბიციური და ბევრი ადამიანის დამსახიჩრებელი იყო. ამ განცხადების საფუძველი მას ნამდვილად არ გაჩნია. გიორგის ბევრი იცნობდა. მისი ცხოვრების შესახებაც იცოდნენ და გაბაიძის სიტყვების საწინააღმდეგოს მტკიცება საჭირო არ არის. მთავარია, ამ საშინელ მკვლელობას ფარდა აეხადოს და ჭეშმარიტება დადგინდეს. ბოლოს და ბოლოს, დასჯიან თუ არა ჩემი შვილის მკვლელებს?“

კოლეგიის განჩინება ამ კვირაში, საკასაციო პალატამ განიხილა. შეიძენს თუ არა იგი კანონიერ ძალას, ამას პალატის მოსამართლეები რამდენიმე დღეში გამოაცხადებენ. ■

თეონა ბაგრატიონის გამტაცებელთა ვინაობა დაადგინეს

ვაგზლის ბაზრობის ერთ-ერთი მეწილის – მუხრან ბაგრატიონის ქალიშვილის – თეონას გამტაცებლების ვინაობაც დაადგინეს და დაკავეს კიდეც ისინი. როგორც აღმოჩნდა, დაკავებისას ეჭვმიტანილებმა სამართალდამცავებს თავი სულ სხვა პირებად წარუდგინეს. მოკვლევის შედეგად კი დადგინდა, რომ ერთ-ერთი მათგანი, სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელი – ალან ძიგოევი აღმოჩნდა. შეგახსენებთ, რომ თეონა ბაგრატიონი ბოროტმოქმედებმა 2003 წლის 22 ივნისს, თბილისიდან გაიტაცეს, მისი ოჯახის წევრებს კი, გამოსასყიდ თანხად 24.000 დოლარი მოსთხოვეს. პოლიციამ შიდა ქართლსა და ზუგდიდში ჩატარებული სპეციპერაციის შედეგად, ძიგოევის გარდა, კიდევ ოთხი ეჭვმიტანილი აიყვანა. ისინი წარსულში არაერთხელ ნასამართლევი, დავით ნაზაროვი, ოლეგ კამალოვი, ნარიკ ბიბილოვი და ალან ჯიოევი აღმოჩნდნენ. შემთხვევის ადგილიდან სამართალდამცავებმა არაერთი ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარა და რეზინის ხელთათმანები ამოიღეს. ყოველივე ამასთან ერთად, გამტაცებელთაგან ის თანხაც დაიბრუნეს, რომელიც მათ გამოსასყიდის სახით მიიღეს. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში აღიძრა. როგორც პროკურატურის თანამშრომლები აცხადებენ, დასახელებული პირები სხვა დანაშაულშიც, კერძოდ – ძმების, გიორგი და ალექსანდრე ხაჩიაურების გატაცებაშიც არიან ეჭვმიტანილები. ხაჩიაურები ბოროტმოქმედებმა 2002 წლის 14 მაისს გაიტაცეს. გარდა ამისა, ეჭვი აქვთ, რომ ნაზაროვმა და მისმა თანამზრახველებმა არაერთი ყაჩაღობა და ძვირად ღირებული ავტომანქანების გატაცება ჩაიდინეს. აღსანიშნავია, რომ დაკავებისას, ალან ძიგოევმა პოლიციელებს ასლან პილიევად წარუდგინა თავი, ოლეგ კამალოვის (მეტსახელად, ლუკა) „მეორე სახელი“ კი, ლეო გაბალოვი, ხოლო ალან ჯიოევისა (ბაბიკა) – ალბოროვი გახლდათ. ■

ქართველი კრიმინალების სისხლიანი გარჩევები მოსკოვში

დაზარალებულის აზრით, წლების მანძილზე ძებნილს პროკურატურა მფარველობდა

სამი ადამიანის სადისტური მკვლელობა, რამდენიმე პირის განზრახ, დამამძიმებელი გარემოებებით მკვლელობის მცდელობა, ავტომანქანით მოძრაობისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რასაც კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეეწირა, რამდენიმე ხულიგნობა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა, შენახვა და ტარება, ყალბი დოკუმენტების გამოყენება — ყველა ეს ბრალდება პროკურატურამ 38 წლის დავით მიქაბერიძეს წაუყენა. განსაკუთრებით მძიმე მუხლების გამო, მიქაბერიძე უკვე უზენაესი სასამართლოს წინაშეც წარდგა. ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულების დადასტურების შემთხვევაში, სასამართლომ შესაძლოა, მას სასჯელის უმაღლესი ზომა — სამუდამო პატიმრობა მიუსაჯოს.

პროკურატურის ინფორმაციით, დავით მიქაბერიძემ ორი ადამიანი მოსკოვში მოკლა, ერთი – საქართველოში. რუსეთში ჩადენილი დანაშაულებისთვის მასზე 5 წლის მანძილზე იყო გამოცხადებული ძებნა. ისიც დადგენილია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, იგი მშობლიურ სოფელში – წითელხევში (ბაღდათის რაიონი) საკუთარ სახლში ცხოვრობდა. სამართალდამცავებს კი, იქ მისთვის ერთხელაც არ მიუკითხავთ მანამდე, სანამ მიქაბერიძემ მორიგი დანაშაული არ ჩაიდინა – მის მიერ გასროლილ ტყვიას კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა...

დღეს, განსასჯელი თავს სრულიად უდანაშაულოდ აცხადებს. პროკურატურის არც ერთ ბრალდებას არ ცნობს და ჩვენებასაც არ იძლევა. დაკავების დღიდან მოყოლებული, დუმილის უფლებას იყენებს. სამგიეროდ, გამოძიების მასალებით თუ ვიმსჯელებთ, ჩადენილ სასტიკ დანაშაულებში მას მოწმეები და დაზარალებულები ამხელენ.

დავით მიქაბერიძე წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ. 1994-95 წლებში, 29 წლის დავით მიქაბერიძემ ყალბი პასპორტის შეძენა მოახერხა და რუსეთში გაემგზავრა. 1995 წლის სექტემბერში, აღნიშნული პირადობის მოწმობა მან რუსეთის ქალაქ ივანოვოს შს სამმართველოს საპასპორტო სამსახურს წარუდგინა და ამ გზით, ივანოვოში ოფიციალურად ჩაწერაც კი შეძლო.

იმავე წელს, მიქაბერიძე საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. იქ დროებით იქირავა ერთი ოთახი იზმაილოვის პროსპექტის №87/52-ში სამოთახიან ბინაში მცხოვრები ნადეჟდა ივანეჩკოსგან. ნადეჟდა ივანეჩკო შვილებთან – რომან კოროვინსა და აინა მაგამედოვასთან ერთად ცხოვრობდა. მოსკოვში ყოფნისას მიქაბერ-

განსასჯელი დავით მიქაბერიძე

იძემ მოლდოველი ქალი – მარია მუნტიანუ გაიცნო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მუნტიანუ წლების მანძილზე ნარკოტიკების გასაღებით იყო დაკავებული. ნარკოტიკებით იგი მიქაბერიძესაც ამარაგებდა. გარდა ამისა, მათ ერთმანეთთან ინტიმური ურთიერთობაც ჰქონდათ. მუნტიანუ მოსკოვში მე-11 პარკოვაიას ქუჩაზე ცხოვრობდა, მაგრამ მიქაბერიძის სანახავად ივანეჩკოს ბინაშიც დადიოდა და ხშირად, იქვე რჩებოდა.

1995 წლის ზაფხულში, მიქაბერიძე მოსკოვში დროებით მცხოვრებ ქართველებს – დემურ როგავას, ლევან ფაცურიასა და ალექსანდრე ომარაშვილს დაუკავშირდა. პროკურატურის ცნობით, სამივე, ნასამართლევი გახლდათ. მიქაბერიძემ მათ მარია მუნტიანუც გააცნო, როგორც ნარკოტიკების გამსაღებელი, თუმცა მას ამ ქალთან ახლო, ინტიმური ურთიერთობა რომ ჰქონდა – არ გაამხილა. იმ დღიდან, ზემოთ ხსენებული პირები სისტემატურად იძენდნენ მუნტიანუსგან ნარკოტიკებს მოხმარების მიზნით და კარგ თანხასაც უხდიდნენ მას. ერთ დღეს, საკმარისი ფული არ აღმოაჩნდათ და ქალს ნარკოტიკების ღირებულების სანაცვლოდ, სარეცხი მანქანა „ამო“ და „პანასონიკის“ ფირმის რადიოტელეფონი მისცეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, ლევან ფაცურია და დემურ როგავა ნარკოტიკების მისაღებად, მიქაბერიძესთან შინ მივიდნენ. იქ, მათთვის სრულიად მოულოდნელად, მუნტიანუსთვის მიცემული სარეცხი მანქანა და რადიოტელეფონი შენიშნეს. გაუკვირდათ და ჰკითხეს მიქაბერიძეს: საიდან მოხვდა ეს ნივთები მასთან? მაშინვე დაეჭვდნენ მის გულწრფელობაში და მიხვდნენ, რომ რაღაცას უმალავდა. მათი ეჭვით, მიქაბერიძე, მათგან მალულად, ნარკოტიკების გასაღებაში ეხმარებოდა მუნტიანუს და აღებულ თანხასაც მასთან ერთად იყოფდა. ფაცურიამ და როგავამ მიქაბერიძესთან საქმის გარჩევას მიჰყვეს ხელი; უთხრეს, რომ არასწორად მოიქცა და „კაი ბიჭობასაც“ ტყუილად იჩემებდა; ბოლოს, ამას არ დასჯერდნენ და მას ხელიც გაარტყეს; წასვლისას კი, სარეცხი მანქანაც და ტელეფონიც წაიღეს. განაწყენებულმა და შეურაცხყოფილმა მიქაბერიძემ შურისძიება გადაწყვიტა.

მეორე დღეს, 1996 წლის 10 იანვარს, როგავას, ფაცურიასა და ომარაშვილს ნარკოტიკების მიღება კვლავ მოუნდათ. მოთხოვნილება თანდათან უძლიერდებოდათ და იძულებულები გახდნენ, წინა დღის ჩხუბის მიუხედავად, ისევ მიქაბერიძესთან მისულიყვნენ. ამ უკანასკნელის ბინასთან დაახლოებით ღამის 12-ის ნახევრისთვის, ფაცურიას კუთვნილი „ვაზ 21011“-ით მივიდნენ. ომარაშვილი მანქანაში დარჩა, როგავა და ფაცურია კი კორპუსში შევიდნენ. ბინაში მათ, მიქაბერიძის გარდა, მისი მეგობარი – ზვიად ნიშნიანიძე, სახლის პატრონი – ნადეჟდა ივანეჩკო, რომან კოროვინი და მარია მუნტიანუს და – ტატიანაც დახვდათ. მიქაბერიძემ სტუმრები და ნიშნიანიძე თავის ოთახში შეიყვანა. ცოტა ხანში, იქიდან ხმამაღალი შელაპარაკების ხმა გაისმა.

ნადეჟდა ივანეჩკოს ჩვენე-

ბიდან:

„...დეკემბრის ბოლოს, დათოს რაღაც დაემართა, ძალიან შეიცვალა. სულ ეძინა და გარეთ თითქმის არ გადიოდა. მილიციასთან პრობლემები ჰქონდა... ერთხელ, ჩემთან დათოს დამ დარეკა და მითხრა: ჩემი ძმა სპორტსმენია, წლების მანძილზე, ნიჩბოსნობაზე დადიოდა, სკოლის პერიოდში კი, ნარკოტიკებს მიეჩვიაო. დათო წყნარი და ნორმალური ადამიანი იყო, მაგრამ ვინმე თუ შეეწინააღმდეგებოდა, ცხოველი და მოუთმენელი ხდებოდაო...

10 იანვარს, დილის 11 საათისთვის, მარია სამსახურში წავიდა. მის მოსვლამდე, დათოს მეგობარმა – ზვიადმა მოაკითხა. დაახლოებით 12 საათზე, ღამით, ზარის ხმა გაისმა. კარი დათომ გააღო. მასთან ვიღაც ქართველები მოვიდნენ. ჯერ სამზარეულოში საუბრობდნენ ქართულად, შემდეგ – დათოს ოთახში. რამდენიმე წუთში, იქიდან ჩხუბის ხმა გავიგონე...“

გამოძიების თანახმად, შელაპარაკება ნარკოტიკების გამო მოხდა. გაბრაზებულმა მიქაბერიძემ თავისი, „ვალტერის“ სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტი აიღო და ფაცურიასა და როგავას მიუშვირა. მიუხედავად მათი ფიზიკური წინააღმდეგობისა, ახლო მანძილიდან რამდენჯერმე გასროლა მან მაინც შეძლო. ფაცურიას სამჯერ – გულმკერდისა და თავის არეში ესროლა, როგავას – ხუთჯერ: ოთხჯერ – შედარებით შორიდან, ერთხელ – ახლო მანძილიდან და თავის ტვინი და ქალაძვლები, მუცლის ღრუ და მარჯვენა ბეჭის არე დაუზიანა. ამის შემდეგ, ჯერ კიდევ ცოცხალ ფაცურიას დანით მიაყენა 15 ჭრილობა – 15-ვე, კისრის არეში. როგავას წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღარ ჰქონდა და მიქაბერიძემ მას დანა კისერში მხოლოდ ერთხელ გამოუსვა. ექსპერტებმა გვამზე, კისრის არეში ერთი დიდი ჭრილობა დააფიქსირეს.

როდესაც მიქაბერიძე ორივეს სიკვდილში დარწმუნდა, ოთახიდან გავიდა. დაიბანა სისხლიანი ხელები, შემდეგ თავისი ნივთები ჩანთაში ჩაალაგა, იქ მყოფები გააფრთხილა – გარკვეული დროის მანძილზე, მილიციაში არ დარეკოთო, – და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ნადეჟდა ივანეჩკოს ჩვენებიდან:

„ის ბიჭები ადრე, ჩემთან არ მინახავს. შემთხვევის წინა დღეს, 9 იანვარს, დაახლოებით 3 საათისთვის, მეზობელთან – პრიშერიოსთან შევედი. შემთხვევით ფანჯარაში გავიხედე და დავინახე, რომ სადარბაზოსთან ღია ყავისფერი „ჟიგული“ გაჩერდა. ცოტა ხანში ვნახე, თუ როგორ გამოიტანა ეზოში ორმა ქართველმა სარეცხი მანქანა „ამო“. ეს სარეცხი მანქანა ადრე, დათოს ოთახში მქონდა ნანახი. ჩასხდნენ ავტომანქანაში და წავიდნენ. როცა დათოს მეგობარი – მარია მოვიდა, იკითხა: სად არის სარეცხი მანქანაო? დათომ უპასუხა: არ ვიცი. ბოლოს, თქვა: გამძარცვესო, – მაგრამ მარიას მისი არ სჯეროდა.

10 იანვარს, ქართველების მოსვლის შემდეგ, დათოს ოთახიდან ჯერ ხმამაღალი საუბარი შემომესმა, ცოტა ხანში, დარტყმის ხმაც გავიგონე, მერე კი, ორჯერ, რაღაც ყრუ ხმა გაისმა. ამისთვის დიდად ყურადღება არ მიმიქცევია. ზვიადი მაშინვე გამოვიდა ოთახიდან და მითხრა: სიგარეტის საყიდლად მივდივარო. დაახლოებით 25 წუთში, დათოც გამოჩნდა დერეფანში, ხელში სისხლით მოსვრილი პირსახოცი ეჭირა. ჩემს შეკითხვაზე: რა მოხდა-მეთქი? – მიპასუხა: ყველაფერი კარგად არისო, – და საბაზანოში შევიდა. იქიდან რომ გამოვიდა, ფანჯარაში გაიხედა. მერე მითხრა: მე მივდივარ, ჩემი წასვლის შემდეგ, მილიცია გამოიძახე, მძარცველებისგან ვიცავდი თავს, დოკუმენტები ოთახში დავტოვეო, – და წავიდა...

შემთხვევის შემდეგ, მარიასგან შევიტყვე, რომ დათო თურმე რაღაც ბანდაში ყოფილა და იარაღიც ჰქონია. მილიციამ ნახა კიდეც შავი ფუტლარი, რომელსაც ეწერა – „ვალტერი“. ადრე ეს ფუტლარი მეც ბევრჯერ მინახავს მის ხელში, მაგრამ არ ვიცოდი, იარაღის თუ იყო.

მკვლელობის შემდეგ, დათოს, მარიასთან ულაპარაკია. უთქვამს: გაძარცვას მიპირებდნენ, უნდოდათ, ტელევიზორი წაეღოთ, მაგრამ მე არ ვაძლევდიო. როგორც მარიამ გადმომცა, იმ ბიჭებიდან ერთ-ერთს დანა ამოუღია და დათოს დამუქრებია. დათოს უთქვამს მარიასთვის: ამიტომაც ამოვიღე პისტოლეტი, მეხვეწებოდნენ – არ მოგვკლაო, – მაგრამ ორივეს ვესროლეო. მუნტიანუსგან ისიც შევიტყვე, რომ გარკვეული დროის შემდეგ, დათოს მოსკოვში კვლავ ჩამოსვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, ამისთვის კი, პასპორტის აღებასა და პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას აპირებდა“.

ამის შემდეგ, 5 წელი გავიდა. რუსეთის შს ორგანოებს, როგორც ირკვევა, ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მიქაბერიძე საქართველოში იმყოფებოდა. არაერთხელ მიმართეს ჩვენს სამართალდამცავებს თხოვნით, გადაემოწმებინათ ეს ცნობა და მიეღოთ ზომები, ორ საშინელ მკვლელობაში ეჭვმიტანილის დასაკავებლად. ამ დროს, მიქაბერიძე სოფელ წითელხევში ცხოვრობდა და, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, დამალვას სულაც არ ცდილობდა. ამას პროკურატურაც ადასტურებს, თუმცა აღნიშნავს, რომ მიქაბერიძე წლების მანძილზე, მამისეულ სახლს აფარებდა თავს.

2001 წლის გაზაფხულზე, მიქაბერიძემ იმავე სოფელში მცხოვრები, ვინმე ბაჩუკი ჩივაძე გაიცნო. 3 მარტს, მათ „დედის დღე“ აღნიშნეს, შემდეგ, ძლიერ მთვრალები, მიქაბერიძის კუთვნილ „რენომოსკვიჩში“ ჩასხდნენ და ქუთაისისკენ გასწიეს. საჭესთან მიქაბერიძე იჯდა. როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, მანქანა მას 120 კმ/სთ სიჩქარით მიჰყავდა. საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობდა მიკროავტობუსი, რომელსაც ფხიზელი თეიმურაზ ლაკვეხელიანი მართავდა. მიქაბერიძემ მოძრაობის წესები დაარღვია, საჭე ვერ დაიმორჩილა და მიკროავტობუსს შეეჯახა. მის გვერდით მჯდომი, ბაჩუკი ჩივაძე ადგილზევე გარდაიცვალა. მიკროავტობუსში მყოფმა ერთერთმა მგზავრმა კი, მძიმე დაზიანებები მიიღო. შემთხვევის ადგილას თავმოყრილმა ხალხმა მიქაბერიძე ქუთაისის №1 საავადმყოფოში მიიყვანა, რადგან სამედიცინო დახმარება მასაც სჭირდებოდა. თავად მიქაბერიძეს საავადმყოფოში ყოფნა და პოლიციის გამოჩენა ნამდვილად არ

აძლევდა ხელს, ამიტომაც, იქიდან გაქცევა გადაწყვიტა. რამდენიმე წუთში, გაპარვაც მოახერხა და კვლავ მშობლიურ სოფელს მიაშურა.

ამ ამბიდან ათი თვის შემდეგ, მან მორიგი დანაშაული, ამჯერად – სოფელ წითელხევში ჩაიდინა. 2002 წლის 2 იანვარს, შინ მყოფმა შეიტყო, რომ მეზობლის – ლაშა ბრეგაძის სახლში წვეულება იყო: ოჯახის ერთ-ერთ წევრს – დავით ჟღენტს დაბადების დღე ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მიქაბერიძე იქ არავის დაუპატიჟებია, მაინც მივიდა და სხვა სტუმრებთან ერთად მიუჯდა სუფრას. ცოტა ხანში, უკვე ნასვამმა მიქაბერიძემ ერთ-ერთ სტუმარს – რევაზ კახიანს კამათი დაუწყო. იგი გვერდით ოთახში გაიხმო საქმის გასარჩევად. მასპინძლებმა ეს რომ შენიშნეს, უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, მიქაბერიძეს კამათის შეწყვეტისაკენ მოუწოდეს. ეს უკანასკნელი თავისას მაინც არ იშლიდა. მოწმეების თქმით, რეზო კახიანი საკმაოდ განათლებული კაცი გახლდათ; წლების მანძილზე, გერმანიაში სწავლობდა, იმხანად კი, ბანკში მუშაობდა; მშვიდი ბუნების, გაწონასწორებული ადამიანი იყო და არ შეიძლებოდა, შელაპარაკება მისი მიზეზით მომხდარიყო.

დავით ჟღენტის ჩვენებიდან:

„...რეზო მოტრიალდა და მითხრა: ბიჭო, ერთი ჰკითხე ამ კაცს, რას გადამეკიდა? – ნახევარი საათია, რაღაცას მიხსნის და რა უნდა, ვერ გამაგებინა; თუ კაცი, ხარ მომაშორე თავიდანო“.

ამ სიტყვების შემდეგ, ჟღენტმა მიქაბერიძეს სთხოვა, დაეტოვებინა მისი სახლი. საბრალდებო დასკვნის თანახმად, სწორედ ამ მოთხოვნამ გააღიზიანა მიქაბერიძე და ჟღენტის, ბრეგაძისა და კახიანის მოკვლა განიზრახა. წავიდა შინ, აიღო თავისი სანადირო თოფი და ისევ ბრეგაძის სახლისკენ გასწია. ეზოში შესულმა მიქაბერიძემ იარაღიდან უმისამართოდ დაიწყო სროლა. სუფრა აიშალა. გარეთ გამოსულებმა, ჟღენტმა, ბრეგაძემ და კიდევ ერთმა სტუმარმა – ლომთაძემ, დაინახეს თუ არა თოფით შეიარაღებული მიქაბერიძე, მისკენ წავიდნენ და მოსთხოვეს, სროლა შეეწყვიტა. მის განიარაღებასაც შეეცადნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მიქაბერიძემ კიდევ რამდენჯერმე გამოჰკრა ხელი სასხლეტს. საბედნიეროდ, იქ მყოფთ ტყვიები აცდა, მაგრამ სწორედ ამ მომენტში, მან ჭიშკართან მდგომი კახიანი დაინახა. ამჯერად, თოფი პირდაპირ მას დაუმიზნა და ესროლა. კახიანი გულმკერდში დაიჭრა და ადგილზევე გარდაიცვალა. მიქაბერიძემ მეტი ვეღარ გაისროლა, რადგან ჟღენტის დეიდაშვილმა – მერაბ ბოჭორიშვილმა მას თოფი ხელიდან გამოსტაცა და გადაუმტვრია. შიშველი ხელებით დარჩენილ მიქაბერიძეს ყველა ერთად დაესია, ცემა დაუწყეს, მაგრამ მათგან თავის დაღწევა მაინც შეძლო და გაიქცა.

სამი ადამიანის განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი მიქაბერიძე სამართალდამცავებმა 2001 წლის 23 თებერვალს დააკავეს. თუმცა, როგორც ირკვევა, პოლიციას ამისათვის სპეციალური ოპერაციის ჩატარება არ დასჭირვებია. მიქაბერიძე სამართალდამცავებს საკუთარმა მამამ ჩაბარა. ამბობენ, რომ ამის მიზეზი, ავადმყოფობა გახდა: პოლიციასთან შეტაკების დროს, მიქაბერიძე მძიმედ დაიჭრა ფეხში, მას გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებოდა და აუცილებელი გახდა საავადმყოფოში მისი მოთავსება.

განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატი – თენგიზ სუპატაშვილი აცხადებს, რომ გამოძიების მასალებში ბევრი დარღვევა და უზუსტობაა. მიქაბერიძის პოზიციის გამხელისგან ამ ეტაპზე, ადვოკატი თავს იკავებს, თუმცა, როგორც მისი საუბრიდან ირკვევა, განსასჯელი ჩადენილ დანაშაულებს არ უარყოფს. პრეტენზიებს პროკურატურის მიმართ ის ძირითადად, მუხლების კვალიფიკაციის გამო გამოთქვამს. „საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ ბრეგაძეების ეზოში მიქაბერიძემ ოთხჯერ გაისროლა, ჩვენებებში კი, მოწმეები მხოლოდ ორ გასროლაზე საუბრობენ“, – აღნიშნა ადვოკატმა. თუმცა, სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ლაშა ბრეგაძემ დაადასტურა, რომ მიქაბერიძემ ოთხჯერ გაისროლა.

ერთ-ერთი დაზარალებულის – მოკლულის დედის თქმით, მიქაბერიძე საშიში ბოროტმოქმედია, მის მიერ ჩადენილ არაერთ სისასტიკეს კი, სამართალდამცავებმაც შეუწყვეს ხელი. როგორც დაზარალებული – მიმოზა ჟორჟოლიანი აცხადებს, პოლიცია და პროკურატურა რამდენიმე მძიმე დანაშაულისთვის ძებნილი მიქაბერიძის დაკავებას თავს არიდებდა, რადგან ეს უკანასკნელი „შავ სამყაროს“ მიეკუთვნებოდა და გარკვეული ავტორიტეტითაც სარგებლობდა. ჟორჟოლიანმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან სატელეფონო საუბრისას ისიც კი აღნიშნა, რომ პროცესზე არ გამოცხადდება, ვინაიდან შინიდან გასვლის ეშინია: მას უცნობი პირები მოკვლით ემუქრებიან და ეჭვი განსასჯელსა და მის ახლობლებზე აქვს. თუ რამდენად საფუძვლიანია დაზარალებულის ეჭვები, ალბათ საქმის სასამართლო განხილვისას გამოჩნდება. ■

გაუპატიურების მცდელობაში მხილებული, პატიმრობიდან გაათავისუფლეს

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ ორი მსჯავრდებულის – გაგა გვანცელაძისა და ლაშა სვანიძის ადვოკატების საჩივრები განიხილა. ქუთაისის საქალაქო და თბილისის საოლქო სასამართლოებმა გვანცელაძე და სვანიძე, სამი წლის წინ მომხდარ, გოგონას გაუპატიურების მცდელობაში ცნეს დამნაშავეებად. საქმის მასალების მიხედვით, ბოროტმოქმედებს დანაშაულის ჩადენის მცდელობისას, პოლიციის თანამშრომლები წაადგნენ თავზე და ხელი შეუშალეს განზრახვის შესრულებაში. ორივე, შემთხვევის ადგილზევე დააკავეს.

გვანცელაძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სვანიძეს კი – 9-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ. აღნიშნულ განაჩენში უზენაესმა სასამართლომ ცვლილება შეიტანა. გამოძიების მასალებიდან გამომდინარე, პალატამ გვანცელაძეს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით შეუმცირა სასჯელი, სვანიძეს კი – მხოლოდ 1 წლითა და 4 თვით პატიმრობა განუსაზღვრა. სვანიძეს სასჯელი, დაკავების დღიდან ათვლილი ვადის გათვალისწინებით, მოხდილად ჩაეთვალა და იგი პატიმრობიდან გათავისუფლდა. ■

ტრიუმფი
TRIUMPH
ალკოჰოლური სასმელების
კომპანია „ტრიუმფი“-ს
უპირველესი მიზანი, მისი
დაარსების დღიდან, ყოველთვის
იყო, არის და იქნება მომხმარე-
ბლისთვის მაღალხარისხიანი
პროდუქციის მიწოდება.
Liqueur
Princess
TRIUMPH
„ტრიუმფი ტრიუმფის გარეშე წარმოუდგენელია“

„დედა, ეს შენ

ალარ დავბრუნდები...“

შეუძლებელია, ჟურნალის ორ გვერდზე ყველა ის გზავნილი დავტიოთ, რომელიც ჩვენამდე მოდის, მაგრამ ვეცდებით, უმეტესად, იმ ბარათებს დავუთმოთ ადგილი, რომლის ავტორებსაც ჩვენი დახმარება სჭირდებათ. ვინც ამ რუბრიკას ადევნებს თვალყურს, უთუოდ გაიხსენებთ, თუ რომელ წერილს ეხმაურება ესა თუ ის რესპონდენტი.

მარი ხაფარიძე

„მარი, გმადლობთ, რომ ჩემი გზავნილი გამოაქვეყნეთ. მე ქეთინო ვარ, ექიმი. ჩემი ჩადენილი დანაშაული რომ ვაღიარე, შემდეგ კი თქვენს ჟურნალში წავიკითხე, თითქოს გულზე მომეშვა. ამით არაფერი შეცვლილა, ცხოვრება ისევ ისე გრძელდება, მაგრამ მე გავთავისუფლდი და თითქოს სხვა ადამიანად ვიქეცი...“

მკითხველს შევახსენებ, რომ ამ ქალბატონმა ყოფილი შეყვარებულის (რომლისგანაც შვილი ჰყავს) ცოლს ქირურგიული ოპერაციის დროს საკვერცხის მილები გადაუკეტა, რომ ახალშეუღლებული წყვილისთვის შვილის ყოლის შანსი მოესპო.

ვფიქრობთ, „გზამ“ დიდი როლი ითამაშა გოგას ცხოვრებაში, რომელიც გოგონას მამის მიერ დამალულ, თავის ფეხმძიმე შეყვარებულს დაეძებდა. სიტყვასიტყვით გადმოგცემთ მის გზავნილებს, რომელიც რამდენიმე დღის წინ მივიღე: „დიდად მადლობელი ვარ თქვენი, რომ ჩემი გზავნილი გამოაქვეყნეთ. მიხარია, რომ თქვენისთანა ადამიანები არსებობენ. სოფოს თქვენი წერილი წაუკითხავს, დამიკავშირდა და ჩვენი ურთიერთობა აღდგა. გადავწყვიტეთ, იტალიაში გავპარულიყავით. იქ ნათესავი მყავს. თქვენ რომ მირჩიეთ — მამას გაუმხილე ყოველივე, იქნებ დაგეხმაროსო, — ასეც მოვიქეცი. მამაჩემმა ინახულა სოფო და მამამისი და დაიყოლია ჩვენს ქორწინებაზე. პირობა მომეცით, რომ ივლისის ბოლოს, ქორწილში მეწვევით. ჩვენი ოჯახი ძალიან დიდ სიურპრიზს გიმზადებთ. ამის შესახებ მთელი ქვეყანა ილაპარაკებს. თქვენ ხომ ჩვენი სიყვარული გადაარჩინეთ და სოფო და ჩემი ჯერ დაუბადებელი შვილი დამიბრუნეთ. თუ გოგო შეგვეძინება, გპირდებით, მარის დავარქმევთ. დიდი მადლობა. ძალიან მიყვარხართ. გოგა. ფოთი“.

წინა ნომერში ნინოს გზავნილიც გამოვაქვეყნეთ, რომელიც გიოს პატიებას სთხოვდა ჩადენილი შეცდომის გამო. რამდენიმე დღის შემდეგ, გიო დამიკავშირდა და ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— მარი ხართ!

— **დიახ!**

— „გზაში“ ჩემი შეყვარებულის წერილი დაიბეჭდა და ამის თაობაზე გირეკავთ. ნინო ძალიან მიყვარდა. ახლაც მიყვარს, მაგრამ მიჭირს პატიება, ხომ იცით, როდესაც ადამიანი გიყვარს, უფრო ძნელად ივიწყებ მისგან მოყენებულ გულისტკივილს. სამწუხაროდ, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა. ამ სიყვარულისთვის მე ბევრი რამ გადავიტანე. ძალიან შევტოპე გრძნობებში, ამიტომაც უზომოდ მეტკინა გული.

— **თქვენ ძალზე სამწუხარო ამბავი მაცნობეთ. თუ ასე ძლიერ გიყვართ, იქნებ, ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება არცთუ ისე სწორია? მან ხომ სახალხოდ მოიხადა ბოდიში, ეი. თავისი შეცდომა აღიარა. და დაისაჯა კიდეც იმით, რომ თქვენთან განშორებას ასე განიცდის.**

— მართალი ხართ. რა ვიცი... რა გითხრათ... აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. დავფიქრდები და კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონი...

ნინო, იმედს ვიტოვებთ, რომ გიო ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც თქვენს გულს გაახარებს. ველით შეტყობინებას თქვენი სასიყვარულო ამბის შემდგომი განვითარების შესახებ...

ეს რაც შეეხებოდა ძველ გზავნილებსა და მასზე მოსულ გამოხმაურებებს. ახლა კი, ახალ „მესიჯებს“ გადავხედოთ.

„არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა, მაგრამ მინდა, ჩემი ამბავი გიამბოთ. ერთ ბიჭს შევუყვარდი. ის ჩემზე 9 წლით უფროსია. მეც მიყვარს, მაგრამ ამის შესახებ მას ვერ ვუთხარი, რადგან დედაჩემი ჩვენი ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგია. დედამ რომ გაიგო, მე ბესო მიყვარდა, ავად გახდა, წნევა აეწია, ღამეები აღარ ეძინა. სულ ცუდ ხასიათზე იყო. მე შემეშინდა, დედას რაიმე არ დამართვოდა და ამიტომ, ბესოს ვუთხარი — არ მიყვარხარ-მეთქი. ჩემი გრძნობა დავთმე... ამის შემდეგ, 5 თვე გავიდა. ბესომ ერთი-ორჯერ თუ დამირეკა. ამ ხნის მანძილზე არ გასულა ერთი წუთიც კი, მასზე რომ არ მეფიქრა. მისი დაკარგვის მეშინია. როგორ მოვიქცე? ახლა დედაჩემი ბედნიერია, თავს კარგად გრძნობს. მე კი ძალიან უბედური ვარ. საშინლად ვიტანჯები. ბევრ თაყვანისმცემელს ვუთხარი უარი, რადგან ბესო მიყვარს. შესაძლოა, გამამტყუნოთ, მაგრამ ძალიან ძნელია, მთელი დღე სულ მცირე წვრილმანის გამო გეჩხუბებოდნენ ოჯახში, ნამდვილ მიზეზზე კი ხმას არ იღებდნენ. ბესოს შევხვდი და ცოლობა მთხოვა, მაგრამ კვლავ უარი ვუთხარი, მერჩივნა, მოვმკვდარიყავი და მას არ დავშორებოდი, მაგრამ მგონი, ახლა მასაც აღარ ვუყვარვარ.

— **რატომ არ დაჯექით დედასთან პირისპირ და გული არ გადაუშალეთ? გაგემხილათ მისთვის, რომ ასე გიყვართ...**

— ახლა ნამდვილად დავიბენი, თქვენი „მესიჯი“ რომ მივიღე. არ მეგონა, თუ მიპასუხებდით. თქვენ ხომ ალბათ უამრავი ხალხი გეკონტაქტებათ? ვცადე, დედას დავლაპარაკებოდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მოსმენაც კი არ უნდა. მე ოცი წლის ვარ. დედა ბესოს, ასაკის გამო იწუნებდა, ამბობდა — მას კი არ უყვარხარ, უბრალოდ, ცოლის მოყვანა უნდა და შენ კარგი კანდიდატურა ხარო (საკმაოდ ძლიერი ოჯახი გვაქვს)... თანაც, დედაჩემი ჩემთვის, თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცს ეძებს. ჯერ იყო და... გვიან გათხოვდა, მერე, რვა წელი შვილი არ ჰყავდა, მერე შევეძინე მე. უმცროსი ძმაც მყავს, რომელიც მამაჩემთან ერთად

საზღვარგარეთ იმყოფება და იქ სწავლობს...

— მე მაინც ვფიქრობ, რომ სიყვარულისთვის უნდა იბრძოლოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არც დედას უნდა თქვენთვის ცუდი...

— მართალი ხართ, მაგრამ მე ბესო მიყვარს. კარგია თუ ცუდია, მაინც ის მიყვარს, ამ რამდენიმე დღის წინ, ოპერაცია გავიკეთე და ისე მინდოდა, რომ მენახა... თანაც მგონია, რომ უკვე გვიანია და მას აღარ ვუყვარვარ. დედას არ ვამტყუნებ. დარწმუნებული ვარ, ჩემთვის მხოლოდ სიკეთე უნდა, მაგრამ მეც რა ვქნა? სექტემბერში მეც მამასთან მაგზავნის. უნდა, რომ აქაურობას გამარიდოს. გადავწყვიტე, წავიდე და დავრწმუნდე, ნამდვილად მიყვარს თუ არა ბესო. თუ მასაც ვუყვარვარ, ალბათ მომძებნის. მინდა, წასვლამდე ვნახო. იქნებ წაიკითხოს და თავისი თავი ამოიცნოს. დამიკავშირდეს. იმედია, შეიტყობს, რომ ოპერაცია გავიკეთე და თუ არ მნახავს, დარეკავს მაინც. უღრმესი მადლობა, რომ ყურადღებით მომისმინეთ. მართალია, არ გიცნობთ, მაგრამ დამიჯერეთ, ძალიან მიყვარხართ...“

ეს გზავნილი კი, ორი დღის წინ მივიღე და მინდა გითხრათ, რომ მოსვენება დამეკარგა: 16 წლის გოგონა უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩნდა და იქნებ, დედამ წაიკითხოს მისი გზავნილი და უშველოს:

„მარი, წინასწარ ბოდიშს ვიხდი, რადგან ისეთ თემაზე უნდა გესაუბროთ, რომ თავად მეუხერხულება. 16 წლის ვარ. მქვია დიანა. შველა მჭირდება. დედას პირდაპირ ვერ ვეუბნები. შესაძლოა, ნერვები ვერ მოთოკოს და მომკლას. ახლა მისგან შორს ვარ, სოფელში, ბებიასთან. თუ ჩემს ამბავს გაიგებს, ვიდრე აქამდე ჩამოვა, ალბათ კარგად დაფიქრდება. ყველაფერს აწონ-დაწონის და მიხვდება, რომ დამნაშავე კი არა, მსხვერპლი ვარ. ახლა კი ამბავი, რომელიც მაწუხებს: შარშან ზაფხულს, როდესაც მე-10 კლასში გადავდიოდი, დედა ორი კვირით თურქეთში გაემგზავრა (ის ვაჭრობს და საქონელი თურქეთიდან ჩამოაქვს). შინ მე და მამინაცვალი დავრჩით. საღამოს ტელევიზორს ვუყურებდით. მითხრა: გინდა, კარგი ფილმი გაჩვენოო? კასეტა გამოიტანა თავისი ოთახიდან და ვიდეომაგნიტოფონი ჩართო. მხატვრული ფილმი იყო, მაგრამ საკმაოდ დატვირთული ეროტიკული მომენტებით. ფილმს თვალის დაუხამხამებლად ვუყურე. ხმა არ ამომიღია. თითქოს რაღაც ძალა მაიძულებდა, ბოლომდე მენახა. ვატყობდი, რომ ჩემი მამინაცვალი მე უფრო ხშირად მიცქერდა, ვიდრე ეკრანს. ფილმი რომ დამთავრდა, ადგა და ტელევიზორი გამორთო. ამასობაში პირველი საათიც გამხდარიყო და დასაძინებლად გავემართე. კარგა ხანს ვერ მოვახერხე დაძინება. რიჟრაჟის დროს ვიფიქრე, რომ ის კაი ხნის ჩაძინებული იქნებოდა, ტელევიზორი კვლავ ჩავრთე, ხმას ბოლომდე ჩავუწიე და იმავე ფილმის ყურებას შევუდექი. მხოლოდ კადრებს ვუყურებდი და ვგრძნობდი, რომ ვივსებოდი სურვილით, რომ მეც იგივე განმეცადა, რასაც ფილმის გმირები გრძნობდნენ. ჩემი მამინაცვალი ისე უჩუმრად წამომადგა თავზე, რომ ვერც გავიგე. ხელები მხრებზე დამადო. შევხტი. შემდეგ ორივე ხელი თმაში შემიცურა. სასიამოვნოდ გამაჟრჟოლა და ამის შემდეგ მისი ალერსისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია. იმ ღამით ჩემი უმანკოება ჩემსავე ლოგინზე დავტოვე. ისე დაგვათენდა ალერსში გართულებს, რომ არც გაგვიგია. მეორე დღეს, არც მინანია, რომ ასე მოხდა. ერთადერთი, რასაც მივხვდი. ის იყო, რომ თურმე ჩემი მამინაცვალი მანამდეც მომწონდა. დედაჩემი 37 წლის ქალია, ის კი — 32-ის. ახალგაზრდა, კარგი გარეგნობის მამაკაცია. შემდეგი დღეები, ვიდრე დედაჩემი დაბრუნდებოდა, ერთად გვეძინა. დედა რომ ჩამოვიდა. ის ღამე თეთრად გავათენე, მათი ოთახის კედელზე ყურმიდებულმა. უსაშველოდ ვეჭვიანობდი. აგრესიული გავხდი. გარდატეხის ასაკს დააბრალეს და დედა სულ ცდილობდა, ჩემი ყველა კაპრიზი აესრულებინა. ასე გავიდა 7 თვე. თუ შინ მარტო ვრჩებოდით (ასე კი საკმაოდ ხშირად ხდებოდა), მაშინვე წყალს მოწყურებულივით ვეწაფებოდით ერთმანეთს. ვიცი, გულში მლანძღავთ, მთათხავთ და მწყევლით, მაგრამ სიმართლე ასეთია და მე ხომ ვერ მოგატყუებთ? შემიძლია გითხრათ, რომ გამაუპატიურა, ძალა იხმარა-მეთქი და დამნაშავეც არ გამოვალ, მაგრამ, ეს ტყუილი იქნება. 7 თვის შემდეგ, ჩემმა დაქალმა გამიმხილა, რომ ფეხმძიმედაა და თან ისიც მითხრა, რომ თურმე, ბავშვის მამა ჩემი მამინაცვალი ყოფილა. კინაღამ გადავირიე. აღმოჩნდა, რომ ისიც შეუცდენია. ჩემთან სტუმრად რომ მოდიოდა, თვალი მაშინ დაუდგამს მისთვის. ამ გოგოს ფულიც მან მისცა და ბავშვი მოაშორებინა. ამის შემდგომ, ჩვენ შორის ყველაფერი დავასრულე. მართალია, დიდი წინააღმდეგობის დაძლევა მომიხდა და ძლივს დავაღწიე მის კლანჭებს თავი, მაგრამ ახლა თავისუფალი ვარ. დედაჩემს კი მინდა ვუთხრა, რომ აი, ასეთი ქმარი ჰყავს... და შვილიც... დედა, მე შინ აღარ დავბრუნდები, თუ ის ისევ მანდ დამხვდება... ვიცი, ამ ჟურნალს სულ კითხულობ და შენს თავს ადვილად ამოიცნობ. ჩვენი პიანინოს თავზე 6 უზარმაზარი სპილოს ქანდაკება და შენი ნაჩუქარი მაიმუნი გვაქვს...“

დაგვეთანხმებით — ის შემთხვევაა, როცა კომენტარს ხანგრძლივი და რთული ცხოვრებით დაბრძენებული ბევრი ადამიანიც ვერ გაბედავს... ახლა კი ჩვენს პატარ-პატარა გზავნილებსაც გაგაცნობთ:

„ძვირფასო „გზავ“, მინდა, თქვენი საშუალებით მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რომ უზომოდ მიყვარს დათო ალანია და სულ მისთვის ვლოცულობ. Ich Liebe dich, Dato! შენი ნანა“.

„რეზო გიგაურს! რეზო, რატომ აღარ მეხმიანები? ალბათ ფიქრობ, რომ გაბრაზებული ვარ შენზე მას შემდეგ, რაც დედაშენმა დამირეკა და გვარიანად გამომლანძღა... ჩვენს გრძნობას ჩრდილს ვერავინ მიაყენებს. თუ, რა თქმა უნდა, შენ არ ისურვებ ამას. რეზო, იქნებ, დედის შეგონებამ აზრი შეგიცვალა?! იქნებ აღარ გიყვარვარ?!. მე კი ძველებურად ვლოცულობ შენზე. ძველებურად მენატრები და სიზმარში გხედავ. ძნელია, როცა გაუგებარ სიტუაციაში ხარ. ჯობს, ვიცოდე, რომ ყველაფერი დასრულდა. გემუდარები, იქნებ სულ ცოტა ხანი ვისაუბროთ. არაფერს დაგაძალებ. დაგემშვიდობები და როგორც პირველი შეხვედრისას, ჯერ ჩემს თითის წვერს ვაკოცებ, შემდეგ ამ თითს ლოყაზე მოგადებ და გაგშორდები. შენი უსაზღვროდ მოწყენილი ბაია“.

„ძვირფასო მარი, ბრწყინვალე „ხანუმავ“ და სხვისი დარდის გამზიარებელო. კარგი გოგო ხარ, ბოლომდე ასე „შეუბერე“, შალვა“.

„ძალიან მომწონს თქვენი რუბრიკა. მინდა, თქვენი საშუალებით მოვეფერო ჩემს დედამთილს — ქეთინოს, რომელიც ჩემი მეგობარი და თანამოაზრეა. ქეთო! გისურვებ შენი მიზნების განხორციელებას. შენი ნათია. დიდი მადლობა „გზას“, რომ ამის საშუალება მომცა“.

„მიყვარხართ, მომწონხართ, ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად გელით. მარიკა“.

„გამარჯობათ, მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. მინდა, ვუთხრა ალიკას: მოდი, ორივემ ვაღიაროთ ჩვენი გრძნობები. ვიცი, შენც გიყვარვარ. თუ ერთად არ ვიქნებით, მინდა, გისურვო ბედნიერება მასთან, ვინც შენი გახდება. საქმეშიც წარმატებას გისურვებ, ინსპექტორო. უცნობი ნაცნობი“.

„მარი, ძალიან მიყვარს „გზა“. რა თქმა უნდა, თქვენც მიყვარხართ. მინდა მივმართო ჩემს ახლობლებს — „ბოთე“, ამ რუბრიკით მაინც შერიგდით. თქვენი გულშემატკივარი „ენზო“.

P.S. მოგვწერეთ, გამოგზავნეთ „მესიჯი“ ტელეფონით: 8(77) 45.68.61 მერწმუნეთ, „გზას“ ბედნიერი ფეხი აქვს იმ ადამიანებისთვის, ვინც მას ენდობა და გულის ნადებს უზიარებს.

რძალ-დედამთილი
ურთიერთობის საშიში ზღვარი

ნანა ქიბიმაური

როცა ჩვენს რესპონდენტებს ვუსმენდით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პრობლემას, თუკი ის რძალ-დედამთილის ურთიერთობაში იქმნება, არა აქვს საზღვარი. რძალი და დედამთილი მაშინაც პოულობენ დავის საგანს, როცა ისინი სხვადასხვა სახლში, ქალაქში ან ქვეყანაში ცხოვრობენ. ბრძოლა წესების გარეშე დაუნდობელია. ამ ბრძოლაში თანაბარი წარმატებით გამოიყენება: შავი და თეთრი მაგია, ჯადოქრობა, მკითხავი, მუშტი, იატაკის საწმენდი ჯოხი და ისეთი საოჯახო ნივთებიც, რომელიც საბრძოლო იარაღად ძნელი წარმოსადგენია. გამშველებელი ხშირად, მამაკაცია და როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ოჯახში შექმნილი მდგომარეობით ფსიქოლოგიურად ყველაზე მეტად ის ითრგუნება. და არა მხოლოდ ფსიქოლოგიურად. როგორც ყველანაირ ჩხუბში ხდება ხოლმე, გამშველებელსაც ხშირად ხვდება „გზააბნეული“ სილა. დაწყნარდებიან ოჯახის წევრები და ახლა, კარს მიყურადებული მეზობლები იწყებენ სიცილს, ქილიკს და მტყუან-მართლის გარჩევას. მაგრამ ზოგჯერ, საქმე სასაცილოდ სულაც არ არის. მიღებული სტრესისგან თავგზააბნეული ადამიანები თვითმკვლელობაზე იწყებენ ფიქრს...

ქმრისა და დედამთილისგან უარყოფილი ირინა მეცხრე სართულიდან გადმოხტა

ალბათ ბევრს ახსოვს ბაგებში დატრიალებული ტრაგედია: ქმრისა და დედამთილისგან უარყოფილი ირინა მეცხრე სართულიდან გადმოხტა. მომხდარით დაზაფრული სტუდენტები თვალზე მომდგარ ცრემლს ვერ იკავებდნენ და ობლად დარჩენილ პატარა ლაზარეს გულში იკრავდნენ. ირინას ერთ-ერთი მეგობრის ნაამბობის მიხედვით, ამ ტრაგედიის საფუძველი გახდა ის, რომ ირინა მისი მეუღლის ოჯახმა, როგორც რძალი, არ ცნო და არ მიიღო. ბოლოს კი, იგი ქმარმაც უარყო.

მეგობრის ნაამბობი:

„ირინა და გელა სტუდქალაქში დასახლდნენ, რადგან გელას დედა სასტიკი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ რძალი ოჯახში მიეღო. გელას მშობლები ბათუმში ცხოვრობდნენ და მატერიალურად საკმაოდ ძლიერი ოჯახი ჰქონდათ. გელა დედისერთა იყო. ირინას სამი დაძმა ჰყავდა, მათ მატერიალურად უჭირდათ. ცოლ-ქმარს საოცრად უყვარდა ერთმანეთი. საქმეც საერთო ჰქონდათ — ორივე მხატვარი იყო და თან, ორივე — საოცრად ნიჭიერი ადამიანი. ირინა ხშირად აწყობდა გამოფენებს და დარბაზი ყოველთვის სავსე იყო მისი ნიჭის თაყვანისმცემლებით. მერე დაიბადა ლაზარე. გელას დედა კი, კვლავ ამბობდა, რომ თავისი დედისერთისათვის სასურველ სარძლოს ეძებდა. გადიოდა წლები და ის მაინც ეძებდა... ბოლოს, იპოვა კიდეც — ბათუმში საკმაოდ გავლენიანი ოჯახის შვილი. ავადმყოფობის მომიზეზებით შვილი აჭარაში ჩაიყვანა და... ორ თვეში, იმ გოგოზე დააქორწინა. ყველანი შოკში ვიყავით ჩავარდნილები. ირინა ელოდებოდა, როდის ჩამოვიდოდა გელა და აუხსნიდა, თუ რა მოხდა, მაგრამ ამაოდ ელოდა. ბათუმიდან მის ყურამდე მხოლოდ დედამთილის მწარე გამონათქვამები აღწევდა. ირინა საშინელ დეპრესიაში იყო ჩავარდნილი, მეგობრებიც ვერაფერს ვშველოდით. საკუთარ თავში ჩაიკეტა და საძილე საშუალებებს მიეძალა. სულ დაბნეული და დარდიანი იყო. გულის ნადებს მხოლოდ 1-2 ადამიანს ანდობდა. ბოლოს თქვა: ალბათ მათაც თავი მოვაბეზრეო... მერე ეს შემზარავი ამბავი შევიტყვეთ. გელას დაქორწინებიდან 8 თვის მერე მოიკლა თავი. ლაზარეს, ცოტა ხანი, დეიდა ზრდიდა. ის ერთ-ერთ მუზეუმში მუშაობდა. ძალიან მცირე ხელფასი ჰქონდა. უჭირდა ბავშვის რჩენა. თვითონ მშიერი იყო, რომ ბავშვისთვის არაფერი მოეკლო. როცა მატერიალურად ძალიან გაუჭირდა და მართლა არ იცოდა, რა მოემოქმედებინა, სწორედ მაშინ მიიღო წინადადება გელას მშობლებისაგან — ბავშვს წავიყვანთ და ჩვენ გავზრდითო. ბევრი იტირა დისშვილთან დამშვიდობებისას, მაგრამ რა ექნა? — ლაზარეს ფიზიკური გადარჩენა მის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული და გადაწყვიტა კიდეც. ლაზარეს დღემდე, ბებია ზრდის. საწყალ ირინას კი, ახლახან დაუდგეს საფლავის ქვა. ლაზარე რომ გაიზრდება, მერე მან უნდა გადაწყვიტოს, აპატიოს თუ არა ბებიას ის, რომ მან, თავისი სიტყვებითა და ქცევით, გულგრილობითა და ამპარტავნობით, მისი ლამაზი დედიკოს სიცოცხლე შეიწირა“.

„ჩემს დედამთილს ეშმაკი ჰყავს შეჩენილი...“

მამა აკაკის მრევლის წევრის, **მაია ბ-ს ნაამბობი:**

„მე დედამთილის არჩეული რძალი ვარ. ჯერ სკოლა არ მქონდა დამთავრებული, როცა ანიკო (დედამთილი) შეუჩნდა მამაჩემს: თქვენი გოგო უნდა წავიყვანო ქალაქში, საკუთარი შვილისგან არ გამოვარჩევ, უმაღლესშიც ვასწავლი და დედოფალივით ვაცხოვრებო. მამას ჭკუაში დაუჯდა „ქალაქელების დამძახლება“. სიმართლე გითხრათ, არც მე ვიყავი წინააღმდეგი. გული მხოლოდ იმაზე მწყდებოდა, რომ მომავალ მეუღლეს ვერ

ვატყობდი ამ წინადადებით აღფრთოვანებას. დიდი ქორწილი გადავიხადეთ. ნეფეს ვატყობდი, ღვინოს ზედმეტად ეტანებოდა, მაგრამ შენიშვნის მიცემას როგორ გავუბედავდი?!. მეორე და მესამე დღესაც არ გამოფხიზლებულა... ბევრი რომ არ გავაგრძელო, პირდაპირ გეტყვით: პირველ ღამესვე ლოგინში ჩაისველა. ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდი. ზიზღისგან გარეთ გასვლა მინდოდა, მაგრამ სირცხვილისგან ვერ გავდიოდი. ნამდვილად ვერ გეტყვით, მე რატომ მრცხვენოდა ქმრის მაგივრად. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან პატარა და გაუბედავი ვიყავი. დილით, კარზე დააკაკუნეს. დედამთილი შემოვიდა და მიხვდა, რაშიც იყო საქმე. დათო ისევ ხვრინავდა (როგორც მერე გამოტყდა – თავს იმძინარებდა). მეგონა, ანიკოც სირცხვილისგან გადაირეოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად; მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ეს რომელს დაგემართათ, მაგრამ ასე ხდება ხოლმე, მთავარია, ცოლ-ქმარმა ერთმანეთის ამბავი გარეთ არ გაიტანოთო. ტირილი ამივარდა: მე არ მიქნია-მეთქი. პირველად მაშინ მიყვირა: უკვე გათხოვილი ქალი გქვია და ბავშვივით ნუ ზლუქუნებო! მომკიდა ხელი, თავის ოთახში გამიყვანა და ჭკუის დარიგება დამიწყო. ვერც ერთმა ვერ გავიგეთ, როდის გაიქცა დათო სახლიდან. ორი კვირა გამწარებულები ეძებდნენ. „შვილი სახლიდან გამიქციე, ეს რა ფეხზე შემოგიყვანე სახლშიო?!“ – ხმამაღლა მოთქვამდა. უფრო დიდ გაურკვევლობაში აღმოვჩნდი. არ ვიცოდი, დავრჩენილიყავი ამ საშინელ ოჯახში თუ მეც გავქცეულიყავი. ძალიან მებრალებოდა ჩემი თავიც და ჩემი უბედური ქმარიც. მაშინ მეგონა – რაც დაემართა, ალკოჰოლის ჭარბად მიღების ბრალი იყო. როცა დაბრუნდა, გავარკვიე, რომ მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონია. გადავწყვიტე, დავხმარებოდი, მხარში ამოვდგომოდი და გამომეჯანმრთელებინა. ჩვენ შორის გაჩნდა რაღაც დიდი საიდუმლო, გულითადი დამოკიდებულება და თანაგრძნობა. ხელჩაკიდებულებმა შემოვიარეთ ცნობილი ექიმბაშები. ბოლოს, ერთ-ერთი მათგანის მიერ დამზადებულ წამალზე შევჩერდით. ბალახებისგან ამზადებდა. ორ კვირაში ერთხელ მივდიოდით მასთან. როცა წამალს სვამდა, დათოს ღამე ფხიზლად ეძინა, სამაგიეროდ, დღისით იყო მოშვებული, სულ ეძინებოდა. გვერდიდან არ ვცილდებოდი. ვგრძნობდი, მის ცხოვრებაში როგორ ვიკავებდი იმ ადგილს, რომელიც მანამდე, დედამისს ეკავა. მოსწონდა ჩემი გაკეთებული სადილი, ჩემ მიერ შერჩეული ტანსაცმელი, ჩემ მიერ გადაადგილებული ავეჯი. ამას ჩემი დედამთილიც გრძნობდა და შემიძულა. განსაკუთრებით აგრესიული გახდა მას შემდეგ, რაც შვილი გვეყოლა. გახშირდა ჩვენ შორის კონფლიქტიც. ხშირად მომაძახებდა ხოლმე: შენ ჩემი შვილი ჯადოქრებთან დაგყავდა, რაღაც წამლებს ასმევდი, თავი შეაყვარე, გამოთაყვანე, შვილიც სხვა კაცისგან გააჩინე და ყველაფერს იმიტომ აკეთებ, რომ მდაბიო ხარ და გინდა, ჩვენი ქონება ხელში ჩაიგდოო. სამი წლის განმავლობაში ვითმენდი მის მიერ უმიზეზოდ მოწყობილ სკანდალებს. ვითმენდი იმიტომ, რომ ქმარი კარგად მექცეოდა, მაგრამ ახლა, ყველაფერი სხვაგვარადაა. დათო ხშირად, ნასვამი ბრუნდება შინ. ხშირადაა დედასთან განმარტოებული – არ ვიცი, რაზე საუბრობენ, მაგრამ როდესაც მე შევდივარ მათ ოთახში, ჩუმდებიან. ოჯახში ჩემ მიერ მომზადებულ სადილს პირს არავინ აკარებს. ბავშვს სულ მამასა და ბებისთან უნდა ყოფნა. მხოლოდ მათთანაა მშვიდად. ბებია ეფერება, მაგრამ დათო ხან ხელს ჰკრავს და თავიდან იშორებს, ხან კი, არანორმალურივით აიტაცებს ხელში და გულში იხუტებს. მე საშინელი თავის ტკივილები დამეწყო. ისევ შემიპყრო ოჯახიდან გაქცევის სურვილმა. მხოლოდ ამაზე ვფიქრობ, რადგან კარგად ვხედავ – აქ არავის ვჭირდები. თითქოს ვერც მამჩნევენ, ისე შემოუსხდებიან ხოლმე სადილად სუფრას, რომ არავინ მომიკითხავს. როცა სუფრას დედამთილი აწყობს, მხოლოდ ორ თეფშს დებს: თავისთვის და დათოსთვის. ჩაისვამს ბავშვს კალთაში და ხელით აჭმევს. ჩემთან ბავშვი აღარ ჭამს, ტირის და ჭირვეულობს. მასთან კი, „მგლის მადა“ აქვს. ვერ ვხვდები, რა ხდება ჩემს თავს. ერთმა მეზობელმა მითხრა: შენი დედამთილი მოლასთან დადის და სანამ დიდი უბედურება დაგატყდება თავს, ეკლესიაში მიდიო. მამა აკაკისთან მივედი და „კვეთებულის ლოცვებს“ ვესწრები. რამდენიმე დღის წინ, შინ ნაკურთხი წყალი მივიტანე. დედამთილის საძინებელსაც ვაპკურე. ამ დროს შემოვიდა და ისტერიკული კივილი ატეხა: ხომ დაგიჭირე ფაქტზე, რომ ყველას ჯადოს გვიკეთებო?! – ბოთლი ხელიდან გამომტაცა და თავზე გადამამტვრია. ახლა, უკვე დარწმუნებული ვარ, ჩემს დედამთილს ეშმაკი ჰყავს შეჩენილი, მაგრამ რა ვქნა? როგორ ვიხსნა მისი კლანჭებისგან ქმარ-შვილი?!.“

„არ შეშინდე, ჩემო გოგო, მე შენ გვერდით ვარ!“

რძალ-დედამთილის თემაზე მუშაობისას, იმდენი ოჯახური დრამა მოვისმინე, რომ გულიც კი გამიტყდა – ვიფიქრე: ალბათ არც არსებობს ერთმანეთის მოყვარული რძალ-დედამთილი-მეთქი. ქალბატონი **ლამარა გეროფვილის** *ნამბობმა დამარწმუნა, რომ ვცდებოდი. ქალბატონი ლამარა ერთ-ერთ სამშობიარო სახლში მუშაობს ბებიაქალად.*

„მადლობელი ვარ ღმერთის, რომ ასეთი რძალი მყავს. იმდენი დარდი გადამატანინა მისმა ტკბილმა ენამ და თბილმა ხასიათმა, რომ მის გარეშე ნამდვილად ვერ გავძლებდი. ჩვენ თვალწინ, ჩვენს ეზოში გაიზარდა. მასა და ჩემს შვილს ბავშვობიდანვე უყვარდათ ერთმანეთი. ერთ ველოსიპედზე გაიზარდნენ. არც ერთ მათგანს სხვა არავინ ჰყვარებია. თუმცა, მათი ოჯახური თანაცხოვრება რომ შემდგარიყო, ამაში მეც მიმიძღვის წვლილი. ლიკა

ტესტი ერუდიციაზე

1. რამდენი წლის იყო სოფი ლორენი, როდესაც მან პირველად მიიღო სილამაზის კონკურსში მონაწილეობა და გაიმარჯვა?

ა) 14 წლის;
ბ) 18 წლის;
გ) 15 წლის.

2.ვის ეკუთვნის სიტყვები: „იძ სიმართლეს რა უნდა, სადაც გევრი ფულია“?

ა) ილია ჭავჭავაძეს;
ბ) იეთიმ გურჯს;
გ) ნიკო ფიროსმანს.

3. სად მდებარეობს ძალაძი მიტო?

ა) იაპონიაში;
ბ) იტალიაში;
გ) აშშ-ში.

4. როგორ ითარგმნება ბერძნულიდან სიტყვა „კალიგრაფია“?

ა) როგორც „კარგი წერა“;
ბ) როგორც „გარკვევით წერა“.
გ) როგორც „სწრაფი წერა“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

თურმე უკვე ოთხი თვის ფეხმძიმე იყო, ზურიკო პირველად რომ დაიჭირეს. ჯერ სასამართლო პროცესი დამთავრებული არ იყო, რომ ჩემს შვილს მისთვის შემოუთვლია: ბავშვი მოიცილე, გათხოვდი, მე ნუ დამელოდებიო. ეს რომ გავიგე, გული მომიკვდა. ატირებული მივედი ლიკასთან, მოვკიდე ხელი და შინ წამოვიყვანე. მისმა მშობლებმა ჯერ არ იცოდნენ, რომ მათი გოგონა ფეხმძიმედ იყო. იფიქრეს, სტუმრად ეპატიჟება თავისთანო. მოვიყვანე სახლში, ჩემი დედამთილისეული „კალიცო“ გავუკეთე ხელზე და ვუთხარი: თუ დალოდებაა, მე და შენ ერთად დაველოდოთ-მეთქი. არასოდეს დამავიწყდება მისი მადლიერი მზერა. შემომხედა ცრემლიანი თვალებით და გულში ჩამეკრა. პატარა, უმწეო, აკანკალებული, შეშინებულ ჩიტს ჰგავდა... მას შემდეგ, ისე აეწყო ჩემი შვილის ცხოვრება, რომ უფრო მეტი წლები ციხეში აქვს გატარებული, ვიდრე სახლში. უკვე მეოთხედ ზის ციხეში. ლიკამ 5 ბიჭი გვაჩუქა. აქედან ორი ტყუპია. თავდადებული დედაა და ისევეა შეყვარებული ჩემს შვილზე, როგორც უწინ. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი შვილი კარგი ქმარია. თუმცა, მასაც ისევე უყვარს ლიკა, როგორც ბავშვობაში, როცა მისი ხათრით ვასმევდი წამლებს. ერთი კურიოზული ამბავი მინდა გავიხსენო, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც გავიგე და სიმართლე გითხრათ, თქვენთვის გულის გადაშლაც ამ ამბით გამოწვეული ემოციის შედეგია. ლიკა რომ ჩვენი რძალი გახდა, მაშინ ჩემს ქმარს საყვარელი ჰყავდა. რუსი ქალი იყო, „ქალაქის ვაჭრობაში“ მუშაობდა და საკმაოდ მაღალი თანამდებობაც ეკავა. მე ძალიან ვნერვიულობდი. ეს ამბავი მთელმა ჩვენმა სამეზობლომ და სანათესავომ იცოდა, მაგრამ უკვე მოსწრებული შვილის პატრონი ამ ამბის გამო ოჯახს ხომ ვერ მივატოვებდი?! არ ვიცი, ვინ უთხრა ლიკას მამამთილის გატაცების შესახებ. მისულა იმ ქალთან, ჯერ კარგა ხანს ივჯდა თურმე მისაღებში (მაშინ უკვე მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ), მერე ამდგარა და მისი მდივნისთვის უთქვამს: რადგან ვერ ხვდები, ფეხმძიმე ქალს რომ არ უნდა მაცდევინო, ჩემით შევალო, – და შეჭრილა თურმე კაბინეტში. შეჰყოლია მდივანიც (ეს ქალბატონი ახლახან გაიცანი საავადმყოფოში და როცა გაიგო ჩემი ვინაობა, ეს ამბავი მიამბო); შემოუდვია ლიკას დოინჯი და იმ ქალისთვის უთქვამს: თუ კიდევ ანერვიულებ ჩემს დედამთილს, თუ ჩემს მამამთილს არ დაეხსნები, ისეთ დღეს დაგაწვევ, ეს სამსახურიც უკან დაგრჩება და ბევრი სხვა რამეც; და თუ ეს ამბავი ჩემმა დედამთილმა გაიგო, მე ხომ მიყურებ, რძალი როგორი ვარ და რა დღეში ვარ, შენ დედამთილი უნდა ნახო, როგორია და უნდა წარმოიდგინო, ერთად რომ მოვალთ, რა დღეში ჩაგაგდებთო... მოკლედ, შეუშინებია ის საწყალი ქალი. ჩემი ქმარი იმ ქალს მართლაც მოეშვა. ვფიქრობდი, შვილის დაქორწინებამ გაჭრა-მეთქი. თურმე ყველაფერი იმით ყოფილა გამოწვეული, რომ ჩემმა რძალმა თავი მოიყარაჩოხელა. ახლა რომ ვკითხე – რატომ დამიმალე ეს ამბავი-მეთქი? – მიპასუხა: ვერ მოგიყვებოდი. იქ ისეთი ამბავი დავაწიე, რომ ჩემი საქციელი არავის მოგეწონებოდათ, არადა, ძალიან მინდოდა, თქვენთვის რაღაც მეშველაო... უკვე ორი წელია, ჩემი ქმარი გარდაიცვალა, შვილზე დარდს გადაჰყვა. დავდივართ ორი ქალი ხან ციხის კარზე და ხან სკოლაში, მშობელთა კრებაზე. ისეთი ბიჭები გვყავს – ვეფხვებივით! შეუძლიათ, სკოლა ერთი ადგილიდან აიღონ და მეორეზე გადადგან. ისე თამაშობენ ფეხბურთს, რომ სკოლა გადასახადებში შეღავათს გვიწევს. 15 წელია, ლიკა ჩვენი რძალია და არ მახსოვს, ამ ხნის მანძილზე, ერთხელ მაინც დაეჩივლოს. არადა, რამდენი გაჭირვება ნახა! დღემდე, გვერდში ვედექი ლიკას, რომ უკაცოდ დარჩენილ ოჯახს გავძღოლოდით. ახლა, ბიჭები მოგვესწრნენ. მე უკვე ძალიან ავად ვარ და მინდა, ჩემი სათქმელი საქვეყნოდ ვუთხრა ჩემს რძალს. ვიცი, ის თქვენი ჟურნალის მკითხველია, ამ წერილს წაიკითხავს და მისთვის ეს სასიამოვნო სიურპრიზი იქნება. მადლობელი ვარ, შვილო, საუკეთესო რძალი ხარ, დამილოცოს შენი და შენი შვილების თავი ღმერთმა! ციხიდან ჩემი ბიჭის გამოსვლას ალბათ ცოცხალი ვერ მოვესწრები. და როცა აღარ ვიქნები, შენ არ შემიშინდე, ჩემო გოგო. სადაც არ უნდა ვიყო, იმ ქვეყნად თუ ამქვეყნად, მე სულ შენ გვერდით ვიქნები...“

P.S. სხვა რა ვუთხრათ ჩვენს რესპონდენტებს ან მკითხველს? რძალ-დედამთილის ურთიერთობაში მართლაც, არის საშიში ზღვარი. ზღვარს იქით სკანდალი, ყოველდღიური ნერვიულობა და პირველობისთვის ბრძოლის ჟინია, ზღვარს აქეთ კი – თბილი, დედაშვილობასთან მიახლოებული ურთიერთობა. დარჩით ზღვარს აქეთ და იცხოვრეთ მშვიდად... ■

მაკა ასათიანი: მივეჩვიე იმას, რომ პირადი ემოცია უნდა გავმიჯნო საქმისაგან...

ემა გელოვანი

თანამედროვე ქართველმა ქალებმა საკმაოდ კარგად მოირგეს საქმიანი ქალის იმიჯი, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი დიასახლისობის ინსტიტუტის ნგრევას და თუ ასე გაგრძელდა, ვფიქრობ, ბევრ მამაკაცს უნივერსალური რობოტის შეძენა მოუწევს... თუმცა, ეს თემა ბევრ პრობლემას მოიცავს, მაგალითად: როგორ ეგუებიან ქართველი მამაკაცები ხელმძღვანელ ქალბატონებს? არადა, საქმიანი ქალის სახე მხოლოდ ხელმძღვანელს, უფროსს როდი ნიშნავს. ზოგს მიაჩნია და ვფიქრობთ, არცთუ ისე უსაფუძვლოდ, რომ ის ნებისმიერი პროფესიისა და რანგის წარმომადგენელი შეიძლება იყოს — მდივან-რეფერენტი, ჟურნალისტი, ექიმი თუ მწვრთნელი — და აღნიშნული იმიჯის გასამართლებლად, რაღაც განსაკუთრებული თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს. მაშ, რას ნიშნავს საქმიანი ქალი — ადამიანის ტიპს, ცხოვრების სტილს? ვეცდებით, ამ რუბრიკით გავცეთ პასუხი წამოჭრილ კითხვებს...

რუბრიკის პირველი პერსონაჟია ავიაკომპანიის — „აირზენა-საქართველოს ავიახაზები“ ვიცე-პრეზიდენტი მაკა ასათიანი.

— ზარმაცი ბავშვი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რაც მაინტერესებდა. ხშირად ვშლიდი და ვაწყობდი ახალ სათამაშოებს, ვინაიდან მაინტერესებდა, თუ რისგან შედგებოდა; „ოპერაციებს ვუკეთებდი“ თოჯინებს და სათანადო სახელებსაც ვარქმევდი — მაგალითად, „გამიკეთებია“ ბრმა ნაწლავის, კუჭის და სხვა „ოპერაციები“... ძალიან მიყვარდა ქუჩაში ფეხბურთისა და რეზინობანას თამაში, ვინაიდან ეზოში მხოლოდ ორი გოგონა ვცხოვრობდით და დიდ დროს ბიჭებთან ერთად ვატარებდით. ამით იმის თქმა მინდა, რომ ბავშვობაში სულ მოქმედებაში ვიყავი და შინ მშვიდად დამჯდარს ვერ მნახავდით.

— დიასახლისის ამპლუაში არასდროს ყოფილხართ?

— რაღაც პერიოდში, სანამ ჩემი შვილები გარკვეულ ასაკს მიაღწევდნენ, ნამდვილი დიასახლისი ვიყავი. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მიყვარს ან პირიქით, არ მიყვარს საოჯახო საქმეების კეთება. როდესაც ახლობლები დიასახლისობით დაკავებულს მხედავენ, დამცინიან. რამდენიმე კერძის მომზადება ვიცი და თამამად გეტყვით, რომ ძალიან გემრიელიც გამომდის. გამიკეთებია გოზინაყი, აჯაფსანდალი და ფრანგული კერძი — ხორცით და ღვინით. ხშირად ვასრულებ ჩემი შვილების შეკვეთებს და მათაც ძალიან მოსწონთ...

— იმის თქმა გინდათ, რომ შეგიძლიათ, ოჯახიც და სამსახურიც შეუთავსოთ ერთმანეთს?

— არა, ვერ მოგატყუებთ. ხშირად მსმენია სხვებისგან, რომ შეუძლიათ, შესანიშნავი დიასახლისებიც იყვნენ და საქმიანი ქალებიც, მაგრამ მე ეს არარეალურად მიმაჩნია. მხოლოდ ბაზარში საყიდლებზე სიარულს დღეში ორი საათი სჭირდება, ამდენი დრო კი ჩემთვის დღის მანძილზე ძალიან ბევრს ნიშნავს.

— თუ გახსოვთ, რაში დახარჯეთ პირველი ხელფასი?

— ცამეტი წლის ვიყავი, როდესაც უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ მოდელირებას გავყვებოდი. ამიტომ მირჩიეს, რომ მანეკენობა საკუთარ თავზე გამომეცადა და პოდიუმზე გავსულიყავი. პირველად სწორედ ამ საქმისთვის გადამიხადეს ჰონორარი — არ მახსოვს, რამდენი იყო, მაგრამ მახსოვს, რომ გოგონები დავპატიჟე ერთ-ერთ კაფეში და გემრიელადაც გეახელით.

— ახლა რაში ხარჯავთ ფულს?

— როდესაც გარკვეული თანხა მიდევს ჩანთაში და ვიცი, რომ შეზღუდული არა ვარ, ძალიან მიყვარს ლამაზი ნივთების შეძენა. მეც, როგორც ყველა ქალი, ვყიდულობ იმას, რაც ქუჩაში გავლისას თვალს მჭრის. მიყვარს სათამაშოების ყიდვა, განსაკუთრებით — ბურთების და მოკრივის ხელთათმანების. საერთოდ, ყიდვის პროცესი მიყვარს და მსიამოვნებს ახლის შეძენა.

— მომჭირნე არ ხართ?

— ვაიმე, საერთოდ არ ვარ მომჭირნე და ვერც ვახერხებ, ვიყო ასეთი...

— როგორია თქვენი სამუშაო დღის განრიგი?

— დილის რვა საათზე მოვდივარ სამსახურში და იწყება შეხვედრები, შეხვედრები და შეხვედრები... ჩვენი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, 24 საათის განმავლობაში გვიწევს საქმის კურსში ყოფნა — თუ როგორი ფრენა ჰქონდა ამა თუ იმ რეისს და ა.შ. ხშირად, დილის ოთხ საათზე მიწევს აეროპორტში მისვლა.

— როდის და როგორ ისვენებთ?

— დასვენების დღე ჩემთვის კვირაა, მაგრამ არც იმის თქმა შემიძლია, რომ ამ დღეს მთლიანად გამოთიშული ვარ საქმეებისგან. შეიძლება, ფიზიკურად არ ვიყო სამსახურში, მაგრამ რომ იტყვიან, სულ სატელეფონო ხაზზე ვარ. ძალიან მიყვარს ძილი, ძილში ვისვენებ და მიჭირს დილით ადრე ადგომა, მაგრამ ახლა უკვე შევეჩვიე. თავისუფალ დროს ბავშვებთან ვატარებ, მაგრამ იმის დრო ნამდვილად

დედაჩემი სულ მეუბნება: ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი გიჟი დედა ხარ?!
– საცოდავი შენი რძალი შენს ხელშიო!..

აღარ მრჩება, რომ მეგობრებთან ერთად სადმე ხმაურიან ადგილას წავიდე.

— კონფლიქტური თუ ხართ სამსახურში?

– არ მიყვარს, როდესაც მატყუებენ. ისე, ყველაფერი შემიძლია ვაპატიო თანამშრომელს. დასჯის რაიმე განსაკუთრებული მეთოდი არ მაქვს და სიმართლე გითხრათ, დასჯა ჩემთვის მიუღებელია. ჩვენ ან ვმუშაობთ ერთად, ან უბრალოდ, ვშორდებით ერთმანეთს.

— თქვენთვის, როგორც საქმიანი ქალისთვის, რამდენად მნიშვნელოვანია გყავდეთ პირადი მდივანი, მძღოლი, დაცვა და ა.შ.?

– მძღოლი არასდროს მყოლია, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ საჭიროა, ვინაიდან მანამდე, სანამ მანქანაში ვზივარ, იმდენ საქმეს ვაგვარებ ტელეფონით, რომ საჭესთან ამის კეთება უბრალოდ შეუძლებელია. მდივანი ძალიან მეხმარება სტუმრების მიღება-გასტუმრებაში, საჭირო ინფორმაციის მოძიებაში და ა.შ. პირადი დაცვა არ მყავს და მინდა მჯეროდეს, რომ ჩემს ქვეყანაში დაცვა არ მჭირდება... უცხოეთში ყოფნისას, არის განსაკუთრებული შემთხვევები, როდესაც ეტიკეტი მოითხოვს, რომ ამა თუ იმ ადგილას პირად დაცვასთან ერთად იმყოფებოდე.

— რომელია თქვენთვის აუცილებელი, ყოველდღიური სამუშაო ნივთები?

– საწერი კალამი, უბის წიგნაკი, ტელეფონები და სათვალე, რომ თავისუფალ დროს მანქანაში წავუძინო...

— გარეგნობა თუ გეხმარებათ საქმიანი მოლაპარაკებების დროს?

– უცხოეთში ძალიან მეხმარება და მინდა გითხრათ, რომ იქ ადამიანებთან ურთიერთობის საუკეთესო უნარი აქვთ. საქართველოში პირიქით – დრო მეხარჯება იმისთვის, რომ მამაკაცი საქმისკენ მივატრიალო: ჯერ თვალებზე მოგაშტერდებიან და შემდეგ...

— ქართველი საქმიანი ქალბატონებიდან ვის გამოყოფდით?

– ძალიან დიდ პატივს ვცემ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს და ირინა სარიშვილს.

— პირადი ცხოვრება თუ მოქმედებს თქვენს საქმიანობაზე?

– მთელი ცხოვრების მანძილზე მივეჩვიე იმას, რომ პირადი ემოცია უნდა გავმიჯნო საქმისგან და ხშირად, სულ აღარ მიჭირს, რომ ცუდი განწყობა სამსახურის კარს მიღმა დავტოვო. მაგრამ არც იმის თქმა შემიძლია, რომ სერიოზული პრობლემები პირად ცხოვრებაში არ ტოვებს გარკვეულ კვალს საქმიანობაზე. ძალიან ბევრჯერ გამჭირვებია პირად ცხოვრებაში, მაგრამ მიმაჩნია, რომ საქმის კეთებისას ეს შესამჩნევი არ ყოფილა.

— თქვენი შვილები როგორ რეაგირებენ დედის, როგორც საქმიანი ქალის იმიჯზე?

– თავადაც ძალიან საქმიანი ბავშვები არიან: ოთხი წლის ასაკიდან, თითქმის მთელი დღე აქვთ დატვირთული და ამ ყველაფერს, როგორც საქმეს, ისე უდგებიან. სკოლას და ვარჯიშს, სამსახურს უწოდებენ და ხშირად ამბობენ: სამსახურს რომ მოვრჩებით, შეიძლება აქა და აქ წავიდეთო... ძალიან მიხარია, რომ ბავშვებს შრომა უყვართ. ვინაიდან მამა ყოფილი ფეხბურთელი ჰყავთ და ბაბუაც ფეხბურთელი იყო, მათაც უყვართ სპორტის ეს სახეობა და დადიან კიდეც ფეხბურთზე. საინტერესო მატჩების ტელერეპორტაჟები ყოველთვის ღამის 12 საათზე იწყება, ამიტომ ხშირად მეხვეწებიან, მატჩის ყურების ნება დავრთო. ფეხბურთზე მსჯელობენ და იციან, რომელი ფეხბურთელი რომელ გუნდში თამაშობს. მათი ინტერესებიდან გამომდინარე, მეც მომიწია ამ სფეროში რაღაც-რაღაცებში გავრკვეულიყავი.

— ქართველი მამაკაცები ხშირად მტკივნეულად აღიქვამენ ქალის საქმიან იმიჯს. თქვენ არ გქონიათ დაბრკოლება?

– მამაჩემი ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ მე შინ დავჯდებოდი და უსაქმურად ვიქნებოდი, ამიტომ პრეტენზია არასდროს გამოუთქვამს. ერთადერთი, რის გამოც სულ ჭკუას მარიგებდა, ის იყო, რომ არაფერი შემშლოდა... თუ ავად ვიყავი და შინ ყოფნა მიწევდა, მან კი ამის მიზეზი არ იცოდა, განცვიფრებული იკითხავდა: მაკა სახლშიაო?! სერიოზულ დოკუმენტებთან მუშაობა მამამ მასწავლა და ხშირად, როგორც თანასწორთან, ისე განიხილავდა ხოლმე ჩემთან საქმეს. ალბათ მამაჩემის დამსახურებაა, რომ მე არ მაქვს დაბრკოლება მამაკაცებთან საქმიანი ურთიერთობისას. შეიძლება, ისინი ვერ აღმიქვამენ, როგორც თანასწორს, მაგრამ...

— სამუშაო კაბინეტი თქვენი გემოვნებითაა მოწყობილი?

– ყველაფერი ისე დავტოვე, როგორც მამას ჰქონდა, ვინაიდან ასე აქ უკეთ ვგრძნობ თავს...

— და მაინც — ყველა ქალს სჭირდება გვერდით მამაკაცი. როგორი წარმოგიდგენიათ ის, ვინც თქვენში სიმპათიას გამოიწვევდა?

– ქალებს ძალიან უყვართ ამ თემაზე საუბარი და ჩამოყალიბებულიც აქვთ, თუ როგორი მამაკაცები მოსწონთ. დამიჯერეთ, ბევრისგან მომისმენია – ასე და ისეაო, – მაგრამ შედეგი აბსოლუტურად განსხვავებული მინახავს... მე ვფიქრობ, როდესაც „ის“ შეგხვდება, იტყვი, რომ ნამდვილად „ის“ არის...

— თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ შეიძლება, აღარ იყოთ საქმიანი ქალი? ვინ იქნებით მაშინ?

– ალბათ ბებია ვიქნები... მაგრამ ჩემი ნატურიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მოუსვენარი და აქტიური ბებია ვიქნები

და მაინც მოვძებნი რაღაც საქმეს, რომ სადმე გასაქცევი მქონდეს...

— ვფიქრობ, ჯერ დედამთილობისთვის უნდა მოემზადოთ...

— გითხრათ სიმართლე? ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი დედამთილის როლში. ყველა დედას არანორმალურად უყვარს თავისი შვილი. დედაჩემი სულ მეუბნება: ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი გიჟი დედა ხარ?! — საცოდავი შენი რძალი შენს ხელშიო!.. ცუდი ადამიანი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ჩემი შვილები რომ ვინმემ გააბრაზოს, ამას ვერ ავიტან.

— საქმიანი კურიოზები თუ გახსენდებათ?

— ბავარიაში მქონდა კონფერენცია, რომელიც გვიან მთავრდებოდა. გამთენიისას, ვენიდან თბილისში მომავალ რეისზე უნდა მომესწრო. ბავარიაში სულ მთებია და ფრენა გამორიცხულია, ამიტომ ჯერ ერთ მატარებელში ჩავჯექი და გარკვეული მანძილი გავიარე... დედა, ეს რა იყო!.. შემდეგ, ფრანკფურტში, ვენისკენ მიმავალ, ერთადერთ უნგრულ მატარებელს მივუსწარი, რომელშიც ერთი თავისუფალი ადგილიც კი არ იყო. მართალია, დილით თვითმფრინავის რეისს მივუსწარი, მაგრამ მთელი ღამე მატარებელში ფეხზე დამდგარმა ვიმგზავრე. არ ვიცი, ეს რამდენად ჰგავდა კურიოზს, მაგრამ კიდევ ერთ შემთხვევას მოგიყვებით, რომელიც ახლახან, პარიზში ყოფნისას შემემთხვა. ფრანგები განსაკუთრებით ვერ იტანენ წვიმას, ამიტომ, როდესაც პარიზში წვიმს, ტაქსის დაჭერა წარმოუდგენელია. ღამე, გვიან მომიწია დაწოლა, ვინაიდან საქმიან ვახშამზე ვიყავი მიწვეული, დილით კი, პირდაპირი ჩართვა მქონდა დაგეგმილი პარიზიდან „რუსთავი 2“-ის ეთერში. დილით ადრე გავიღვიძე, მოვწესრიგდი, მაკიაჟი გავიკეთე, ვარცხნილობაც შევირჩიე, წვიმაც შევნიშნე, მაგრამ ვინაიდან კარგ სასტუმროში ვიყავი, ვიფიქრე, რომ მანქანის დაქირავება არ გამიჭირდებოდა. მოკლედ, ვერც ტაქსი ვიშოვე, სასტუმროში მანქანის შეკვეთა კი, თურმე წინა დღეს იყო საჭირო. სხვა გზა არ მქონდა, ფეხით გავუყევი პარიზის ქუჩებს — არადა, მე ქალაქის ერთ ბოლოში ვიმყოფებოდი, ტელევიზია კი — მეორე ბოლოში. მივხვდი, რომ მაგვიანდებოდა, მაკიაჟი ჩამომერეცხა, ვარცხნილობა დამეშალა, სულ დავსველდი. გადავწყვიტე, ქართულად — „სიუ სიუს“ რომ ეძახიან — „პაპუტკა“ გამეჩერებინა. ბოლოს, ვიღაცამ მართლა გამიჩერა, ერთი კი მკითხა — სად მიდიხარ, შე საცოდავო? — მაგრამ ტელევიზიამდე მაინც მიმიყვანა... ტანსაცმელს პროჟექტორების შუქზე ვიშრობდი. პირდაპირ ეთერში პიჯაკიც უნდა მცმოდა, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა?!. პროჟექტორები იმდენად ძლიერი იყო, რომ თან ოფლი მდიოდა... აქეთ, ვიღაც არაბულად ლაპარაკობდა, იქით — ხორვატიის ტელევიზიის წარმომადგენელი... გვერდით ვიღაც კაცი მომიჯდა, რომელსაც გაძლიერებული დაცვა და დიდი ამალა ახლდა თან. რომ ვიკითხე — ვინ არის-მეთქი? — მრავალმნიშვნელოვნად მიპასუხეს — ეს ის არისო... ისე მითხრეს, რომ ვეღარ გავბედე ჩავკითხვოდი, არადა, ჩემსა და იმ კაცს შორის საკმაოდ ფამილარული საუბარი კი გაიმართა. ამ დროს, მაგიდის ქვეშ ვიღაც, რაღაც სადენებს ასწორებდა და ფეხებში მეცა, ალბათ მაყურებლებმაც შენიშნეს, როგორ წამოვხტი... მოკლედ იმ დღეს დიდი ამბები გადამხდა თავს... ■

საქართველოში დრო მეხარჯება იმისთვის, რომ მამაკაცი საქმისკენ მივაგრიალო: ჯერ თვალებზე მოგაშტერდებიან და შემდეგ...

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ოთარ გაგელია ამგოგდა: „ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი...“

ა) მამაჩემია;
ბ) ჩემი ძმაა;
გ) დეიდაჩემია.

2. რატომ შეიყვანეს ამერიკელი მსახიობი ნიკ ნოლტი „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიაზე დამსწრე მსახიობთა „შავ სიაში“?

ა) ცერემონიის დროს ალკოჰოლის მიღების გამო;
ბ) ცერემონიაზე ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ ყოფნის გამო;
გ) ცერემონიის მომწყობთა მიმართ უცენზურო სიტყვების გამოთქმის გამო.

3. რის გამოგონებისთვის მიიღო თომას ალვა ედისონმა პირველი პატენტი?

ა) არჩევნებში ხმების ელექტრონული მრიცხველის;
ბ) ტელეფონის;
გ) ნათურის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

გრეიპფრუტი

როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

„გრეიპფრუტის დიეტა“ კაფსულებში გაგათავისუფლებთ ჭარბი ცხიმებისაგან, რომლებიც გროვდება მუცელზე, მკლავებზე, ფეხებზე და დუნდულებზე. იგი ასევე დაიცავს უჯრედებს ახალი ცხიმებით გაჯერებისაგან და გადატვირთავს მათ კუნთებში, სადაც ხდება ცხიმების სრული წვა. ამგვარად, სხეული სრულიად თავისუფლდება დეპოზიტური ცხიმებისაგან.

როგორ მოქმედებს „გრეიპფრუტის დიეტა“?

როგორც სამედიცინო კვლევებმა აჩვენეს, ორგანიზმში ფიზიოლოგიური ქოლესტერინის დონე მცირდება დღიური რაციონით pectin-ის მნიშვნელოვანი რაოდენობის მიწოდებით. ამ pectin-ებს შეიცავს გრეიპფრუტის კანი, რომელიც ძირითადად იყრება და არ გამოიყენება საკვებში.

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ამ pectin-ის საჭირო რაოდენობა „გრეიპფრუტის დიეტის“ კაფსულების სახით. ხოლო მასში შემავალი ვაშლის ძმარი დაგეხმარებათ ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებაში.

ამრიგად, ეს გახლავთ გახდომის ნატურალური მეთოდი.

რჩევები და რეკომენდაციები:



ჩვენ გირჩევთ „გრეიპფრუტის დიეტის“ მიღებისას საუკეთესო შედეგის მისაღწევად:

1. შეეცადეთ მიიღოთ ეს პრეპერატი 2-3 თვის მანძილზე
2. მიიღეთ 2-2 კაფსულა 3-ჯერ დღეში საჭმელთან ერთად
3. შეამცირეთ საკვები რაციონი
4. ოდნავ გაიაქტიურეთ ცხოვრება და შემდეგ
5. დაისვენეთ! ნუ მიეჯაჭვებით სასწორს ყოველდღე და ნუ იდარდებთ თუ პირველ დღეებში წონის შემცირებას ვერ შეამჩნევთ. ჩვენი დაკვირვებები ცხადყოფენ, რომ ზოგი მომხმარებელი პირველ დღეებში ვერ ამჩნევს კლებას, მაგრამ შემდეგ ერთიანად აღმოაჩენს კილოგრამების გაუჩინარებას. ბევრი მათგანი კი პირველივე კვირაში ამჩნევს ტანსაცმლის მიხედვით საკუთარი ზომის შემცირებას.
6. მიიღეთ წყალი დიდი რაოდენობით! დღეში 5-8 ჭიქა მაინც. ეს დაგეხმარებათ ორგანიზმიდან ცხიმებისა და ტოქსინების გამოდევნაში.

ყურადღება!!!

„გრეიპფრუტის დიეტის“ კაფსულები არ არის წამალი. იგი აბსოლუტურად უვნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის. მისი ნატურალური ინგრედიენტები გადაგიწყვეტავთ ჭარბი წონის პრობლემას არა ქიმიურად, არამედ ბიოლოგიურად. ამგვარად, მას არ გააჩნია გვერდითი მოვლენები. ვინაიდან ეს კაფსულები ფაქიზად ახდენენ ორგანიზმში ტოქსინებისა და ჭარბი ცხიმების ლიკვიდირებას, თქვენ ყოველდღიურად იგრძნობთ თავს უკეთესად, ენერგიულად და მსუბუქად.

მეტიც! გაითვალისწინეთ, რომ "გრეიპფრუტის დიეტის" კაფსულები გამოიყენება ასევე ზოგადად ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. ეს არის ნატურალური ბოჭკოებისგან დამზადებული ნუტრიცეპტიკი, რომელიც აწესრიგებს ქოლესტერინის შემცველობას ორგანიზმში, აუმჯობესებს მამაკაცებში პროსტატის ჯანმრთელობას, გაწვდით ვიტამინებს, მინერალებს და ამინომჟავებს.

ვაშლის ძმარი კი არეგულირებს მონელებისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესს. ხოლო ორივე ერთად ხელს უწყობს მადის დაქვეითებას.

გამოკვლევების შედეგები, ჩატარებული 200 კაცის მონაწილეობით, რომლებიც პასუხობდნენ ქვემოთ მოყვანილ ორ პირობას მაინც:

- ისინი ვერ ახერხებდნენ გახდომას და წონის შენარჩუნებას
- ისინი ვერ ახერხებდნენ დიეტის დაცვას
- ისინი ვერ ახერხებდნენ ზედმეტი სანტიმეტრების მოცილებას წელიდან და მუცლიდან.

გამოკვლევებმა აჩვენეს:

„გრეიპფრუტის დიეტის“ კურსის შეწყვეტა არ იწვევს წონის ახალ ზრდას. თუ შენარჩუნებული იქნა კვების რეჟიმი, წონა სტაბილური რჩება.

ზედმეტი კილოგრამები წარსულს ჩაბარდება.

კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუს“-ში თქვენ გელით საუკეთესო სპეციალისტების გულისხმიერება და მზრუნველობა.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები:
ყოველდღე კვირის გარდა
10.30 - 18.00,
www.shopge.com

®

ავთო მარგველაშვილი

ბედოვლათი ...რაფი

ერთი ძველი ანეკდოტისა არ იყოს, ამ ამბის გმირს ალბათ, რატი შემოკლებით ერქვა, თორემ სინამდვილეში, დეგენერატი იყო. კომუნისტების დროს მოხუცთა ერთ-ერთი პანსიონატის დირექტორად მუშაობდა, იქ მცხოვრებთა ორმაგი რაოდენობა ჰყავდა გაფორმებული და ორმაგ დაფინანსებას იღებდა. იმ ნახევარსაც არ ახარჯავდა საცოდავ მოხუცებს და აუტანელ მდგომარეობაში ჰყავდა.

ერთ დღეს, ვიღაც ჟურნალისტი მიადგა – თქვენს პანსიონატზე საგაზეთო სტატია უნდა დავწეროო. ელდანაცემმა დირექტორმა საუზმის დრო მოიმიზეზა და ჟურნალისტი ცოტა ხნით თავის კაბინეტში დატოვა, თვითონ კი, ერთი „ნასედკა“ პენსიონერის ოთახში შევიდა, ფურცელზე შესაძლო შეკითხვების პასუხები ჩამოუწერა და ეზოში გაიყვანა. დანარჩენები კი ოთახებში გამოკეტა.

– შეგიძლიათ ნებისმიერს გაესაუბროთ, ეზოში გავიდეთ – მოხუცები სეირნობენ, – მოახსენა დირექტორმა ჟურნალისტს და წინ გაუძღვა.

ჟურნალისტმა მოსეირნე მოხუცი შენიშნა, მიუახლოვდა და ჰკითხა:

– დიდი ხანია, ამ პანსიონატში ცხოვრობთ?

მოხუცმა ტექსტი დააძრო და დაიწყო:

– პანსიონატი „სიხარული“ დაარსდა 1947 წელს, პიონერთა ბანაკის სახით. მას შემდეგ აქ ვარ. პანსიონატს უამრავი სასიქადულო მოქალაქე გაუზრდია ქვეყნის საკეთილდღე...

– გასაგებია, გმადლობთ, – შეაწყვეტინა ჟურნალისტმა და დირექტორს გაუღიმა: – იქნებ სხვასაც გავესაუბროთ...

– ნებისმიერს, ჩემო ბატონო! – და ხელი ცარიელი ხეივნისკენ გაიშვირა. ჟურნალისტმა გზა განაგრძო. დირექტორმა კი, ბატკანივით მოიგდო მოხუცი მხარზე და შემოვლითი გზით დაწინაურდა. მოხუცი სკამზე დასვა, ქუდი შეუცვალა, სათვალე მოხსნა, კისერზე კაშნე შემოახვია და ბუჩქებში მიიმალა.

ჟურნალისტი „მეორე“ მოხუცსაც გაესაუბრა:

– როგორი პირობებია ამ პანსიონატში?

– პანსიონატს შეუძლია, კარი და გული გაუღოს 80-მდე მიუსაფარ ადამიანს. აქ ფუნქციონირებს: ვიდეოკლუბი, დისკოთეკა, დედათა და შვილთა ოთახი და...

– გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ, – დაემშვიდობა ჟურნალისტი და კიდევ „რამდენიმე“ მოხუცი გამოკითხა. მეორე დღეს კი, გაზეთში ისეთი წერილი გააშალა, რომ ჩვენი რატი ძლივს გადაურჩა ციხეს...

ამასობაში ქვეყანაც აირია და როგორც ბევრმა სხვამ, რატიმაც „მღვრიე წყალში თევზიც კარგად დაიჭირა“ და ახალი სამსახურიც იშოვა – კერძო ფირმაში. მალე ცოლიც შეირთო – ლამაზი და ერთგული ქალი შეხვდა, მაგრამ კაცის გულში უმიზეზო ეჭვიანობამ დაიბუდა და ცოლს ცხოვრება გაუმწარა. მაგალითად, სამსახურიდან შინ დარეკავდა – დამაგვიანდება ან ამაღამ, საერთოდ არ მოვალო, – თვითონ კი, მოშორებით გააჩერებდა მანქანას და ჭიშკარს თვალს არ აშორებდა, აბა, ვინ შევა და ვინ გამოვაო...

არც არავინ შედიოდა და არც არავინ გამოდიოდა, ვერც რაიმე მიზეზი იპოვა საეჭვიანო და სწორედ ეს აგიჟებდა: როგორ ღალატობდა ცოლი ასე „პარტიზანულად“?! ბოლოს, ცოლის ბოზობის დამტკიცების გრძელვადიანი გეგმაც შეიმუშავა და მის განხორციელებასაც შეუდგა.

სამსახურში ყველაზე სიმპათიური ახალგაზრდა კაცი დაიახლოვა, ყოველდღე მასთან ერთად თვრებოდა, მერე შინ მიჰყავდა. ცოლს სუფრას რომ გააშლევინებდა, ჩხუბს აუტეხდა, ხანდახან ხელსაც გაარტყამდა და საძინებელ ოთახში გააგდებდა. ცოტა ხნის შემდეგ, თანამშრომელს ეუბნებოდა: შედი, დაამშვიდეო, – თვითონ კი სუფრაზე ჩამოდებდა თავს, თითქოს ჩაეძინა...

ასე გრძელდებოდა თვეების მანძილზე. ის თანამშრომელი ბიჭი და რატის ცოლი ისე დაახლოვდნენ, რომ მალე, მართლა შეუყვარდათ ერთმანეთი და ერთ მშვენიერ დღეს, ქალმა ქმარს განუცხადა, რომ თამაზი უყვარდა და გაყრას აპირებდა.

დეგენე-რატის სიხარულსა და კმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა: რომ მაინც მოახერხა იმის დამტკიცება, რასაც ეჭვობდა?! თვითონ კი, უფროსის ცოლს „მიუჩოჩდა“ და სამსახურიდან ხშირად იპარებოდა, რომ ასაკოვანი დირექტორის ახალგაზრდა ცოლთან დრო ეტარებინა...

ერთხელ, დირექტორმა კაბინეტში დაიბარა „ერთგული“ თანამშრომელი და ოჯახურ ვახშამზე დაპატიჟა, 55 წლის იუბილეს აღსანიშნავად. მისამართიც საგულდაგულოდ ჩააწერინა, რომ მიგნება არ გასჭირვებოდა. ჩვენმა რატიმაც ძვირფასი საჩუქრით ხელი დაამშვენა და დირექტორის სახლის კარს ისე მიადგა, რომ მიგნება სულაც არ გასჭირვებია... „ერთგული“ რატი თამადად აირჩიეს და ისიც ენად გაიკრიფა.

იუბილარის ცოლის სადღეგრძელოს ჯერი რომ დადგა, გადაწყვიტა, თავი მოეწონებინა საყვარლის წინაშე და თქვა:

– თუ შეიძლება, „ზალაში“, კარადის თავზე დიდი ყანწი რომ დევს, ის მომიტანეთ.

– შენ საიდან იცი, იქ რომ ყანწი დევს?.. – გაუკვირდა დირექტორს. – თუმცა, მოქეიფე კაცს ეგეთი რამეები არ გამოეპარება... – თვითონვე იპოვა გამოსავალი დირექტორმა და ყანწი მიართვა.

მოკლედ, სტუმარ-მასპინძელი ისე დათვრა, რომ შუაღამის მოსვლა ვერც კი გაიგო. როგორც იქნა, „ყოვლადწმინდაც“ შეისვა და დირექტორმა გათამამებულ სტუმარს განუცხადა:

– ნასვამს ვერსად გაგიშვებ, ჩემო რატი, აქ დარჩები, ჩვენს საძინებელს დაგითმობთ.

რატიმ კვლავ გამოიჩინა დეგენერატობა და დირექტორს უპასუხა:

– აქ დავწვები, ვასილიჩ. თქვენს საძინებელში საშინლად ცხელა. თანაც – საწოლიც ჭრიალებს...

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რისი თქმაც მან სახლში მოასწრო – „ვაი დედა!“ უკვე ჰაერში მიაყოლა, როცა მეორე სართულის ფანჯრიდან მიფრინავდა თავისუფალი ვარდნის აჩქარებით...

ცოლდაკარგულმა სამსახურიც დაკარგა და შემდეგ, ტრავმატოლოგიური განყოფილების ახალგაზრდა ექთანს დაადგა თვალი. მაგრამ ექთანი, განყოფილების გამგის ცოლი აღმოჩნდა და დეგენერატმა პაციენტმა ტრავმატოლოგიური განყოფილებიდან რეანიმაციაში გადაინაცვლა...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ევქარისტიას ქართულად ზიარება ჰქვია.

2. ნინო ანანიაშვილი საქართველოს ჩემპიონი იყო ფიგურულ სრიალში.

3. „არაყი აწითლებს ცხვირს და აშავებს რეპუტაციას“, – ამბობდა ჩეხოვი.

4. მონღოლური მოდგმის ხალხი ამჟამად იყენებს რუსულ ანბანს სპეციფიკური ნიშნების დართვით.

5. თურქეთის ქალაქ ბიუქხენში საუნის გახსნასთან დაკავშირებით თურქმა მექისეებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

6. 1935 წელს პარიზში გამართულ ანტიფაშისტურ კონგრესში გალაკტიონ ტაბიძეც მონაწილეობდა.

7. მურმან ლებანიძეს ძველი ეგვიპტური და იაპონური კლასიკური პოეზიის ნიმუშები აქვს ნათარგმნი.

8. ინდოეთში არსებობს მანძილის გასაზომი ერთეული მუ. იგი იმ მანძილს მოიცავს, სადამდეც აღწევს ძროხის ბღავილი.

9. სვანურ ენაში 6 ძირითადი ხმოვანია: ა, ე, ი, ო, უ – და ერთიც, ირაციონალური ხმოვანი. P.S. კბილ-ბაგისმიერი ვ სვანურში არ არის.

10. ადმინისტრაციულად სიცილია აგრიჯენტოს, კალტანისეტის, კატანიის, მესინის, ენის, რაგუზის, ტრაპანის, სირაკუზისა და პალერმოს პროვინციებად იყოფა.

11. სვეტიცხოვლის მშენებლობა 1010 წელს დაიწყო და 1029 წელს დასრულდა. ქართლის კათალიკოს მელქისედეკს მის ასაშენებლად ხუროთმოძღვარი არსუკისძე ჰყავდა მიწვეული.

12. სპარტელმა დედამ ომიდან დაბრუნებული შვილი მოკლა, რადგან მას ჭრილობა ზურგში ჰქონდა მიყენებული.



13. მიუხედავად იმისა, რომ არნოლდ შვარცენეგერის მეტოქეებს ბოდიბილდინგში უფრო დიდი და ლამაზი კუნთები ჰქონდათ, ფინალში გასულმა ავსტრიელმა სპორტსმენმა პირველი ადგილი დაიკავა. შვარცენეგერი შავმა ფონმა იხსნა, რადგანაც ყველა მისი მოწინააღმდეგე შავკანიანი იყო.

14. ნუგზარ კვაშალს „ჩხიკვთა ქორწილის“ დადგმა 15 სექტემბერს მოსკოვ-

„სად ვართ, ისიც კი არ ვიცით, ფასები პირდაპირ სხეულებზე გვაწერია...“

ამ ცოტა ხნის წინ, ჩვენს საზოგადოებაში დიდი შეშფოთება გამოიწვია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშმა, რომელშიც საქართველო ე.წ. მესამე კატეგორიის ქვეყნებს შორისაა დასახელებული და ნათქვამია, რომ თუ ჩვენი ხელისუფლება 90 დღის განმავლობაში არ გადადგამს რეალურ ნაბიჯებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, მას მკვეთრად შეუმცირდება მეგობარი ქვეყნის დახმარება. ჩვენ წინათაც არაერთხელ შევხებივართ ამ უმძიმეს პრობლემას, მაგრამ აღნიშნული ინფორმაციაც და სხვა წყაროებიც ნათლად მოწმობს იმას, რომ ტრეფიკერთა და ტრეფიკირებულთა რიცხვი დღითი დღე იზრდება...

ნინო ჯავახიშვილი

ჩვენი თანამემამულეები ამერიკაში, კანადაში, სპერძნეთში, თურქეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ისრაელში, შვეიცარიაში, პორტუგალიასა და ესპანეთში გაჰყავთ. იყო დრო, როდესაც ყოველი მეორე, საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლაზე ოცნებობდა და ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იქ უარესი ელოდა...

ამბავი პირველი:

– 17 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი ოჯახი დაუკავშირდა ცნობილ და სანდო სამედიატორო სააგენტოს, რომელმაც გამიკეთა სასწავლო ტური ნიუ-იორკში. საქმეში ჩართული იყო პარლამენტის ერთერთი წევრი, რათა განმტკიცებულიყო ნდობის ფაქტორი... ამერიკაში დაგვხვდა ცნობილი ოფიციალური სააგენტოს ორი ქართველი წარმომადგენელი. მათ მართლაც გაგვგზავნეს კოლეჯში. ხელი მოვაწერე კონტრაქტს, სადაც ნათქვამი იყო, რომ სწავლის პარალელურად ვიმუშავებდი. ჩაიარა სამმა ბედნიერმა თვემ. იმ დროისთვის ძალიან ცოტა ფული დამრჩა. გამომიცხადეს, რომ სწავლის გაგრძელებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო... მოკლედ, ჩემმა მასპინძლებმა ისეთი პირობები შემიქმნეს, რომ მათ ნებისმიერ წინადადებას დავთანხმებოდი. მომიგზავნეს ხალხი, რომელმაც ნელ-ნელა „დელიკატურად“ შემომაპარა პროსტიტუციის თემა... როცა საქართველოში დაბრუნების სურვილი გამოვთქვი და არ მივიღე მათი წინადადება, დამაშინეს: შენი ოჯახის წევრებს შევავიწროვებთო... ალბათ, მატყუებდნენ ყველაფერს, მაგრამ როცა 17 წლის ხარ, ბევრ რამეს ვერ ხვდები. ერთი თვის შემდეგ, საბოლოოდ გადამიბირეს. წამიყვანეს ქალაქგარეთ ლამაზ, ორსართულიან სახლში, რომელსაც ბევრი შეიარაღებული პირი იცავდა – ძირითადად, რუსები და ქართველები იყვნენ. ქართველების გარდა, იყვნენ გოგონები ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან, ჩეხიიდან, რუსეთიდან. თვეში 2.500 დოლარს შეგვპირდნენ. ცალ-ცალკე ოთახებში ვცხოვრობდით, სადაც დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერები და მიკროფონები. გოგონები არ დავმეგობრებულვართ, პირიქით – ერთმანეთის გვეშინოდა და ერთმანეთთან ოფიციალური ურთიერთობები გვქონდა. მუდმივად ნარკოტიკების ზემო-

ქმედების ქვეშ ვიმყოფებოდით – ნარკოტიკებს ძალით გვიკეთებდნენ. კლიენტებს ყოველ 5 საათში ვემსახურებოდით. მთელ ამ პროცესს ვიდეოკამერებით იღებდნენ და შემდეგ ალბათ ყიდდნენ. დაცვა ყველგან თან დაგვყვებოდა. სახლი კი ძალიან სანდოდ იყო დაცული...

ამ მდგომარეობას ერთ-ერთი კლიენტის დახმარებით დავაღწიე თავი.

ამბავი მეორე:

– ფლორიდაში იძულებით ვეწეოდი პროსტიტუციას. სასტუმროში ვცხოვრობდი, რომელსაც დაცვა ჰყავდა. ვფიქრობდი იქიდან გაქცევაზე, მაგრამ ვერავის ვენდობოდი და დახმარებას ვერავის ვთხოვდი: მეშინოდა, ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას არ წამოსცდენოდათ. შეშინებულები ვიყავით: იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გოგონები უკვალოდ ქრებოდნენ ან თვითმკვლელობით ასრულებდნენ სიცოცხლეს... ერთხელ, როდესაც ღამის სამ საათზე, დაცვის ჯგუფი შეცვალეს, როგორღაც მოვახერხე და გავიპარე. ტყეში დიდხანს მივრბოდი. ბოლოს, რაღაც გზაზე გავედი, მანქანა გავაჩერე და მასში მჯდომ ცოლ-ქმარს ჩემი გაჭირვება გავუმხილე. წამომიყვანეს. მალე ბარში დავიწყე მუშაობა. ოჯახის წევრებს დავუკავშირდი და ვთხოვე, რომ უკან დაბრუნებაში დამხმარებოდნენ. დავბრუნდი კიდეც, მაგრამ იმდენად ღრმა სტრესულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, რომ დიდხანს ვერ ვიძინებდი...

ახლა კი, სიტყვა მივცეთ ადამიანებს, რომლებიც წლების მანძილზე არიან დაკავებულნი ტრეფიკინგის შესწავლით.

ნუგზარ სულაშვილი, *ადამიანის უფლებათა საინფორმაციო სადოკუმენტაციო ცენტრის ხელმძღვანელი:*

– იმ ქვეყნებს, სადაც ტრეფიკინგი ამა თუ იმ ფორმით არსებობს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი კატეგორიებად ჰყოფს: პირველ კატეგორიას მიაკუთვნებს იმ ქვეყნებს, რომელთა მთავრობებმაც მიაღწიეს რეალურ შედეგებს ტრეფიკინგთან ბრძოლაში; მეორე კატეგორიაში ის ქვეყნებია, რომლებიც რეალურ ნაბიჯებს დგამენ მდგომარეობის გამოსასწორებლად; მესამე კატეგორიას იმ ქვეყნებს მიაკუთვნებენ, რომელთა მთავრობებიც ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად არანაირ ნაბიჯს არ დგამენ. ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების მძევლად აყვანა ხომ, ადამიანებით იგივე ვაჭრობაა, საქართველოში კი, მოგეხსენებათ, ამ მხრივ რა რთული მდგომარეობაცაა. ამიტომაც მოვხვდით მესამე კატეგორიაში.

— მაინც რა არის ტერფიკინგის წარმოშობის მთავარი მიზეზი?

– ტრეფიკინგის საფუძველი არის არალეგალური მიგრაცია. ადამიანი, რომელიც კანონით დაუცველია, ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ. ტრეფიკინგი მხოლოდ და მხოლოდ სექსუალურ ინდუსტრიაში ძალით ჩაბმას როდი ნიშნავს! არსებობს ტრეფიკინგის სხვა სახეობებიც. როდესაც ვამბობ, რომ არალეგალურ ქართველ ემიგრანტთა 80% ტრეფიკინგის მსხვერპლად მოიაზრება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ 80% სექს-ინდუსტრიის მსხვერპლია. ქალი, რომელიც უვლის ბავშვს ან მოხუცს და არა აქვს თვეში ერთი დასვენების დღე მაინც, მკაცრად აქვს შეზღუდული ტელეფონით სარგებლობის დრო და თუ რაიმე უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა, შეიძლება ხელზე ჯოხიც კი დაარტყან, – ის რა, ტრეფიკინგის მსხვერპლი არ არის? ეს ხომ მონური შრომაა! ბევრმა ისიც კი არ იცის, რომ მას იცავს იმ ქვეყნის კანონი, სადაც ცხოვრობს და მუშაობს. ამერიკაში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც დაზარალებულმა მიმართა შესაბამის ორგანოებს (რომელიც უშუალოდ ტრეფიკინგის პრობლემებზე მუშაობს) და ამის შედეგად ამერიკაში მიიღო მუდმივი თავშესაფარი. სამწუხაროდ, ამის შესახებ ბევრმა არაფერი იცის და ჭგონია, თუ განაცხადებს, რომ ის მონური ექსპლუატაციის მსხვერპლია, ეს აუცილებლად მისი დეპორტირებით დამთავრდება. ტრეფიკერებიც სწორედ ამით იმუქრებიან: თუ არ დამემორჩილები, იცოდე, სამშობლოში დაგაბრუნებო... 2001 წელს, ჩვენი დახმარებით 7-მა ახალგაზრდა გოგონამ დაიხსნა თავი ტრეფიკინგისგან. ისინი დღემ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ში აქვს დაგეგმილი. სპექტაკლი ცირკის შენობაში დაიდგმება.

15. მდინარე ამაზონში მობინადრე თევზი პურაკე 3 მეტრს აღწევს სიგრძეში. იგი არ არის მტაცებელი, მაგრამ მასთან შეხვედრა ისეთივე სახიფათოა, როგორიც ზვიგენთან ან პირანიასთან: ეს თევზი ექვსასიდან ათას ვოლტამდე ელექტრონულ დენს გამოიმუშავებს და ადვილად შეუძლია, საიქიოს გაისტუმროს ნებისმიერი ადამიანი.

16. ხვლიკს შეუძლია, თავდასხმისას მტაცებელს საკუთარი მომძვრალი კუდი შეატოვოს კლანჭებში. ამ მოვლენას ავტოვტომია ეწოდება.

17. სიტყვა „სტუდენტი“ ლათინური STUDEO-დან მომდინარეობს, რაც ქართულად ასე ითარგმნება: გულმოდგინედ ვმუშაობ, ბეჯითად ვმეცადინეობ.

18. ავსტრალიური ფუტკრები ნექტარს ევკალიპტის ყვავილებიდან აგროვებენ. ამის გამო, ავსტრალიელი მეფუტკრეები „მომთაბარე“ ცხოვრებას ეწევიან, რადგან ავსტრალიის სხვადასხვა რაიონში ევკალიპტი სხვადასხვა დროს ყვავის.

19. ძველ ინდოეთში ლოთობისათვის სასტიკი სასჯელი არსებობდა: ლოთს პირში გამდნარ ვერცხლს, ტყვიას ან სპილენძს ასხამდნენ.

20. პანამის არხის რაიონში ხარობს ხე, რომლის ნაყოფი მოგრძო ფორმისაა და ძალიან დიდი რაოდენობით ცხიმს შეიცავს. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ ხის ნაყოფს სანთლებად ხმარობენ.

21. ძველად აზიასა და აფრიკაში მიმდინარე ომების დროს, მტერი მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე პირველ რიგში, ფინიკის პალმებს ანადგურებდა. ამ ხეს ბევრი ხალხისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

22. ერთ-ერთმა ამერიკელმა მოსწავლემ საშინაო დავალებაში დაწერა, რომ მიგელ სერვანტესს ეკუთვნის ნაწარმოები სახელწოდებით Donkey Hote (ანუ „ვირი სახელად Hote“).

23. Hit deficit orbis („აქ მთავრდება მსოფლიო“) – ასეთი წარწერა იყო ჰიბრალტარის სრუტესთან ძველ რომაულ რუკებზე. ■

დე, საზღვარგარეთ ცხოვრობენ და მუშაობენ. ზოგმა, ამა თუ იმ ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების ნებართვაც კი მიიღო.

— თქვენ თვითონ ხშირად გიწევთ ამერიკაში ყოფნა და ალბათ იქ მცხოვრებ ქართველებსაც ხშირად ხვდებით. რას იტყვით მათზე?

— ჩემი ამერიკაში ყოფნის დროს, ერთ-ერთ ქართველ გოგონას დაეღუპა ბავშვი, რომელსაც უვლიდა. სასამართლომ დაადგინა, რომ იმ დროს, როდესაც ბავშვი კიბეზე დაგორდა, ის გოგონა ტელეფონით საუბრობდა აქაურ ახლობელთან და 20 წუთის მანძილზე, ბავშვი მეთვალყურეობის გარეშე იმყოფებოდა. ამ გოგონას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. სასჯელის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში, მან თავი მოიკლა... იყო შემთხვევაც, როდესაც აღმზრდელს სასეირნოდ გაყვანილი ბავშვი გაექცა და შეუვარდა ეზოში შემოჭრილ მანქანას, რომელსაც ბავშვის მამა მართავდა. აღარ მახსოვს, მას რამდენი წელი მიუსაჯეს... შარშან, დეკემბერში გახლდით ამერიკაში წასული. ჩემი იქ ყოფნის დროს, 28 წლის ქართველი კაცი ნაწლავების გადახლართვით გარდაიცვალა. ის ნიუ-იორკში, ბრაიტონ-ბიჩზე „ბომჟური“ ცხოვრებით ცხოვრობდა.

— იქ მცხოვრები ქართველები ერთმანეთს არ ეხმარებიან?

— ყველაზე გულსატკენი სწორედ ის არის, რომ იქ ქართველი ქართველს ერიდება, ქართველი ქართველს მტრობს!.. როდესაც შეიტყვეს, რომ ვიყავი იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც არალეგალურ მიგრაციასა და ადამიანის უფლებებს ეხება, ჩემთან მოვიდა რამდენიმე ქართველი და ასეთი რამ შემომთავაზა: ვიცი, სადაც არალეგალურად მუშაობენ ქართველები, მოდი, მათთან მივიდეთ და დავემუქროთ, რომ გამოვამზეურებთ — ფულის გადამხდელები არიანო... ასეთ რამეს როგორ კადრულობთ-მეთქი?! — შევიცხადე. ქურდობა, გაუტანლობა და საიმიგრაციო სამსახურში ერთმანეთის დაბეზღება თურმე ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა...

— რატომ იქცა პრობლემად შრომითი მიგრაციის კანონის მიღება და კიდევ — რა უნდა გააკეთოს ქართულმა მხარემ დათქმულ 90 დღეში, მდგომარეობის გამოსასწორებლად?

— სოკოებივით მომრავლებულ ტურისტულ სააგენტოებს და დასაქმების ცენტრებს საკმაოდ ძლიერი მფარველები ჰყავს პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც. სწორედ ამიტომ ჭიანურდება აღნიშნული კანონის მიღება. არადა, დროზე უნდა მივხედოთ ამ პრობლემას. ტრეფიკინგი მსოფლიოს მასშტაბით მზარდი არალეგალური ბიზნესია. ცნობილია, რომ შემოსავლებით ის უკვე ნარკოტიკებით ვაჭრობასაც აჭარბებს. პირველ რიგში, უნდა მივიღოთ კანონი ტრეფიკინგთან დაკავშირებით, რათა დამნაშავეები დაისაჯონ! არსებული პროექტის თანახმად, ადამიანის ყიდვა-გაყიდვა, 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება; თუ ადამიანით მოვაჭრე დანაშაულს ჩაიდენს შანტაჟის, მოტყუების ან ძალადობის გზით, ადამიანებს საზღვარგარეთ სხეულის რომელიმე ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის მიზნით გაიყვანს — მას 15-დან 20 წლამდე პატიმრობა ელის; თუ ტრეფიკინგით დაკავებულია ორგანიზებული ჯგუფი, საასჯელი 12-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს; მცირეწლოვანი ბავშვებით ვაჭრობისთვის კი, დამნაშავეს 8-დან 20 წლამდე პატიმრობა ელის; იმედი მაქვს, სისხლის სამართლის კოდექსში ამგვარი ცვლილებები ნაწილობრივ მაინც მოაგვარებს პრობლემებს.

თამარ დადიანი, *ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი:*

— რამდენიმე წლის წინ, ასეთი რამ მოხდა. ერთ ოჯახში სამი ულამაზესი გოგონა იზრდებოდა. უკიდურესი გაჭირვების გამო, ორმა დამ საბერძნეთში წასვლა გადაწყვიტა. სამწუხაროდ, ორივე ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა — ორივე გაიყიდა. მშობლებს ვეღარ ეკონტაქტებოდნენ და მათ იფიქრეს, რომ გოგონები დაიღუპნენ. რამდენიმე წლის შემდეგ, ერთადერთი წერილი მოუვიდა ბებიას, სადაც წერდნენ: ბებია, იცი, რა გვახსენდება? სოფელში საქონლის სადგომს როგორ ასუფთავებდი, ჩვენ კი საქონელიც აღარ ვართ, ისეთ პირობებში ვცხოვრობთ, საშინელ დღეში ვართ, ხან სად გადავყავართ და ხან — სად. ისიც კი არ ვიცით, ფასები პირდაპირ სხეულებზე გვაწერიაო... იქნებ, ყველაფერი გაყიდოთ. რაც გაქვთ, მოგვძებნოთ და როგორმე დაგვიხსნათ ამ საშინელი ყოფისგანო... ისინი დღესაც, უგზო-უკვლოდ არიან დაკარგულნი... ერთ აქაურ გოგონას თურქეთში მცხოვრები ქართველი კაცი გადაეკიდა, ეუბნებოდა: ბიზნესმენი ვარ, მინდა, დავქორწინდეთ და საზღვარგარეთ წავიდეთო. მართლაც, იქორწინეს და მალე ჰოლანდიაში გაემგზავრნენ. თურმე ბიზნესმენი კი არა, ტრეფიკერი ყოფილა. გოგონამ მისგან თავის დახსნა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა და საბოლოოდ ამ ამბავს ემსხვერპლა: ადგილობრივმა პოლიციამ შემთხვევით, იმ კაცის ნაცვლად, ის ბაღში ჩაცხრილა...

ტრეფიკინგი საქართველოშიც საკმაოდ გავრცელდა. ამ მხრივ ძალზე მძიმე მდგომარეობაა დაბა თამარისში. უკვე რამდენიმე წელია, დასავლეთ საქართველოდან ბოლნისში სასოფლო სამუშაოებზე ჩადიან ქალები, მაგრამ ამ ამბავს აშკარად ცუდი სუნი უდის. ამას წინათ მითხრეს: გამთენიისას უნდა ჩამოხვიდეთ და ნახავთ, აქ რა ცოდვის კითხვაა... თურმე იქაური აზერბაიჯანელები ისე არჩევენ მუშახელს (ქალებს), როგორც მონათმფლობელობის დროს ხდებოდა — კბილებს რომ უსინჯავდნენ. ვინც მოეწონებათ, კარტოფილის ამოსაღებად მიჰყავთ, მთელი დღე ამუშავებენ და 5 ლარს უხდიან, მერე კი, სექსუალური კონტაქტის დამყარებას აიძულებენ; ვინც არ დათანხმდება, სამუშაოს კარგავს. ჩნდებიან ბავშვებიც და რადგან ქალი ოჯახს ამას ვერ გაუმჟღავნებს, ამ ამბავს მალავს და ბევრი მათგანი მერე ბავშვს ყიდის. ეს არის სერიოზული ბიზნესი, რომლის უკანაც სერიოზული ძალები დგას. ეს პროცესი ფაქტობრივად, არცაა დამალული, მაგრამ ხმას არავინ იღებს, იმიტომ, რომ იქ დიდი თანხა ტრიალებს.

ეს ამბავიც მხოლოდ მას შემდეგ გახმაურდა, რაც სოფელ არახლოში აზერბაიჯანელმა ქალებმა მოაწყვეს აქცია, რომლის დროსაც მოითხოვეს: ეს ქალები აქედან მოაშორეთ — ქმრებს გვართმევენო!.. ამის შემდეგ, ის ქალები დაბა თამარისში გადაიყვანეს და ახლა „ცენტრმა“ იქ გადაინაცვლა. სკოლის დირექტორმა მითხრა: რომ იცოდეთ, რა პირობებში ცხოვრობენ, ღამე პირდაპირ ბეტონზე იძინებენო... ფაქტობრივად, ქვეყნის შიგნით მძვინვარებს ტრეფიკინგი! სიტუაციას არავინ აკონტროლებს და არც არავის აინტერესებს იმ ქალების ბედი. ამის შემდეგ რა პრეტენზია უნდა გამოვთქვათ უცხოელების მიმართ, რომლებსაც მოტყუებით გაჰყავთ ჩვენი თანამემამულენი საზღვარგარეთ?!. ■

ცხვირიდან თმის მოსაცილებელი აპარატი – NOSE TRIMMER

NOSE TRIMMER იდეალურია ცხვირიდან და ყურებიდან არასასურველი თმის მოსაცილებლად და ასევე წარბების კორექციისათვის. ბევრად უფრო ეფექტური, უსაფრთხო და მოსახერხებელია, ვიდრე მაკრატელი. იგი თხელი, მსუბუქი და მგზავრობისას ადვილი სატარებელია. აქვს მბრუნავი ტიპის თხელი „ბრიტვა“, მუშაობს ჩვეულებრივ **1.5V AA** ტიპის ელემენტებზე.

NOSE TRIMMER საშუალებას მოგცემთ ყოველთვის მოწესრიგებულად და კომფორტულად იგრძნოთ თავი საზოგადოებაში.

ფასი: 58 ლარი

სხეულის ცხიმიანობის ანალიზატორი – BODY FAT ANALYZER

როდესაც საუბარია ადამიანის სიმსუქნეზე, ხშირად გვავიწყდება, რომ ამ დროს შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია ორგანიზმში ცხიმიანობის შემცველობა. პოპულარულ ფორმულას - „სიმაღლე - 110 = იდეალური წონა" - უკვე დიდი ხანია აღარ ენდობიან დასავლეთში, რადგან თითოეულ ჩვენგანს აქვს განსხვავებული: ქსოვილის სიმკვრივე, კუნთების მასა, ორგანიზმში წყლის შემცველობა, და რაც მთავარია, ცხიმიანობის პროცენტი.

სხეულის ცხიმიანობის ანალიზატორი არის ძალზედ კომპაქტური, სწრაფი და ზუსტი მოწყობილობა, რომელიც სუსტი ელექტრონული იმპულსების საშუალებით დაგეხმარებათ თქვენი სხეულის ცხიმიანობის პროცენტის დადგენაში. მისი უნიკალური ფუნქციების წყალობით შესაძლებელია ზუსტად განსაზღვროთ ცხიმიანობის კოეფიციენტი თქვენს სიმაღლესთან, წონასთან, ასაკთან და სქესთან შესაბამისობაში და განსაზღვროთ თქვენთვის ინდივიდუალური, იდეალური ცხიმიანობის კოეფიციენტი, რომლის დროსაც თქვენს ჯანმრთელობას უკვე აღარ ემუქრება წონის მომატებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დაავადება.

ფასი: 58 ლარი

ელექტრონული ჭადრაკი „SABER IV"

ელექტრონული ჭადრაკი "SABER IV" უახლესი გამოგონებაა სათამაშო ჭადრაკებში, რომელიც გათვალისწინებულია ნებისმიერი ასაკისათვის. სპეციალური პროგრამა **state-of-the-art** საშუალებას იძლევა, ეთამაშოთ კომპიუტერს, როგორც ადამიანს. თქვენ აღარ გჭირდებათ მოთამაშე პარტნიორი - თქვენ ეთამაშებით ელექტრონულ ჭადრაკს, რომელსაც გააჩნია მაგნიტურ-სენსორული დაფა და თვითონ აადგილებს ფიგურებს. ელექტრონული ჭადრაკი საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ თამაშის თქვენთვის სასურველი სირთულის დონე. მას გააჩნია სირთულის 73 დონე, როგორც დამწყები, ისე პროფესიონალი მოთამაშეებისათვის. ამ თვალსაზრისით ელექტრონული ჭადრაკი წარმოადგენს იდეალურ მასწავლებელს და მეგობარს თქვენი ბავშვისათვის. მას გააჩნია დაპროგრამებული სვლების უნიკალური მოკარნახე, რომელიც აადვილებს სწავლების პროცესს და საშუალებას აძლევს ბავშვს აითვისოს ჭადრაკი და დახვეწოს თამაშის ტექნიკა. ზომები: 210 x 188 x 22 მმ. კვება: 3x"AAA"1,5 V

ფასი: 125 ლარი

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შეძენას,
დაგვიკავშირდით ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45
ან შეგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზია - **www.shopge.com**-ის
საშუალებით და ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ
მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

ვიტანჭიჭლი ბანაკები, თევზაობა და რუსი ტატანები

მამუკა ონაშვილის ცხოვრებაში

მამუკა ონაშვილი და მისი მეუღლე ირინა ჩიხლაძე უკვე 10 წელია ერთად ცხოვრობენ და როგორც თავად ამბობენ, არ ეჭვიანობენ, რადგან ენდობიან ერთმანეთს. ბაზარში სიარულიც და სახლის საქმეებიც, მათ შორის რემონტიც, ირას ეხება. მამუკას ყველაფერი გამზადებული ხვდება. თუმცა, როგორც მომღერალი ამბობს, მთავარი მაინც თავადაა, რადგან ყველაფერი მისი ფინანსებით კეთდება. ცოტა ხნის წინ ძალიან გამხდარმა მამუკამ, ახლა ისევ მოიმატა წონაში, რადგან დიეტა დაარღვია. თუმცა, ისევ მკაცრი დიეტის დაცვას აპირებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ძალიან მალე იკლებს წონაში, შედეგსაც ალბათ მალე ვიხილავთ.

ამჟამად, მამუკა ალბომის ჩასაწერად ემზადება და ახალ სიმღერებს სტუდია „ორფეოსში“ წერს. გეგმაში აქვს დუეტი მეუღლესთან ერთად. როგორ და რა საშუალებით ისვენებს მამუკა ონაშვილი, რატომ იპარებოდა პიონერთა ბანაკებიდან, რატომ მიატოვა რუსი ქალბატონი შუა ზღვაში და როდის ცეკვავს — ყველაფერ ამის შესახებ თავად გვიამბობს.

ნათია თენიეშვილი

— მამუკა, როგორც ვიცი, ირა ძალიან კარგად მღერის. რატომ არ ჩანს ის სცენაზე?

ირა:

— მე ყოველთვის ამის დიდი სურვილი მქონდა, დანარჩენზე მამუკა გიპასუხებთ.

მამუკა:

— ყველა ამას მეკითხება. მე ვფიქრობ, რომ ერთი ოჯახიდან ორი ადამიანი სცენაზე — არ გამოვა... ქართველი კაცი ვარ და ჩემი ოფოფები მაქვს — მგონი, ეს მეპატიება კიდეც... ახლა ჩავწერთ დუეტს და კლიპსაც გადავიღებთ.



— მამუკა, მოდი, დასვენების თემას შევეხოთ. მითხარით, როგორ ისვენებდით ბავშვობაში?

— პიონერთა ბანაკებში დავდიოდი. მშობლები იქ დამტოვებდნენ ხოლმე, მაგრამ ერთ კვირაში, რამდენიმე ძმაკაცთან ერთად ვიპარებოდი. მოვიდოდი სახლში და გიჟდებოდნენ. მერე, რა თქმა უნდა, უკან გვაბრუნებდნენ... ამის გარდა, თითქმის ყოველ წელს, მივდიოდით გაგრაში, ლაზარევსკოეში და ა.შ.

ირა:

— მეც ვარ პიონერთა ბანაკში ნამყოფი. ერთხელ, ჩემი და რომ დაიბადა, მაშინ გამამგზავრეს იქ. მეორედ — ჩემი ძმა რომ გაჩნდა, მაშინ.

მამუკა:

— მოკლედ, ირას თუ პიონერთა ბანაკში უშვებდნენ, ესე იგი, ოჯახში ვიღაც იბადებოდა...

ირა:

— არა, უბრალოდ დაემთხვა ასე. სხვათა შორის, ძალიან კარგად მახსენდება ახლა, ვპასტავდით ერთმანეთს და ა.შ.

მამუკა:

— ერთხელ მე და ჩემი ძმაკაცები ვფიქრობდით, რა გაგვეკეთებინა. ვიყიდეთ აფთიაქში 6 კოლოფი „პურგენი“ *(ყაბზობის საწინააღმდეგო წამალი. — ავტ.)*, სადილისთვის კისელი იხარშებოდა ხოლმე. დავფშხვენით და კისელში ჩავყარეთ. ჩვენ, ოთხ კაცს, რა თქმა უნდა, არ დაგვილევია. 15 წუთში დაცარიელდა სასადილო და „ერთ ადგილას“ რა ხდებოდა, ვერ აღგიწერთ...

— კისელი ახსენეთ და ბავშვობის დროინდელი საჭმელიც უფრო გემრიელი იყო, არა?

— დღემდე მახსოვს სკოლის სოსისის გემო. მე და ჩემი ძმაკაცები, გაკვეთილის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, რამეს დავაშავებდით, რომ კლასიდან გავეგდეთ. გვაგდებდნენ და ბუფეტშიც პირველები ჩვენ ვჩნდებოდით. ჩემს დროს, სკოლაში 10-კაპიკიანი ტალონები იყო. მთელი სემესტრისას ერთად გვაძლევდნენ და დედაჩემი ყოველ დილით ჩამომიჭრიდა ორ ცალს. ერთხელ დავინახე, სადაც ჰქონდა ტალონები დამალული და ვპარავდი. მერე ბუფეტში ქეიფს ვაწყობდით „სასისკებით“ „კორჟიკებით“ და ა.შ.

— ირა, როგორ ისვენებს მამუკა, როცა შინ საღამოს დაღლილი ბრუნდება?

— გადაწვება სავარძელზე და უყურებს ტელევიზორს. ტელევიზორი სულ ჩართული გვაქვს, რომც არ ვუყურებდეთ — მაინც. ენა რომ ჰქონდეს ტელევიზორს მეტყოდა — გამომრთეო...

— წელს სად მიდიხართ დასასვენებლად?

მამუკა:

— 10 წელია, ერთად ვცხოვრობთ და ყოველ წელს, აუცილებლად დავდივართ ზღვაზე. ირას ძალიან უყვარს ზღვა და გარუჯვა. წელსაც აუცილებლად წავალთ.

ირა:

— მამუკა პლაჟზე იშვიათად გადის. თუ გადის ქოლგის ქვეშ ზის და კარტს თამაშობს. ან დგას და ჩურჩხელებისა და სიმინდის გამყიდველებისთვის „საბაჟო“ აქვს გახსნილი: თითო გავლაზე, თითო ჩურჩხელას სთხოვს...

— მამუკა, თევზაობასთან და ნადირობასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— უჰ, თევზაობა ჩემი ჰობია. კვირას არ გამოვტოვებდით ხოლმე მე და ირა ისე რომ, სადმე ტბაზე არ წავსულიყავით. ეს „ზაგარს“ იღებდა, მე ვთევზაობდი. რამდენჯერმე, სცადა ჩემთან ერთად თევზის დაჭერა. მეც დავიჭერ თევზს — რა უნდა მაგასო?! — და რამდენჯერაც გადააგდო ანკესი, იმდენჯერ ბაყაყი დაიჭირა. მე ვუთხარი: შენ თუ მებაყაყე ხარ, არ ვიცი, ჩვენ ბაყაყებს არ ვჭამთ-მეთქი... ძირითადად, ანკესით ვთევზაობ. იყო ისეთი შემთხვევა, რომ 9 კილომდე თევზიც კი დამიჭერია. ბადის სროლას მასწავლიდნენ და კინაღამ კბილები დამძვრა: თოკი კბილებით უნდა დაიჭირო, დაკეცო, მოისროლო და ამ დროს გაუშვა. მე არ გავუშვი და კინაღამ კბილებიც გავაყოლე. რაც შეეხება ნადირობას — არ მიყვარს: მეცოდებიან ცხოველები. ერთხელ, ფოთში მე, მერაბ სეფაშვილი, პაატა კალანდაძე და კიდევ რამდენიმე მეგობარი გოჭის საყიდლად მივდიოდით. ნაბახუსევი ვიყავი, ველარ დავიმორჩილე საჭე და გზაზე გოჭს დავეჯახე. გადმოვედი. ვხედავ — ვერ არის გოჭი კარგად. გამოვარდა პატრონი: რა მიქენითო?! სწორედ გოჭის საყიდლად მივდიოდით და მიდი ახლა, სანამ არ გაცივებულა უცებ დაკალი-მეთქი. მოკლედ, წამოვიღეთ ეს გოჭი, შემოიტანეს სუფრაზე, ვქეიფობთ; ყველა შეექცევა გემრიელად და მეუბნებიან: მიდი, მამუკა, ჭამეო. ვერ შევჭამ ამას-მეთქი. — რატომო? — არ შემიძლია — ვიცნობდი-მეთქი... ძალიან ბევრი იცინეს, მაგრამ მე მართლა ვერ ვჭამე იმ გოჭის ხორცი.

— თქვენზე ამბობენ — ძალიან ბევრი სასმლის დალევა შეუძლიაო...

— ადრე, ძალიან ბევრს ვსვამდი. საერთოდ არ ვთვრები, ვერ ვთვრები. სუფრასთან უნდა მოულხინო, იქეიფო და თუ თამადა ხარ, ხალხსაც უნდა გაატარებინო დრო. სუფრა ჩემთვის დასასვენებელი ადგილია.

— ირა, მართლა არ თვრება მამუკა?

— როგორ არა?! მაგრამ არ ეტყობა, ჩვეულებრივად გამოიყურება. თუ ვინმემ გააბრაზა და წონასწორობიდან გამოიყვანა, როცა ნასვამია, თავს ვერ იკავებს. მე არ მიყვარს, როცა სვამს, იმიტომ, რომ მე თვითონ წვეთს არ ვსვამ, სუნზეც კი ცუდად ვხდები.

მამუკა:

— „დასალევი“ არც მე მიყვარს — უბრალოდ, თვითონ სუფრის სიტუაცია მომწონს.

ირა:

— თუ თბილისში ახალი რესტორანი ან კაფე გაიხსნება, მამუკა აუცილებლად მიდის — დაზვერავს, შეაფასებს და მერე მეც მივყავარ ხოლმე.

მამუკა:

— ერთხელ, ტელევიზორში პეტერბურგს აჩვენებდნენ და ირა ამბობს: რა ლამაზია ერმიტაჟი, იქ რომ ვიყავი, ამ გამოფენაზე ვიყავი და იმ სასახლეში — და ა.შ. ჰო, ძალიან მაგარი ქალაქია, იცი, რა მაგარი რესტორნებია-მეთქი! — ვუპასუხე. თბილისში სად რა ხდება, ყველაფერი კარგად ვიცი და ყველაზე დიდ ყურადღებას მომსახურებას ვაქცევ.

— მამუკა ამდენ ქეიფებზე, სუფრაზე, რესტორნებსა და ტუსოვკებზე თუ ცეკვავთ ხოლმე?

— თუ სადმე დამინახეთ, რომ ვცეკვავ, ე.ი. ძალიან მაგარი მთვრალი ვარ. ირა სულ მეუბნება ხოლმე: წამო, ვიცეკვოთო, — მაგრამ არ ვცეკვავ. თუ დაინახეთ, რომ მე და ირა ვცეკვავთ, ე.ი. მთვრალი ვარ.

— მამუკა, ზაფხულს და დასვენებას როგორც წესი, თუ სერიოზული რომანი არა, ფლირტი მაინც ახლავს ხოლმე. ხომ არ გაიხსენებთ ასეთ შემთხვევას თქვენი ცხოვრებიდან?

— კი, რა თქმა უნდა. ამას კურიოზად ვყვები ხოლმე: მე და ჩემი ძმაკაცი ჩავედით ლაზარევსკოეში და გავიცანით გოგოები — რა თქმა უნდა, რუსები. ვიქირავე წყლის ველოსიპედი და „ჩემს ქალბატონთან“ ერთად ზღვაში უნდა გავიდე. მაშინ „მამალოს“ მსგავსი, გრძელი, საწუწნი კანფეტები იყიდებოდა. ვიყიდე ეს კანფეტები და გავედით ზღვაში. ყველაფერი რიგზეა, მთავარია, შორს გავიდეთ. გავცდით ნაპირს, გახსნილი გვაქვს ეს კანფეტები და ვჭამთ. მე ხელი ჩავყავი წყალში — წავითამაშე, ასე ვთქვათ. უცებ გავიგე ჩემი ქალბატონის ამოძახილი: უიო! — მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. აი, როცა შევხედე, მერე კი ვისკუპე წყალში. თურმე ამ კანფეტს ბზიკი დააჯდა, იმან ვერ დაინახა და პირში ჩაიდო; ბზიკმა უკბინა და რამდენიმე წამში ამ გოგოს თავი ბალონივით გაუხდა. ვფიქრობდი: მე ეს ქალი არ წამომიყვანია, ეს ის არ არის-მეთქი, — და გადავხტი წყალში. მერე კი ვიფიქრე: ამას მე თუ არ ვუშველე, სადღა წავა-მეთქი?! გამოვიყვანე ნაპირზე და უმკურნალეს. ერთი თვე ველოდებოდი ჩემს ქალბატონს, როდის დაუცხრებოდა ნაკბენი. ბოლოს და ბოლოს, დაუცხრა. მერე მეუბნებოდა: შენ ჩემი გადამრჩენელი ხარო... ■

ქართველი კაცი ვარ და ჩემი ოფოფები მაქვს — მგონი, ეს მეპატიება კიდეც...



ნათესავები და ახლობლები სერიოზულად შეშფოთებულები არიან მისი პირადი ცხოვრების გამო. თითქოს პირი შეკრესო, ისე უსვამენ ერთსა და იმავე შეკითხვას: ამდენ ხანს როგორ ძლებ მარტო? ზოგიერთები საკმაოდ უტაქტოდაც მიმართავენ: „ეს ნამდვილად არ არის ნორმალური!“ თვითონ ქალი კი უკვე ველარ ხვდება, რა არის ნორმალური და რა არა, მაგრამ ერთი რამ ზუსტად იცის: სიმარტოვის გრძნობა ძალზე ჩვეულია მისთვის. უნებლიეთ ჩნდება კითხვა: რატომ ებღაუჭებიან ქალები მარტოხელობას?

ის ვარ, მაგრამ მამაკაცის მაცნობას მაინც არ ველოდ

თუკი ქალი დიდი ხნის განმავლობაში არ ქმნის ოჯახს, მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავში უნდა ეძიოს

ფაფით პირდამწვარი დოს უბერავდაო...

კრახით დამთავრებული პირველი ქორწინების შემდეგ, ოჯახის ხელმეორედ შექმნის იდეაც კი შოკში აგდებთ. ასეთი ქალები არცთუ ისე იშვიათად ხედავენ კოშმარულ სიზმრებს, სადაც ისინი კვლავ ცოლები არიან. ამ სახის იდეფიქსად გადაქცევა პრინციპში, განკურნებადია: ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ქალს მოსიყვარულე, მზრუნველი და მომთმენი პარტნიორი შეხვდება, რომელიც მას თავის წინამორბედის მიერ მიყენებულ ჭრილობებს მოუშუშებს.

დამოუკიდებელი, ძლიერი, საქმიანი

ჩვენ ირგვლივ არიან ისეთი ქალბატონები, რომლებმაც დამოუკიდებლად მოიწყვეს ცხოვრება – შეიქმნეს შესანიშნავი კარიერა, შეიძინეს საკუთარი ბინები და ქორწინების გარეშე გააჩინეს ბავშვები – თავისთვის, როგორც ისინი განმარტავენ. ენაც არ მოგიბრუნდება, მათ სუსტი სქესის წარმომადგენელი უწოდო. ისინი არა მარტო პატივისცემას, არამედ აღფრთოვანებასაც იმსახურებენ. მაგრამ, როგორც წესი, სწორედ ასეთი ქალები ხდებიან ხოლმე თავისსავე წარმატებების მსხვერპლნი. საკუთარ თავში დარწმუნებულები, ისინი ძლიერი სქესის ნებისმიერ წარმომადგენელს ზედმეტად და ხელის შემშლელადაც მიიჩნევენ იმ „სავანეში“, რომელიც თავისთვის შეიქმნეს. ამ ტიპის ქალებისთვის მხოლოდ თეორიულადაა ცნობილი ქმრის, როგორც „ოჯახის მარჩენლის“ მიმართ ტრადიციული დამოკიდებულება. „კი, მაგრამ მეც ხომ შემიძლია საკუთარი თავის იმედი და საყრდენი ვიყო, – საკმაოდ თავდაჯერებულად მსჯელობენ ისინი, – ასე რომ, მამაკაცი, რომელიც ჩემს კისერზე ზის, არცთუ ისე კარგი სამკაულია“. ამგვარ ლოგიკურ მსჯელობას ნაკლსაც ვერ მოუძებნი. მხოლოდ ერთი რამ არის ცუდი: ასე ფიქრობს ის ქალი, რომელიც მიეჩვია (თუნდაც გაუცნობიერებლად), მამაკაციც იყოს და ქალიც. ეს კი, დაგვეთანხმებით, არცთუ ისე კარგია, თუმცა საკმაოდ უტილიტარულია, როგორც ყველაფერი „ორი ერთში“.

არ გსურდეს სიყვარული – ეგოიზმია

იმ ქალთა უმეტესობა, რომელიც შეგნებულად გაურბის მამაკაცთან კავშირს, სულაც არ იტანჯება სექსუალური და ფსიქიკური გადახრებისგან. მათ ქვეცნობიერებაში პასუხისმგებლობისა და ღალატისგან გამოწვეული გულისტკივილის ან კიდევ სხვა ადამიანის გამო საკუთარ ჩვევათა დათმობის შიში ბუდობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიყვარულის ეშინიათ, რომელიც ხელოვნებაზე ნაკლებად არ მოითხოვს მსხვერპლს და მართლა შეუძლია ტკივილის მიყენება. და მაინც, თუკი თქვენ ვინმეს შეყვარება გაშინებთ, უნდა შეეგუოთ იმ არასასიამოვნო აზრს, რომ ეგოისტი ბრძანდებით. ხოლო თუ არ გსურთ ამ აზრთან შეგუება, მაშინ ნულარ დააყოვნებთ! გაიცანით მამაკაცები, შეიყვარეთ ისინი, გათხოვდით, თუნდაც ამას იმედის გაცრუება მოჰყვეს. ეს გაცილებით ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე ქალური არსის დაკარგვა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ქალი მამაკაცის ნეკნისგან შეიქმნა...

ჩვენი რჩევა:

ექიმები ირწმუნებიან, რომ სქესობრივი ცხოვრება აუცილებელია, თუმცა უამრავი ქალი ცხოვრობს ინტიმური სიახლოვის გარეშე და ამასთან, არ ავადმყოფობს. და მაინც, ურთიერთობის ამ სფეროდან სრული გამოთიშვით ქალი თავის ცხოვრებას ჰარმონიასა და გაწონასწორებულობის საშუალებას ართმევს. იგი ნერვიული და გულქვა ხდება და თანდათანობით იმად გადაიქცევა, საზოგადოებაში შინაბერას რომ ეძახიან.

საინტერესო ფაქტები

იცით თუ არა, რომ მამაკაცებს მინიმუმ 11 მიზეზი აქვთ თქვენი შეშურდეთ? გაე-

აღგილ, სადაც ხდება განბაქება	ჩემოდანი დოკუმენტებისთვის	თქმულება ღმერთებზე	ლარნაკი	ვარსკვლავის წვეტი	წუთის მესამოცედი	ევროპის ერთა ღმერთი	კონკურსის შემფასებელთა ჯგუფი		
სულხან-... ორბელიანი	პროფესიონალი ცხენოსანი	ვიტრაჟზე გაჭიმული მავთული	გამხმარი ბალახი	კამეჩის ნაშიერი	ნიადაგი	ოპტიკური მოვლენა უდაბნოში	„მაქვს ს ვერვისგან		

ცანით მათ და იამაყეთ.

● სტატისტიკის თანახმად, ქალები სულ ცოტა 5 წლით მეტს ცოცხლობენ, ვიდრე მამაკაცები და არ მელოტდებიან.

● თუ ქალი რაღაცის გამო ტირის, ჩვეულებრივ, იგი მეგობრის თანაგრძნობითა და ცხვირსახოცის არსებობით იკმაყოფილებს თავს. რამდენიმე დღეში კი მომხდარს მშვიდად ივიწყებს, მაგრამ იგივე თუ მამაკაცს დაემართა, მოუწევს მეგობრებისგან დაცინვის ატანა და შეგონების მოსმენა, რომ ფსიქოლოგს მიმართოს.

● ქალის გასამშვენიერებლად მთელი პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოება იღვწის.

● მამაკაცებს ხშირად ესირცხვილებათ დედასთან ძლიერი სიახლოვის გამოხატვა, ქალისთვის კი ეს სრულიად ნორმალურია.

● ე.წ. ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ისიც შურთ, რომ ქალი, რომელიც კომპიუტერთან მუშაობისას რაიმე პრობლემას წააწყდება, არ ეცდება მოაჩვენოს გარშემომყოფებს, რომ თვითონ გაუმკლავდება ყველაფერს.

● ქალს შეუძლია ახსნას ტორტისა და საღამოობით მშვიდად წიგნის კითხვის სიყვარული, აგრეთვე, ჰორმონალური დარღვევით გამოწვეული ცუდ ხასიათზე ყოფნა. აი, მამაკაცებს კი — არ შეუძლიათ.

● ქალს არ სჭირდება დაანახვოს ვინმეს, რომ „თამაშგარე" მდგომარეობაში ყოფნა ზუსტად იცის, რას ნიშნავს.

● ქალები ხშირად უსიტყვოდ ახერხებენ იმის გაკეთებას, რასაც მამაკაცები ათასი სიტყვის მეშვეობითაც ვერ ახერხებენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საგზაო ინსპექციის წარმომადგენელთან კონფლიქტს ეხება.

● საკმარისია, ქალი დაზიანებული მანქანიდან გადმოვიდეს და ერთხელ ასწიოს ხელი, რომ დამხმარეები იმწუთასვე გაჩნდებიან.

● ქალს თავისუფლად შეუძლია, ხელი ჩაჰკიდოს მეგობარ ქალს და მოწმეების თანდასწრებით, ლოყაზე აკოცოს ისე, რომ რეპუტაციის შელახვის არ შეეშინდეს.

● ყოველთვის მოიძებნება მამაკაცი, რომელიც ქალს კარს გაუღებს და გზას დაუთმობს, მოეხმარება პალტოს ჩაცმაში, რესტორანში დაპატიჟებს და კომპლიმენტებითაც შეამკობს. ■

დოქტორის კურსის დასრულება მკერდსავსე ქალების რეიტინგს ამცირებს...

ასეთი კანონზომიერება დაადგინეს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა, ეკონომიკური სიტუაციისა და მამაკაცთა მისწრაფებების ურთიერთკავშირის კვლევისას. ჯგუფს ტერი პეტიჯონი ხელმძღვანელობდა, რომელიც პრობლემის შესწავლისას ჟურნალ „ფლეიბოისთვის" გადაღებული მოდელების მონაცემებს ეყრდნობოდა. ფსიქოლოგებმა 4 ათეული წლის მანძილზე გამოსული ნომრების შეკვრა შეისწავლეს და საოცარი კანონზომიერება აღმოაჩინეს: ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში „ფლეიბოის" ფურცლებს თურმე გამხდარი გოგონების სურათები ამშვენებდა, მაგრამ როგორც კი იმძლავრებდა კრიზისული მოვლენები, მათ მკერდსავსე და თეძოებმომრგვალებული ლამაზმანები ცვლიდნენ. მაგალითად, ფუშფუშა გარეგნობის ანა ნიკოლ სმიტი „ფლეიბოის" სახედ 1993 წლიდან იქცა — ე.ი. სწორედ მაშინ, როცა აშშ-ის ეკონომიკა შენელებული ტემპით ვითარდებოდა.

ყველაზე პოპულარული ისევ ჯულია რობერტსია

პამელა ანდერსონი

ანალოგიური შედეგებით დასრულდა გამოკვლევა, რომლის დროსაც ფსიქოლოგები სწავლობდნენ იმ ცნობილი მსახიობი ქალების პარამეტრებს, რომლებიც პოპულარობით სარგებლობდნენ 30-იანი წლებიდან: როცა ეკონომიკა გამართული იყო, მამაკაცებს გამხდარი ქალები მოსწონდათ, დაიწყებოდა თუ არა დაცემა, მათი ყურადღების ცენტრში „სოლიდური" ფორმების ვარსკვლავები ექცეოდნენ.

მაგრამ რა არის ამის მიზეზი? რატომ ხდება, რომ ვალუტის კურსის რყევა მამაკაცების სიმპათიების ცვალებადობას იწვევს? დოქტორი პეტიჯონი მიიჩნევს, რომ აყვავების ხანაში მამაკაცები უფრო მეტად არიან დაჯერებულები საკუთარ ძალებში. აქედან გამომდინარე, ისინი ქალებთან გართობის მიზნით დაახლოებას ელტვიან და გამხდრებს ანიჭებენ უპირატესობას, მაგრამ როგორც კი მატერიალური სიძნელეები უჩნდებათ, ქვეცნობიერად „დედის ფორმების" მქონე ქალბატონებს ანიჭებენ უპირატესობას, რადგან დაცვა-მფარველობა ესაჭიროებათ...

ამჟამინდელი გამოკვლევების თანახმად, აშშ-ში ყველაზე პოპულარული მსახიობი, ჯულია რობერტსია. შედარებით ფუშფუშა ლამაზმანებმა — პამელა ანდერსონმა და ბრიტნი სპირსმა უფრო მოკრძალებულ პოზიციებზე გადაინაცვლეს. ■

...ხის ნაწილი	ბოსტნეული	მქუხარე, ხანგრძლივი ტაში	მოფარიკავის ინვენტარი	მორგეს ანბანის ნიშანი	რა ჰქვია მრავალკუთხედის გვერდების სიგრძეთა ჯამს?
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
...ელი ... „წონები"	მომღერალი ... მარგინი	სამკაციანი ანსამბლი	მამალი თხა	უარყოფითი პასუხი	მეკობრე	რა შეიძლება ვუწოდოთ ემინემს, როგორც მომღერალს	100 სმ

რატომ ვისახავთ პირჯვარს?

ეკლესიური სწავლებით, არსებობს რწმენის შინაგანი და გარეგანი გამოხატულება, რწმენის გარეგანი გამოხატულებაა, პირჯვრის გადასახვა. როდესაც ადამიანი პირჯვარს იწერს, უსიტყვოდ აღიარებს თავის სარწმუნოებას. ლოცვის დროს ხელების გამოყენება, რწმენის გამოხატვის საშუალებად, მოციქულთა დროსაც რომ არსებობდა, ამაზე პავლე მოციქულის სიტყვებიც მოწმობს: „მსურს, რომ ყველგან ილოცონ და აღაპყრონ სუფთა ხელები რისხვისა და ეჭვის გარეშე“. პირჯვრის გადასახვის წეს-ჩვეულება, რომ უძველესი დროიდან ჩამოყალიბდა ქრისტეს ეკლესიაში, მე-4 საუკუნის მოღვაწე, კირილე იერუსალიმელიც მოწმობს: „დიაღ არ გვრცხვენია ჯვრის გადასახვისა შუბლზე და ყველაფერზე...“ რატომ ვისახავთ პირჯვარს? როგორ გადავისახოთ პირჯვარი? რომელი ლოცვა უნდა წარმოვთქვათ, პირჯვრის გადასახვისას? — ამ და სხვა კითხვებს განგვიმარტავს ახალციხის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, მღვდელმონაზონი ლუკა.

შორენა მერკვილაძე

— ქრისტეს ჯვარცმამდე საოცრად მძიმე, აუტანელ და ყველაზე სასტიკ, ამავე დროს, ყველაზე დამამცირებელ, მონურ სასჯელს ჯვარზე გაკვრა წარმოადგენდა. ასეთი საშინელი სასჯელით სჯიდნენ მკვლელებს, გამცემლებს თუ სხვა უკეთურებათა ჩამდენთ. ჯვარზე სიკვდილი ყველაზე საშინელ წამებას წარმოადგენდა, ამიტომ ძველად ჯვარი ადამიანის სრული გაწირვისა და დაღუპვის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, მაგრამ მას შემდეგ, რაც ძე ღვთისამ ჯვარცმული სიკვდილით ჯვარზე მიალურსმა კაცობრიობის ცოდვები, გვიხსნა მარადიული სიკვდილისგან და დაამარცხა ეშმაკის მეუფება, ქრისტიანებისთვის ჯვარი — უდიდესი სალოცავი და სასოების მიმცემი გახდა. ჯვარი ამშვენებს ქრისტიანულ ტაძრებსა თუ სამღვდელო შესამოსელს, ჯვარს ვატარებთ გულზე, ჯვრის გადასახვით მიმდინარეობს ყველა საღვთო საიდუმლო და ვისახავთ პირჯვარს, რითაც ვადასტურებთ, რომ ჯვარცმული ქრისტეს მიმდევრები ვართ. როგორც სვიმონ ღვთისმეტყველი განმარტავს: „ქრისტიანებისთვის ჯვარი უდიდესი ძალა და დიდებაა, რადგან მთელი ჩვენი ძალა, ჯვარცმული ქრისტეს ძალაშია, ხოლო მთელი ჩვენი დიდება ქრისტეს სიმდაბლეში“. პირჯვრის გადასახვისას ასოებივით ვიწერთ სხეულზე ჩვენს სარწმუნოებას. ჯვრის გადასახვის გარეშე კი ქრისტიანი იგივეა, რაც მეომარი უიარაღოდ. პირჯვრის გადასახვა ბოროტებისგან, მათ შორის ეშმაკის ზემოქმედებისგანაც გვიცავს, რადგან ბოროტი ძალა ჯვრის აჩრდილის დანახვაზეც კი კრთის.

— ქრისტიანული თვალსაზრისით, ვინც არასწორად ისახავს პირჯვარს, ის შეურაცხყოფს ღმერთს, როგორ უნდა გადავისახოთ პირჯვარი მართებულად?

— პირჯვრის გადასახვისას მარჯვენა ხელის სამ თითს — ცერს, საჩვენებელს და შუათითს მჭიდროდ ვაერთებთ, მოხრილ არათითსა და ნეკს ვიდებთ ხელისგულზე. სამი შეერთებული თითი ჯერ მიგვაქვს შუბლთან, შემდეგ გულთან და ბოლოს მარჯვენა და მარცხენა მხართან. ერთად შეერთებული სამი თითი აღნიშნავს სამებას, რომ ღმერთი არის ერთი და თანასწორპატიოსანი სამება. ე.ი. ერთარსება ღმერთის სამგვამოვნებას მიგვანიშნებს. მოკეცილი ორი თითი, ქრისტეს ორბუნებოვნების მიმანიშნებელია — ღვთაებრივის და ადამიანურის. ხელისგული ნიშნავს დედამიწას, რომ ქრისტე დედამიწაზე მოვიდა, როგორც ღვთაებრივი, ასევე კაცური ბუნებით. თვით მოკეცვით კი, მივუთითებთ იმ სიმდაბლესა და უბრალოებაზე, რომლითაც ღმერთი მოგვევლინა დედამიწაზე. როგორც აღვნიშნეთ, შეერთებული სამი თითი ჯერ მიგვაქვს შუბლთან, რათა ღმერთმა განანათლოს ჩვენი გონება, შემდეგ გულთან, რათა უფალმა განწმინდოს ჩვენი გული და გრძნობები. მარჯვენა და მარცხენა მხართან კი — ჩვენს საქმეთა საკურთხებლად. ე.ი. პატიოსანი ჯვრის საშუალებით, ჩვენი აზრები, გრძნობები და საქმენი განიწმინდება და იკურთხება.

— რამდენად აუცილებელია, რომ პირჯვრის წერას, თან ახლდეს ლოცვა და რომელი ლოცვა უნდა წარმოვთქვათ პირჯვრის გადასახვის დროს?

— პირჯვრის წერას თან უნდა ახლდეს ლოცვა. შეიძლება ამ დროს წარმოვთქვათ „წმინდა სამების სადიდებელი ლოცვა“: „სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ“; ან „წმინდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო შემიწყალენ მე“; ასევე შეიძლება წარმოვთქვათ — „ჯვაროო პატიოსანო შემიწყალენ და დამიცავი მე“; „იესოს ლოცვა“ და სხვა. აქედან გამომდინარე, პირჯვრის გადასახვისას რომელიმე კონკრეტული ლოცვის წარმოთქმა აუცილებლობას არ წარმოადგენს, ადამიანს შეუძლია წარმოთქვას ის ლოცვა, რომელიც შინაგანად სურს. მაგალითად, წმიდა სამების სადიდებელი ლოცვის წარმოთქმისას, როდესაც სამი შეერთებული თითი შუბლთან მიგვაქვს, გულში ვამბობთ („სახელითა მამისათა“), როდესაც გულთან მიგვაქვს ვამბობთ („და ძისათა“). მარჯვენა და მარცხენა მხართან კი — („და სულისა წმიდისათა, ამინ“).

— რატომ ვიწერთ პირჯვარს მარჯვენა ხელით?

— „აღ-თუ-ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად და დავემკვიდრო მე დასასრულსა ზღვისასა. და რამეთუ მუნცა

ხელი შენი მიძღოდის მე და მარჯუენამან შენმან შემიწყნაროს მე“ (ფს. 138; 9-10). – დავით მეფსალმუნის ეს სიტყვები ადასტურებს, რომ მარჯვენის უპირატესობა „ძველი აღთქმის“ დროსაც არსებობდა. ძველი ქრისტიანები მარჯვენა ხელით იწერდნენ პირჯვარს. ამას მოწმობს წმ. იუსტინე წამებული (165 წ.). „ქრისტიანები უნდა ლოცულობდნენ სახით აღმოსავლეთისკენ, ხოლო ჯვარი უნდა გადაისახონ მარჯვენა ხელით და არა მარცხენათი, რათა უკეთ აღავლინონ ლოცვა ღმრთისადმი“.

— როდესაც ადამიანს დაზიანებული აქვს მარჯვენა ხელი, აქვს თუ არა უფლება პირჯვარი მარცხენა ხელით გადაისახოს?

– როდესაც ადამიანს მარჯვენა ხელი იმდენად დაზიანებული აქვს, რომ ვერ ახერხებს ხელის გამოყენებას, ასეთ შემთხვევაში შეუძლია პირჯვარი მარცხენა ხელით გადაისახოს ისე, რომ პირჯვრის გადაწერის მიმართულება უნდა ემთხვეოდეს მარჯვენა ხელით პირჯვრის წერას.

— როდის არის აუცილებელი პირჯვრის გადასახვა?

– როგორც აღვნიშნეთ, პირჯვრის გადასახვა ბოროტ ძალთა უკეთურ ზემოქმედებას განგვარიდებს და განსაცდელისაგან დაგვიფარავს: „ყოველთვის ჯვრით დაიბეჭდე თავი და ბოროტი ვერ შეეხება შენს სულს. ფარის ნაცვლად პატიოსანი ჯვრით აღიჭურვე, ყოველი შენი ასო და თვით გული ამ მძლავრი იარაღით დაიცავი და თუ ამას შეასრულებ, მაშინ ვერავინ ვერაფერს გავნებს“, – გვასწავლის ღირსი ეფრემ ასური. ქრისტიანმა პირჯვარი უნდა გადაისახოს ყოველი კეთილი საქმის დაწყებისას და დასრულებისას, ყოველი გასვლისა და შემოსვლის დროს, დაწოლისას და ადგომისას, დასვენებისას და მუშაობის დროს, საკვების მიღებისას, ბანაობისას, მოკლედ ყოველთვის სასურველია ქრისტიანთათვის ამ უძლეველი იარაღის გამოყენება. რაც ხშირად გადავისახავთ ჯვარს, მით მეტად ვიქნებით დაცულნი განსაცდელისგან, რამეთუ, როგორც წმინდა კირილე იერუსალიმელი ბრძანებს: „იგია დიადი მფარველი, საჩუქრად ბოძებული უმწეოთა და გაჭირვებულთა. და ეს არის მადლი უფლისა. ნიში მორწმუნეობისთვის და შიში ავი სულებისათვის“...

■

2050 წლისათვის, საქართველოს მოსახლეობა შეიძლება, განახევრდეს...

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის, კოფი ანანის მოხსენების თანახმად, 2050 წლისათვის, დედამიწის მოსახლეობა 9,3 მლრდ-ს მიაღწევს. შედარებისთვის: 2000 წელს, ჩვენს პლანეტაზე 6,1 მლრდ ადამიანი ცხოვრობდა. ამრიგად, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, დედამიწის ბინადართა რაოდენობა ყოველწლიურად, 1,2%-ით იზრდება, რაც 77 მლნ-ს შეადგენს. ნამატის ნახევარი 6 ქვეყანაზე მოდის, ესენია: ინდოეთი (21%), ჩინეთი (12%), პაკისტანი (5%), ნიგერია (4%), ბანგლადეში (4%) და ინდონეზია (3%).

აღსანიშნავია, რომ მეტად განვითარებული რეგიონების მოსახლეობა, რომელიც ამჟამად 1,2 მლრდ კაცს შეადგენს, მომავალი 50 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად არ გაიზრდება. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპაში შობადობის მაჩვენებელი იმაზე დაბალია, ვიდრე ეს მოსახლეობის მატებისთვისაა საჭირო, მისი რაოდენობა სტაბილური დარჩება, ოღონდ – იმიგრანტების ხარჯზე. ამავე დროს, XXI საუკუნის შუა პერიოდისთვის, 39 ქვეყანაში მოსახლეობის კლების ტენდენციაა მოსალოდნელი. მაგალითად, რუსეთში, საქართველოსა და უკრაინაში, სპეციალისტთა ვარაუდით, კლებამ 28-40%-ს შეიძლება მიაღწიოს, იტალიასა და უნგრეთში – 25%-ს, იაპონიასა და გერმანიაში – 14%-ს. ნაკლებად განვითარებული რეგიონების მცხოვრებნი კვლავაც განაგრძობენ აქტიურ გამრავლებას: 2000 წლის მაჩვენებელი – 4,9 მლრდ, 2050 წლისათვის 8,2 მლრდ-მდე შეიძლება გაიზარდოს.

დემოგრაფები აგრეთვე ვარაუდობენ, რომ საუკუნის შუა პერიოდისთვის, საგრძნობლად შემცირდება სხვაობა განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი რეგიონების სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლებს შორის: თუ ახლა, ის 75 წელსა და 63 წელს შეადგენს, 2050 წლისათვის, ორივე მოიმატებს და შესაბამისად, 82 წელსა და 75 წელს მიაღწევს.

სულ უფრო მზარდ საშიშროებას წარმოადგენს შიდსის ეპიდემიის სავალალო შედეგები. სპეციალისტთა შეფასებით, ამ დაავადებისგან ყველაზე მეტად დაზარალებულ ქვეყნებში უახლოესი 5 წლის მანძილზე, 15,5 მლნ ადამიანი დაიღუპება. ამავე დროს, მაღალი შობადობის წყალობით, ამ რეგიონის მოსახლეობა 115 მლნ-დან (2000 წლის მაჩვენებელი) 196 მლნ-მდე გაიზრდება.

2050 წლისათვის, ხანდაზმული (60 და მეტი წლის) ადამიანების რაოდენობა მსოფლიოში გასამმაგდება (606 მლნ-დან 2 მლრდ-მდე გაიზრდება). უფრო სწრაფი ტემპით გაიზრდება მოხუცი ადამიანების (80 წელზე უფროსი ასაკის) რიცხვი: თუ 2000 წელს, დედამიწაზე ამ ასაკის 69 მლნ ადამიანი ცხოვრობდა, 2050 წელს 379 მლნ-ს მიაღწევს. განვითარებულ ქვეყნებში 60 წელზე უფროსი ასაკის ადამიანთა რაოდენობა დაახლოებით 20%-ს შეადგენს; ეს მაჩვენებელი 33%-მდე გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულ ადამიანთა რიცხვი ამ ქვეყნებში უკვე აჭარბებს მოზარდების რაოდენობას, 2050 წლისათვის კი, თითოეულ მოზარდზე 2-2 ხნიერი ადამიანი მოვა.

80 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანთა ყველაზე დიდი რაოდენობა ამჟამად ცხოვრობს: ჩინეთში (11,2 მლნ), აშშ-ში (9,2 მლნ), ინდოეთში (6,1 მლნ), იაპონიაში (4,8 მლნ), გერმანიასა (3 მლნ) და რუსეთში (3 მლნ.).

■

„სამეფო კლუბის“ დიდი ინტრიგები კარზე

დევიდ ბექჰემის ტრანსფერთან დაკავშირებული აჟიოტაჟი თანდათან ნელდება, თუმცა მითქმა-მოთქმა მადრიდის „რეალში“ ბოლო დროს მიმდინარე პროცესების შესახებ, კვლავ არ ჩამცხრალა. ცოტა ხნის წინ სამეფო კლუბში ცოტა არ იყოს მოულოდნელად განვითარდა მოვლენები. ესპანეთის ჩემპიონატში მადრიდელთა მიერ მიღწეული წარმატების შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობამ კონტრაქტების გაგრძელებაზე უარი განუცხადა „რეალის“ მთავარ მწვრთნელს, ვისენტე დელ ბოსკეს და ცენტრალურ მცველ ფერნანდო იეროს, რამაც სამეფო კლუბის არაერთი ქომაგი შოკში ჩააგდო.

გუნდიდან ვისენტე დელ ბოსკესა და ფერნანდო იეროს გაშვება განსაკუთრებით მოულოდნელი იმის გამო აღმოჩნდა, რომ ჩემპიონთა ლიგიდან „რეალის“ გავარდნის შემდეგ, კლუბის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი ხოტბას ასხამდა მთავარ მწვრთნელსა და ვეტერან მცველს და მათი კონტრაქტების გაგრძელების თაობაზე ლაპარაკობდა: „მე მწვრთნელს აეროპორტში ვესაუბრე და მივულოცე მას (!), რადგანაც ეს ის მომენტია, როდესაც ჩვენ უფრო მეგობრულები უნდა ვიყოთ და განვამტკიცოთ ის, რაც გაგვაჩნია. დამარცხებულად თავის მიჩნევა საჭირო არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ „იუვენტუსთან“ მარცხი არც სპორტულ და არც კონტრაქტების გაგრძელებასთან დაკავშირებულ ჩვენს პოლიტიკას არ შეცვლის. დაე, ამაში ეჭვი ნურავის შეეპარება. კრიტიკულად საკუთარ თავს უნდა მივუდგეთ, თუმცა ოპტიმიზმით უნდა ვუყურეთ მომავალსაც. „რეალი“ ესპანეთის ჩემპიონატში გამარჯვებისთვის იბრძოლებს. ვიყოთ სამართლიანნი და ვაღიაროთ, რომ ჩვენ კარგი გუნდი და კარგი მწვრთნელი გვყავს. თითქმის ყოველდღე ვიმეორებ იმას, რომ დელ ბოსკესა და იეროს კონტრაქტებს განვუახლებთ. თუკი ჩვენ 15 დღის წინ მსოფლიოს საუკეთესო გუნდი ვიყავით, ამას ერთი წაგებული მატჩი ხომ არ შეცვლიდა“. ცხადია, „რეალის“ პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული ამ სიტყვების შემდეგ, საფეხბურთო სამყაროსთვის სენსაციური აღმოჩნდა ცნობა გუნდიდან დელ ბოსკესა და იეროს გაშვების შესახებ, მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის დასრულებისთანავე მოხდა, მაშინ, როდესაც „სამეფო კლუბის“ მილიონობით გულშემატკივარი პრიმერა-დივიზიონში გამარჯვებას ზეიმობდა.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ დელ ბოსკესა და იეროს „რეალიდან“ გაშვება სრულიად უცერემონიოდ მოხდა, რის შემდეგაც ესპანური გაზეთები წერდნენ – გუნდის ფანებს რიგიანად ჩემპიონატში გამარჯვების აღსანიშნავად ზეიმი და შამპანურის მირთმევაც არ აცალეს, ისე მიიღეს გამოგნებული გადაწყვეტილება. დელ ბოსკე აღშფოთებას ვერ ფარავდა იმის გამო, რომ იგი, ისე დაითხოვეს სამსახურიდან, „რეალის“ სამდივნოშიც კი არავინ მიიღო. ხოლო ფერნანდო იერომ უარი განაცხადა თავისი გამოსათხოვარი მატჩის ჩატარებაზე. არადა, 2000 წლიდან მოყოლებული, ვისენტე დელ ბოსკე ყოველ სეზონში ან ჩემპიონთა ლიგაში იმარჯვებდა, ან ესპანეთის ჩემპიონატში, რომ აღარაფერი ვთქვათ შედარებით უფრო ნაკლებად პრესტიჟული ტიტულების მოპოვებაზე. რაც შეეხება ფერნანდო იეროს, ფეხბურთის ქომაგთათვის კარგად არის ცნობილი, რომ 34 წლის მცველი ბოლო 14 წლის მანძილზე „რეალის“ ნამდვილი სიმბოლო იყო და კლუბთან ერთად განიცდიდა აღმასვლასა და დაცემას.

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის დასრულების შემდეგ, როდესაც „რეალის“ ქომაგები საყვარელი გუნდის კიდევ ერთხელ გაჩემპიონებას ზეიმობდნენ, იეროს, კლუბის ხელმძღვანელობა გაუკრიტიკებია. ამბობენ, რომ სწორედ ეს ფაქტი გახდა გუნდიდან მცველის დათხოვნის ერთ-ერთი მიზეზი, თუმცა ფეხბურთის არაერთი სპეციალისტისა და გულშემატკივრის აზრით, ფერნანდოს გაშვება შემადგენლობიდან სრულიად კანონზომიერი იყო, რადგან იგი ასაკის გამო სრულფასოვნად ვეღარ ასრულებდა თავის მოვალეობას მოედანზე. „ფერნანდოს რჩევა, რომ საჭირო იყო კურსის შეცვლა, კარგად გავიგე, – ამბობს „რეალის“ სპორტული დირექტორი, ხორხე ვალდანო, – იერო უკვე თავისი კარიერის ფინალურ სტადიაზე იმყოფება და არ მსურს, რომ ყველამ კონცენტრირება მის გამონათქვამებზე გავაკეთოთ. არ შეიძლება, რომ ადამიანი, რომელმაც 14 წელი გაატარა კლუბში და დიდი ხნის მანძილზე გუნდის ლიდერი იყო, მხოლოდ ერთი ღამის ეპიზოდით დაგვამახსოვრდეს“.

თავად ფერნანდო იეროს, როგორც ჩანს, წყენამ უკვე გადაუარა, ყოველ შემთხვევაში, იგი ძალიან მკვეთრ განცხადებებს აღარ აკეთებს. „არ ვიცი რატომ, მაგრამ

ვალდანო და პერესი

იმ დღეს მე რაღაც წინათგრძნობა მქონდა. მწვრთნელმა 93-ე წუთზე შემცვალა, ხალხი ტრიბუნებზე ჩემს სახელს გაჰყვიროდა. შემდეგ ზეიმმა ქუჩაში გადაინაცვლა და ქალაქი ავტობუსით ჩემს ვაჟიშვილთან ერთად შემოვიარე, რომელიც ყველაფრის მოწმე გახდა. ბოლო ტურის მსვლელობისას ვხვდებოდი, რომ ეს ჩემი კარიერის დასასრული იყო „რეალში". თითქოს „ამის სუნი" ჰაერში ტრიალებდა. როდესაც ცოტა ხნის შემდეგ ჩემმა ვაჟიშვილმა გაიგო, რომ მე „რეალში" აღარ ვითამაშებდი, მახსოვს, მკითხა: „მამა, ამჟამად რომელ გუნდში ვართ ჩვენ?" მე ვუპასუხე: „შეხედე შვილო, მამა ყოველთვის იყო, არის და იქნება „მადრიდისტი". ეს ჩვენი გუნდია მთელი ცხოვრების მანძილზე." მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მსოფლიოს ნომერ პირველი კლუბიდან, რომელშიც 14 წელი გავატარე, სიამაყის გრძნობით აღვსილი მივდივარ. ამ კლუბის მაისურისა და გერბის ღირსების დაცვა მომიხდა 500 მატჩში, რომელთაგან 200-ზე მეტი „სანტიაგო ბერნაბეუზე" მაქვს ჩატარებული... ყველა ჩემი სიზმარი ახდა. „რეალი" ჩემს ცხოვრებად, სახლად, ოჯახად იქცა. მე მას მთელი ჩემი ძალა და ენერგია შევალიე. მე მას მივეცი ყველაფერი, რაც კი მქონდა", – ამბობს ფერნანდო იერო, რომლის თანაგუნდელებიც ერთობლივი მოთხოვნის წამოყენებასაც კი აპირებდნენ „რეალში" მისი და დელ ბოსკეს დასაბრუნებლად. ის კი არა და, ამ მოვლენას მაშინ თვით მადრიდელთა მიერ ახალშეძენილი დევიდ ბექჰემიც გამოეხმაურა (რომელიც იმ პერიოდში ვიქტორია ადამსთან ერთად იაპონიაში იმყოფებოდა) და განაცხადა, რომ „სამეფო კლუბის" მესვეურთა გადაწყვეტილებით შოკირებული იყო. „მე ასე არ ვფიქრობ, – ამბობს თავად იერო, – „რეალი" ყველა ჩვენგანზე მაღლა დგას. მე მხოლოდ ერთ-ერთი ფეხბურთელი ვარ, რომელიც გუნდიდან მიდის. ცხოვრება კი გრძელდება. ასეთია სპორტი. მოვა სხვა, რომელიც მოედანზე ჩემს ადგილს დაიკავებს. „რეალის" 4-ნომრიანი მაისური გერბით – ეს ყველაფერი კლუბს ეკუთვნის და არა მე ან სხვა რომელიმე ფეხბურთელს. მიუხედავად ამისა, მივიჩნევ, რომ იმ საღამოს სწორად მოვიქეცი. ეს სიფიცხე არ ყოფილა. ყველაფერს ნათლად ვაცნობიერებდი. რაც მე გავაკეთე, გახლდათ ის, რომ ჩემი მეგობრები დავიცავი. როგორც კაპიტანი, მე ხომ კოლექტივს წარმოვადგენდი. „რეალის" გასახდელში დიქტატურა არ სუფევს და ერთი რომელიმე ადამიანი არ მბრძანებლობს, არც თავის მოსაზრებებს ახვევს თავს სხვებს. როდესაც კაპიტანი ხარ, ისიც უნდა გაითავისო, რომ გუნდს წარმოადგენ. ჩემს სპორტულ ცხოვრებაში პირადი ანგარება არასოდეს მამოძრავებდა, მხოლოდ ჩემი მეგობრების ინტერესებს ვიცავდი და ამ მხრივ, გუნდთანაც და საკუთარ თავთანაც მართალი ვარ. უკვე ერთი თვის წინ ვიცოდი, რომ „რეალში" თამაშს აღარ გავაგრძელებდი. ვიცოდი რაღაც დეტალებით, კომენტარებიდან გამომდინარე, მაგრამ გუნდისთვის ზიანის მიყენება არ მსურდა და იგი საფრთხეში არ ჩამიგდია," – ამბობს ფერნანდო იერო, რომელიც უკვე ფიქრობს კარიერის სხვა კლუბში გაგრძელებაზე: „ყველაფერი უახლოეს მომავალში გადაწყდება. რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება მაქვს, მაგრამ კარგად დაფიქრებაა საჭირო. ჩემი კარიერის ფინალური სტადია ახლოვდება და შეცდომის დაშვება არ მსურს".

ფერნანდო იეროს ადგილი გუნდში უკვე დაიკავა მილიტომ. როგორც ცნობილია, დიდხანს არც მთავარი მწვრთნელის პოსტი დარჩენილა ვაკანტური. იგი პორტუგალიელმა კარლუშ კეირუშმა დაიკავა, რომელიც მანამდე „მანჩესტერ იუნაიტედში" ალექს ფერგიუსონის თანაშემწე გახლდათ. დიდი ამოცანის წინაშე

იერო 14 წლის მანძილზე „რეალოს" სიმბოლო იყო...

დგას პორტუგალიელი სპეციალისტი. ხუმრობა ხომ არ არის, მან ვისენტე დელ ბოსკეს მიღწევები კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესოს. თანაც მსოფლიო ვარსკვლავებით დაკომპლექტებულ გუნდს ისე უნდა უხელმძღვანელოს, რომ არც ერთი მათგანი არ დატოვოს უკმაყოფილო.

ამას წინათ, „რეალის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გააფორმა Audi-სთან. ამიერიდან გუნდის მოთამაშები ვალდებულნი იქნებიან, რომ ვარჯიშებზე და ოფიციალურ შეხვედრებზე სწორედ ამ მარკის ავტომობილებით იარონ. „ზოგიერთმა უკვე ისარგებლა ახალი მანქანით, – ამბობს ფლორენტინო პერესი, – ბექჰემი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც Audi-ს საჭეს მიუჯდა. ჩემს ფირმაში ამ ავტომობილით ხშირად დავდივართ და მას მეც ვიყენებ".

რაც შეეხება დევიდ ბექჰემს, როგორც უკვე ცნობილია, იგი „რეალში" 23-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. აი, რას ამბობს ამის შესახებ ხორხე ვალდანო: „მან განაცხადა, რომ 7-ნომრიანი მაისური მოსწონდა. თუმცა იგი არასოდეს მოუთხოვია. ჩვენ 4 და 23-ნომრიან მაისურზე ვისაუბრეთ. მან რჩევა მკითხა, მე კი, მივუგე, რომ უპირატესობას „კლასიკურ" ნომრებს ვანიჭებ – 1-დან 11-მდე, თუმცა ისიც მესმის, რომ ეს კონცეფცია უკვე შეიცვალა და დღევანდელი ქომაგის ცნობიერება ადვილად მიიღებს სხვა ნომრებსაც. მან თქვა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას დაყოვნება არ სურდა. ბოლოს, საქმეში მისი მეუღლე ჩაერია და რაღაც ამგვარი დასძინა: „ჯორდანი 23-ნომრიანი მაისურით თამაშისას ცუდად არ გრძნობდა თავს..." არ შეიძლებოდა, მას არ დავთანხმებოდით. ბექჰემმა შემომხედა და თქვა: „მაშ 23-ს ვირჩევ". ეს ნომერი სპორტის ლეგენდასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ბექჰემს სხვა ნომრიანი მაისურითაც კარგად მიიღებდა მაყურებელი". ■

სარეკლამო სკანდალით დაწყებული, „თეთრი ყვავის“ კარიერა

მომავალი მსახიობი 1977 წლის 14 აპრილს, ნიუ-იორკში დაიბადა. ბავშვობაში ფოტოჟურნალისტობაზე ოცნებობდა. მაგრამ შემთხვევითობის წყალობით, ის პატარაობიდანვე სარეკლამო რგოლში აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ მისი პირველივე ნამუშევარი სკანდალით აღინიშნა. რეკლამა „ბურგერ კინგის“ კაფეების ქსელის დაკვეთით გადაიღეს. ეკრანზე ჩნდებოდა სარა, რომელიც ყიდულობდა ბურგერებს და ჩაკბეჩისთანავე ამბობდა: „მაკდონალდსში“, „ბურგერ კინგთან“ შედარებით, 20%-ით ნაკლებ ხორცს დებენ“. ნორჩ ტელევარსკვლავს აზრადაც არ მოსვლია, რომ კონკურენტი ფირმის დისკრედიტაცია სარეკლამო კანონით აკრძალული იყო, უფროსებმა კი, როგორც ჩანს, შეგნებულად დაარღვიეს კანონი... ასეა თუ ისე, საქმე სასამართლომდე მივიდა, რომელიც 1982 წელს შედგა. სარა მოწმედ ჰყავდათ გამოძახებული. სკანდალს კი, „ბურგერების ომის“ სახელით მოიხსენიებდნენ.

ამის შემდეგ, გელარი ასზე მეტ სარეკლამო რგოლში გადასაღებად მიიწვიეს. ის ძალზე პოპულარული გახდა. თუმცა, ამის გამო თანაკლასელებთან ურთიერთობები გაურთულდა. საქმე ის გახლავთ, რომ სარას მშობლები მაშინ გაიყარნენ, როცა ის 8 წლის იყო. იმ დროიდან მოყოლებული, ნებისმიერ შეკითხვას მამასთან დაკავშირებით ის უარყოფითად პასუხობდა. „მე მამა არა მყავს!“ – უკმეხად ამბობდა ხოლმე გოგონა. დედას კი, საბავშვო ბაღის მასწავლებელს, რომელსაც მარტოს მოუხდა ბავშვის აღზრდა, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ქალიშვილისთვის საუკეთესო განათლება მიეცა და მან სარა ძვირად ღირებულ სკოლაში შეიყვანა. ხელმოკლეობის გამო, მის შვილს აბუჩად იგდებდნენ. ბუნებრივია, როცა გოგონამ წარმატებას მიაღწია, ეს გარშემომყოფებმა გამოწვევად აღიქვეს. დედას ის სასინჯ გადაღებებზე დაჰყავდა და მალე სარა გადაიღეს ტელესერიალებში: „ბრუკლინის ხიდის გავლით“, „მხიარული ფერმა“, „ბლეირის ქვრივი“. განსაკუთრებული წარმატება სწორედ უკანასკნელმა სურათმა მოუტანა, რომელშიც ის მეთიუ ბროდერიკსა და ერიკ შტოლცს უწევდა პარტნიორობას.

სარა ფიგურული სრიალითაც იყო გატაცებული და ნიუ-იორკის შეჯიბრებაზე მე-3 ადგილიც დაიკავა. ამ ყველაფრის გამო, ის ძალზე ემადლიერება დედას და მას ყველაზე საოცარ ადამიანად მიიჩნევს, ვინც კი ოდესმე შეხვედრია ცხოვრებაში.

მალე გელარი სხვა სკოლაში გადავიდა, სადაც მსახიობების, მომღერლებისა და სპორტსმენების შვილები სწავლობდნენ. ის იქაც წააწყდა წინააღმდეგობებს იმის გამო, რომ მოდიდან გამოსულ კაბებს იცვამდა და ქალაქგარეთ აგარაკი არ ჰქონდა. ამასობაში, სარამ თეატრალურ მინისერიალში – „ქალბატონი, რომელსაც ჯეკი ჰქვია“ – ითამაშა და ძალიან განიცდიდა, რომ ეს სპექტაკლი ბროდვეიზე ვერ მოხვდა. რაც შეეხება სწავლას, მან ცოტა ხანში ისევ გამოიცვალა სკოლა, მალე შეეჩვია ახალ გარემოს და ტეკვონდოს სწავლა დაიწყო და ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ ყავისფერი ქამარი მიანიჭეს.

1993 წელს, სერიალში – „ყველა ჩემი ბავშვი“ – სარამ განასახიერა კენდალ ჰარტი – გოგონა, რომელიც ვერაფრით პოულობს საერთო ენას დედასთან. მსახიობი სინამდვილეშიც ვერაფრით შეეგუა დედის როლის შემსრულებელ მსახიობს – სიუზან ლუჩის, რის გამოც, სერიალი მიატოვა. 1994 წელს, ამ სერიალში განსახიერებული პერსონაჟისთვის ის, როგორც საუკეთესო დამწყები მსახიობი, „ემის“ ნომინაციაზე წარადგინეს. თუმცა, ეს ჯილდო მან მომდევნო – 1995 წელს მიიღო.

მორიგი სერიალისთვის მას ტეკვონდოში ვარჯიში გამოადგა. გელარმა სერიალში – „ბაფი – ვამპირების გამანადგურებელი“ – მთავარი როლი შეასრულა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ სერიალმა აქცია გელარი სახელგანთქმულ მსახიობად. სიუჟეტის მიხედვით, მისი გმირი არაადამიანური წარმოშობის არსებებს ებრძვის. „სცენარი იმდენად კარგად იყო დაწერილი, რომ სურვილი გამიჩნდა, რომელიმე როლი შემესრულებინა“, – იხსენებს სარა. თავდაპირველად ის მართლაც ასრულებდა „რაღაც“ როლს, მაგრამ შემდეგ, ცოტა არ იყოს, გაკადნიერდა და განაცხადა: „მინდა, ბაფი ვიყო!“ გასაუბრებაზე მან რამდენჯერმე წაიკითხა ტექსტი. თავიდან, პროდიუსერებს მოეჩვენათ, რომ მთავარი როლისთვის ის საკმაოდ გამოუცდელი იყო. მაგრამ ცოტა ხანში, კვლავ გამოიძახეს და ტექსტის განმეორებით წაკითხვა შესთავაზეს. სარა უეცრად გაცხარდა: „აღარ შემიძლია

წაკითხვა – თქვენ მე დამცინით!..“ – და ისტერიკა დაემართა. სამაგიეროდ... სასურველი როლი მიიღო. ბაფი – ძალზე არაორდინარული გოგონაა. მას თანაკლასელები არ წყალობენ, აბუჩად იგდებენ, ამდენად, ფილმი უნებლიეთ, მის სკოლის დროინდელ ცხოვრებასთან ასოციაციებს იწვევს, სადაც სარა „თეთრი ყვავისა“ და „საძაგელი ჭუკის“ ნაზავს წარმოადგენდა...

სერიალი საკმაო პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ მოულოდნელად, ტელეკომპანიის – WB Network ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა „ბაფის“ მეხუთე სეზონის სერიების ეთერში ჩვენებაზე. ეს დაკავშირებული იყო კოლუმბიის სკოლაში მომხდარ ტრაგედიასთან, რომლის დროსაც, ორმა მოზარდმა ცეცხლსასროლი იარაღით ჯერ თანაკლასელები დაცხრილა და შემდეგ, თავიც მოიკლა. მაყურებლის აზრით, მსგავსი სერიალები მაპროვოცირებლად მოქმედებს მოზარდებზე და სისასტიკისაკენ უბიძგებს მათ. „იცით, ყველაზე მეტად რა მაცოფებს? – კითხულობს სარა და თვითონვე პასუხობს: – ის, რომ ეს ადამიანები ტელევიზიას ამორალობაში სდებენ ბრალს, თითქოს ის ბავშვებს, ცუდი რჩევების გარდა, არაფერს აძლევდეს. მათ არ ესმით, რომ ტელევიზია – მხოლოდ და მხოლოდ გართობაა!“ ტელესერიალმა სხვა არხზე – UPN-ზე გადაინაცვლა. ეს სხვა მხრივაც დაძაბულ პერიოდს დაემთხვა. გადაღებებზე გელარი ძლიერ იღლებოდა. როგორც თვითონ აღნიშნავს, დღეში 22-საათიანი მუშაობა უხდებოდა. ერთხელ, თურმე გადასაღებ მოედანზე მიეჩქარებოდა, შინიდან გამოვარდა, საჭეს მიუჯდა და მანქანა გააქანა. „უცებ შევნიშნე, რომ

მანქანებიდან მძღოლები უცნაურად მაკვირდებოდნენ და ხითხითებდნენ, ხოლო როცა სტუდიასთან გავჩერდი, მაშინღა მივხვდი, რომ პერანგის ამარა ვყოფილვარ...“

ცოტა ხანში, სარა კიდევ უფრო დაიტვირთა ფილმში – „ვიცი, რა ჩაიდინეთ გასულ ზაფხულს“, რომელშიც მსახიობს კვლავ საბრძოლო ხელოვნების გამოყენება მოუხდა. ამ სურათში ნათამაშები როლისთვის გელარმა 2 ჯილდო მიიღო: პრიზი „მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის“ საშინელებათა სპეციალურ კონკურსზე და MTV-ს პრიზი – „წლის აღმოჩენა“.

სარა ამბობს, რომ ბავშვობაში, საშინელებათა ფილმებს ვერ იტანდა. შიშისაგან აკვიატებული ჰქონდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მისი ოთახის კედელზე ადამიანი-ობობა ჩამოცოცდებოდა და სადღაც წაათრევდა. ხოლო „კრავთა დუმილის“ ნახვის შემდეგ, ძილი გაუტყდა. არადა, ფილმში – „კივილი 2“ – მის გმირსაც კლავენ. ამის გამო, სარა მისთვის ჩვეული იუმორით ამბობს: „ჩემს გმირს საშინელებათა ფილმებში ყოველთვის კლავენ. სურვილი მქონდა, ეს მკვლელობა რაც შეიძლება ამაზრზენი ფორმით განხორციელებულიყო – მაგალითად, ისე, რომ სხეულის გასისხლიანებული ნაწილები მთელ გადასაღებ მოედანზე მიმოფანტათ...“

გელარის მომდევნო ნამუშევარი – რომანტიკული კომედია „უბრალოდ, უძლეველი“ კომერციული თვალსაზრისით, ისეთი წარმატებული ვერ აღმოჩნდა, როგორიც „საშინელებები“. ცოტა ხნის წინ კი, ის „სასტიკ ზრახვებში“ გადაიღეს, რომელიც 1782 წელს დაწერილი რომანის „სახიფათო კავშირების“ მეოთხე რიმეიქია. ფილმის სცენარისტი და რეჟისორი როჯერ კემბლი, მისი თქმით, ეძებდა გლენ კლოუზს, ოღონდ მასზე 30 წლით უმცროსს – და არჩევანი სარაზე შეაჩერა. გელარსაც მოეწონა მისთვის შემოთავაზებული როლი. გადაღებების შემდეგ, ფილმის პრომოუშენის მიზნით ის სამოგზაუროდ წავიდა და დღეში 60-მდე ინტერვიუს აძლევდა. ერთხელ, ჟურნალისტებთან ურთიერთობის შემდეგ, მან თავის მენეჯერს უთხრა: „ვფიქრობ, ამით ყველაფერი დასრულდა. ახლა თავისუფლად შემიძლია, შინისაკენ გავემგზავრო და... გარდავიცვალო!“

„სასტიკ ზრახვებში“ შესრულებული როლისთვის გელარმა MTV-ს ორი ჯილდო მიიღო: „ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის“ და „საუკეთესო კოცნა“.

სარა მიშელ გელარი საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა. 1976 წელს, ის ცნობილი საერთაშორისო ქრისტიანული ორგანიზაციის – Habital for Humanity International დასახმარებლად დომინიკელთა რესპუბლიკაშიც იყო ჩასული და ქალაქ ბარაონში შეკრებილი, სახელგანთქმული ადამიანების ინიციატივით უპოვართა სახლების მშენებლობის დაწყების ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. ამით მსახიობმა „მაგალითი მისცა თავის ფანებს“ – ასეთი კი, ნამდვილად ბევრია. რომ არა ისინი, ჟურნალ „ტაიმის“ აზრით, გელარი ჟურნალ „ფიფლის“ სიაში 1998 წლის პლანეტის ულამაზეს ადამიანთა შორის მე-8 ადგილს ვერ დაიკავებდა. ისიც საეჭვოა, რომ TV Guide 4 კატეგორიაში მიანიჭებდა პირველობას: „ყველაზე სექსუალური“, „ყველაზე დახვეწილი“, „საუკეთესო ახალგაზრდა გმირი“ და „საუკეთესო ქალი“, ხოლო FHM Online „მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ქალთა“ შორის მესამე ადგილს მიაკუთვნებდა...

2002 წლის ზაფხულში, მსახიობის მონაწილეობით ეკრანებზე კიდევ ერთი ახალი ფილმი – „სკუბი-დუ“ გამოვიდა. ფილმი 70-იანი წლების ამერიკის ძალზე პოპულარული მულტფილმის მოტივზე შეიქმნა. სიუჟეტი ოთხი მეგობრისა და ძაღლის თავგადასავალზეა აგებული. ამ ფილმში სარა თავის საქმროსთან – ფრედი პრინცთან ერთად მონაწილეობს. სარას თქმით, ის ძალიან ჰგავს თავის გმირს – დაფნის: „დაფნი ისეთივე შეუპოვარი და ენერგიულია, როგორიც ვარ“. ამას გარდა, მე და ფრედის ერთმანეთისადმი ნაზი გრძნობების თამაში არ მოგვიხდა, რათა რომანტიკული სცენები უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო – ჩვენ მხოლოდ ის უნდა გამოგვეხატა, რასაც სინამდვილეში

განვიცდიდით...“ ფილმის რეჟისორის, რაჯა გოსნელის თქმით, ეს შემთხვევით არ მომხდარა, რადგან ის სპეციალურად ეძებდა „რეალურ ჰოლივუდურ წყვილს“. 2001 წლის 14 აპრილს, როცა სარას 24 წელი შეუსრულდა, წყვილმა ოფიციალურად გამოაცხადა დაქორწინების განზრახვის თაობაზე და წლინახევრის შემდეგ, შეულლდა კიდეც. ცერემონიას, რომელიც მექსიკაში გაიმართა, 50-მდე ნათესავი და ახლო მეგობარი ესწრებოდა.

2003 წლის დამდეგს, გელარმა სერიალ „ბაფის“ მიტოვება გადაწყვიტა, თებერვალში კი, მის დასრულებაზე ალაპარაკდნენ. „ბაფის“ ფინალური ეპიზოდები ეთერში 2003 წლის მაისში UPN-ის არხზე უჩვენეს. თვით სარამ თავისი გადაწყვეტილება ასე განმარტა: „ყოველთვის ნერვიულობ იმაზე, მომაბეზრებელი ხომ არ ხდება შოუ – განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი საკულტო ჰიტად ქცეულა... ამიტომაც, წარმატების პერიოდი რომ დაგვეწყო, ვიფიქრე: სწორედ ახლა უნდა წავიდე – როცა მწვერვალზე ვიმყოფებით...“

ყველაზე მეტად, სარას პირად ცხოვრებაზე არ უყვარს ლაპარაკი. ის წუხს, რომ პოპულარობის ზრდა მასზე უარყოფითად მოქმედებს, ვეღარ იძენს ახალ მეგობრებს და ძველებთანაც ვეღარ ახერხებს ურთიერთობას (ეშინია, ვარსკვლავისთვის დამახასიათებელი დაავადების სიმპტომები არ გაუჩნდეს). ის უმეტესად, ცნობილი ადამიანების გარემოცვაში იმყოფება. მსახიობი ამბობს, რომ განსაკუთრებით ნიჭიერი ადამიანებისკენ მიილტვის და საკუთარი თავიც ასეთად მიაჩნია.

■

ფედერერს ჯულიეტამ თავსატესი გაუჩინა

უიმბლდონის ტურნირზე გამარჯვებული როჟე ფედერერი ერთი „დიდი პრობლემის“ წინაშე აღმოჩნდა – მან არ იცის, სად წაიყვანოს პრიზად მიღებული ძროხა, რომელსაც ჯულიეტა ჰქვია. ამ „გამოუვალ“ სიტუაციაში შვეიცარიელი ჩოგანი თანამემამულეებმა, ტურნირის – Swiss Open ორგანიზატორებმა ჩააყენეს, როდესაც უიმბლდონში გამარჯვებისათვის 800 კგ-იანი პირუტყვი აჩუქეს. „ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო სიურპრიზია, მაგრამ არ ვიცი, რა მოვუხერხო მას. შეიძლება, უკეთესი იყოს, რომ იგი მთაში გავგზავნო, სადაც თავს უკეთესად იგრძნობს, ვიდრე ბაზელის ქუჩებში...“ – ამბობს ფედერერი, რომელიც თავისი პირუტყვისთვის სახელის შეცვლასაც აპირებს. დოკუმენტების თანახმად, მას ჯულიეტა ჰქვია, მაგრამ ფედერერს სურს, რომ ამიერიდან, უიმბლდონი დაუძახოს... უჩვეულო სიურპრიზის ავტორებმა ბოლოს გადაწყვიტეს, პრობლემა მოეხსნათ ჩოგბურთელისთვის და ჯულიეტა ქალაქ გშტაადში მდებარე ფერმაში დაეტოვებინათ, თან დასძინეს: როჟეს მთელი ცხოვრების მანძილზე, საუკეთესო შვეიცარიულ ყველს არ მოვაკლებთო... ■

სასიათთან შეუსამამი სექსუალური ძალადობა

ცნობილ კალათბურთელს, კობი ბრაიანტს ერთ-ერთ ამერიკულ სასტუმროში დროის ტარების შემდეგ, ქალის გაუპატიურებაში დასდეს ბრალი. იმისათვის, რომ პოლიციიდან გამოეშვათ, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ვარსკვლავმა გირაოს სახით 25 ათასი დოლარი გადაიხადა. 24 წლის ბრაიანტს უკვე წაუყენეს „სექსუალური ძალადობის“ ბრალდება. ამ ინციდენტის გამოძიება კვლავაც გრძელდება. „ლეიკერსის“ გენერალურმა მენეჯერმა, მიჩ კუპჩაკმა კი განაცხადა, რომ ეს ამბავი სრულიად შეუსაბამოა კობის ხასიათთან, რადგან ეს მოთამაშე 7 წლის მანძილზე, „ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა კაცის“ სახელით სარგებლობდა გუნდში. გაცნობებთ, რომ კობი ბრაიანტი 2001 წლის აპრილში 18 წლის ვანესა ლეინზე დაქორწინდა. 2003 წლის იანვარში კი, წყვილს ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც ნატალი დაარქვეს. გასულ საკალათბურთო სეზონში მიღწეული შედეგებით ბრაიანტი მეორე ადგილზე გავიდა NBA-ში: იგი მატჩში საშუალოდ, 30 ქულას აგროვებდა – 6,9 მოხსნას და 5,9 გადაცემას ახერხებდა. გარდა ამისა, თებერვალში ცხრა მატჩის განმავლობაში მან ზედიზედ 40-40 და ზოგჯერ უფრო მეტი ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ 2002-03 წლების სეზონში კობიმ ყველა – 82-ვე მატჩში მიიღო მონაწილეობა. ■

სასჯელი მარიხუანის შენახვისათვის

NBA-ს მოთამაშეთა ასოციაცია მზად არის, დაიცვას დეიმონ სტადემაირი, თუკი მისი კლუბი, „პორტლენდი“ თავის მუქარას შეასრულებს და კალათბურთელს 250 ათასი დოლარით დააჯარიმებს იმის გამო, რომ მას 42 გრამი მარიხუანა აღმოუჩინეს. სტადემაირს 2002 წლიდან ეს ბრალდება უკვე მესამედ წაუყენეს, მაგრამ NBA-სა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის გაფორმებულ შეთანხმებაში ასეთი შემთხვევა გათვალისწინებული არ არის – იქ მხოლოდ ორი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელია განსაზღვრული: კალათბურთელი, რომელსაც პირველად ამხელენ მარიხუანის მოხმარებაში, ვალდებულია, სპეციალური ანტინარკოტიკული კურსი ჩაიტაროს, მეორე დარღვევისთვის კი, 15 ათასი დოლარით ჯარიმდება და ანტინარკოტიკულ კურსსაც გაივლის. ■

ბატიგოლი ნაკრებს გამოეთხოვა, თუმცა...

არგენტინელებმა მსოფლიო ჩემპიონატში პირველი გამარჯვებიდან 25 წლისთავი იზეიმეს. ამ თარიღთან დაკავშირებით ბუენოს-აირესში გაიმართა მატჩი, რომელშიც ერთმანეთს 1978 წლის მუნდიალის მონაწილე და ამჟამინდელი ლეგიონერი არგენტინელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდები შეხვდნენ. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს ლეგიონერებმა, რომელთა შორისაც ორჯერ გამოიჩინა თავი გაბრიელ ბატისტუტამ, ხოლო არიელ არტეგამ 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორთა კარში 3 გოლი გაიტანა. მატჩის წინ კი, არგენტინის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 78 შეხვედრაში გატანილი 57 გოლისთვის ბატიგოლს სპეციალური პრიზი გადასცეს, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობისას მაინცდამაინც არ გაუმართლა. ბატისტუტასთვის შედარებით წარმატებული, 1998 წლის მუნდიალი აღმოჩნდა, რომელზეც თეთრ-ცისფერმაისურიანები მეოთხედფინალამდე მივიდნენ. გაბრიელ ბატისტუტა აცხადებს, რომ იგი ამიერიდან ნაკრებში აღარ ითამაშებს. „ვფიქრობ, ნაკრების მაისურში ვეღარასოდეს მიხილავთ, თუმცა, თუკი ფორმაში ვიქნები – ვნახოთ... “ – ამბობს ბატიგოლი, რომელიც მომავალ ორ წელიწადს კატარში გააატარებს.

სამორანო დასაჯეს

ამას წინათ, „კობრეოლამ“ ანგარიშით 4:0 დაამარცხა „კოლო-კოლო“ და ჩილეს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. თუმცა, ამ შეხვედრაში ადგილი ჰქონდა ინციდენტს, რომლის დროსაც „კოლო-კოლოს“ მოთამაშეები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მსაჯებს და მზად იყვნენ, ფიზიკურადაც გასწორებოდნენ მათ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ „კობრეოლამ“ თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა მესამე გოლი. განსაკუთრებულად „კოლო-კოლოს“ რიგებში ივან სამორანო, მარკოს ვილიასეკი და მიგელ რიფო აქტიურობდნენ. ამის გამო ჩილეს ფეხბურთის ასოციაციამ მადრიდის „რეალისა“ და მილანის „ინტერის“ ყოფილ გოლეადორს 11-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ხოლო ვილიასეკსა და რიფოს, შესაბამისად – 4 და 3-მატჩიანი.

ბლატერი ახალი ინიციატივით გამოდის

ფიფას პრეზიდენტმა, იოზეფ ბლატერმა სურვილი გამოთქვა, რომ ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირებში ბრიტანულმა ქვეყნებმა გაერთიანებული გუნდით მიიღონ მონაწილეობა ისევე, როგორც სპორტის სხვა სახეობებში. ასეთი რამ 1968 წლის შემდეგ აღარ მომხდარა. ინგლისის, შოტლანდიის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და უელსის ფეხბურთელთა ერთ გუნდად გამოსვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუკი 2012 წლის ოლიმპიადას არა მოსკოვი, არამედ ლონდონი უმასპინძლებს. „თუ ოლიმპიური თამაშები ლონდონში გაიმართება, ცუდი არ იქნებოდა, რომ იქ საერთო ბრიტანული გუნდი გვეხილა, – აცხადებს ბლატერი, – არის სხვა ვარიანტიც: ჩვენ ოთხი ნაკრების მონაწილეობით სპეციალური შესარჩევი ტურნირის ჩატარება შეგვიძლია, რომელში გამარჯვებულიც ოლიმპიადაზე ბრიტანეთს წარმოადგენს. ფიფასთვის საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა, ეს შოტლანდია იქნება, ჩრდილოეთ ირლანდია, უელსი, ინგლისი თუ გაერთიანებული ბრიტანული გუნდი“. როგორც უკვე მოგახსენეთ, გაერთიანებული ნაკრებით ბრიტანელები 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობდნენ და მაშინ ისინი პირველსავე სტადიაზე დამარცხდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან. საერთოდ, ბრიტანულ გუნდს სამჯერ აქვს მოგებული ოლიმპიადა – 1900, 1908 და 1912 წლებში. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ეს ოთხი ქვეყანა ერთიანი გუნდით აღარ გამოდიოდა გასული საუკუნის სამოციან წლების შემდეგ, გახლდათ შიში იმისა, რომ შეიძლებოდა, სხვა ქვეყნებს უფრო სერიოზულ საფეხბურთო ტურნირებზე – მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზეც – ერთიანი ბრიტანეთის გუნდის გამოსვლა მოეთხოვათ, რადგან გაერთიანებული სამეფოს გუნდებს მეტისმეტად ბევრი ადგილი მიაქვთ, რომელიც მაღალი რანგის შეჯიბრებებში სხვა ქვეყნებს შეეძლოთ დაეკავებინათ...

ლოპესი „ვალენსიაში“ დაბრუნდა

„ვალენსიამ“ არგენტინელი თავდამსხმელის, კლაუდიო ლოპესის უკან დასაბრუნებლად, „ლაციოს“ 5,9 მლნ გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. მოგეხსენებათ, რომაული კლუბი მძიმე ფინანსურ კრიზისში იმყოფება, რამაც კლუბის ხელმძღვანელობას არგენტინელი ფორვარდის გაყიდვისკენ უბიძგა. სხვათა შორის, ლოპესი გაცილებით წარმატებულად ასპარეზობდა რამდენიმე წლის წინ, როდესაც „ვალენსიის“ ღირსებას იცავდა.

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-28

მომავალ ჟურნალისტ დეა ავალიანს კანონიერი ქურდი გიგოლა გასაქანს არ აძლევს. დეას ძმაც, მკვლელობისთვის ნასამართლევი თემო, გიგოლას უბამს მხარს, რადგან მისგან ძალიან დავალებულია.

თავად დეას საზღვარგარეთ იძულებით გადახვეწილი ბიზნესმენი გურამ ოდიშელიძე მოსწონს, ამიტომ გიგოლას ყველანაირად ერიდება, თანაკურსელ კახა ჯღარკავას უაზრო ტორღიალს კი, საერთოდ არაფრად აგდებს.

კახას, სრულიად უდანაშაულო ბიჭი შემოაკვდება. დეა მის საწინააღმდეგო ჩვენებას მისცემს და კახას მამას — სკანდალურად ცნობილ პარლამენტარ გიზო ჯღარკავას სერიოზულად გადაიკიდებს.

დეას დედა — ელენე, ყველანაირად ცდილობს შვილის საფრთხისგან დაცვას. მაგრამ ქალი ლოგინადაა ჩავარდნილი, მალე გარდაიცვლება კიდეც და დეა მკაცრი რეალობის პირისპირ სრულიად მარტო აღმოჩნდება.

გიგოლა დეას მდგომარეობით სარგებლობს და ყველა ღონეს ხმარობს, რომ თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. მალე დეას რედაქცია, სადაც ის უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად მუშაობს, მივლინებით მოსკოვში გააგზავნის. გიგოლა თვითმფრინავის რეისს დაადგენს და მოსკოვში ჩასულ დეას ჯერ პირდაპირ ტრაპთან დახვდება, მოგვიანებით კი, იმდენად დაახვევს თავბრუს, რომ ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიგორებს...

დეა ახალ მდგომარეობას ვერ ეგუება. ამიტომ უცებ, თბილისში დაბრუნებას გადაწყვეტს და გიგოლას, სასტუმროდან აეროპორტში გაეპარება. მაგრამ გიგოლა ამჯერად, უკვე თვითმფრინავში დაადგება თავზე, თბილისში ჩასვლის შემდეგ კი, შინაც სასწრაფოდ მიაკითხავს: ნარკოტიკების გასაღების გამო ჩავვარდი, ეჭვი შენზეც აქვთ, ამიტომ ცოტა ხნით, მოსკოვში უნდა გადახვიდეო.

მოსკოვში იძულებით ჩასულ დეას, აეროპორტში, გიგოლას ძმაკაცის ნაცვლად, ვილაც სხვა, ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი მამაკაცი ხვდება. ის გიგოლას მოსკოველი საყვარლის, ელა ინწკირველის ვაჟი — დიმა დიბროვი აღმოჩნდება. დიმა დედამისისა და გიგოლას ურთიერთობის ამბავს დეას ჯერ კიდევ გზაში, თითქმის სრულიად დაუფიქრებლად გაანდობს.

დეა გიგოლას საყვარლის სახლს დამფრთხალი უახლოვდება... მაგრამ გიგოლას საყვარელი ელა საკმაოდ მიმზიდველი და გულისხმიერი ქალი აღმოჩნდება. ის დეას კარგად მიიღებს და როცა შეამჩნევს, რომ დიმას და დეას ერთმანეთი მოსწონთ, ახალგაზრდებს ყველანაირად უწყობს ხელს დაახლოებაში...

რესტორანში გულიანად მოლხენის შემდეგ, დიმამ და მისმა დაქალ-ძმაკაცებმა ღამის ბარში წასვლა გადაწყვიტეს. ახალგაზრდებმა ელაც დაპატიჟეს, მაგრამ მან თავი ძალიან შორს დაიჭირა: რაღა დროს ჩემი ღამის ბარებში სიარულიაო?!

— კარგი მაშინ, — დაეთანხმა დიმა დედას, — სახლამდე მიგაცილებთ... და ბარში მერე წავალთ...

— როგორც შენ იტყვი, შვილო, — შუბლზე ჩამოშლილი, ჯიუტი ქოჩორი ხელით გადაუვარცხნა ელამ შვილს, — დღეს ხომ შენი დღეა!

ამის შემდეგ, ახალგაზრდები თავ-თავიანთ მანქანებში გადანაწილდნენ. თავის მანქანაში, ელასა და დეას გარდა, დიმამ ის გრძელფეხება ლამაზმანიც ჩაისვა, რომელიც მთელი ღამე გვერდიდან ვერაფრით მოიშორა. წინა სავარძელში ელა მოკალათდა, დეას კი უკან, გრძელფეხებას გვერდით მოუხდა დაჯდომა.

გზაში დიმა ენას წამითაც არ აჩერებდა, ანეკდოტს ანეკდოტზე ჰყვებოდა და თან, დეას სარკეში მალიმალ უკრავდა თვალს. მაგრამ დეას მის ხუმრობაზე არც კი გაღიმებია, ელა და გრძელფეხება კი, მართლაც, გულიანად იცინოდნენ...

ამასობაში ელას სახლიც გამოჩნდა. დიმამ მანქანა სადარბაზოსთან გააჩერა, სწრაფად გადახტა და დედას კარი გამოუღო. ელამ პატარა გოგოსავით მკვირცხლად ისკუპა მანქანიდან, შვილს ხელკავი გამოსდო და მასთან ერთად კიბეზე აირბინა. სანამ დიმა კარამდე მიაცილებდა ელას, მანქანიდან დეაც გადმოვიდა და დედა-შვილს გამოუდგა. დიმამ უკან მოიხედა.

— კი, მაგრამ შენ სადღა მოდიხარ? — ჰკითხა მან დეას.

— მეც ელა დეიდასთან დავრჩები, —

მშვიდად უპასუხა დეამ.

— გაგიჟდი?! — სათქმელი ვეღარ მოზომა გაღიზიანებულმა დიმამ. — ბარში წასვლა მარტო შენი გულისთვის გადავწყვიტე, თორემ, ამ გიჟებს ყოველდღე ვხედავ. თანაც, უკვე ისე დავიღალე, რომ მეშინია, „რულზე“ არ ჩამომეძინოს...

— დიმა, არ შემშალო! — იკივლა უცბად ელამ. — თუ ასე გეძინება, გაუშვი ეგ სულელი გოგო ტაქსით და შენც ჩვენთან დარჩი!

— არა, — ამოიოხრა დიმამ. — ახლა ნამდვილად უხერხულია. ამ ბოზანდარას დედაც ვატირე, მაგრამ დანარჩენების მერიდება, იტყვიან, ქვეშიდან გამოვიდაო... იქნებ, მაინც, წამოსულიყავი, ჰა?! — მიუბრუნდა ის დეას და ისეთი მავედრებელი თვალებით შეხედა, რომ ქალს გულში რაღაც ჩასწყდა.

— არ შემიძლია... — უმწეოდ აიჩეჩა მან მხრები. — ძალიან გვიანია, უკვე მეც ლამის ზეზეურად მძინავს...

— კარგი, მაშინ რა გაეწყობა... — ჩაიბურდღუნა დიმამ, კიბე კისრისტეხით ჩაირბინა და რამდენიმე წამში, ცოფიანივით მოსწყვიტა მანქანა ადგილიდან...

— როგორ გამწარდა ჩემი ბიჭი... მოუკვდეს დედა... — მოსახვევში ღმუილით გამავალ მანქანას სევდიანად გააყოლა ელამ თვალი. — წაჰყოლოდი, რა იქნებოდა...

— ძალიან დავიღალე... — უპასუხა დეამ და თავი ჩაქინდრა.

— რა დროს შენი დაღლაა?! — გაღიზიანდა ელა. — ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე ხარ. ახლა უნდა მოასწრო ყველაფერი, თორემ, ქმარ-შვილი რომ დაგეხვევა, თავის მოსაფხანადაც ვეღარ მოიცლი...

— არ დამეხვევა... — ხმა თითქმის ჩაუწყდა დეას.

ელამ სადარბაზოს კარი გამოაღო და დეა წინ გაატარა, შემდეგ, თითი დააჭირა ძველებური ლიფტის ღილაკს და განაგრძო:

— რას ნიშნავს, არ დაგეხვევა?! შენ რა, მონაზვნობას ხომ არ აპირებ?

— არა, მონაზვნობას ნამდვილად ვერ შევძლებ... — გულახდილად აღიარა დეამ.

— არცაა საჭირო! — მაშინვე გახალისდა ელა. — შენ ჯერ კაცის გემო არ იცი და ამიტომაც ხარ ასეთი ინერტული თუ რაღაცნაირი... განყენებული. მაგრამ მოვა დრო და...

— არ მოვა! — ისევ იუარა დეამ.

— მოვა, მოვა! — მხარზე ხელი მეგობრულად მოუტყაპუნა ელამ. — მარტოს დიდხანს ვინ დაგტოვებს?!. ისე, მგონი, შორს წასვლა აღარც დაგჭირდება: ხომ ხედავ, ჩემი დიმა რა დღეშია, როგორ გიყურებს?!. ეგ ჯერ ასე არავისზე გადარეულა... გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი — შენც ხომ მოგწონს ჩემი ბიჭი?

ლიფტიდან გამოსულმა დეამ გულზე ხელი მართლა დაიდო და სევდიანად გაიღიმა:

— კი... მომწონს...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! — საკეტში გასაღები გადაატრიალა ელამ და საკუთარი ბინის კარი ხმაურით შეაღო. — მაშინ, როგორც რუსები იტყვიან, дело в шляпе — მაგრამ ნეტავ, სამზარეულოში შუქი რომელს დაგვრჩა ანთებული?..

— მგონი, ონკანიც მოშვებულია... — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა დეამ. — გესმით, წყალი როგორ ჩხრიალებს?..

— აუ, თუ მეზობლებს ჩაუვიდა, დავიღუპე და ეგ არის! ნამდვილად გადამასახლებენ! — შეიცხადა ელამ, შემდეგ სწრაფად გაიძრო ძვირფასი ქურქი, შემოსასვლელში მდგარ სკამზე დაუდევრად მიაგდო და სამზარეულოსკენ გაქანდა, მაგრამ კართან მისვლისთანავე გაშეშდა:

— შე-ენ?.. კი, მაგრამ როდის ჩამოხვედი?..

— ზუსტად ხუთი საათის წინ, — მოისმა გიგოლას ყრუ ხმა, რომლის გაგონებაზეც დეა შიშით გვერდზე გადაქანდა.

— მერე მთელი ხუთი საათი აქ ზიხარ? — გაუკვირდა ელას.

— არა. ნახევარი საათის წინ მოვედი. მანამდე საქმეები მქონდა, — უხალისოდ უპასუხა გიგოლამ და შემდეგ კითხვა იქით შეუბრუნა: — დეა მოიყვანე?

— აბა, ქუჩაში ხომ არ დავტოვებდი?! — გაუკვირდა ელას და შემდეგ, დეას გასძახა: — დეა, მოდი ერთი ნახე, რა სტუმარი გვყავს...

— ახლავე... — ძლივსღა ამოღერღა დეამ, შემდეგ პალტო და ჩექმები რის ვაი-ვაგლახით გაიხადა, ფეხები „ჩუსტებში“ წაყო, კარში გახიდულ ელას მიუახლოვდა და სამზარეულოში მის მხარს ზემოდან გადაიხედა.

მაგიდას, მოღუშული და წვერმოშვებული გიგოლა უჯდა და სიგარეტს ნერვიულად ეწეოდა.

— კი, მაგრამ... — დოინჯი შემოიყარა ახლა უკვე სასიამოვნოდ დაბნეულმა ელამ. — არ შეგეძლო, წინასწარ დაგერეკა?.. მე მაინც დაგხვდებოდი სახლში...

— არ შემეძლო.. — უხალისოდ უპასუხა გიგოლამ, ელას მხარს ამოფარებულ დეას ჯიქურ გადახედა და ისევ ელას მიმართა: — შემოუშვი ეგ გოგო. ხომ ხედავ, თვალებად იქცა, მგონი, მოჩვენება ვგონივარ...

— ისე, მართლა მოჩვენებასავით კი გამოგვეცხადე... — როგორც იქნა, განზე გადგა ელა და გზა დაუთმო დეას. — რას შვრები? როგორა ხარ?

— ვა-არ, რა... — ზლაზვნით წამოდგა გიგოლა და ელას უხალისოდ გადაეხვია, თან დეასთვის თვალი წამითაც არ მოუშორებია.

ელა მთელი ტანით აეკრა გიგოლას და თავი მის მკერდში ჩამალა, მაგრამ კაცმა დეასთვის ხელის გაწვდენა მაინც მოახერხა:

— გამარჯობა, პატარავ, როგორა ხარ?

— ვა-არ, რა... — გამოაჯავრა დეამ, შემდეგ წამით ჩაფიქრდა და გიგოლას ხელი მერეღა ჩამოართვა.

— კარგად უნდა იყო... — ხელზე ხელი ვნებიანად მოუჭირა გიგოლამ და თვალებში გამომცდელად ჩახედა: — არა მგონია, ამ სახლში რამე გაგჭირვებოდა...

— ნამდვილად, არაფერი გამჭირვებია... — ხელი თითქმის ძალით გამოჰგლიჯა დეამ.

— ნეტავ, რომელ გაჭირვებაზე ლაპარაკობ?!. — როგორც იქნა, მოსცილდა ელა გიგოლას. — საკუთარი შვილივით ვუფრთხილდებოდი... ასე არ არის, ბავშვო? — მიუბრუნდა ის დეას.

— ნამდვილად ასეა... — ნერვიულად წაიჩურჩულა დეამ.

— რა ხმა ჩაგიწყდა? — გაუკვირდა ელას. — მგონი, ეს კაცი მართლა გაშინებს...

— არა, რატომ უნდა მაშინებდეს? — წამოჭარხლდა დეა.

— აბა, ახლავე დასხედით და ანგარიში ჩამაბარეთ, სად იყავით? — უცბად ბრძანება გასცა გიგოლამ.

— სად და საუკეთესო რესტორანში, — ამაყად უპასუხა ელამ.

— რესტორანში რაღა გინდოდათ?

— შენ რა — მართლა არ გახსოვს, დღეს რა დღეა? — ხმაში წყენა დაეტყო ელას, მაგრამ მაგიდასთან მაინც მორჩილად ჩამოჯდა.

— არა... რა ხდება? — დაინტერესდა გიგოლა.

— უკვე მოხდა, თანაც — მთელი ოცდაოთხი წლის წინ...

— აღარ მეტყვი, ასეთი რა მოხდა?

— რა და ჩემი ბიჭი დაიბადა, — საბოლოოდ განაწყენდა ელა. — ერთხელ

მაინც როგორ არ უნდა გაგახსენდეს და ტელეფონით მაინც მიულოცო...

— მაპატიე... — თვალები დამნაშავესავით დახარა გიგოლამ. — ნამდვილად არ გამხსენებია... ტოლიკას ამბავმა ტვინი ამირია...

— ჰო, მართლა, ახალი ხომ არაფერი გაგიგია? — დაინტერესდა ელა.

— გავიგე, მაგრამ მერე გეტყვი... — კედელთან ობოლი ბავშვივით ატუზულ დეაზე თვალით ანიშნა გიგოლამ და შემდეგ, პირდაპირ დეას მიმართა: — დაჯექი-მეთქი, არ დაიღალე?

— დაიღალა რომელია?! — დეას მაგივრად უპასუხა ელამ. — იცი, რამდენი ეხვეწა დიმა, ჩემთან ერთად ბარშიც წამოდიო, მაგრამ არ წაჰყვა...

— კარგი უქნია, — მაშინვე შეაგება გიგოლამ, — ვიცი მე აქაური ღამის ბარები: ათიდან ცხრა, ბოზებისა და ნარკომანების ბუდეა და მეტი არაფერი... რა უნდა იქ წესიერ გოგოს?!.

— ნამდვილი აზიატი ხარ, ამიტომ, ამ საკითხზე შენთან კამათს აზრი არა აქვს... — ფეხზე წამოდგა ელა და გაზქურაზე ჩაიდანი შედგა. — მოდი, ჩაი დავლიოთ და დავწვეთ, ხვალ ადრე ვარ ასადგომი.

— ხვალ მეც დილიდანვე უნდა გავიდე საქმეებზე... — კვერი დაუკრა გიგოლამ. — ამიტომ, მოდი, ჯერ ლოგინი გამიშალე და ჩაის მერე მიხედე...

— შენ არ დალევ? — გაუკვირდა ელას.

— არა. ზედმეტი ოფლის მოდენის ხასიათზე ახლა ნაღდად არა ვარ...

— აბა რის ხასიათზე ხარ? — მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა ელამ და ტუჩები ნდომით მოილოკა.

— ხომ გითხარი — ძილის-მეთქი! — შეუღრინა გიგოლამ.

— მერე?.. დაგავიწყდა, სად იძინებ ხოლმე?.. რა ლოგინის გაშლა აგიტყდა?! — გაღიზიანდა ელა.

— არ დამვიწყებია, მაგრამ ამაღამ, შუა ოთახში მარტომ უნდა დავიძინო... — როგორც იქნა, ამოღერღა გიგოლამ.

— შუა ოთახში?.. მარტომ?.. — გაოგნდა ელა.

— მე დაგტოვებთ! — ფეხზე წამოხტა დეა. — ღამე მშვიდობისა...

— მოიცა! — შეაჩერა დეა ელამ. — თუ ასე ნებავს ამ ვაჟბატონს, თავის ლოგინს მართლა შუა ოთახში გამოვუთრევ და ახლავე მოვბრუნდები... შენ ჩაის მიხედე...

როგორც კი ელა სამზარეულოდან გავიდა, გიგოლამ დეას მკლავში ხელი წაავლო და სკამზე ძალით დასვა:

— იცი, როგორ მომენატრე?!. — დაიწყო მან.

— არ ვიცი და არც მაინტერესებს, — ბრაზიანად უპასუხა დეამ.

— სამაგიეროდ, მე მაინტერესებს, — მკლავზე ხელი ნელ-ნელა ჩამოაყოლა გიგოლამ და ხელისგულზე ნაზად აკოცა.

დეამ მაშინვე გაიბრძოლა, მაგრამ ხელი ვერაფრით გაითავისუფლა.

— გამიშვი... — ციებიანივით აჩურჩულდა ის. — შეიძლება, ყოველ წუთას შემოვიდეს...

— მერედა, შენ ეს ძალიან გაღელვებს? — ირონიულად გაეღიმა გიგოლას.

— კი... მაღელვებს...

— მე კი, მარტო შენ მაღელვებ... — ხელზე ხელი მთელი ძალით მოუჭირა გიგოლამ.

დეას ტკივილისგან ყრუ კვნესა აღმოხდა, მაგრამ მაინც გაუძალიანდა:

— გამიშვი, თორემ ვიკივლებ!

— იკივლე, რა... — სახეზე ღიმილი აღარ შორდებოდა გიგოლას.

— ელა დეიდა! — კივილს მართლა აღარაფერი დააკლო დეამ.

გიგოლამ მაშინვე ცივად უშვა დეას ხელი და სწორედ იმწუთას, ელას საძინებლის კარიც გახმაურდა. დეამ ისარგებლა და სამზარეულოდან ფეთიანივით გავარდა.

— რა იყო, ბავშვო, რა გაყვირებს? — ჰკითხა დერეფანში გამოსულმა ელამ დეას.

— არაფერი... უბრალოდ, ვიფიქრე, ლოგინის გაშლაში მეც მივეხმარები-მეთქი... — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად უპასუხა დეამ.

— კარგს იზამ... აჰა, შენ თეთრეული. ზეწარი გაშალე და ბალიშს პირი შემოაკარი, მე კი საბანს მოვიტან, — დაყაბულდა ელა...

დილით, ახალგაღვიძებულ დეას ყავის სასიამოვნო სურნელი ეცა და მაშინვე თავადაც სიამოვნებით გაიზმორა. შემდეგ ფეხზე წამოხტა და ოდნავ გამოღებულ კარს ყური მიადო. სამზარეულოდან ჭურჭლის ხმაური და გიგოლასა და ელას ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი ისმოდა. დეამ სიტყვები ვერ გაარჩია, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ კარგა ხნის უნახავი საყვარლები რაღაცაზე კამათობდნენ.

დეა კარს მოსცილდა და ისევ ლოგინში ჩაწოლა დააპირა, მაგრამ უცბად, სარკეში საკუთარ ორეულს მოჰკრა თვალი და შეჩერდა: სიფრიფანა ღამის პერანგის ქვეშ მისი თითქმის უნაკლო სხეული საკმაოდ გამომწვევად ილანდებოდა. მკერდი საგრძნობლად შევსებოდა, თეძოები, მართალია, სულ ოდნავ, მაგრამ მაინც ქალურად დამრგვალებოდა, მთელ სხეულში კი, აქამდე სრულიად უცნობი და საოცრად სასიამოვნო ჟრუანტელიც უვლიდა...

— მგონი, ნელ-ნელა, თანაც, „უკანონოდაც“ ვქალდები... — თავისთვის წაიჩურჩულა მან, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, იქვე, სავარძელში მიგდებულ ხალათს დასწვდა, სწრაფად შემოიცვა და სამზარეულოში გავიდა.

თავდახრილი გიგოლა ისევ იმ ადგილზე იჯდა და ყავის ფინჯნიდან ამომავალ ორთქლს ისე გულმოდგინედ აკვირდებოდა, თითქოს აქამდე, მსგავსი არაფერი ენახა. ონკანთან მდგარი ელა კი, ჭურჭელს რეცხავდა და საწურზე ხმაურით აწყობდა. უცბად, ელამ კარისკენ გამოიხედა და გახარებულმა შესძახა:

— აი, დეიკოც გამოგვეცხადა... როგორ გეძინა, ბავშვო?

— კარგად... — უპასუხა დეამ და კარის ჩარჩოს მიადო ლოყა.

გიგოლამ თავი ნელ-ნელა ასწია, დეას ბრაზიანი მზერა ესროლა და ისე ჰკითხა:

— მაშინ ამ დილაადრიან რაღას წამოხტი? ცუდი სიზმარი ნახე?

— სიზმარი საერთოდ არ მინახავს, — მშვიდად მიუგო დეამ. — ადგომით კი, ყოველთვის ადრე ვდგები: დედამ მიმაჩვია...

— მე კი დიმას ვერაფერი მოვუხერხე... — მაშინვე გამოეხმაურა ელა. — იქნებ, შენ დაგიჯეროს, დეიკო და მერე მაინც ადგეს ხოლმე ცოტა ადრე, თორემ...

— დიმას ადგომა-დაწოლათან დეას რა ესაქმება?! — შეუღრინა გიგოლამ. — ხანდახან მაინც თუ უფიქრდები, რაებს ლაპარაკობ?!

— შენ წარმოიდგინე, ვუფიქრდები და ზოგჯერ, თავში გენიალური აზრიც კი მომდის ხოლმე, — ამაყად გამოუცხადა ელამ.

— მაინც, რა? — აგდებულად ჰკითხა გიგოლამ.

— რა და დეას და დიმას ერთმანეთი უკვე ძალიან მოსწონთ და არც მე ვარ წინააღმდეგი...

— არც იფიქრო! — კბილები გაახრჭიალა გაცოფებულმა გიგოლამ.

— ვითომ, რატომ არ უნდა ვიფიქრო? — გიგოლას გაცოფება არაფრად ჩააგდო ელამ.

— იმიტომ, რომ დეას ოფიციალური საქმრო ჰყავს!

— მართლა?.. — დაიბნა ელა და ისე

შეხედა დეას, თითქოს დახმარებას სთხოვდა. — კი, მაგრამ დეამ რომ მითხრა, ჯერ არავინ მიყვარსო?..

— მერედა ვინ გითხრა, რომ უყვარს?! — კბილებში გამოცრა გიგოლამ.

— აბა, საქმრო როგორღა ჰყავს?.. რომელი საუკუნეა?.. — უკან მაინც აღარ დაიხია ელამ. — თუ ამ გოგოს არ უყვარს, მაშინ...

— საქმროს უყვარს! — უცბად, სახეზე ყველა კუნთი ნერვიულად აუთამაშდა გიგოლას და თვალი თვალში გაუყარა დეას. — თანაც — ძალიან!.. დანარჩენს დრო გვიჩვენებს...

— დეა, შენც ასე ფიქრობ? — მიუბრუნდა დეას საბოლოოდ საქციელწამხდარი ელა, მაგრამ დეას ხმა საერთოდ არ ამოუღია...

— კარგი... — აქამდე ყურთასმენისწამღებად მოჩხრიალე ონკანი უცბად დაკეტა ელამ. — ჩემი სამსახურში წასვლის დროა...

— ჰო... ცოტა ხანში, მეც გავალ... — ფეხზე წამოდგა გიგოლა.

— რამდენ ხანში? — მაშინვე გამოცოცხლდა ელა. — თუ გინდა, დაგელოდები და ერთად გავიდეთ...

— არა. ჯერ თბილისიდან უნდა დამირეკონ...

— მერე რა პრობლემაა? მობილურზე ვერ დაგირეკავენ?

— მობილური თბილისში დამრჩა, ახლის ყიდვა კი, ვერ მოვასწარი... კიდევ კარგი, რომ შენი ბინის ნომერი მაინც ჩავაწერინე, თორემ საერთოდ ვერ მომძებნიდნენ...

ელას შინიდან გასვლა და გიგოლას გახელება ერთი იყო — ის მაშინვე დეასთან გაჩნდა, გულში ჩაიკრა და გაშმაგებულმა კოცნა დაუწყო. დეა ერთი კი გაუძალიანდა, მაგრამ მერე, მთელ სხეულში იმდენად სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა, რომ მაშინვე თვალები მილულა...

გიგოლამ ჯერ დეას კოცნით იჯერა გული, შემდეგ ხელში აიტაცა, შუა ოთახში შეარბენინა და ტახტზე გაშლილ ლოგინზე მიაწვინა. მაგრამ უცბად, დეამ ერთი ძალუმად გაიბრძოლა, გიგოლას მკლავებიდან თავი გაითავისუფლა და ლოგინიდან დაფეთებული წამოხტა:

— არა, არა! არ მომეკარო!

— რა გეცა? — გაოცდა გიგოლა.

მაგრამ აკანკალებულ დეას არაფერი უპასუხია. მოღეღილი გულისპირი სასწრაფოდ გაისწორა და კედელს აეკრა. მარტო დარჩენილი გიგოლა კი, ტახტზე გულაღმა დაწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და კარგა ხანს, ასე ათვალიერებდა დეას. მერე ფეხზე წამოდგა, სიგარეტს მოუკიდა და გემრიელი ნაფაზის შემდეგ, კვამლი რგოლებად გამოუშვა, თან წამითაც არ აშორებდა დეას თვალს.

— რაღაც არ მომწონხარ... — დაიწყო მან შემდეგ. — მგონი, სულ მთლად გაგარეულდი...

— მოშინაურებული როდისღა გყავდი?! — ბრაზიანად ჰკითხა დეამ.

— ყოველ შემთხვევაში, ჩემი შეხება ზიზღს არ გგვრიდა. ის კი არადა, ერთიორჯერ შენც კარგად ამყევი...

— რა ვქენი? — ბოლო სიტყვა ვერ გაიგონა დეამ.

— ალერსზე ალერსით მიპასუხე-მეთქი... — განუმარტა გიგოლამ. — თუ აღარ გახსოვს?..

დეა ბავშვივით გაწითლდა და თვალები დახარა:

— სამწუხაროდ, ყველაფერი მახსოვს... — წაიჩურჩულა მან. — ზიზღით კი, პირველ რიგში, შენი ვერაგობა და თვალთმაქცობა მეზიზღება...

— რა-რა და შენთან ნამდვილად არ მითვალთმაქცია...

— ნამდვილად? — ჩაეკითხა დეა. — მაშ, თუ ეგრეა, ელას არსებობაზე რატომ არაფერი მითხარი? თვითმფრინავში რომ მსვამდი, მაშინ მაინც გაგეფრთხილებინე, რომ შენს საყვარელთან მაგზავნიდი...

— მე ელასთან შენს გამოგზავნას არ ვაპირებდი, უბრალოდ, სიტუაცია აირია და სხვა გზა აღარ მქონდა...

— მაინც რა მოხდა? ისეთი რა გამოუხტა შენს ტოლიკას, აეროპორტამდე რომ ვერაფრით მოაღწია?!.

— რა და... ტყვია...

— რა ტყვია? — ვერ გაიგო დეამ.

— შენ რომ მოსკოვში გაგზავნიდი, იმ დღეს, ტოლიკა სწორედ იმ სასტუმროს წინ ჩაცხრილეს, რომელშიც შენთვის ნომერი უნდა „დაებრონა“...

— რა-ა? — სკამზე მოცელილივით დაეცა დეა. — ვინ ჩაცხრილა? რატომ?..

— ჯერ ზუსტად არ ვიცი... — ამოიოხრა გიგოლამ. — იმდენი ქენი, მაინც მათქმევინე ყველაფერი...

— ელამ იცის?

— კი.

— დიმამ?

— არა.

— ესე იგი, „ბავშვებს“ გვიმალავდით, ხომ? — სიმწრით გაეღიმა დეას.

— დიმა იქით იყოს და შენ კი, ბავშვი ნამდვილად აღარ ხარ... — ამ სიტყვების შემდეგ, გიგოლამ სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა, დეა ბუმბულივით მსუბუქად აიტაცა ხელში და ყურში ჩასჩურჩულა:

— იცოდე, აღარ დაიწყო შენებური, თორემ, ჩემი ხელით მოგგუდავ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფრაგმენტი

გენიალური

სოსო ქავრიაშვილის ხაშს შეწირული ტანსაცმელი და სოხუმში ნაკოვნი სული...

ბასა ფოცხიშვილს, მთავარი, რაც მამისგან — ბატონი მორისისგან დარჩა, არის ის, რომ პოეტურად უყურებს ყველაფერს და ცხოვრებისეულ პროზას ვერ აღიქვამს... მისი თქმით, ეს უადვილებს ცხოვრებას და უფრო ლმობიერს ხდის... და კიდევ: „მთავარი — სიყვარულია, რომელსაც ყოველ წუთს და ყოველ წამს ვგრძნობ“, — ამბობს ბასა. დიდი ხნის წინ, კოკა ყანდიაშვილმა სთხოვა — „ქუჩის ბიჭებს“ დავეხმაროთო, — და ბასამ პირველი კლიპი — „ადექი, იცეკვე“ — გადაიღო. „კოკას დამსახურებაა, საერთოდ, კლიპებს რომ ვიღებ. მას უარს ვერაფერზე ვეუბნები და ვერც ამაზე ვუთხარი უარი“, მერე იყო: „გიხაროდენ“, აჩიკო მეფარიძის „მითხარი“ და ახლა, უკვე კარგა ხანია, ბასას გადაღებული კლიპი სიმღერის წარმატების გარანტიად ქცეულა...

ნათია თენიეშვილი

გადასაღებ მოედანზე რეჟისორი ძალიან მკაცრია და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არ არის პუნქტუალური, ვერ იტანს, როცა გადაღებაზე იგვიანებენ. „ერთხელ, ბიჭვინთაში მითხრა ერთმა რუსმა კაცმა: როცა ჩემთან შეხვედრაზე ადამიანი აგვიანებს, თუნდაც ხუთი წუთით, ვხვდები, რომ მისთვის ის საქმე მნიშვნელოვანი არ არის და აღარც ვუკეთებო. მეც ვერ ვიტან, ცუდად ვხდები, როცა აგვიანებენ“.

როგორ გაკეთდა ფინალი კლიპისა — „ვაგონი მიქრის“; როგორი მსახიობია თემურ მღებრიშვილი; რატომ იყენებს ბასა კლიპებში „გაფუჭებულ“ კადრებს და სხვა უამრავ რამეს გადაღების პროცესის შესახებ, ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ბასა, ჯერ ის გვითხარით. თუ რაზე მუშაობთ ახლა?

— რამდენიმე ადამიანთან ერთად მალე დავიწყებ მუშაობას მხატვრულ ფილმზე — The same story. იდეა წარმოიშვა „ბერლინალეზე“. ის ახალგაზრდა ბერძენ რეჟისორს ეკუთვნის. ეს იქნება ერთი და იგივე ამბავი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ვითარდება. ვიმუშავებთ მე, ბერძენი, არგენტინელი, ინდოელი და სკადინავიელი რეჟისორები. თითოეული თავის ქვეყანაში გადაიღებს, საბოლოოდ კი, ერთი ფილმი გამოვა. რაც შეეხება კლიპებს — ახლა ვიწყებ „უცნობის“ ორ კლიპზე მუშაობას. ეს იქნება სიმღერები — „ერთი, ორი, სამი“ და „მომე, მომე, მე მამული“. ყოველთვის ძალიან მომწონდა ეს სიმღერები და ძალიან მინდოდა კლიპის გადაღებაც. ახლა მოსამზადებელი პერიოდია. ვეცდებით, რომ ათ აგვისტომდე დავამთავროთ. მერე მეც და გიასაც დასასვენებლად გვინდა წასვლა, ზღვაზე. ორივე კლიპს კინოფირზე გადავიღებ; გასამჟღავნებლად მოსკოვში მომიწევს წასვლა და დროში ცოტა გაჭედილები ვართ...

— რა განსხვავებაა ფირსა და ვიდეოს შორის და თქვენ რომელზე გირჩევნიათ მუშაობა?

— განსხვავება ძალიან დიდია. პირველ რიგში, გამოსახულების სიღრმე და ჰაერი, რაც აბსოლუტურად არა აქვს ვიდეოს. როცა ფირზე მუშაობ, სხვა შეგრძნებაა, ეს ხელოვნებაა. კინოკამერის ობიექტივში რომ გაიხედავ, სიცოცხლე, ჰაერი და სიფარფატე იგრძნობა, გამოსახულება „სუნთქავს“. ვიდეო კი, ბრტყელია. ვერ ვიტან ვიდეოზე მუშაობას.

— იმისთვის, რომ კლიპის გადაღებაზე დათანხმდეთ, რას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა: მუსიკას, ტექტს თუ შემსრულებელს?

— ძირითადი და მთავარი არის მუსიკა და, რა თქმა უნდა — შემსრულებელი. ხანდახან, შეიძლება მუსიკა არ არის იდეალური, მაგრამ შემსრულებელია ისეთი კარგი, რომ მისი წყალობით გახვალ ფონს... ყოფილა შემთხვევა, როცა ფულს გადაუწყვეტია ყველაფერი: ნულზე ვიჯექი და ამიტომ გადავიღე კლიპი. თუმცა, ასე იშვიათად ვიქცევი. ნულზე ხშირად ვზივარ, მაგრამ ამის გამო კლიპი სულ ერთხელ თუ ორჯერ გადამიღია...

— ნულზე ხშირად ვზივარო, — თქვით. რატომ? ძალიან მხარჯველი ხართ?

— ძალიან მხარჯველი ვარ და ფული არაფერში მენანება. ერთადერთი, რაშიც არასდროს ვიხდი ფულს, არის უხარისხო ნივთები. ცუდი ყველაფერი მეზიზღება. კარგში კი, თუნდაც სისულელეში — არ მენანება ფულის გადახდა.

— კლიპი ყოველთვის ისეთი გამოდის, როგორიც წინასწარ გაქვთ დაგეგმილი თუ გადაღების პროცესში იცვლება ხოლმე რაღაცები?

— ყოველთვის ვიცი წინასწარ, როგორი უნდა იყოს კლიპი. ძალიან ხშირად იცვლება რაღაცები გადაღების დროს, მაგრამ რადიკალურად რომ შეიცვალოს მთელი კლიპი, ასეთი რამ არ ხდება. რადიკალურად შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ფი-

„პლეხანოველ“ მარინასთან და ყველასათვის კარგად ნაცნობ „უცნობთან“ ერთად

ნალი. არასდროს არ ვიცი ხოლმე ფინალი. არ ვიცოდი, როგორ დამთავრდებოდა „ვაგონი მიქრის“. მონტაჟის დროს, ძალიან მეძინებოდა, დილის ოთხი საათი იყო და ვამბობდი – აღარ შემიძლია-მეთქი. ჩემი მემონტაჟე – გოგა კოღუაშვილი იმდენად კაიფობდა მუშაობით, რომ მეხვეწებოდა, გავაგრძელოთო. უცებ ვთქვი: ვიცი, ფინალში რაც უნდა იყოს-მეთქი!.. ერთი წუთი იყო დარჩენილი კლიპის დამთავრებამდე: უცებ გავაკეთე ის ეპიზოდი, როცა გია ყარყარაშვილი თვალს გვიკრავს და შემდეგ, „სუხიშვილები“ გამოდიან. იმწამსვე მომემატა ენერგია, გავაგრძელეთ მუშაობა და იმ ღამესვე დავამთავრეთ... არც „ნისლისფერი განშორების“ ფინალი ვიცოდი. ერთი რამ მახასიათებს: ყოველთვის ვცდილობ ყველაფრის შემსუბუქებას. მამას ახასიათებდა ეს: ერთი სტრიქონი თუ ძალიან სერიოზული ჰქონდა, მერე უცებ სიმსუბუქე შემოიჭრებოდა... სიმსუბუქით გაკეთებული რაღაც, უფრო შთამბეჭდავი და მტკივნეულია, ვიდრე სერიოზულად და მძიმედ გაკეთებული...

— თემურ თათარაშვილის კლიპი — „შენამდე მოვედი“, „გაფუჭებული“ დუბლით მთავრდება...

– ძალიან ხშირად ვტოვებ „გაფუჭებულ“ დუბლს იმიტომ, რომ ის „მართალი“ და ბუნებრივია. ჩემს კლიპებში 40% ან „გაფუჭებული“ დუბლებია, ან ფარულად გადაღებული.

— იყო ასეთი პროექტი — „გზავნილი 2001“, რომლის გადაღების დროსაც, თქვენ სოხუმში ჩახვედით. როცა ეს იდეა გაგიჩნდათ, გეჯეროდათ, რომ ეს რეალურად შესაძლებელი იქნებოდა?

– როცა ადამიანს რაღაც ძალიან უნდა, ღმერთი ყოველთვის აძლევს, მით უმეტეს – თუ სურვილი კეთილშობილურია... ისე მენატრებოდა და ისე მინდოდა იქ მოხვედრა, რომ არ ჩავსულიყავი, მოვკვდებოდი. აფხაზეთი ულამაზესი მხარეა. იშვიათია, რომ გეოგრაფიულ ადგილს სული ჰქონდეს. ასეთია, მაგალითად, მცხეთა, რომი და ასეთია აფხაზეთიც. მართლა ულამაზესი ადგილია და ამიტომ მიყვარს. მოხდა ისე, რომ ომის დროს, ერთი თვე ვიყავი იქ. ჩემი წამოსვლა უცებ მოხდა და იმ ალიაქოთისა და შიშის გამო დამავიწყდა ზღვაში ფულის ჩაგდება. სწორედ ამისთვის – ფულის ჩასაგდებად წავედი და ჩავაგდე კიდეც...

— ქალაქის გადაღების უფლება არ გქონდათ მიღებული?

– კი, გავიარე ქალაქში და მქონდა გადაღების უფლება, მაგრამ ისეთი გასაცოდავებულია, რომ არ გადავიღე. არ მინდოდა, ჩვენს ბავშვებს, რომლებსაც ეს ულამაზესი ადგილი არ უნახავთ, ასეთი გასაცოდავებული ენახათ. გადავიღე ის, რაც ხელუხლებელია, რასაც იგივე სილამაზე და სიდიადე აქვს, რასაც ვერც დაანგრევ და ვერც მოსპობ – ზღვა. სწორედ ზღვა და ზღვისპირეთი გადავიღე.

— ჩვეულებრივ, თქვენს კლიპებში ბევრი ადამინია გადაღებული. და კიდევ — ისინი ყოველთვის ძალზედ ფერადოვანია...

– ძალიან მიყვარს ადამიანები. ბევრი ადამიანი კარგია, ბევრი ადგილიც კარგია იმიტომ, რომ საინტერესოა. მაგრამ კლიპში – „სიყვარული დაფრინავს“ – სულ სამი ადამიანია, კლიპში – „რა დროს რომანსეროა“, – სულ 5 კაცი და ერთი ობიექტია (გადაღების ადგილი. – ავტ.). მარიკა თხელიძის კლიპი ყავისფერია, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი კლიპი – „რომანსერო“ – შავ-თეთრია; „ვაგონშიც“ მხოლოდ შავი, თეთრი და წითელი ფერებია. თუმცა, სიჭრელე ძალიან მიყვარს.

— რამდენად კარგი მსახიობები არიან ჩვენი მომღერლები?

– ნიჭიერი ადამიანი ყველაფერში ნიჭიერია. მე არ შემხვედრია კარგი მომღერალი და პიროვნება, რომელიც კარგად არ თამაშობს. ყველა, ვისთანაც მიმუშავია ისეთი კარგი მსახიობია, რომ ვკაიფობ ხოლმე... ნამდვილად განებივრებული ვარ, იმიტომ, რომ არა მხოლოდ მომღერლები გადამიღია, არამედ: ნონა გაფრინდაშვილი, ევგენი ხარაძე, გია ყარყარაშვილი, მედიკო ჩახავა, იმედა კახიანი, სოფიკო ჭიაურელი, კოტე მახარაძე, გიორგი შენგელაია და სხვა მრავალი. საუკეთესონი მყავს გადაღებული და ბედნიერი ვარ, რომ ასეთ მაგარ ადამიანებთან მიმუშავია.

— ბატონი თემურ მღებრიშვილიც გყავთ გადაღებული. ის როგორი მსახიობია?

– „ვაგონში“ მისი გადაღება ჩემი და „უცნობის“ იდეა იყო. მანამდე, ბატონ თემურთან ნამუშევარი მქონდა – მერაბ სეფაშვილის „ნისლისფერი განშორების“ გადაღებისას დამეხმარა ძალიან. მაშინ თვითონ არ დამთანხმდა გადაღებაზე, მერე, ეტყობა, თვითონაც მოუნდა და დამთანხმდა. ძალიან მიყვარს, უნიჭიერესი მსახიობია. მერე, არყის რეკლამაშიც გადავიღეთ მერაბ ნინიძესთან ერთად და იქაც ძალიან მომწონს. არ შემიძლია, არ გამოვყო მსახიობი, რომელმაც გამაგიჟა – ეს არის მერაბ ნინიძე. პირველად ვიმუშავე მასთან და აღფრთოვანებული ვარ. მსოფლიო კინემატოგრაფის ნებისმიერ ფილმს რომ დაამშვენებს, ისეთი მსახიობია მერაბი – გარეგნობითაც და ნიჭითაც.

— ჩვენი ვარსკვლავები გადაღებების დროს პრეტენზიულები არ არიან?

– კარგი არასდროსაა პრეტენზიული. 100 დუბლს გააკეთებს და არასდროს გეტყვის – მშია, მცივა, დავიღალე და მეჩქარებაო. ნიჭიერი ადამიანი არასდროს შეგაწუხებს. პრეტენზიებს მხოლოდ უნიჭოები და დეგენერატები მიყენებენ – ორ წუთში იღლებიან, სცივათ და ა.შ.

— თქვენმა დამ, თამრიკომ მითხრა, რომ ერთი ყვითელი ქურთუკი აქვს ამოჩემებული და გადაღებების დროს, აუცილებლად ის უნდა ეცვას. თქვენ თუ გაქვთ რაიმე ასეთი?

– არა, ერთი ამოჩემებული ტანსაცმელი არა მაქვს. უბრალოდ, აუცილებლად თავისუფლად უნდა მეცვას. მაქვს ერთი ჩექმა, ზამთრის გადაღებებისთვის, ძალიან განიერია, მაგრამ გადაღება რომ მთავრდება, ფეხი იმდენად მისივდება, რომ ავსებს ხოლმე. გადაღებების დროს „ბომჟებს“ ვგავართ ხოლმე...

საერთოდ, კომფორტის მოყვარული ადამიანი ვარ. ეს ყველა ჩემმა მეგობარმა იცის. თუ რესტორანი ხუთვარსკვლავიანი არ არის, იქ საჭმელს ვერ შევჭამ *(იცინის)*... მჩვევია ასეთი რაღაცები. სოსო პავლიაშვილი იყო სამი დღით ჩამოსული კლიპის გადაღებაზე. დილის ხუთ საათზე მოვრჩით მუშაობას და სოსომ აიჩემა — სახაშეში უნდა წავიდეთო. ხაში ცხოვრებაში არ მიჭამია, მაგრამ სოსოს უარი ვერ ვუთხარი, ისე მიყვარს და სადღაც, სანზონაში შევედით სახაშეში. მე, რა თქმა უნდა, არ მიჭამია. დილის ხუთ საათზე, ვიჯექი სახაშეში და ყავას ვსვამდი... დილით, შინ რომ მოვედი და დედას ვუთხარი, სადაც ვიყავი, გაიცინა — არ დამივჯერა. თუმცა, ჩემს ტანსაცმელს ისეთი ხაშის სუნი ასდიოდა, რომ ყველაფერი გადავყარე. ასე შეეწირა სოსოს ხაშს ჩემი ტანსაცმელი.

— „უცნობის“ სიმღერა — „მზეს ველოდები“ ძალიან აიტაცა და შეიყვარა მაყურებელმა. გარკვეულწილად ეს კლიპის წყალობითაც მოხდა. რატომ გადაწყვიტეთ მაინცდამაინც იმ უბანში გადაღება?

— ბებიაჩემი, მამაჩემის დედა ცხოვრობდა ქარვასლაში. ვინაიდან დედა და მამა ძალიან ბევრს მოგზაურობდნენ, მე სულ ბებიასთან ვიყავი. იმ უბანში ვარ გაზრდილი ფაქტობრივად. ვგიჟდები იქაურობაზე. იქ ადამიანებს ისეთი ურთიერთობები აქვთ, როგორიც არსად არასდროს მინახავს. მეგონა, რომ ახლა ასე აღარ იქნებოდა, მაგრამ რომ მივედი, იმწამსვე მივხვდი, რომ ეს არ დაკარგულა და ყველაფერი ისევ ისეა. ერთმანეთი უყვართ და ყველაფერი იციან ერთმანეთის შესახებ — ჭირიც და ლხინიც. ძალიან გახსნილი ურთიერთობები აქვთ და ეს არის სიყვარულიც და სიცოცხლეც. ვგიჟდები ასეთ რაღაცებზე. ვერ ვიტან და მეზიზღება ჩაკეტილი, ევროპეიზებული ყოფა. კლიპის ბევრი მონაწილეც იქაური მცხოვრებია. იქაური იყო ქალაქის კოლორიტული ფიგურაც — მარინა, რომელიც, სამწუხაროდ, ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. გადაღებაზე მისი მოყვანა გიას იდეა იყო. რომ მოიყვანა — ბატონო ბასაო, — მეძახდა...

ბასას კლიპების უმეტესი ნაწილი, ერთი ამოსუნთქვითაა გადაღებული. „ის, რაც დროში იწელება, ტვინის ნაჭყლეტი და ძალით მოფიქრებულია — არ ვარგა“, — ამბობს რეჟისორი. მთავარი მისთვის გადაღების პროცესია და არა შედეგი. არსებობს ძალიან ბევრი ძველი სიმღერა, რომელზეც სიამოვნებით გადაიღებდა კლიპს, მაგალითად — „ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე“. „ვგიჟდები ძველ სიმღერებზე. ცაბაძეზე, კვერნაძეზე, ყანჩელზე, ლაღიძესა და სხვებზე. ეს სხვა მუსიკა და სხვა სულია“... — ამბობს ბასა ფოცხიშვილი. ■

ჯენიფერ ლოპესი „წლის არიფად“ დაასახელეს

ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, მომღერალი და მსახიობი ჯენიფერ ლოპესი „წლის Bling-ბოგონად“ აღიარეს. „არიფ მამაკაცებს“ შორის გაიმარჯვა ჯეი ლოს ყოფილმა ბოიფრენდმა, რეპერმა პაფ დედიმ, რომელმაც ამ თავისებურ „შეჯიბრში“ სერ ელტონ ჯონსა და ფეხბურთელ დევიდ ბექჰემს აჯობა. ტერმინს — bling-bling — რომელსაც, სხვათა შორის, სულ ცოტა ხნის წინ მიუჩინეს ადგილი ოქსფორდის ლექსიკონში, იმ ადამიანების მიმართ იყენებენ, რომლებიც სისტემატურად იცვამენ ექსტრავაგანტურ ტანსაცმელს და თვალში საცემ სამკაულებს ატარებენ. მისი მნიშვნელობა არიფსა და პიჟონს, სტილიაგას შორის მერყეობს. სხვა სახელგანთქმულ მუსიკოსებს შორის, რომლებიც „ფლინგების“ ნუსხაში აღმოჩნდნენ, ჯასტინ ტიმბერლეიკი, ვიქტორია ბექჰემი, კრისტინა აგილერა და როდ სტიუარტი არიან.

ჯასტინ ტიმბერლეიკმა მისი ფლიდერმულესთან ერი მოხსიმლა

ტკბილხმიან მომღერალს თურმე ბუკინგემის სასახლეშიც ჰყოლია თაყვანისმცემლები, მათ შორის — თავად ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე. ცოტა ხნის წინ, ტიმბერლეიკმა მიიღო ოფიციალური მიწვევა პროდიუსერისგან, რომელიც კონცერტის — Royal Variety Performance — ჩატარებაზე აგებს პასუხს. კონცერტი ნოემბრისთვისაა დაგეგმილი. ჯასტინს პასუხი ჯერ არ გაუცია, მაგრამ როგორც შოუს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, ორგანიზატორები არაფერს დაიშურებენ საიმისოდ, რომ მომღერალმა აუცილებლად მიიღოს მონაწილეობა კონცერტში და დასძინა: „მიწვევა, რომელიც მას გავუგზავნეთ, ადასტურებს, რომ ჯასტინს ნებისმიერი ქალის მოხიბვლა შეუძლია...“

კაილი მინოუგი უარს ამბობს სექს-სიმბოლოს იმიჯზე

როცა რამდენიმე თვის წინ, მომღერალმა თეთრეულის საკუთარი კოლექცია — Love Kylie გამოუშვა, ჟურნალისტები და თაყვანისმცემლები ძალზე დაღონებულები იყვნენ იმით, რომ ის თავად არ აპირებდა პოდიუმზე ამ ნაწარმის რეკლამირებას. და აი, ბოლოს და ბოლოს, ავსტრალიელმა ლამაზმანმა მიიღო მამაკაცებისთვის სასურველი გადაწყვეტილება და მალე, საცვლების ახალი კოლექციის სარეკლამო კამპანიისთვის გადაღებულ კლიპში მოგვევლინება. უცნაურია, რომ ეს დაემთხვა პერიოდს, როცა მომღერალმა საკუთარი სექსუალური იმიჯის შეცვლა დააპირა. „კაილიმ გადაწყვიტა, უარი თქვას სექს-სიმბოლოს სტატუსზე, — განაცხადა მინოუგის სტილისტმა უილ ბეიკერმა. — მას იზიდავს ფრანგული, ნატიფი სტილი და ვფიქრობ, რომ ის კაილის ძალზე მოუხდება, განსაკუთრებით ახლა, როცა მან ახლო ურთიერთობა დაამყარა ფრანგ კინოვარსკვლავთან, ოლივიე მარტინესთან“. მართლაც, ვარსკვლავი ბოლო დროს, საგანგებო ყურადღებას იჩენს ფრანგული მოდისადმი. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, ის Chanel-ის სახლის მაღალი მოდის კოლექციის პარიზში გამართულ ჩვენებას ესწრებოდა. ■

Chevrolet Corvette უკანასკნელად გაიბრწყინებს

მომავალი, 2004 წელი უკანასკნელი გახდება მეხუთე თაობის Chevrolet Corvette-სთვის. ამასთან დაკავშირებით, კომპანიის სადილერო ქსელში მალე გაჩნდება ლეგენდარული სპორტული მანქანის – Corvette ZO6 Commemorative Edition-ის საიუბილეო ვერსია. შარშანდელი წლიდან, ყველა ZO6-ის ძრავას სიმძლავრე, უწინდელი 385-დან 405 ცხ.ძ-მდე გაიზარდა, შეკვეთილი ნიმუშები კი, ძარის სიგრძეზე „გაჭიმული", ეფექტური ლურჯი ზოლით გამოირჩეოდა. ასეთივე საღებავით შეიღებება საქარხნო „კორვეტები", რომლებსაც ლე-მანის წლევანდელ რბოლაში იხილავენ ავტოსპორტის მოყვარულები. ექსკლუზიურ ვერსიებზე, ჩვეულებრივის ნაცვლად, კარბონისგან დამზადებულ კაპოტს დააყენებენ, რომელიც ერთ-ნახევარჯერ ნაკლებს იწონის. ■

MG SV — სპორტული ჯიპეს სანიმუშო ვერსია

დიდ ბრიტანეთში მდებარე მელორი-პარკის ავტოდრომზე მოწყობილი ცდების დროს, მაყურებელთა წინაშე წარდგა სპორტული კუპეს – MG SV-ის სერიულისწინა ვერსია, რომელმაც თავდაპირველად, ხასხასა ყვითელი ფერით მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, რადგან ის უფრო მეტად უსვამს ხაზს ავტომობილის აგრესიულ იერს. ამ მანქანის კაპოტქვეშ V8 ტიპის 4,6 ლ-იანი ამერიკული – კერძოდ, კომპანია „ფორდის" ძრავაა ჩადგმული, რომლის მინიმალური სიმძლავრე 326 ცხ.ძ. იქნება – ყოველ შემთხვევაში, ექსპერტები ირწმუნებიან, რომ სერიულ წარმოებაში ჩაშვებისთანავე, სადილერო ქსელში სწორედ ასეთი მახასიათებლის მქონე ნიმუშები იქნება მიწოდებული. ძირითადი აგრეგატის სიმძლავრის გარდა, მომხმარებელს გადაცემათა კოლოფის (ავტომატური თუ მექანიკური) არჩევის საშუალებაც ექნება და საქარხნო ტიუნინგის შეკვეთის შესაძლებლობაც. ■



მინიბოლიდი ჩეხიიდან

„ფოლკსვაგენის" ჯგუფში შემავალმა, ჩეხურმა კომპანია Skoda-მ, ცნობილი მოდელის – Fabia-ს ბაზაზე, რალისთვის გათვალისწინებული ვარიანტი შექმნა. მანქანა, რომელსაც Fabia WRC-ი დაარქვეს, 300 ცხ.ძ-იანი ძრავათი აღიჭურვება. ის პირველად, ჟენევის ავტოსალონზე გამოიტანეს მაყურებელთა სამსჯავროზე, ცოტა ხანში კი – კერძოდ, 25-27 ივლისს, გერმანიის ჩემპიონატის იმ ეტაპში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ქალაქ ტრირში გაიმართება. ჩქაროსნული „შკოდას" საჭეს მიუჯდებიან ევროპაში ცნობილი ავტომრბოლელებით დაკომპლექტებული ეკიპაჟები: დიდიე ორიოლი/დენი ჟიროდე და ტონი გარდემაისტერი/პაავო ლუკანდერი. ამ შეჯიბრებაში ახალი მოდელის ჩართვის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც მან წარმატებით გაიარა მშობლიურ ჩეხიაში მოწყობილი გამოცდა. „ფაბიის" გარდა, გერმანიის ჩემპიონატში, ფირმის კიდევ ერთი მოდელი – შკოდა Octavia WRC მიიღებს მონაწილეობას. რაც შეეხება Fabia WRC-ის მომავალს – როგორც „შკოდას" მესვეურებმა განაცხადეს, მას სერიულად არ გამოუშვებენ. ასე რომ, საავტომობილო სპორტის მოყვარულები უნდა დაკმაყოფილდნენ ვარიანტით – Fabia RS, რომელსაც ევროპელი დილერები უკვე სექტემბერში მიიღებენ. ■

ძველ თაობას ალბათ კარგად ახსოვს, ახალგორიდან ჩამოსული ახალგაზრდა კაცი, რომლის სიმღერებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. რამ გააბედვინა პირველი (და არა მხოლოდ პირველი) სიმღერის დაწერა? რატომ იძინებდა სცენაზე და რისთვის უწყრება ჟურნალისტებს? ყველა ამ კითხვაზე, როგორც თავად ამბობს, ახალგაზრდობაში ძალიან ცელქი, ახლა კი სერიოზული კომპოზიტორი — ვაჟა დურგლიშვილი გვიპასუხებს.

„დღევანდელი პოპულარული მომღერალი ჩემს სიმღერას ვერ იმღერებს...“

ნათია ქივიძე

— **ბატონო ვაჟა, ბოლო წლებში, იშვიათად სრულდება თქვენ მიერ დაწერილი სიმღერები. რა არის ამის მიზეზი?**

— დრო შეიცვალა. ძალიან ბევრი სიმღერა მაქვს, მაგრამ თანხის უქონლობის გამო, კლიპს ვერ ვიღებ: კლიპის ტელევიზიით გაშვებასაც თანხა სჭირდება, მე კი ამის საშუალება არა მაქვს.

— **როდის და როგორ დაიწყო თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება?**

— ბავშვობიდან დაიწყო. სკოლაში ვმღეროდი, თუმცა მაშინ, სპორტიც ძალიან მიზიდავდა და ხატვაც. ყველას ეგონა, რომ მხატვარი გამოვიდოდი, იმდენად კარგად ვხატავდი. მაგრამ იმის გამო, რომ ძალიან ცელქი ვიყავი, მშობლებმა დუშეთის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში გამამწესეს, რადგან ეგონათ, რომ თბილისის ცხოვრება სწორ გზას ამაცდენდა. ვიყავი დუშეთის გუნდის სოლისტი, იქიდან მოვხვდი ფილარმონიაში, ჩავბარე საესტრადო სასწავლებელში, ესტრადის მსახიობის ფაკულტეტზე. ფაქტობრივად, იქ დავიწყე სიმღერების წერა...

— **თავდაპირველად, როგორ გაგიჩნდათ სიმღერის დაწერის სურვილი?**

— ყველაფერი სიყვარულით იწყება... სურვილი მქონდა, ისეთი რამ გამეკეთებინა, რაც „მას“ მოეწონებოდა...

— **ე.ი. სიყვარულმა გადაგადგმევინათ შემოქმედებითი ნაბიჯი. ახლა რა ან ვინ არის თქვენი შთაგონების წყარო?**

— ახლა უკვე პროფესიონალიზმია. ძალიან ბევრს ვმუშაობდი საკუთარ თავზე. მუშაობისგან დაღლილს, ვინ იცის, რამდენჯერ ჩამძინებია სცენაზე. მაგრამ მოუთმენლად ველოდებოდი მეორე დღეს, როდესაც ჩემს ნამუშევარს საზოგადოებას წარვუდგენდი.

— **თუ გახსოვთ თქვენი პირველი სიმღერა?**

— პირველი სიმღერა ახალგორში დავწერე. მთებში, ღრუბლებიდან მზის სხივი ჩამოიწვერა. ძალიან ლამაზი იყო და დავწერე სიმღერა სიყვარულზე...

— **უფრო ხშირად, ვის ლექსებზე წერთ სიმღერებს?**

— ჩემი სიმღერები ძირითადად, მორის ფოცხიშვილის, ანა კალანდაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, რომან ზუკაკიშვილის ლექსებზეა დაწერილი.

— **თქვენ თავადაც ხომ მღეროდით?**

— ახალგაზრდობაში ვმღეროდი, შემდეგ დიდი პაუზა მქონდა. ახლა მინდა, ჩავწერო რამდენიმე სიმღერა, მაგრამ მეშინია — მგონია, რომ დამავჯერებლად ვერ ვიმღერებ. თუმცა, ჩემი სტუდიის ბავშვებთან ერთად ვმღერი ხოლმე.

— **საკუთარი სიმღერებიდან რომელიმეს ხომ არ გამოყოფდით?**

— ძალიან მიყვარს: „დედას ვუყვარვართ შვილები“, „ჩემი თბილისი მეძახის“ და სხვა მრავალი. ერთხელ, ტელეგადაცემიდან — „იმღერე რამე“ დამირეკეს, პროგრამაში ჩემი სიმღერების ჩართვა უნდოდათ, მაგრამ უარი ვუთხარი. ველოდები, რომ ყველა ჩემი სიმღერა ერთად გამოვიდეს.

— **როგორც ვიცი, თქვენს სიმღერებს, ძირითადად, ანსამბლი „ორერა“ ასრულებდა...**

— შემოქმედებითი ურთიერთობა მქონდა „კოლხეთთან“, „დიელოსთან“, „ივერიასთან“; თემურ წიკლაური მღერის — „დედას ვუყვარვართ შვილები“; რობერტ ბარძიმაშვილი და ნანი ბრეგვაძე მღეროდნენ ჩემს დუეტს, ასევე — მერაბ სეფაშვილი და სერგო ნინიაშვილი, მანანა თოდაძე და სხვა მრავალი.

— **ახლანდელი მომღერლებიდან ვის აირჩევდით თქვენი სიმღერების შემსრულებლად?**

— რატომღაც, აკვიატებული მაქვს, რომ ჩემი სიმღერა უნდა იმღეროს სულ ახალმა მომღერალმა, რომლის ხმამაც უნდა იფეთქოს და იგუგუნოს... დღევანდელი პოპულარული მომღერალი ჩემს სიმღერას ვერ იმღერებს, რადგან მან უკვე თავისი გზა აირჩია — მე სულ სხვა გზა და სტილი მაქვს... დღეს ყველა ნიჭიერი ადამიანი გაფანტულია — ან საზღვარგარეთაა წასული, ან რესტორანში მღერის...

— **საესტრადოს გარდა, სხვა მუსიკალურ ჟანრებშიც თუ მუშაობთ?**

— დაწერილი მაქვს საგუნდო სიმღერები, მუსიკალური კომედია „თავქარიანები“, რომელიც შარშან, მუსკომედიაში დაიდგა. ასევე მაქვს საბავშვო ოპერა, რომელიც „მზიურმა“ შეასრულა 1978 წელს. მაქვს კიდევ ორი ოპერეტა, ერთი — დაუსრულებელი. არც სიმფონიები დამიწერია და არც ჯაზი. ახლა გამიჩნდა ამის სურვილი და თუ ვინმე დაინტერესდება, ალბათ დავწერ.

— **რა აზრისა ხართ რემიქსებზე?**

— ცუდი არ არის, ზოგ სიმღერას უხდება.

— **თქვენი სიმღერა რომ ვინმემ გაარემიქსოს, რა რეაქცია გექნებათ?**

— ჩემმა ბიჭმა გაარემიქსა. ჰარმონიული გადასვლები სულ მომისპო და ერთ ტონალობაში მღერის *(იცინის)*... ჩემი საბავშვო ოპერიდანაც გაარემიქსა ერთი სიმღერა და ის მომეწონა.

— სიმღერების წერის გარდა, ამჟამად რას მოღვაწეობთ?

— მაქვს საბავშვო სტუდია. საკუთარი ხელით ვაშენებ საბავშვო სადღესასწაულო ცენტრს, სადაც შემოქმედებით საღამოებს, დისკოთეკებს, გავმართავთ ხოლმე. მე კომპოზიტორი ვარ და სხვა გზას ვეღარ ავირჩევ...

— თქვენი შვილები მამის კვალს მიჰყვებიან?

— ორი ბიჭი მყავს. უფროსი — ბექა 22 წლის არის, სტომატოლოგიურს ამთავრებს, უმცროსი — რატი სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსზე სწავლობს, ქანდაკების განხრით. რატი მღერის. სიმღერების არანჟირებასა და რემიქსებს აკეთებს. სიმღერების წერასაც ცდილობს, მაგრამ როგორც ჩანს, ამისთვის ჯერ მზად არ არის... თუმცა, მე მის საქმეში არ ვერევი, რადგან ჩვენი აზრები ერთმანეთს ყოველთვის „ეჯახება“ და ვფიქრობ — ჯობს, დავუთმო. პატარა შენიშვნებს კი ვაძლევ ხოლმე და ისიც ყურადღებით მისმენს და ითვალისწინებს.

— საინტერესოა თქვენი აზრი დღევანდელ ქართულ ესტრადაზე...

— ჩვენი ესტრადა ერთი მიმართულებით მიდის. უცხოეთის ზეგავლენა იგრძნობა. ზოგი იმდენად გათავხედდა, რომ ზანგური სიმღერის ნაწყვეტს ქართულ სიმღერებში რთავს ან თუნდაც, მათ სიმღერებს ქართულად თარგმნის და იმდენად ითავისებს, რომ საკუთარი დაწერილი ჰგონია... ქართველ კაცს ნიჭიერს უწოდებენ. ხომ უნდა დავამტკიცოთ ეს ნიჭიერება?!.

■

ნოსტალგია

„ალიო სულიშვილმა მითხრა: სცენაზეთოლოში უნდა მიგიყვანო“

სულიკო კოროშინაძე სიმღერით — „მე თბილისელი ბიჭი ვარ“ — ყველასათვის საყვარელ მომღერლად იქცა. მისი სიმღერები: „დაილოცოს საქართველო“, „ყური უგდე საქართველოს“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ — ახლაც ხშირად ჟღერს ტელეეკრანიდან და ბევრ გადაცემას ამშვენებს. ბატონი სულიკო 25 წელი, სახელმწიფო საესტრადო ორკესტრში მღეროდა. უვერტიურის შემდეგ, ენერგიულად, სწრაფი ნაბიჯებით, პირველი გამოდიოდა სცენაზე... ერთხელ, მის შეფს — კონსტანტინე პევზნერს ცნობილმა რუსმა მსახიობმა, ოლეგ ეფრემოვმა ჰკითხა: შენს საუკეთესო მომღერალს სცენისკენ ასე, ტყვიასავით რატომ უშვებო?! — ის ჩემი სავიზიტო ბარათიაო! — უპასუხა პევზნერმა...

სულიკო კოროშინაძე ახლა, გულისტკივილით საუბრობს თანამედროვე ქართულ ესტრადაზე, რომელიც არ მოსწონს. მის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზის შესახებ კი, სიამაყით ლაპარაკობს.

ლელა ჭანკოტაძე

— მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, არაფერი არ იყო; არც ანსამბლები არსებობდა და არც ინდივიდუალური შემსრულებლები. ომის დამთავრებიდან დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ გამოჩნდნენ ძაგნიძე-ჩხიკვაძე და მერი შილდელი. მერი დიდი მომღერალი იყო, არადა, ახლა მას აღარავინ იხსენებს... მოგვიანებით, სამთავრობო კონცერტები რომ იმართებოდა, ესტრადა იქაც იგნორირებული იყო — მხოლოდ მერი თუ იმღერებდა და ისიც, იშვიათად. 1956 წელს რომ მითხრეს — მთავრობის კონცერტზე უნდა გამოხვიდეო, — საშინლად ავღელდი, თუნდაც იმიტომ, რომ ესტრადის მომღერლებს დიდ და „სერიოზულ“ სცენაზე გამოსვლის უფლება მოგვცეს... ჩემი თაობა 50-იანი წლებიდან მოდის. იმ პერიოდში დაიწყო უმაღლეს სასწავლებლებში მუსიკალური ჯგუფების ჩამოყალიბება, რამაც დასაბამი მისცა მთელ ეპოქას. ჩემს თაობას ბევრი რამ აქვს გაკეთებული. როგორ არ გაგიზიაროთ ჩემი გულისტკივილი?! ერთ კაცს რაც შეეძლო გაეკეთებინა, ყველაფერი გავაკეთე. არ დარჩენილა პრესტიჟული საკონცერტო დარბაზი, სადაც არ მიმღერია. ყველა კონცერტის აფიშა მაქვს ჩამოტანილი. გავსებული მაქვს სახლი საგაზეთო რეცენზიებითა და საკონცერტო პროგრამებით. უწინ, სიმღერის პრემიერა რომ იმართებოდა, შიშის კანკალი აგვიტანდა ხოლმე იმის გამო, თუ რას დაწერდა მეორე დღეს გაზეთი...

— სიმღერა ვინ გასწავლათ?

— ჩემი მასწავლებელი ჩემი ცხოვრება და ჩემი ოჯახი იყო. დედა რომ ჩონგურზე ან ფანდურზე დაუკრავდა, სამ ხმაში ვმღეროდით ძალიან რთულ მეგრულ სიმღერებს. დედა პირველი მოკრიმანჭულე ქალი გახლდათ, ჩემი ბიძები — კავსაძის ანსამბლში მღეროდნენ. ამიტომ, ყველანაირი ხალხური სიმღერა ვიცი.

— ყველაზე გამორჩეულ კონცერტს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— ყველა კონცერტი განსაკუთრებული იყო. მოსკოვში ჩვენს კონცერტებზე ბილეთის შოვნა ძალიან ძნელი იყო... ჩემი ყველაზე დიდი აღიარება საფრანგეთთან არის დაკავშირებული, როცა „მიუზიკ-ჰოლში“ მომიწია გამოსვლა... თერთმეტ თვეში 200 კონცერტი უნდა მემღერა — ე.ი. თვეში თითქმის 20 კონცერტს ვატარებდი ხოლმე. ხელფასი 250 მანეთი

მქონდა. მაშინ ეს ცოტა არ იყო. წელიწადში შვიდთვე-ნახევარს „პაეზდკებში“ ვატარებდი. პირველად საქართველოში დიდი ტურნე მოვაწყვეთ მატარებლით. ვაგონებში ვცხოვრობდით. ასე, ოფლით შევქმენით ქართული ესტრადა...

— სცენაზე გასვლის წინ, თუ ნერვიულობდით ხოლმე?

— ჩიტს რომ დაიჭერ და გული უფანცქალებს, ისე ვარ ხოლმე ახლაც, როცა სცენაზე გავდივარ... უწინაც ვნერვიულობდი. კოსტიუმს რომ გავიხდიდი, პერანგი სულ სველი მქონდა... ძალიან ბევრი გააკეთა ჩვენმა თაობამ ოცი წლის განმავლობაში. მთელ საბჭოთა კავშირში მოდას ვკარნახობდით. ჩვენი მიბაძვით შეიქმნა ორკესტრები აზერბაიჯანში, ლატვიაში. სომხეთს დღესაც ჰყავს ორკესტრი, ჩვენ კი სახელმწიფო ორკესტრის გარეშე დავრჩით. „ბიგ-ბენდიღა“ გვაქვს და მისი არსებობაც არავინ იცის....

— მომღერლები უწინაც ყიდულობდით ხოლმე სიმღერებს?

— კარგი კომპოზიტორები გვყავდნენ: რეზო ლაღიძე, გოგი ცაბაძე, გუგული (დავით) თორაძე, შოთა მილორავა. სიმღერას ვყიდულობდით, მაგრამ რეზო ლაღიძისთვის ან გოგი ცაბაძისთვის 200 მანეთი რა ფული იყო?! — მათ ხომ უამრავი სტუმარი ჩამოსდიოდათ უცხოეთიდან. მათ იცოდნენ, თუ რა შესაძლებლობები მქონდა. როცა მომღერალს ფართო დიაპაზონი აქვს, მისთვის სიმღერის დაწერა იოლია. თუ სიმღერა საჩემო არ იყო, არ ვიმღერებდი. ნანი ბრეგვაძისა და ნანული აბესაძის გარდა, პარტნიორი თითქმის არ მყოლია. ახლა საშინელი დუეტებია, სუფთა „პერეკლიჩკაა“... ისევ არაჩვეულებრივ სიმღერებს წერენ: მარიკა კვალიაშვილი, მაცაცო (რუსუდან) სებისკვერაძე. მაგრამ ახლა მოდაში არიან ავტორები, რომელთა სიმღერების 2/3 უვარგისი, არაფრის მთქმელია..

— პატარა ვარსკვლავებზე რა აზრისა ხართ?

— გარდატეხის პერიოდი რომ დაეწყებათ, მათგან რა გამოვა, არავინ იცის. ამ მხრივ, ძალიან მომწონს, როგორ იქცევა თამრიკო ჭოხონელიძე — მარიამს კატეგორიულად არ ამღერებს: იცის, რომ იოგები დაიწყებს დეტონირებას. ორი-სამი წელი მოიცდის და მოიგებს კიდეც.

— თქვენი აზრით, დღევანდელი მომღერლებიდან ყველაზე კარგი ვოკალური მონაცემები ვის აქვს?

— ესტრადაზე გამოდიოდა შესანიშნავი გოგონა — ნინო სურგულაძე, რომელიც ახლა დიდი მომღერალია და „ლა სკალაში“ მღერის. ნამდვილ ქართულ სიმღერას ასრულებს მერაბ სეფაშვილი. კარგი სიმღერა შეუძლიათ ნუკრი კაპანაძესა და ეკა კვალიაშვილს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ იმას, ვინც „თეთრი რაში“ იმღერა, აღარ ეკადრება ისეთი სიმღერები, რომელიც ბოლო პერიოდში ჩაწერა. სიმღერას უნდა ეფერო, რომ რომელიმე სიტყვა უხეშად არ გამოგივიდეს. ქართველ მსმენელს გულში თუ არ გაარტყი, არ შეგიყვარებს. დაუდგრომელი, მოქეიფე, ტემპერამენტიანი, ბობოქარი ხალხი ვართ, სიმღერები კი — ნაღვლიანი გვაქვს, სევდანარევი...

— ახლა მოდაშია სიმღერის გარემიქსება. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— ლილი გეგელიასა და ნანი ბრეგვაძის სიმღერები სულ გაარემიქსეს. „ბათუმს ქათქათას“ შეუცვალეს ჰარმონია, გაარემიქსეს და ახლებურად იმღერეს. შეიძლება, რემიქსი გააკეთო, მაგრამ სიმღერას სული და ჯიგარი არ უნდა დაუკარგო. ისეთი „სულიკო“ და „ციცინათელა“, როგორიც გარემიქსების შედეგად მიიღეს, არ შეიძლება ჟღერდეს... ჩემი სიმღერები სულ მაღალხმიანია და ამიტომ არ გაარემიქსეს — ვერ მოერივნენ...

— სცენას საკმაოდ ადრე ჩამოსცილდით, რატომ?

— ანსამბლიდან რომ წამოვედი, გოგი ცაბაძემ სულ „სვოლოჩი“ მეძახა. ილიკო სუხიშვილმა მითხრა: სასამართლოში უნდა გიჩივლო, სიმღერას თავი რომ დაანებეო... მაშინ ორმოცი წლის ვიყავი. ჯობია, ხუთი წლით ადრე წახვიდე, ვიდრე ხუთი წლით გვიან. თუმცა, წასვლა ძნელია. გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა. ორი წელი ადგილს ვერ ვპოულობდი, ვერ ვეგუებოდი იმ აზრს, რომ ჩემთან კორესპონდენტი აღარ მოვიდოდა, ყვავილების ცვენა აღარ იქნებოდა და სცენაზე არ დავიფერფლებოდი...

— ახლა რა ხდება თქვენს ცხოვრებაში?

— მეორე მუსიკალურ სასწავლებელში ვასწავლი. შინ საოცრად დაღლილი ვბრუნდები ხოლმე და საშინლად მწყდება გული იმის გამო, რომ სცენაზე საეჭვო მიხრა-მოხრის მამაკაცები მომრავლდნენ... ამდენი თანხმოვნითა და სინკოპით მღერა არ არის ქართული. ამისთვის შევუშვირეთ შუბლი ავტომატებს, როცა ენას გვართმევდნენ?!. ■

ჟილეტიანი სალამო აჟაღლეჯული ჭანწყოჯით...

კლუბ „კრისტალში“ ნატო გელაშვილის შემოქმედებით საღამოზე მოსულ საზოგადოებას საათ-ნახევარი ლოდინი მოუხდა: გამოცხადებული ცხრა საათის ნაცვლად, საღამო თერთმეტის ნახევარზე დაიწყო. თუმცა, იქ შეკრებილმა მსმენელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ლოდინი ღირდა.

ნათია თენიეშვილი

წამყვანის ამპლუაში ტელეჟურნალისტი გია გუმბარიძე მოგვევლინა. ნატო გელაშვილმა, საღამოს დაწყებამდე, ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ძალიან ღელავდა და ამის გამო, წნევაც კი დაუვარდა. თუმცა, როცა სცენაზე ავიდა და როიალს მიუჯდა, ნატოს ღელვა აღარ ეტყობოდა.

იმ საღამოს, კომპოზიტორის შვიდი ახალი სიმღერა აჟღერდა, მათ შორის ერთი — „სულელი წვიმა“ — ლელა წურწუმიამ შეასრულა. სიმღერა ძალიან ლამაზი და რომანტიკული აღმოჩნდა. ალბათ სწორედ ამან უბიძგა დიზაინერ ავთო ცქვიტინიძეს, რომ თავის მეგობარ გოგონასთან ერთად დარბაზში საცეკვაოდ გამოსულიყო. ტრიო „თბილისმა“ ყვე-

ლასათვის საყვარელი სიმღერა — „ღვინოს დავლევ სალხინოს“ — შეასრულა და აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. ტრიოს შემდეგ, სცენაზე დათო გომართელი ავიდა. ყველაზე მეტი ოვაცია გიო ხუციშვილის გამოჩენას მოჰყვა. „ლოთიანი“ და „ჩემო ცისფერთვალებავ“ გიოსთან ერთად, დამსწრე საზოგადოებამაც იმღერა.

სიმღერები უმეტესად, ცოცხლად სრულდებოდა. თვით საღამო კი, როგორც თავად ნატო გელაშვილის შემოქმედება — მინორული ტონალობით გამოირჩეოდა. ძირითადი დატვირთვა თავად კომპოზიტორზე მოდიოდა. მისთვის მცირედი ტაიმ-აუტების მისაცემად კი, სცენაზე შოუბალეტი „ვერნისაჟი“ გამოდიოდა.

გია გუმბარიძე, გიო ხუციშვილი და დათო გომართელი სცენასთან საკმაოდ ახლოს ისხდნენ და თვალი არ მოუცილებიათ გოგონების ცეცხლოვანი ცეკვისთვის. კარგად მოულხინეს ჯგუფმა „ფორტემ“ და მამუკა ონაშვილმაც. მაგიდასთან მსხდომი, ნატოს შემოქმედების მოყვარულები კი, დაუზარებლად სვამდნენ ხელოვნების სადღეგრძელოს...

■

პოლონელი მოდელიერის რაჭული კოლექცია

არაორდინარული ინტერპრეტაციითა და მისტიკური მუსიკის თანხლებით

საქართველოში სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს მოდის ინდუსტრია და ისე არ ჩაივლის კვირა, რომ ამა თუ იმ კლუბსა თუ ფეშენებელურ რესტორანში ჩვენება არ გაიმართოს. რამდენიმე დღის წინ, სახელწოდებით — „ზაფხულის მოდის ფესტივალი“ — კიდევ ერთი საინტერესო საკონკურსო ჩვენება მოეწყო, რომელზეც ჩვენი საზოგადოებისთვის შედარებით ნაკლებად ცნობილმა მოდელიერებმა სხვადასხვა თემაზე შექმნილი ნამუშევრები წარმოადგინეს.

დიზაინერი ნინო კატარმასოვსკი რაჭაში

ალექსი რეხვიაშვილი

კონკურსი ხუთ ნომინაციაში ტარდებოდა: გამოსასვლელი და საღამოს კაბები; აღმოსავლური თემა; ქართული თემა; ასოციაცია და ზღვის მოტივი. თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებული მოდელიერი, ორგანიზატორებმა ეროვნული ზარაფხანის მიერ დაწესებული პრიზებით დააჯილდოეს. შეკრებილი პუბლიკისა და ჟიურისთვისაც კი, ყველაზე მოულოდნელი ის ფაქტი აღმოჩნდა, რომ ქართულ თემაზე შექმნილი კოსტიუმების კონკურსში მონაწილე ორივე დიზაინერი არაქართველი აღმოჩნდა: რუსი ანდრეი ლობანოვისა და პოლონელი ნინო კატარმასოვსკის კოლექციებს მაყურებლის დიდი მოწონება ხვდა წილად. ჟიურიმ კი, უპირატესობა კატარმასოვსკის მიერ ტრადიციული რაჭული სამოსის შთაბეჭდილებით შექმნილ ნამუშევრებს მიანიჭა.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა, ნინო კატარმასოვსკიმ, მოდელირების ფაკულტეტი შარშან დაამთავრა. აღნიშნულ კონკურსზე მან სწორედ თავისი სადიპლომი ნაშრომი გამოიტანა. აკადემიაში სწავლის პერიოდში, მას არაერთხელ გაუმართავს ჩვენება თბილისის სხვადასხვა კლუბსა თუ დარბაზში. „მაშინდელი ჩვენებები მოდელირებაში ჩემს პირველ ნაბიჯებს წარმოადგენდა და ძირითადად ავანგარდულ ხასიათს ატარებდა, — ამბობს ნინო. — დღევანდელი გადასახედიდან ეს ყველაფერი ცოტა არ იყოს გულუბრყვილობად მეჩვენება. გაცილებით სერიოზულად ვმუშაობდი სადიპლომი კოლექციაზე, რომელიც ამ საკონკურსო ჩვენებაზე წარმოვადგინე“.

— ჩვენების მსვლელობისას, წამყვანმა, გაკვირვებულმა იკითხა: ნეტავ, ამ გოგონამ სად იხილა ტრადიციული რაჭული სამოსი? რაღა დაგიმალოთ და მეც მაინტერესებს, საიდან მოგივიდათ ეს იდეა ან საერთოდ, თუ ხართ ნამყოფი რაჭაში?

— რაჭაში ნამყოფი ვარ და საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ნახვით აღფრთოვანებულიც დავრჩი. რაც შეეხება ტრადიციულ რაჭულ სამოსს — რა თქმა უნდა, იგი რაჭაში ყოფნის პერიოდში არ მინახავს. ეს ყველაფერი სამხატვრო აკადემიაში გვასწავლეს. თუმცა, რაჭულ მოტივზე კოსტიუმების შექმნის იდეა დიპლომზე მუშაობის დაწყებამდე არ მომსვლია. ჯერ ესკიზები შევქმენი და როდესაც მივხვდი, რომ მასში იყო რაღაც ქართული, გადავწყვიტე სადიპლომი ნაშრომისთვის რაჭული თემისთვის მიმემართა.

— კი, მაგრამ თქვენს კოლექციაში არ ფიგურირებს ტრადიციული ქართული ორნამენტი — დოქები, ფიალები და სხვა ჩვეული ატრიბუტები, რასაც მსგავს ჩვენებებში ხშირად იყენებენ ხოლმე ქართველი დიზაინერები.

— გეთანხმებით. სიმართლე გითხრათ, დღეს ქართულ თემატიკაზე შექმნილ კოლექციაში ამ ატრიბუტების გამოყენება უკვე ტრივიალურად მეჩვენება. თუმცა, ეს ალბათ ჩემი სუბიექტური აზრია. ჩემს ნამუშევარში უპირატესობა მივანიჭე რაჭული სამოსისთვის დამახასიათებელ ფერებს: ნაცრისფერს, ხაკისფერს, კრემისფერს, ტერაკოტისფერს. გარდა ამისა, კოსტიუმების შექმნისას გამოვიყენე: ტრადიციული ქართული ყაბალახი, წინსაფარი, ნაქსოვი მკლავე-

ბი, ცრუმკლავები, შარვალი, ქისა, ნატისა და ტყავისაგან დაწნული ქამრები, თიხის სამკაულები და ა.შ. მსურდა, რომ ჩემი კოლექციით საქართველოს მთიან რეგიონში, კერძოდ რაჭაში მცხოვრები ქალის შინაგანი თავისუფლება, ჰაეროვნება, სევდანარევი ხიბლი, იდუმალება მეჩვენებინა. თანაც მინდოდა, ტრადიციული რაჭული სამოსისთვის დამახასიათებელი ფორმები უფრო არაორდინარულად, ახლებური ინტერპრეტაციით წარმომედგინა. სხვათა შორის, ჩვენების მუსიკალური ფონისთვის, ქართულის ნაცვლად, ჩვენში ფაქტობრივად უცნობი, ერთ-ერთი ჰოლანდიური მეტალიკური ჯგუფის ინსტრუმენტული ნაწარმოები შევარჩიე, რომელიც, თავისი მისტიკურობითა და რაჭული გუდა-სტვირის მსგავსი ჟღერადობით, ძალიან მოუხდა ჩემს კოლექციას.

— ალბათ კონკურსზე ძალიან ღელავდით, არა?

— რომ გითხრათ — კონკურსის შედეგების შეტყობამდე ძალიან ენერვიულობდი-მეთქი, — მართალი არ ვიქნები. ჩვენების პროცესში და მანამდეც, იმაზე ფიქრით უფრო ვიყავი დაკავებული, რომ მოდელ გოგონებს კარგად წარმოედგინათ კოლექცია. მე მგონი, ნორმალური გამოვიდა, ყოველ შემთხვევაში — ჟიურიმ ასე მიიჩნია.

— ალბათ ახალი იდეებიც გექნებათ...

— ო-ო, იდეა ძალიან ბევრი მაქვს — როგორც დიდი, ასევე შედარებით მცირე პროექტების. თუმცა, მათ განსახორციელებლად შესაბამისი თანხებია საჭირო.. ■

მოდელი ლალი გუშიკაშვილი

ახალი საცურაო კოსტიუმები მინიმალიზაციისაკენ მიისწრაფვის

როგორი საცურაო კოსტიუმებია წლეულს მოდაში? დიზაინერების მთელი შემოქმედება მიმართულია დეკორზე, ფურფუშელებზე და მრავალფეროვან აქსესუარზე. წლევანდელი სეზონის კოლექციათა უმრავლესობაში ბიკინი დომინირებს. მინიმალიზაციისაკენ სწრაფვა საცურაო კოსტიუმებშიც აისახა. მაგალითად, „დიორის“ და „ტომ ფორდის“ საცურაო კოსტიუმების უკანა ნაწილი მაქსიმალურად ღია და გვერდებშიც საკმაოდ ამოჭრილია. მოდის ზოგიერთმა სახლმა კდემამოსილება გამოიჩინა და ე.წ. მთლიანი, დახურული საცურაო კოსტიუმები შექმნა, მაგრამ ქსოვილად გამჭვირვალე ფაქტურა გამოიყენა, რაც თავის მხრივ სიშიშვლის ეფექტს ქმნის. საცურაო კოსტიუმების ახალი მოდელები მრავალფეროვანი ელემენტითაა გაწყობილი, რაც მოდელს უფრო ექსტრავაგანტურს, ხალისიანს, სექსუალურსა და მომხიბვლელს ხდის. პოპულარულია ყველანაირი შესაკრავი და ზონარი.

გახსოვდეთ, რომ თავისთავად საცურაო კოსტიუმი ძალზე „მოსაწყენი“ რამაა. ამიტომ, კოსტიუმთან ერთად აუცილებლად უნდა იზრუნოთ მისთვის შესაფერისი საზღვაო ფეხსაცმლის, ჩანთისა და სხვა აქსესუარების შერჩევისთვის. რაც შეეხება ტანსაცმელს, კოლექციათა უმეტესობაში საპლაჟო ჩასაცმელად ფართო სტილის შარვალია მიჩნეული, ზოგიერთ მოდელში კი, საპლაჟო მოკლე ხალათი (ხშირ შემთხვევაში კაპიუშონით).

ვის როგორი ჯაბა მოუხდება

იცით თუ არა, რომ ქალის სილუეტს ბოლოკაბის სიგრძე განსაზღვრავს? თუ გინდათ, უფრო ტანწერწეტა ჩანდეთ, დაიცავით შემდეგი წესები:

- ბოლოკაბის სიგრძე აუცილებლად უნდა ფარავდეს ფეხის ყველაზე მსხვილი მოცულობის ნაწილს.
- კაბის სიგრძე ყოველთვის მეტი უნდა იყოს, ვიდრე მისი სიგანე. ამ დროს ვერტიკალური ხაზები დაცულია და მაქსიმალურად იზრდება ქალის სილუეტი.
- თუ მაღალი ქალბატონი არ ხართ, მაშინ მაქსი სიგრძის ბოლოკაბებისგან თავი შეიკავეთ. მაქსი საკმაოდ მზაკვარი სიგრძეა, რომელიც უფრო ხშირად ამჟღავნებს, ვიდრე ფარავს ქალბატონის ნაკლს.
- გვერდებში ჩახსნილი ბოლოკაბა უხდებათ კარგი ფეხების მქონე ქალბატონებს. წინ ჩახსნილი ბოლოკაბა, როგორც წესი, სიარულისას სირთულეებს ქმნის და ლამაზი ფეხების შემთხვევაშიც კი, გადაადგილებას პრობლემურს ხდის.
- ტანდაბალმა და ბუთხუზა ქალბატონებმა ჯობს თავი შეიკავონ შუა წვივზე გაჩერებული სიგრძის ქვედაბოლოს შეძენისაგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი მას ბოლო ტრაპეცია აქვს.
- შედარებით გრძელი ჩანს ფეხი, თუ მაღალწელიან ქვედაბოლოს ჩაიცვამთ.

რა კავშირშია თევზი ქალის გულთან?

რა კავშირშია და სასარგებლოა! მკვლევარ-ექიმების მტკიცებით, მისი მეშვეობით ქალებს ძალუძთ გულის დაავადების გავრცელების რისკის მნიშვნელოვანი შემცირება. ამისათვის, ქალმა კვირაში არანაკლებ 2-ჯერ თევზი უნდა მიირთვას. ასეთ დასკვნამდე ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ, რომლებმაც ქალის ორგანიზმზე თევზის ზემოქმედება შეისწავლეს. ასეთი ტიპის კვლევა მსოფლიოში პირველად ჩატარდა. ამ სამუშაოებს ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის დაცვის სკოლის დირექტორი ფრენ ჰუ ხელმძღვანელობდა. 16 წლის განმავლობაში შესწავლილი იყო 84 ათასზე მეტი ქალი, რომელთა ასაკიც 34-54 წლებს შორის მერყეობდა.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კვირაში 2-4-ჯერ თევზის მირთმევით გულის დაავადების რისკი 30%-ით შემცირდა. 5-ჯერ და მეტჯერ, ამ პროდუქტის ჭამით კი 34%-ით. ამასთან ერთად თევზის რეგულარული მირთმევა ქალებში გარკვეული სახის ინფარქტის რისკსაც ამცირებს. ამ შემთხვევაში რისკი ნახევრამდე დაიყვანება.

განსაკუთრებით სასარგებლოა მუქი ფერის თევზი. ასე რომ, იზრუნეთ საკუთარ თავზე და მიირთვით თევზი!

როგორ მოვუაროთ თვალებს?

მართლაც, იმ ჯადოსნურ ძალას, რომელიც ადამიანის თვალებს აქვს, სასწაულის მოხდენა შეუძლია. იცით თუ არა, რომ ადამიანი, დღის განმავლობაში დაახლოებით 10000-ჯერ ახამხამებს თვალს. ამის გარდა, თვალის კონტურები და ქუთუთოს მიმდებარე ადგილები აქტიურად მონაწილეობს სახის მიმიკურ ჟესტებში. ჩვენ თვალებს ვჭუტავთ და ვიჭმუხნებით სიცილის დროს, მზის სხივებისგან, უსიამოვნო შეგრძნებებისგან, შედეგად კი ვიღებთ თვალის გარშემო ნაოჭთა ბადეს. იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ პრობლემები, რომელიც თვალის გარშემო იყრის თავს, გახსოვდეთ, რომ ძილის წინ ყოველთვის უნდა მოიცილოთ თვალის მაკიაჟი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შინ ძალიან გვიან დაბრუნდით. წამწამებიდან საღებავი სპეციალურ ლოსიონში დასველებული ბამბით უნდა მოიცილოთ. ჯერ გაიწმინდეთ თვალის ზედა მხარე, შემდეგ კი ქვედა წამწამები. არავითარ შემთხვევაში, ზედმეტად არ დააწვეთ თვალს. ბამბის ტამპონი ჯერ ძალიან სველი უნდა იყოს, შემდეგ კი ოდნავ გაწურული. თუ არ გაქვთ სპეციალური ლოსიონი, მაშინ ჯობს შეგრილებული ჩაით ამოიბანოთ თვალები. ქუთუთოების და უპეების შესივებისას (ეს ზოგჯერ არასრულფასოვანი ძილის დროს ხდება) ეფექტურია კომპრესი, რომელიც სალბისგან მზადდება. 100 მლ მდუღარე წყალი დაასხით 1 ჩ/კ სალბს და 10-15 წუთი გააჩერეთ თავდახურულ ქილაში. დაასველეთ ბამბა თბილ ნაყენში, დახუჭეთ თვალები და დაიფინეთ ტამპონი. 10 წუთის შემდეგ შეგიძლიათ ცივი კომპრესი დაიდოთ.

თუ თქვენს თვალებს აკლია ბრწყინვალება

ამ შემთხვევაში ცაცხვის ყვავილისა და გვირილის ნაყენისგან მომზადებული საფენები შეუცვლელია. თვალებს ბრწყინვალებას ანიჭებს თაფლის აბაზანაც. ამისათვის საჭიროა აიღოთ ნატურალური თაფლი და მოათავსოთ იმ ჭურჭელში, სადაც ანადუღარი წყალია. შემთბარ ნაყენში ჩაყავით თვალი და 10-15 წუთის განმავლობაში ახამხამეთ.

მოქმედებს თუ არა ყვება თვალის სილამაზეზე?

უდავოდ მოქმედებს. თვალების მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ რამდენად ჯანმრთელია ორგანიზმი. მათში აისახება არასრულყოფილი ძილი, დაქვეითებული სასიცოცხლო ენერგია და კვების რაციონში შექმნილი ვიტამინების დეფიციტი. იმისათვის, რომ თვალები იყოს ნათელი და მეტყველი, თქვენს ყოველდღიურ რაციონში უნდა შეიტანოთ ისეთი პროდუქტები, რომელიც შეიცავს A ვიტამინს. ეს ვიტამინი საკმარისი რაოდენობითაა სტაფილოში, ვაშლში, კომბოსტოში, ოხრახუშსა და ნიახურში. გაანებივრეთ თქვენი თვალები ცოცხალი ხილით. დაიდეთ თვალის უპეებზე დამბალი ჭერმისა და გარგარის ჩირი.

როგორ მოვუაროთ ავეჯს

● „პოლირებული“ ან ლაქგადასმული ავეჯის ზედაპირი ხავერდის რბილი ნაჭრით უნდა გაწმინდოთ. არავითარ შემთხვევაში, არ გამოიყენოთ სველი ტილო.

● „პოლირებული“ ავეჯიდან ლაქების ამოყვანა შესაძლებელია მარილისა და მცენარეული ზეთის ნაზავით. მოათავსეთ ეს მასა ლაქაზე, გააჩერეთ 2-3 საათით და მშრალი ნაჭრით მოწმინდეთ.

● ცხელი ჭურჭლის კვალის მოსასპობად „პოლირებული“ ავეჯი უნდა გაწმინდოთ სპირტისა და მცენარეული ზეთის ნაზავში დასველებული ტილოთი, წრიული მოძრაობებით.

● ლაქგადასმულ ზედაპირს წყლის ნაკვალევის მოსაშორებლად ჯერ ფქვილი უნდა მოაყაროთ და შემდეგ ზეთში დასველებული ქსოვილით გაწმინდოთ.

● რბილი ავეჯისა და ხალიჩის გაწმენდა მტვერსასრუტის გარეშეც შესაძლებელია, თუ მას დასველებულ და კარგად გაწურულ ზეწარს გადააფარებთ. შემდეგ კი სპეციალური ჯოხით დაბერტყავთ. პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორეთ.

სასარგებლო ნიღბები

ნიღბებისთვის საჭირო ინგრედიენტების უმეტესი ნაწილი საკუთარ სამზარეულოში შეგიძლიათ აღმოაჩინოთ. მაშ, მიაშველეთ კანს საჭირო მინერალური ნივთიერებები, ვიტამინები და მიკროელემენტები. ნაოჭების საწინააღმდეგოდ შეგიძლიათ თაფლიანი ნიღაბი გაიკეთოთ. ის ისევე ზემოქმედებს კანზე, როგორც ბიოლიფტინგი. ამ ნიღაბის მოსამზადებლად აიღეთ 1 კვერცხის ცილა და ათქვიფეთ 1 ს/კ მაწონთან ერთად ან 2 ს/კ სქელ იოგურტთან ერთად. დაამატეთ ლავანდის ზეთის 3 წვეთი. წაისვით სახეზე და 15 წუთის შემდეგ, თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ლიმონი კანის ელასტიკურობას ზრდის

ამ ნიღბის მოსამზადებლად 1 კვერცხის ათქვეფილი ცილა შეურიეთ 1 ჩ/კ თაფლს და ლიმონის რამდენიმე წვეთს. ნიღაბი 10 წუთის განმავლობაში გაიჩერეთ სახეზე. ასეთი ნიღაბი ზრდის კანის ელასტიკურობას და სიმკვრივეს.

ხაჭო კანს აცოცხლებს

ეს ნიღაბი შეიცავს ბევრ მკვებავ ნივთიერებას. განსაკუთრებით მდიდარია კალციუმით. ნიღაბი კეთდება შემდეგი წესის მიხედვით: 1 ჩ/კ ხაჭო, 1 ჩ/კ თხელი თაფლი და 1 ს/კ ფორთოხლის წვენი აურიეთ ერთმანეთში. წაისვით ნიღაბი სახესა და ყელზე. 20 წუთის შემდეგ, ნიღაბი ჩაის ნაყენით ჩამოიბანეთ და მკვებავი გადაისვით.

ბანანი კანის სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს

ბანანი უამრავ მინერალურ ნივთიერებას შეიცავს, რომელიც კანს საჭირო ენერგიით უზუნველყოფს. იგი მზადდება შემდეგნაირად: მწიფე ბანანი ფაფასავით აზილეთ, ჩაამატეთ მასში 2 ს/კ ხაჭო, 1 ს/კ ნაღები და 1 კვერცხის გული. ყველაფერი კარგად აურიეთ ერთმანეთში და ნიღაბი სახეზე 30 წუთის განმავლობაში გაიჩერეთ.

ჯიტრი ატენიანებს კანს

კიტრი ვიტამინებს არ შეიცავს, მაგრამ მდიდარია წყლით, რომელიც ასე აკლია კანს. ამ ნიღბის მოსამზადებლად დაგჭირდებათ ერთი კიტრი, რომელიც რგოლებად უნდა დაჭრათ და 15-20 წუთის განმავლობაში სახეზე დაიდოთ. ■

უსაფრთხოა თუ არა ბად-ები?

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ბიოლოგიურად აქტიურ კვებით დანამატებზე ბევრი ჭორი დადის. ზოგი მათ ყველა დაავადების სასწაულმომქმედ სამკურნალო საშუალებად მიიჩნევს. ზოგს კი სურს, ბად-ების მეშვეობით რეკორდულ ვადებში დაიკლოს წონაში. მათი მწარმოებლებიც, თავის მხრივ, მზად არიან დაგვპირდნენ ყველაფერს, რაც შესაძლებელია. შედეგად კი ბად-ების შესახებ მეტად არაერთმნიშვნელოვანი აზრი შეიქმნა საზოგადოებაში.

რა არის ბად-ი?

ბად-ი ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატია. ბად-ები მიეკუთვნება საკვებს და კვალიფიცირდება, როგორც ბუნებრივი (ბუნებრივის მსგავსი) ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომელიც საკვებთან ერთად მისაღებადაა განკუთვნილი. ის წამალს არ წარმოადგენს, მაგრამ თუ ჰიპოკრატეს სიტყვებს მოვიშველიებთ:,,საკვები წამალი უნდა იყოს, წამალი კი – საკვები".

რისთვისაა საჭირო ბად-ები

სულ ახლო წარსულში ადამიანს ენერგეტიკული დანაკარგების ასანაზღაურებლად 5-6 ათასი კილოკალორია ესაჭიროებოდა და საკვების აღნიშნული რაოდენობიდან იგი აუცილებელ საკვებ ნივთიერებებსაც ღებულობდა. დღეს კი, უკვე 2 ათასი კილოკალორიაც ჭარბ რაციონს წარმოადგენს. შესაბამისად, დაქვეითდა საკვებიდან მოხმარებული მიკრონუტრიენტების (ვიტამინების, მიკროელემენტების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების) კვოტაც. თუკი საკვებში ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ბალანსირება საკმაოდ იოლია, მიკრონუტრიენტების საჭირო რაოდენობის მიღება ადვილი არ გახლავთ. ბად-ების დანიშნულებაა მიკრონუტრიენტთა დეფიციტის შევსება ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციის გაძლიერების მიზნით. მაგალითად, თუ მიიღებთ ბად-ს, რომელიც შეიცავს მოცვის ექსტრაქტს. ამით არ უნდა ელოდეთ ახლომხედველობის ან შორსმხედველობის სრულ განკურნებას. მაგრამ როდესაც ადამიანი ბევრს მუშაობს კომპიუტერთან, ხშირად უყურებს ტელევიზორს, აქვს მხედველობის აპარატის ძლიერი დატვირთვა, მას შეუძლია მიიღოს მოცვის ექსტრაქტის 2-3 აბი ან ყოველდღიურად მიირთვას ერთი ჭიქა მოცვი, რათა უზრუნველყოს მხედველობის აპარატის ფუნქციონირების ნორმალური რეჟიმი. კაფსულის უპირატესობა კენკრასთან შედარებით ისაა, რომ იგი ყოველთვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტისგან მზადდება, გადის სპეციალურ კონტროლს. ამასთან, კენკრა ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის ადამიანისათვის.

მაგალითისათვის შეგვიძლია განვიხილოთ ბად-ები, რომელიც გულ-სისხლძარღვთა სისტემის განვითარების რისკის შესამცირებლადაა განკუთვნილი. არჩევანი თქვენზეა: შეგიძლიათ, ისე დაგეგმოთ თქვენი რაციონი, რომ გაზარდოთ მცენარეული ცხიმები და შეამციროთ ცხოველური, მაგრამ შეგიძლიათ მიიღოთ ბალანსირებული პოლინაჯერი ცხიმოვანი მჟავების კომპლექსი (ბად-ი), რათა თუ ინფარქტის რისკის ჯგუფს მიეკუთვნებით, თავი დაიცვათ მისგან.

აქვს თუ არა ბად-ებს გვერდითი ეფექტები

ბად-ის გვერდითი ეფექტები მითითებული უნდა იყოს მის ეტიკეტზე. ბევრი ბად-ი შეიცავს ისეთ მატონიზებელ მცენარეებს, როგორიცაა: მწვანე ჩაის ან გუარანის ექსტრაქტი, რომელიც კოფეინს შეიცავს. თუ ადამიანს მაღალი წნევა აწუხებს და იღებს ასეთ ბად-ს ექიმის კონსულტაციის გარეშე, ეს მას ზიანს მოუტანს.

თუ ვალერიანის, პიტნის, მელისას შემცველ დამამშვიდებელ ჩაის დილის საათებში მიიღებთ, უნდა იცოდეთ, რომ ეს დღე თქვენთვის ისე ინტენსიურად არ ჩაივლის, როგორც სხვა დღეები.

შეიძლება თუ არა ბად-ების თვითნებური მიღება

არის ისეთი ბად-ები, რომლის მიღება შესაძლებელია მთელი ცხოვრების განმავლობაში გარკვეული კურსის დაცვის გარეშე. თუ ბად-ი ექიმის კონსულტაციას საჭიროებს, ეს აუცილებლად უნდა იყოს მითითებული მის ეტიკეტზე. მაგალითად, ლეციტინის შემცველი ბადი უჯრედული მემბრანების ნერვული ქსოვილების, თავის ტვინის სისხლძარღვების პლასტიკურ მასალას წარმოადგენს, მისი გამოყენებისას უკუჩვენება არ არსებობს. ცნობილია, რომ ნიორი ორგანიზმში ქოლესტერინის დონის დასაქვეითებლადაა რეკომენდებული. ამ შემთხვევაშიც ადამიანი თავად არჩევს, შეჭამოს დღეში რამდენიმე კბილი ნიორი (თავისი შედეგებით) თუ მიიღოს ნივრის ექსტრაქტის შემცველი კაფსულები.

ყველას სჭირდება თუ არა ბად-ები

ბად-ების გამოყენება ადამიანის მიერ ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების ბუნებრივი პროცესია. თუკი ჩვენში ეს შედარებით ახალი მოვლენაა, ევროპასა და ამერიკაში ბად-ები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა. ეს იმასთან იყო დაკავშირებული, რომ რაფინირებული საკვები პროდუქტების მომზადების ტექნოლოგია სერიოზულად აღარიბებს ჩვენს რაციონს საჭირო ნივთიერებებისგან. შესაძლებელია თავად პროდუქტები გავამდიდროთ მიკროელემენტებით და ვიტამინებით, მაგრამ ეს მეტად რთული პროცესია და ყველა მეწარმისათვის არ არის იოლი. თუმცა ჩვენში ბოლო დროს გამოჩნდა კალციუმიანი და იოდირებული პროდუქტები. საკვებთან ერთად მიღებული ელემენტი უფრო ეფექტურად აითვისება, ვიდრე ცალკე მიღებული მარილი.

სად შევიძინოთ

ბად-ები უნდა იყიდებოდეს ან მაღაზიების სპეციალურ განყოფილებებში ან აფთიაქებში, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი ნორმალურად მიიჩნევს მათ შეძენას ტელეფონით ან შემთხვევითი ადამიანისაგან. ქსელური მარკეტინგი ჩვენში აკრძალული არ არის, მაგრამ სამწუხაროდ, ზოგიერთი დისტრიბუტორი არაკვალიფიცირებულია, უფრო მეტიც, შეხებაც კი არ აქვს მედიცინასთან. მათი პასუხისმგებლობის საკითხი მყიდველთა წინაშე კი ჩვენს კანონმდებლობაში არ არსებობს. ამიტომ, გირჩევთ, ბად-ების შესარჩევად საკონსულტაციოდ ექიმს მიმართოთ.

გავხდეთ თუ არა

თუ ბად-ის გამოყენებით უსწრაფეს გახდომას გპირდებიან, იცოდეთ, რომ ეს არაკეთილსინდისიერი რეკლამაა. საკუთარი ნივთიერებათა ცვლის გადაკეთება მოკლე დროში შეუძლებელია. რა თქმა უნდა, წო-

წამალი ,,მთაწმინდა"

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, ნაოჭების გასწორება, მცენარეული საპნები.

მკურნალობა მარანგიით

მის: ჯავჯავაძის გაზ. 2/2, ჩაის სასლთან, სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში, მიღება ყოველდღე 11-18 სთ-ზე, მეჭედლიძე, ბეგაშვილი

☎ 30-94-73; 34-35-16 (საღამოს)

ნის დაკლება შეიძლება, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მას ისევ აღიდგენთ. ბად-ებისა და დიეტის კომპლექსური გამოყენება სხეულის მასის მხოლოდ 20%-ით დაქვეითების საშუალებას იძლევა. მხოლოდ ბად-ის მეშვეობით სასწაულმოქმედი ეფექტის მიღება კი არ ხდება.

შევიძინოთ ხარისხიანი პროდუქცია

ჩვენში შემოდის ევროპული, ამერიკული, რუსული წარმოების ბად-ები. არსებობს აგრეთვე ადგილობრივი წარმოების ბიოდანამატები. მაგალითისათვის, გეტყვით, რომ რუსეთში 2001 წელს გამოვლინდა 3 ათასამდე ბად-ის მწარმოებელი საწარმო, რომელიც არღვევდა ბად-ის წარმოებისა და რეალიზაციის წესებს. დარღვევები 3 ძირითადი კატეგორიისაა: 1) ჩვენებასთან შეუსაბამობა (სარეგისტრაციო მოწმობაში ჩაწერილია ისეთი ეფექტი, რომელიც სინამდვილეში არ აქვს აღნიშნულ ბად-ს); 2) წარმოებისა და შენახვის წესების უსაფრთხოება (ბად-ებს, ისევე როგორც პროდუქტებს, ესაჭიროება შენახვა გარკვეულ ტემპერატურაზე); 3) ხარისხი (ბად-ი არ შეიცავდა იმ რაოდენობის ვიტამინებს და მიკროელემენტებს, რაც მითითებული იყო ეტიკეტზე). მწარმოებლებისადმი წაყენებული პრეტენზიათა უმრავლესობა გამოიწვია არაკეთილსინდისიერმა რეკლამებმა.

■

როცა შარდს ვერ იკავებთ

სხვადასხვა დაავადების დროს, ქალებსა და მამაკაცებში თავს იჩენს ხოლმე სიმპტომი — შარდის შეუკავებლობა — შარდის უნებლიე გამოყოფა მოთხოვნილების გარეშე.

არსებობს შარდის პირველადი და მეორეული შეუკავებლობა. პირველადი შეუკავებლობა თანდაყოლილია ან ვითარდება ტრავმის შედეგად შარდის ბუშტის სფინქტერების (მომჭერების) ორგანული დაზიანების შედეგად.

მეორეული შეუკავებლობის მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, იგი აღინიშნება მაშინ, როდესაც ზიანდება ზურგის ტვინის ის ნაწილები, რომელიც შარდის გამოყოფის პროცესს განაგებს;

არის შემთხვევები, როდესაც შარდის ბუშტი ანატომიურად შეუცვლელია, მაგრამ სფინქტერების კუნთები მოდუნებულია. ასეთ დროს ნებისმიერი მცირედი ფიზიკური დატვირთვაც კი უნებლიე შარდვას იწვევს. ამ მდგომარეობას შარდის სტრესული შეუკავებლობა ეწოდება.

შარდის სტრესული შეუკავებლობა (ანუ შეუკავებლობა დატვირთვისას) შეიძლება მოჰყვეს სიცილს, ხველებას ან ცემინებას, გასეირნებას ან ფიზიკურ ვარჯიშს, წამოდგომას ან სიმძიმის აწევას.

ქალების უმრავლესობას ასაკის მიუხედავად, სწორედ შარდის სტრესული შეუკავებლობა აღენიშნება. იგი შეიძლება განვითარდეს მშობიარობის, ოპერაციის შემდეგ, მენოპაუზის (კლიმაქსის) დროს, რაც უკავშირდება ქალური სასქესო ჰორმონის — ესტროგენის დეფიციტს. შარდის შეუკავებლობა შეიძლება იყოს საშარდე სისტემის, საშოს ინფექციის, შეკრულობის შედეგი. სხვათა შორის, ხშირად მხოლოდ შეკრულობა (ყაბზობა) წარმოადგენს ამ სიმპტომის მიზეზს. ასეთ დროს საკმარისია სწორი მკურნალობა და სიმპტომიც მალე გაივლის.

გირჩევთ, დროულად მიმართოთ ექიმს და გულახდილად უამბოთ თქვენი მდგომარეობის შესახებ. რაიმე მიზეზის გამო შარდის შეუკავებლობის დამალვა მხოლოდ იმას გამოიწვევს, რომ დაგიზიანდებათ ნერვული სისტემა, პრობლემას კი თავს ვერ დააღწევთ.

ახლა შემოგთავაზებთ ვარჯიშებს, რომელიც, იმის მიუხედავად, თუ რა იწვევს აღნიშნულ სიმპტომს, დაგეხმარებათ შარდის გამოყოფის გაკონტროლებაში.

● მოადუნეთ მუცლის, დუნდულის, ფეხის კუნთები და შეკუმშეთ ანუსის (უკანა გასავლის) ირგვლივი კუნთები ისე, თითქოს ნაწლავის დაცლას ეწინააღმდეგებოდეთ. ეს ვარჯიში დღეში რამდენჯერმე ტარდება.

● შარდის გამოყოფის დროს შეეცადეთ შარდის ნაკადი დროებით შეაჩეროთ და შემდეგ ისევ გამოუშვათ. ეს მენჯის წინა კუნთებს ამაგრებს.

● მოდუნდით, შემდეგ შეკუმშეთ ჯერ ანუსის, შემდეგ მენჯის წინა კუნთები. ციკლი 4-ჯერ გაიმეორეთ. სასურველია, ვარჯიშები დღეში 3-ჯერ ორი-ორი წუთის განმავლობაში ჩაატაროთ.

გაითვალისწინეთ რამდენიმე რჩევა:

● შეზღუდეთ სითხის დღიური რაოდენობა, რაციონიდან ამოიღეთ ისეთი პროდუქტები, რომელიც შარდის გამოყოფას აძლიერებს (ყავა, ალკოჰოლი).

● უარი თქვით სიგარეტზე — ნიკოტინი აღაგზნებს შარდის ბუშტის გლუვ კუნთებს.

● ებრძოლეთ ჭარბ წონას — სიმსუქნისას მუცლის ღრუს წნევა მომატებულია, რაც ხელს უწყობს უნებლიე შარდვას.

● შარდის ბუშტის დაცლის შემდეგ ხელახლა შეეცადეთ, დაცალოთ იგი, სცადეთ, გამოიმუშაოთ ყოველ საათში შარდის გამოყოფის რეფლექსი. როცა ამას მიეჩვევით, შეგიძლიათ, ინტერვალი გაზარდოთ.

შარდის სტრესული შეუკავებლობა მედიკამენტურ მკურნალობას არ ექვემდებარება. თუ იგი ჰორმონების დეფიციტითაა განპირობებული, რეკომენდებულია ჰორმონული თერაპიის ჩატარება.

შარდის შეუკავებლობის მკურნალობის ყველაზე ეფექტური საშუალებაა ქირურგიული ჩარევა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში, ავადმყოფთა მდგომარეობის სწრაფ გაუმჯობესებას იწვევს.

■

რძიანი ჩაი — თირკმლები ჟენჭების გარეშე

მათ, ვინც შავ ჩაის სვამს, შარდში დიდი რაოდენობით აქვთ ოქსალატები — მჟაუნმჟავას მარილები, რომელიც მინერალური ცვლის დარღვევისას თირკმლებში და შარდის ბუშტში კენჭების წარმოქმნას იწვევს. როგორც ლინკოლნის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რძიანი ჩაი ამცირებს ასეთ რისკს. აღმოჩნდა, რომ რძეში შემავალი კალციუმი უერთდება ოქსალატებს და უმტკივნეულდ გამოაქვს ის ორგანიზმიდან.

■

სეზონური ხილი

ჟოლოს სამკურნალო თვისებები

ჟოლოს სამკურნალო თვისებები არ ამოიწურება მხოლოდ მისი გაცივების საწინააღმდეგო ეფექტით.

ათეროსკლეროზი. ჟოლო ხელს უწყობს მომატებული არტერიული წნევისა და სისხლში ქოლესტერინის დონის დაქვეითებას, ამაგრებს სისხლძარღვთა კედლებს, კურნავს და იცავს ათეროსკლეროზისაგან ადამიანს მასში შემავალი ცხიმოვანი მჟავებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მეშვეობით. ასე რომ, მისი გამოყენება შეუძლია ყველას, ვინც მიდრეკილია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისაკენ ან უბრალოდ სურს ახალგაზრდობის, სილამაზის და ჯანმრთელობის შენარჩუნება, რაც ჯანსაღი სისხლძარღვების გარეშე შეუძლებელია.

დაბალი ჰემოგლობინი. ჟოლოს დამსახურებული მესამე ადგილი უჭირავს იმ კენკრებს შორის, რომელსაც ჰემოგლობინი ნორმაში მოჰყავს. იგი შეუფასებელია ორსულობისა და სხვა მდგომარეობების დროს, რომელსაც რკინადეფიციტური ანემია ახლავს თან.

მენსტრუაცია. ჟოლოს ჩაი — კენკრის ნაყოფისა და ფოთლების ცხელი ნაყენი — მშვენიერი სასმელია კრიტიკულ დღეებში. იგი ხსნის სპაზმურ ტკივილებს და გულის რევას, აწესრიგებს რეგულარულ ციკლს.

საჭმლის მონელება. ჟოლოს ყვავილების, ყლორტებისა და ფოთლების ნაყენი ამსუბუქებს მდგომარეობას კუჭის წვის, ტკივილის ან სიმძიმის შეგრძნების დროს. 2 ს/კ ნედლეულს დაასხით 1 ჭ მდუღარე წყალი, დააყოვნეთ 1 სთ და მიიღეთ 1/3 ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამიდან 20 წთ-ის შემდეგ. 1 ს/კ ახალგამოწურული ჟოლოს წვენის მიღება ჭამამდე 15 წთ-ით ადრე რეკომენდებულია კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს.

მწერების ნაკბენები. ჟოლოს ყვავილებისა და ფოთლების სპირტიანი ნაყენით (1:5) დაიზილეთ ნაკბენი ადგილი. გაშრობის შემდეგ ხელახლა უნდა დაიზილოთ, ასე გააკეთეთ 10-ჯერ ზედიზედ — ქავილი და წვა გაქრება.

სახის ჯანის გაახალგაზრდავება

ცხიმიანი სახის კანისთვის: გაიკეთეთ ჟოლოს რბილობის ნიღაბი (იგი კვებავს, აქვეითებს ცხიმიანობას, აფართოებს ფორებს).

მშრალი და ნორმალური კანისთვის: შეურიეთ 2 ჩ/კ ჟოლოს რბლობი და კარგად ათქვეფილი (აქაფებული) კვერცხი. დაიდეთ სახეზე. 20 წუთში ჩამოიბანეთ ცივი წყლით.

მგრძნობიარე კანისთვის: კენკრის მასას დაამატეთ ცოტაოდენი ახალი არაჟანი ან ხაჭო.

ნებისმიერი სახის კანისთვის კარგია შემდეგი ნიღაბი: აურიეთ 100 გ ჟოლოსაგან გამოწურული წვენი და 2 ს/კ ახალი რძე. დაიდეთ ნიღაბი სახეზე, 15 წუთში ჩამოიბანეთ ცივი წყლით.

კანს კვებავს და წმენდს ჟოლოს ლოსიონი: დაჭყლიტეთ 1 ს/კ კენკრა, დაასხით 300 გ არაყი. დადგით ოთახის ტემპერატურაზე ბნელ ადგილას 10 დღე, შემდეგ გაწურეთ. გამოყენებისას 2 წილი წყლით გააზავეთ (მშრალი კანისთვის 3 წილით).

ანთებითი დაავადებები

ჟოლოს ოფლმდენი მოქმედება აიხსნება მასში სალიცილის მჟავის მაღალი შემცველობით. გამშრალ კენკრაში იგი 20-ჯერ მეტია, ვიდრე ახალში. ჟოლოს აშრობენ თბილ ღუმელში ან მზიან ამინდში თუნუქის ქვეშ, სხვენზე.

შენიშვნა: პოდაგრითა და ნეფრიტით დაავადებულები ჟოლოს გამოყენებას უნდა მოერიდონ, რადგან მასში შედის პურინული ნაერთები, რომელიც დაავადების გამწვავებას გამოიწვევს. ■

სამეცნიერო პროგრესის რეკორდი

65 წლის ინდოელმა სატიაბხამამ 3-კილოგრამიანი ჯანმრთელი ვაჟი გააჩინა და მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული დედა გახდა. ექიმი, რომელმაც მშობიარობა მიიღო იტყობინება, რომ დედაცა და შვილიც თავს კარგად გრძნობენ. უფრო მეტიც, მშობიარე, პატარას ძუძუსაც კი აწოვებს. ინდოელს რეკორდის დამყარებაში 26 წლის ნათესავი დაეხმარა, რომლის განაყოფიერებული კვერცხუჯრედიც ჩაუნერგეს სატიაბხამას.

ელექტრული ანესთეზია

გამოიგონეს გაუტკივარების ახალი მეთოდი, რომელიც ფარმაკოლოგიური პრეპარატების გამოყენებას არ საჭიროებს. ამის ნაცვლად კანში ატარებენ ელექტრულ იმპულსებს, რომელიც ნერვულ დაბოლოებებზე მოქმედებს. ხელსაწყო წარმოადგენს პატარა ბანდაჟს, რომელიც გამტარების გარეშე იმართება. მას ამაგრებენ იმ ადგილას, სადაც პაციენტი ტკივილს გრძნობს. ხელსაწყოს გამოყენება არ იწვევს გვერდით მოვლენებს და წარმატებით ცვლის ცნობილ საანესთეზიო საშუალებებს.

3-D დიაგნოზი

სკანირების ახალი ჩქაროსნული ტექნოლოგია — ელექტრონულ-სხივური ტომოგრაფია პაციენტთა შინაგანი ორგანოების ულტრამოკლე დროში შესწავლის საშუალებას იძლევა და რადიაციული დასხივების რისკიც მინიმალურია. სკანერი იყენებს ელექტრონულ იმპულსებსა და რენტგენულ სხივებს და ქმნის გამოსაკვლევი ორგანოს სამგანზომილებიან ფერად გამოსახულებას, აგრეთვე დაავადების პირველად ზედმიწევნით დიაგნოსტირებას ახდენს.

ადამიანის გენომი გაშიფრულია

პროგრამა „ადამიანის გენომი“ დამთავრებულია. მკვლევარებისათვის ცნობილია ადამიანის პრაქტიკულად მთელი გენეტიკური კოდი და მისი შემდგომი გაშიფვრა, მათი თქმით, ეკონომიკურად მიზანშეუწონელია. გენომის გაშიფვრაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ბრიტანულმა ინსტიტუტმა Wellcome Trust Sanger. მისმა დირექტორმა ალან ბრედლიმ განაცხადა, რომ აღმოჩენა ალბათ არ მოახდენს სწრაფ რევოლუციას მედიცინასა და ბიოლოგიაში, მაგრამ მისი მნიშვნელობა მომავლისათვის შეუფასებელია. სამუშაოს მხოლოდ ერთმა ნაწილმა — მე-20 ქრომოსომის გაშიფვრამ საგრძნობლად დააჩქარა გამოკვლევები შაქრიანი დიაბეტის, ლეიკემიისა და ბავშვთა ეგზემის მკურნალობის სფეროში. ■

ძაღლებისთვის ვანკუთვნილი ბოდო ცუცხოო ალე უოფილ

წლეულს, სამოდელო სააგენტომ Bow Wow Meow-მ ნიუ-იორკის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმროში უჩვეულო პრეზენტაცია მოაწყო. საპატიო სტუმრების მიბრძანება საღამოს შვიდი საათისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ საზეიმო განწყობა ოტელის ჰოლში წინა დღიდან სუფევდა.

თითქმის ისევე, როგორც ადამიანებისთვის

ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, ყველაფერი უმაღლეს დონეზე უნდა შესრულებულიყო: საზეიმოდ უნდა მოერთოთ შენობა, დაეკიდათ პლაკატები, დაეგოთ ნოხები, მოემარაგებინათ შოუს მონაწილეთათვის განკუთვნილი ნუგბარი და ყოველ კუთხეში ნარჩენებისთვის საჭირო ჭურჭელი განეთავსებინათ – თუ საკუთრივ რისთვის, ამას მოგვიანებით გაცნობებთ...

სასტუმროს ბინადარნი გაოცებულები შესცქეროდნენ სამზადისს: ესოდენ პომპეზურად ხომ, ჩვეულებრივ, უმაღლესი კლასის მოდელებს ხვდებიან – ისეთებს, როგორებიც არიან კლაუდია შიფერი და ნაომი კემპბელი, მაგრამ ამჯერად, მაყურებელთა წინაშე, სააგენტოს – Bow Wow Meow-ს ძაღლები უნდა წარმდგარიყვნენ და ამის შესახებ შენობის შესასვლელთან დადგმული დიდი სარეკლამო დაფა აუწყებდა ყველა გამვლელს.

...კულუარებში, მომლოდინეთა შორის გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა შეინიშნება. და აი, სასტუმროს უახლოვდება თვალის მომჭრელი ლიმუზინები, რომლებიდანაც მკვირცხლად ხტებიან ძვირად ღირებულ ბეწვეულში გამოწყობილი მალტეზები და ლაბრადორები, კოკერსპანიელები და ბერნის ნაგაზები, რომლებსაც კუდში მოკრძალებით მოსდევენ მათი პატრონები... ბოლოს და ბოლოს, ყველა მონაწილე აქ იყრის თავს. დამსწრე საზოგადოების წინაშე თავის უნიკალურ სამოსებს წარმოადგენს ძაღლებისთვის განკუთვნილი უმსხვილესი მაღაზია – Dog MCUK. ჩვენების დასრულებისთანავე, დაგეგმილია ყველაზე გამორჩეული მოდელების აუქციონი, მაგრამ ჯერ ყველას ყურადღება სცენისკენაა მიპყრობილი. ორი საათი თვალის დახამხამებაში გარბის. ცხადია, არავინ ტოვებს დარბაზს...

შოუს კულმინაცია

იწყება ზეიმის ყველაზე საინტერესო ნაწილი: ძაღლების მეჯლისი – ოკეანისგაღმური მოდის ექსტრაორდინარული გამოვლინება. სანამ ჩვენი ოთხფეხა მეგობრები ერთმანეთს ეთვისებიან და ეცნობიან, მათი პატრონები მასლაათით იქცევენ თავს. „რას შვრება თქვენი „ჯოგონა“? ისევ მშრალ საკვებს მიირთმევთ?“ ან კიდევ: „დამეთანხმებით – მაგარი საყელურები ოთხფეხა არსებათა უფლებების დარღვევის გამოხატულებაა. ჩვენ ხომ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ!“ ეს ბაასი მანამდე გრძელდება, სანამ ცხოველების პატივსაცემად დაგეგმილ ცეკვებს არ გამოაცხადებენ...

Dog MCUK-ის მეპატრონეები – ტრეისი დევისი და მორდონ უაილდი მათი ინიციატივით გამართული ჩვენებით გამოწვეულ აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. კმაყოფილნი დარჩნენ აგრეთვე ძაღლებიც, მათი პატრონებიც და მიწვეული სტუმრებიც: შოუმ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. რაც შეეხება მასზე გაწეულ ხარჯებს – ის ორგანიზატორებმა სრულად აინაზღაურეს: აუქციონზე გატანილი მხოლოდ ერთი კოსტიუმი თურმე წარმოუდგენელ თანხად გაყიდულა. ციფრი გაინტერესებთ? ის შოუს ორგანიზატორებმა არავის გაუმხილეს. ■

ცირკიდან გაქცეულმა მაიმუნმა ქალები დააფრთხო

ეს ამბავი გერმანულ ქალაქ ლეხრში მოხდა. ცირკიდან გაქცეული მაიმუნი პიცერიაში შევარდა, ქალთა ტუალეტში გამოიკეტა და ყველაფერი მილეწ-მოლეწა. პიცერიის მეპატრონე ფრანკო პრაინო ამაოდ ცდილობდა ცხოველთან საერთო ენის გამონახვას. ის დახლთან იდგა, როცა რესტორანში 40 სმ სიმაღლის მაკაკა ლალამ შეირბინა, რომელიც ლეხრიდან 10-ოდე კმ-ში მდებარე ქალაქ ბრაუნშვაიგის ცირკიდან ყოფილა გამოპარული. პრაინოს თქმით, ლალა ძალზე აღელვებული ჩანდა. მის დასამშვიდებლად, მზარეულმა მაიმუნს სალათის ფოთლები გაუწოდა და ნელ-ნელა ქალთა ტუალეტში შეიტყუა. სანამ პრაინო პოლიციის მოსვლას ელოდა, მზარეული ბუტერბროდებით მის გამოკვებასაც ცდილობდა, მაგრამ ამან ლალაზე სასიკეთოდ ვერ იმოქმედა: მაკაკამ ფანჯარაში მოისროლა საყვავილე, უნიტაზებში ტუალეტის ქაღალდის რულონების ჩაყრას მიჰყო ხელი, შემდეგ კი ონკანები მოუშვა, რისგანაც ტუალეტიც გაივსო წყლით, სამზარეულოც და დარბაზიც... ადგილზე მოსულმა პოლიციელებმა ბოლოს და ბოლოს, შეიპყრეს ხულიგანი ცხოველი და შემდეგ, მის პატრონს – ცირკს გადასცეს, რომლის მესვეურებმაც განაცხადეს, რომ ფრანკო პრაინოს, მიყენებულ ზარალსაც აუნაზღაურებენ და გაქცეული ცხოველის შეპყრობისთვის 5.000 ევროსაც გადაუხდიან. ■

ჯაჭოჩვნილი აღაქმანეჯის ხუჭრეჯეჯი

გორის „ქართველ ქალთა საზოგადოების“ საქველმოქმედო მიზნით მოწყობილ „სალიტერატურო საღამოზე“ აკაკი წერეთელი საზოგადოების საპატიო წევრად დაუსახელებიათ. აკაკის გულიანად გასცინებია. გვერდით მჯდომ ნიკო ლომოურს სიცილის მიზეზი უკითხავს. აკაკის მისთვის ყურში რაღაც ჩაუჩურჩულებია, რაზეც ლომოურიც ახარხარებულა.

ცნობისმოყვარე მანდილოსნებს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და ნიკო ლომოურისთვის უთხოვიათ, მათთვისაც გაენდო აკაკის ნათქვამი. როდესაც ნიკო ლომოურს აკაკისგან თანხმობა მიუღია, უთქვამს:

— აკაკიმ ბრძანა: ვატყობ, ცუდად არის ჩემი საქმე: ჩანს, ისე მოვხუცებულვარ, რომ საშიში აღარ ვარ ქალებისთვის, თორემ, თავიანთ წევრად არ ამირჩევდნენო.

***

ერთხელ, ბრამსის მეგობარმა გადაწყვიტა, გაუფრთხილებლად სწვეოდა დიდ კომპოზიტორს. როცა მის ბინას მიუახლოვდა, მუსიკის ჰანგების გარდა, ხან ძაღლის გაბმული ყმუილი, ხანაც ყეფა მოესმა და გაშტერებული გაშეშდა: მან იცოდა, რომ ბრამსს ძაღლი არ ჰყავდა. კაცმა ფრთხილად შეაღო კარი და ოთახში შეიხედა. თმაგაბურძგნილი, გახვითქული კომპოზიტორი როიალთან იჯდა და იმნდენად გატაცებული იყო იმპროვიზაციით, რომ უცნაურ ხმებსაც გამოსცემდა და თან, ცრემლებად იღვრებოდა. სტუმარი ამ სურათმა ერთდროულად აღაფრთოვანა და შეაშფოთა კიდეც. აი, ბრამსი კი, მეგობრის ხილვამ გააცოფა:

— შენ აქ საიდან გაჩნდი?!

— გზად მიმავალს, ჯადოსნური ჰანგები შემომესმა და გადავწყვიტე, მენახე... — უხერხულობის კომპლიმენტით გაბათილება სცადა სტუმარმა.

ბრამსმა ყური არ ათხოვა მის ნათქვამს და ჭკუის დამრიგებლურად მიუგო:

— ჩემს მუსიკას საკონცერტო დარბაზში უნდა უსმინო და არა კარზე მიყურადებით...

***

ნოდარ დუმბაძეს, უკვე ძალიან ავად რომ იყო, არც მაშინ დაუკარგავს სიცოცხლის ხალისი.

იმ პერიოდში პრესაში დაბეჭდილა: ყველამ მივბაძოთ ამხანაგ ჩერნენკოსო (საბჭოთა კავშირის მაშინდელ ხელმძღვანელს)!

— მე რაც შემიძლია, ვბაძავ, ძამ: ვერ დავდივარ, ვერ ვლაპარაკობ და ვერ ვსუნთქავ... — გასცინებია ნოდარს.

***

გალაკტიონს ქუჩაში უცნობი გოგონა შეუჩერებია და უკითხავს:

— ტყუილი იცი?

გოგონა გაოცებულა და არაფერი უთქვამს.

— არა უშავს — თუ არ იცი, ცხოვრება გასწავლის! — უთქვამს გალაკტიონს და სწრაფად გაშორებია. ■

ანეკდოტეჯი

***

— იცი, ფეხზე 10 თითი მაქვს!!!

— ყველას ეგრე გვაქვს!

— მართლა — 7 ერთზე და 3 — მეორეზე?

***

ექიმი:

— პულსი წესრიგში გაქვთ.

— ექიმო, მარცხენა ხელზე შეამოწმეთ — მარჯვენა პროთეზია.

***

გამოცდილმა ექიმმა პაციენტი გასინჯა და კოლეგას მიმართა:

— ჩემი აზრით, დღესვე უნდა გავუკეთოთ ოპერაცია.

— რა აქვს?

— ანგარიში შვეიცარიის ბანკში!

***

როგორ აჭმევენ იაპონიაში პატარებს?

— კიდევ ათი ჩხირი, შვილო — მამიკოს ხათრით...

***

— ვინ გატეხა ფანჯარა? — ეკითხება ბებია შვილიშვილს.

— მამიკომ... მთვრალი იყო.

— როგორ გატეხა?

— დედიკომ თეფში ესროლა.

***



— იცი, ვთხოვდები, — ეუბნება ზოია დაქალს.

— ვისზე?

— მაგარი ტიპია, ფულში ჩაქცეული, ავარაკები, რამე... მაგრამ ერთი ნაკლი აქვს.

— რა?

— ჩემზე ორჯერ უფროსია.

— არ მჯერა.

— რატომ?

— მაგ ასაკამდე ადამიანები ვერ ცოცხლობენ...

***

— რომ გაიზრდები, რა გამოხვალ?

— იდიოტი.

— რატომ?

— მამის კვალზე მივდივარ.

***

ერთ კაცს შინ მეგობარი ესტუმრა. სუფრა გაიშალა და ქეიფი გვიანობამდე გაგრძელდა. მეგობარმა კედელზე თოკით ჩამოკიდებული ურო დაინახა და მასპინძელს ჰკითხა:

— ეს რა ურო კიდია კედელზე?

— ეგ ურო კი არა — საათია.

— როგორ თუ საათი?

— ახლავე აგიხსნი, — უთხრა მასპინძელმა, ურო გააქანა და კედელს მიახეთქა. კედლის იქიდან მეზობლის ხმა გაიგონა:

— ნამუსი აღარა გაქვს? დაგვაძინე, რა! ღამის 3 საათია!!! ■

***



ივო შუშაკის ეროვნება
ქრისტან ჰერში ფარდილ დდ მწერი
ბზის ლბილობა ეკვატორში
სიმღერაგრის ერთეული
სტამბა
ალმოდოვარის კინოფილმი
ჟურნალ-გაზეთა ერთობლიობა
სელინ ...
„მიმინო“ მიზანდარი
შხამიანი გომბეშო
პავაროტი, კარუზო, კარერასი
ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი
ფრანგი იმპრესიონისტი
ატმოსფერული ნალექი
ჰომეოპათიის შემქმნელი
სატანვარჯოშო იარაღი
საუბრის საგანი
ქართული სამარკო ღვინო
ალექსეი ტოლსტოის რომანი
მუსიკალური თემის დასრულებული ნწილი
... ძე დლები ... ლების ქრისტეს სტუდიის რაინში
მეტყველების ორგანო
ჯრჭელი მსხვი დასვლეთ სუქრთველოში
გეომეტრიული სხეული
ძველინდური ეპიკური პოემა
რეალობას მოკლებული მყოფლების გრძნობა
ხორცის უმცირესი ნაჭერი
ნოტი
ძრავას მბრუნავი ნაწილი
ეკლესიიდან განდევნა
ტროპიკული ხილი
ქუთაისური ლუდი
სტრიპტიზორი დათა თუთაშხიანი
ბრინჯის ჯიში
რუხი ნივთიერება
ბრაზილიელი მეკარე
თმის საშრობი
ლორენს ოლივიეს ყოფილი მეუღლე
დარაბის ნაწილი
თანრიგი კარატემი
0,01 ჰა
სროლაში სავარჯიშო ოთახი
უეცდგინა რამაზ ალანიამ



მე-20 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა; 4-ა.
23-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3ა.

კვირის (21 - 27 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ამ კვირაში წარმატება გელით როგორც სამსახურსა და შემოქმედებით საქმიანობაში, ასევე პირად ცხოვრებაში. შეეცადეთ ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. თუ ამას ვერ შეძლებთ, ნულარ გაიმეორებთ მაინც.

მამაკაცი: კვირის პირველ ნახევარში შეეცადეთ სამსახურებრივი პრობლემების მოგვარებას. შუა კვირაში მოულოდნელად მიიღებთ ფულს. კარგი იქნება თუ მას თქვენს მეორე ნახევართან ერთად დახარჯავთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: კარგი იქნება თუ თქვენთვის მნიშვნელოვან საქმეს ოთხშაბათს ან ხუთშაბათს შეუდგებით. ივლისის ბოლოს რომანტიკული თავგადასავალი გელით. ასე რომ, გაიკეთეთ ახალი ვარცხნილობა და აღიჭურვეთ მოთმინებით

მამაკაცი: ნუ იქნებით კატეგორიული ნაცნობთა შეფასებისას. არაკორექტულად გამოთქმულმა მოსაზრებამ, შეიძლება უსიამოვნება მოგიტანოთ. სამშაბათს ისაუბრეთ ახალი იდეების შესახებ. ეს კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს მათზე, ვისზეც დამოკიდებულია თქვენი წარმატება კარიერასა თუ პირად ცხოვრებაში.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: წინა პლანზე ოჯახური პრობლემები წამოიწევს. კვირის მეორე ნახევარში ძველ ნაცნობთან მოულოდნელი შეხვედრა გაძლევთ შანსს, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება.

მამაკაცი: მოერიდეთ იმ საქმეში მონაწილეობის მიღებას, რომელიც რაღაც ეჭვს ჰბადებს. დაკავდით მხოლოდ წინასწარ დაგეგმილი საქმიანობით. წარმატება იმის მიხედვით მოვა – როგორც გაირჯებით.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: შესაძლოა გაგიჩნდეთ სურვილი შეხვდეთ და ესაუბროთ ადამიანებს, რომელთა მოსაზრებები ადრე არ გაინტერესებდათ. დაიკმაყოფილეთ ცნობისმოყვარეობა. ეს განწყობილებას გაგიუმჯობესებთ.

მამაკაცი: ნუთუ,თქვენც შეგიპყროთ უკეთესი სამუშაო ადგილის ძებნის სურვილმა? არ ღირს ამ კვირაში ახალი პროექტების შესახებ ფიქრი. არ არის გამორიცხული, რომ საერთო საქმისადმი თქვენმა ერთგულებამ ამ დღეებში სერიოზულ გამოცდას გაუძლოს.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: კვირის პირველი ნახევარი საკმაოდ დაძაბული იქნება. ამიტომ გირჩევთ კარგად დაფიქრდეთ – ასჯერ გაზომოთ და მერე გაჭრათ. კვირის მეორე ნახევარში თქვენი ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ ოპტიმისტურად გამოიყურება.

მამაკაცი: თქვენთვისაც ეს კვირა დაძაბულია, მაგრამ ამავე დროს ნაყოფიერი. შეიძლება მიიღოთ შემოთავაზება ახალი სამსახურის თაობაზე. შეეცადეთ, ჩამოყალიბდეთ გრძნობებთან დაკავშირებით. მათ, ვისაც მეულლე არ ჰყავს, ვურჩევთ გადადგან პირველი ნაბიჯები ოჯახის შესაქმნელად.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: შექმნილი მდგომარეობა დაგარწმუნებთ, რომ შეგიძლიათ არა მხოლოდ ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენა, არამედ მათი მართვაც. ოთხშაბათს თაყვანისმცემლების გარემოცვაში აღმოჩნდებით და დიდხანს იქნებით მათი კომპლიმენტებისგან თავბრუდახვეული.

მამაკაცი: მომგებიან საქმიან წინადადებას მიიღებთ. ისარგებლეთ გამოცდილი ადამიანების რჩევით. პარასკევს ნუ დაგეგმავთ სერიოზულ შეხვედრებს. ჯობს უფრო წარმატებულ დღეს დაუცადოთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ნუ შეეცილებით სხვებს გამოიჩინონ ინიციატივა. ნუ გამოიჩენთ მსუბუქი ფლირტისადმი და აზარტული თამაშებისადმი მისწრაფებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება საყვარელ მამაკაცს წაეჩხუბოთ.

მამაკაცი: ნუ გაუშვებთ იმის შანსს ხელიდან, რომ მოაგვაროთ იურიდიული და ფინანსური პრობლემები ან უთანხმოება პარტნიორებთან. უქმეები ნორმალურად ჩაივლის.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: არ ღირს დრო დაკარგოთ ურთიერთობის გარკვევაზე. შეეცადეთ იყოთ დამთმობი. სიჯიუტემ შეიძლება, საყვარელი ადამიანი დაგაკარგვინოთ. კარგი იქნება თუ გამონახავთ დროს და უახლოეს მეგობრებს ესტუმრებით.

მამაკაცი: თქვენ გარშემო კონფლიქტური სიტუაცია იქმნება, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მოხერხებული ადამიანები წყლიდანაც კი მშრალად ამოდიან.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: კარგი დროა სახლის ინტერიერის მოსაწყობად და ძვირფასი ნივთების შესაძენად. ყურადღება გაამახვილეთ ოთხშაბათს და პარასკევს გაცნობილ ადამიანებზე. ისინი თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლიან.

მამაკაცი: წარმატება და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება გელით. თქვენ მხოლოდ კვალიფიკაციის ამაღლებაზე უნდა იზრუნოთ. შუა კვირაში ნუ დაიზარებთ და შეეხმიანეთ მეგობრებს, მათგან ბევრ სახალისო ამბავს მოისმენთ.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: კვირის დასაწყისში დაწყებული საქმიანი მოლაპარაკება წარმატებას მოგიტანთ. ასე რომ, იყავით გაბედულნი. თავის შეკავებას მხოლოდ ძვირად ღირებული ნივთის შეძენისგან გირჩევთ.

მამაკაცი: საქმეში აჩქარებას არ გირჩევთ. შეეცადეთ, ეს კვირა ინფორმაციის შეგროვებას დაუთმოთ. რაც უფრ მეტი გეცოდინებათ სავარაუდო პარტნიორების შესახებ, მით უფრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ და შედეგიც არ დააყოვნებს.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ამ კვირაში ნამდვილად არ გირჩევთ იმ ადამიანთან ურთიერთობის გარკვევას, ვისგანაც რაღაც გეწყინათ. კვირის ბოლოს მოგეხსნებათ ფინანსური პრობლემები და თქვენს ნაცნობთა წრეს რამდენიმე საინტერესო მამაკაციათაც გაიმდიდრებთ.

მამაკაცი: საუკეთესო დროა შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად. ხუთშაბათს მოგეცემათ შანსი თქვენი დიპლომატიური შესაძლებლობები გამოავლინოთ. იყავით ყურადღებიანი და შეეცადეთ კოლეგების კეთილგანწყობის მოპოვებას.

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: დროა დაავდოთ ტემპი და შეამციროთ საქმიანი შეხვედრების რაოდენობა. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებს და იოცნებეთ ბედნიერ მომავალზე.

მამაკაცი: არ არის გამორიცხული, რომ გეგმის შეცვლა დაგჭირდეთ, მაგრამ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას მაინც ნუ მიიღებთ. კვირის ბოლოს თქვენს მოსაზრებებს უფრო ყურადღებით და გულისხმიერებით მოისმენენ, ვიდრე კვირის დასაწყისში.

ხართ თუ არა ორგანიზებული

საყოველთაო აზრით, ორგანიზებული ადამიანები უფრო საიმედოები, ყურადღებიანები და მეტად პროდუქტიულები არიან. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ისინი დაახლოებით სამჯერ მეტ საქმეს ასწრებენ ხოლმე. მათ ძალუძთ დროის კარგად განაწილება და პროცესების სწორად მართვა. მიღებული შედეგებიც გვარწმუნებს, რომ საქმის სწორად ორგანიზება წარმატების საწინდარია.

წინამდებარე ტესტის მეშვეობით შეგიძლიათ გაარკვიოთ, თუ რამდენად ორგანიზებული ხართ და შეიძლება, ის პრობლემებიც დაინახოთ, რაც საქმის სწორად ორგანიზებაში გიშლით ხელს.

1) გაქვთ თუ არა ცხოვრებაში რაიმე მიზანი?

ა) რა თქმა უნდა – 4;

ბ) კონკრეტული მიზნის დასახვა ძნელია, რადგან ცხოვრება ძალზე სწრაფად და რადიკალურად იცვლება – 0;

გ) გარკვეული მიზნები მაქვს და მათ მისაღწევადაც არ ვაკლებ მცდელობას – 6;

დ) მიზნები მაქვს, მაგრამ ჩემი ცხოვრების სტილი არ მიწყობს ხელს მათ განხორციელებაში – 2.

2) გჩვევიათ თუ არა კვირის ბოლოს, მომავალი კვირის საქმეების დაგეგმვა და ბლოკნოტში, მოსაგვარებელი საკითხების ნუსხის შედგენა?

ა) დიახ – 6;

ბ) არა – 0;

გ) ერთი კვირით ადრე, გეგმას არ ადგენთ, ხვალინდელ საქმეებს კი, გონებაში გეგმავთ – 3;

დ) დარწმუნებული ხართ, რომ საქმეების წინასწარ ჩაწერა დროის ფუჭად ხარჯვაა – 0.

3) გჩვევიათ თუ არა საკუთარი თავის გაკცხვა შეუსრულებელი საქმეების გამო?

ა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის გაკეთებას თქვენმა სიზარმაცემ ან უუნარობამ შეუშალა ხელი – 4;

ბ) ნებისმიერ შემთხვევაში, საქმის წარუმატებლობას საკუთარ თავს აბრალებთ – 6;

გ) ცხოვრებაში ისედაც, ყველა ერთმანეთს კიცხავს, საკუთარი თავის გაკიცხვა და დასვა რაღა საჭიროა?! – 0;

დ) თქვენი პრინციპია: რაც დღეს გაკეთდა – კარგია, რაც არა – ხვალ ან ზეგ გაკეთდება – 0.

4) როგორია თქვენი საქმიანი ბლოკნოტი?

ა) მასში მხოლოდ მისამართები და ტელეფონის ნომრებია – 0;

ბ) ბლოკნოტებს ხშირად იცვლით და ხშირად, საჭირო ინფორმაციის მოძებნა გიჭირთ – 0;

გ) საჭიროების შემთხვევაში, ჩანაწერებს აკეთებთ; უცხო თვალისთვის თქვენი ბლოკნოტი მოუწესრიგებელი ჩანს, თქვენ კი საჭირო ინფორმაციას მუდამ ადვილად პოულობთ – 2;

დ) ბლოკნოტის შევსებისას, ცხრილებსა და ანბანს იყენებთ და ყველა ინფორმაცია მუდამ სრულყოფილად და დროულად შეგაქვთ – 6.

5) როგორაა დალაგებული ნივთები თქვენს სამუშაო მაგიდაზე?

ა) არეულად – 0;

ბ) ყველა ნივთს განსაზღვრული ადგილი აქვს – 6;

გ) სამუშაო ადგილს პერიოდულად ალაგებთ, რათა არ დაგავიწყდეთ, თუ რომელი ნივთი სად დევს – 2;

დ) მიგაჩნიათ, რომ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს – 0.

6) როგორი რეაქცია გიჩნდებათ, როცა ატყობთ, რომ საქმიან თათბირზე ფუჭი, უსაგნო მსჯელობა მიმდინარეობს?

ა) იქ მყოფებს სთავაზობთ, კონკრეტულ საკითხზე ილაპარაკონ – 3;

ბ) მიგაჩნიათ, რომ ნებისმიერ კრებასა და თათბირზე ხან საქმიანი საუბარია, ხანაც – უსაგნო, ამიტომაც მორჩილად უცდით მის დამთავრებას – 0;

გ) ცდილობთ, სხვა რაღაცებზე იფიქროთ – 2;

დ) ამ დროს, სხვა საქმის გასაკეთებლად გამოიყენებთ – 4.

7) კრების დროს, რას აქცევთ მეტ ყურადღებას — მომხსენებლის გამოსვლის ხანგრძლივობას თუ მოხსენების შინაარსს?

ა) გაცილებით მნიშვნელოვანია მოხსენების შინაარსი – 2;

ბ) მოხსენების შინაარსთან ერთად, მისი ხანგრძლივობაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – 6.

8) მიგაჩნიათ თუ არა, რომ ნებისმიერ წუთს, თქვენ მიერ დასახული მიზნის მისაღწევად იყენებთ?

ა) ცდილობთ, მაგრამ ყოველთვის არ გამოგდით, ხანდახან გუნება-განწყობილება და სხვა მიზეზები გიშლით ხელს – 3;

ბ) ამას არც ცდილობთ, რადგან ფიქრობთ, რომ ადამიანს საქმის კეთებაზე მეტად, დასვენება და განტვირთვა ესაჭიროება – 0;

გ) მუდამ ასე იქცევით – 6.

9) რა დროს მიდიხართ შეხვედრაზე?

ა) დათქმულზე 5-7 წუთით ადრე – 6;

ბ) დათქმულ დროს – 6;

გ) ხშირად აგვიანებთ – 0;

დ) დროულად მისვლას ცდილობთ, მაგრამ რატომღაც სულ გაგვიანდებათ – 0.

10) როგორ იქცევით, როცა ვერ ასწრებთ ვინმესთვის დანაპირების შესრულებას?

ა) ურეკავთ და ატყობინებთ, რომ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ შეძელით – 2;

ბ) არაფერს ეტყვით, ხოლო როცა თვითონ დაგიკავშირდებათ – რაიმეს მოიმიზეზებთ – 0;

გ) ეცდებით, შეუსრულოთ დანაპირები, მაგრამ თუ არ გამოგივიდათ, არც ამაზე ინაღვლებთ – 0;

დ) დანაპირებს ნებისმიერ შემთხვევაში შეასრულებთ, თუნდაც – ოდნავ დაგვიანებით – 6. ■

დაანგამეთ ქულები

40-58 ქულა: – საკმაოდ ორგანიზებული ადამიანი ხართ. ერთადერთი, რაც შეიძლება გირჩიოთ, ის არის, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეთ მიღწეულით, მუდამ ეცადოთ, განვითარდეთ და მეტს მიაღწიოთ, რადგან თქვენ ეს ნამდვილად შეგიძლიათ.

20-39 ქულა: – ორგანიზებულობას თქვენი საქმიანობის აუცილებელ პირობად მიიჩნევთ, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებთ იმას, რომ საქმეები დროულად დაგეგმოთ და გააკეთოთ. საჭიროა, ოდნავ შეცვალოთ თქვენი ცხოვრების სტილი – მეტი ყურადღება მიაქციეთ აუცილებელი საქმეების მოგვარებას და არ გადადოთ ხვალისთვის ის, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლიათ – ეს თქვენს საქმიანობას გაცილებით პროდუქტიულს გახდის.

2-19 ქულა: ხანდახან გიჩნდებათ იმის სურვილი, რომ იყოთ ორგანიზებული და მტკიცედ იაროთ წინ რაიმე მიზნისაკენ, მაგრამ ეს სურვილი ძალიან მალე გიქრებათ ხოლმე. ალბათ საკუთარი ძალების რწმენა გაკლიათ. სცადეთ, ერთ საღამოს, გააანალიზოთ საკუთარი ცხოვრება და პრინციპები – იქნებ იგრძნოთ, რომ რაღაც სასწრაფოდ გაქვთ შესაცვლელი, თორემ შეიძლება, ერთ დღესაც, საშინელი ერთფეროვნება და მოწყენილობა იგრძნოთ.

ბოიდელის ოჯახმა თეთრი სახლი აღაშფოთა...

ერთი ახალზელანდიური საროსკიპოს გამო, ლამისაა, საერთაშორისო სკანდალი ატყდეს. ცოტა ხნის წინ, ქალაქ ოკლენდის გაზეთში გამოქვეყნდა განცხადება, ბორდელში სამუშაოდ ახალი კონტინგენტის მიღების შესახებ. „ვეძებთ ქალებს ღამისა და დღის სამუშაოსთვის“, — ამ წარწერის თავზე, გაზეთში გამოსახული იყო ამერიკული არწივი, რომელიც თითქმის არ განსხვავდება აშშ-ის საპრეზიდენტო რეზიდენციის — თეთრი სახლის ემბლემისაგან. „მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი მსგავსება ეროვნულ სამთავრობო სიმბოლიკასა და კომერციულ განცხადებას შორის, ცუდი ტონის გამოხატულებაა, — განაცხადა ახალ ზელანდიაში აშშ-ის საელჩოს პრესატაშემ, ჟანინ ბერნსმა. — ჩვენ გავუგზავნეთ წერილი ამ რეკლამის დამკვეთს, რომელშიც გამოვხატეთ დიდი წუხილი და უკმაყოფილება მის მიერ გამოყენებული სიმბოლიკის გამო“. ამის პასუხად, ბორდელის მეპატრონემ და მენეჯერმა, სკოტ მაკგრეგორმა შენიშნა, რომ ამ სიმბოლიკით მისი დაწესებულება უკვე ორ წელზე მეტია, სარგებლობს — ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მას „მასაჟის სალონი თეთრი სახლი“ ერქვა. „ეს უნივერსალური და საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოა. არა მგონია, რომ ამერიკელებს რაიმე ექსკლუზიური უფლება ჰქონდეთ არწივის გამოსახულებაზე...“ — დასძინა ბორდელის მეპატრონემ. ■

სტოჯჰოლმის ზოოპარკის მესვეურებმა გინესის წიგნში მოხვედრა განიზრახეს

ამ განზრახვის ასრულებას... ჩვეულებრივი საწოვარების მეშვეობით აპირებენ. თუ ისინი საწოვარების მსოფლიოში უდიდეს კოლექციას მოაგროვებენ, 5 წლამდე ასაკის პრაქტიკულად ყველა სტოკჰოლმელს მომავალში, იმის თქმის საშუალება მიეცემა, რომ მანაც მიიღო მონაწილეობა აღნიშნული რეკორდის დამყარებაში. საქმე ის გახლავთ, რომ მშობლებთან ერთად ცხოველების თვალიერებისას, პატარები ხშირად აღებენ ხოლმე პირს გაოცებისგან და ამ დროს, საწოვარებს კარგავენ. თავდაპირველად, ზოოპარკის თანამშრომლები საწოვარებს სპეციალურად შექმნილ, დაკარგული ნივთების განყოფილებაში ინახავდნენ, მაგრამ ვინ მივიდოდა ასეთი წვრილმანის საპოვნელად?!. ასე დაგროვდა დიდი კოლექცია. თუმცა, ის მაინც არ იქნება საკმარისი, მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად. ამიტომ, ზოოპარკის მესვეურებმა იფიქრეს და საინტერესო იდეაც დაებადათ: სექციაში, რომელიც მთლიანად ყველაზე პატარა ოთხფეხებს აქვთ დათმობილი, ასეთი განცხადება გამოაკრეს: „გთხოვთ, თითო საწოვარა შესწიროთ ახალშობილ კნუტებს“... ■

ჩინეთში გიგანტი-პრეზერვატივი დაამზადეს

მსოფლიოში უდიდესი პრეზერვატივის სიგრძე 80 მ-ს, ხოლო გარშემოწერილობა — 100 მ-ს წარმოადგენს, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ის ადგილობრივი სასტუმროს — Fragrant River Hotel-ის შენობას წამოაცვა. ის გაეროს მიერ დედამიწის მოსახლეობის დღედ გამოცხადებული ზეიმისთვის დაამზადეს. უჩვეულო შეკვეთა Guilin Latex Compuny-ს ეკუთვნის. მის სანახავად ფირმამ გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები მიიწვია. ამ თავისებური ფორმით, კომპანია შეუერთდა გამრავლების საწინააღმდეგო სახელმწიფო პროგრამას, რომელსაც, როგორც ცნობილია, თანამიმდევრულად ახორციელებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება. ამ, „რეკორდული ნომრის“ გარდა, Guilin Latex Company უფასოდ ავრცელებს პრეზერვატივებსა და ბროშურებს, რომელშიც მოცემულია იმის რეკომენდაციები, თუ რა გზით შეიძლება შობადობის შემცირება. ■

ნღების შემდეგ, ავტომობილში ჯოჯინი აღმოაჩინეს

10 კგ კოკაინი იპოვა ჰამბურგელმა რედეგირ ნაიგელმა მანქანაში, რომელიც მებაჟეების მიერ ჩამორთმეული ტვირთის ბაზარზე შეიძინა. ეს Chevrolet Suburbun გერმანიაში 1997 წელს შემოუტანიათ მექსიკიდან. მაშინ, საბაჟოზე მისი გასინჯვის შედეგად, საწვავის ავზსა და სათადარიგო ბორბალში დამალული 54 კგ კოკაინი უპოვიათ და მანქანა რამდენიმე წლით, დაპატიმრებული ტვირთებისთვის განკუთვნილ, სპეციალურ სადგომზე დაუყენებიათ. ცოტა ხნის წინ კი, ის გასაყიდად გამოუტანიათ. ასე მოხვდა „შევროლე“ ნაიგელის ხელში, რომელმაც შინ, კარის შეკეთების დროს, იქ ნარკოტიკი აღმოაჩინა და ამის შესახებ უმალ პოლიციას აცნობა. ■

ფოტოკუთხეები

ილუზია

№ 82/26